ხალხური ლექსები და ზღაპრები

მეკრეფილი

გიორგი ნათაძის მიერ

ს. ხუციშვილის რედაქციით

საბჭოთა მწერალი
19 თბილისი 50

შემკრებისაგან

ხალხის ზეპირსიტყვიერება ისეთივე სარკეა ხალხის სულიერი სახისა, როგორც მწერლობითი სიტყვიერება. როგორც მწერლობით, ისე ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში იხატება ხალხის ყოფა-ცხოვრება, მსოფლმხედველობა, მისი მისწრაფება, ხალხის თანდათანობითი სულიერი ზრდა და ეკონომიური მდგომარეობა. ხალხურ სიტყვიერებას, როგორც მასალას, ისეთივე მნიშვნელობა აქვს ხალხის ისტორიისათვის, როგორც მწერლობითი სიტყვიერებას.

ხალხური სიტყვიერება მდიდარი და დაუშრეტელი სალაროა ერის ენისთვის, მისი ბუნების, აგებულების განვითარებისათვის, სალიტერატურო და სასაუბრო ენის გასამდიდრებლად.

ხალხური ზეპირსიტყვიერება მდიდარია მაღალი მხატვრული ფორმებით, მუსიკალური გამოთქმით, სახეებით, რაც ძლიერად მოქმედებს ადამიანის სულიერ აღფრთოვანებაზედ, გონების განვითარება-სიცხოველეზე.

მრავალი ცნობილი მწერალი თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს „ბებიის ზღაპრების“ დიდ გავლენას მის შემოქმედების სიცხოველეზე.

როგორც ჩვენს, ისე უცხოეთის მწერლობაში მრავალი უკვდავი ნაწარმოებია ხალხურ ზეპირსიტყვაობაზე აგებული.

ხალხურ სიტყვიერებას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს მოზარდ თაობისთვის. ხალხური სიტყვიერების გაცნობით ახალგაზრდობა უახლოვდება ხალხს, მის წარსულს, ყოფა-ცხოვრებას, ხალხის სულიერ თანდათანობითი განვითარებას, ხალხის მისწრაფებას და მის დღევანდელ გონებითი დონეს, ეცნობა ხალხურ ცოცხალ ენას, მდიდარ მხატვრულ ფორმებს, ხალხურ პოეზიას.

ამ მიზნით ჩვენმა დიდმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა თავის პირველდაწყებით სახელმძღვანელო „დედა-ენა“-ში ხალხური სიტყვიერების მრავალი ნიმუში შეიტანა: „მოდი ენახოთ ვენახი“, „ტოროლა“, „ნიბლია“, „ირემი“, „კურდღლის სიზმარი“, „მგლის სიზმარი“, „ხარი“, „საწყალი დედაბრის მამითადი“, „ლიანვი“, „ჩიტი და მელია“, „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“, „მელია და მწყერჩიტა“, „ბვრიტი“, „ავთანდილი“, „ერეკლე და პამპაული“ და მრავალი სხვა.

ქართველი მოწინავე საზოგადოება ყოველთვის დიდ მნიშვნელობას აძლევდა ხალხური სიტყვიერების შეკრებისა და ბეჭდვის საქმეს. ყველა ქართული პერიოდული გამოცემა დიდს ადგილს უთმობდა და უთმობს ხალხური სიტყვიერების მასალის ბეჭდვას.

საგულისხმოა, რომ ჩვენი წინაპრებიც დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ხალხურ სიტყვიერებას. საქართველოს მუზეუმში დაცულია ხელნაწერი-ქრესტომათია, შედგენილი XVIII საუკუნის ბოლოს არხ. ტარასისაგან

(ალექსი-მესხიშვილი). ქრესტომათიას ჰქვიან „ჩემი ჟურნალი“ (№ 1448 Á), შიგ არის მრავალი ცნობა საქართველოს და მსოფლიო ისტორიიდან, სამ-ეკლესიო-ეკლესიო რიტორული ნიმუშები (სიტყვები), სხვადასხვა ცნობები და ხალხური ლექსები, თქმულებები, გადმოცემანი, ანდაზები და გამოცანები, აგრეთვე ენის გასატეხი ან ჩქარა გამოსათქმელი ხალხური ნიმუშები. წიგნი დანიშნულია იმ დროინდელ ქართულ სკოლებში მოზარდ თაობის სახელმძღვანელოდ, აგრეთვე საყურადღებოა უცნობი აეტორის, მღვდელი დიმიტრი ოქროაძის მიერ გადაწერილი ხელნაწერი (№ 346 H), მდიდარი შინაარსით, წერილების გონიერად დალაგებით. ეს წიგნი შედგენილია XVIII საუკუნის ბოლოში. იქაც მრავალი ხალხური ზღაპრებია, ლექსები, გამოცანები, იგავ-არაკები.

ჩვენმა აკაკიმ პირველმა მიაქცია ყურადღება ხალხური სიტყვიერების მასალების სისტემატურად და ორგანიზებულად შეკრებას და ამისათვის დააარსა სპეციალური ჟურნალი „კრებული“. „კრებულის“ პირველ ნომერში მოათავსა მიმართვა ქართველ საზოგადოებისადმი, მიექცია ყურადღება და დახმარება აღმოეჩინათ მისთვის ხალხური შემოქმედების შეკრება-დამუშავებაში. თავის წერილში—„ზეპირსიტყვიერების გამო“ უკვდავი მგოსანი წერდა: „ქართველებს რომ დღეს სხვადასხვა საჭიროება გვაქვს და აუარებელი საქმეც გვაწვეს ტვირთად, ეს ვინ არ იცის, მაგრამ არც ერთი კი მათგანი ისეთი სასწრაფო არ არის, როგორც ზეპირი გადმოცემების შეკრება-შეგროვება... ხალხური პოეზია უტყუარი სარკეა, გადასული ცხოვრებისა და ისტორიის მტკიცე საძირკველია“ და სხვა.

ქვევით ცალკე მოვიყვანთ ბიბლიოგრაფიას ხალხური სიტყვიერების მასალისა, რომელიც დაბეჭდილია ჩვენს პერიოდულ გამოცემებში.*

დარწმუნებული ვარ, ეს დიდი და საინტერესო მასალა ხალხური შემოქმედების ზეპირსიტყვიერებისა, უსათუოდ, თავის დროზე ერთ დიდ კრებულად გამოიცემა, რაც ქართულ ლიტერატურაში დიდი განძი იქნება.

ამ საგანძურში მეც მინდა შევიტანო ჩემი წვლილი. ახალგაზრდობიდანვე, ჩემი მოწაფეობიდან, ვკრებდი ხალხური სიტყვიერების მასალას. მასალა შეკრებილია, განსაკუთრებით, დუშეთის მაზრაში, მთის ხალხში: ქაისხევში, ფშავში, გუდამაყარში, არაგვის მთიულეთში, ქსნის ხეობაში და ხევში. ხსენებულ ადგილებში ბევრი მასალა შემიკრიბეს და გამომიგზავნეს ჩემმა გულითადმა მეგობრებმა, ფშავში—ჭრელო მოლოდინაშვილმა და მარო ლომნიას-ასულმა წიკლაური-ქენქაძისამ, გუდამაყარში ნიკო სიჯინაშვილმა, ქაისხევში ოლღა იოსების-ასულმა ინაშვილმა, მთიულეთში ნ. ბურდულმა.

გ. ნ.

---

* ეს ბიბლიოგრაფია გ. ნათაძეს ამოუღია „ქართული ბიბლიოგრაფიიდან“ (პეტროგრადი, 1916, იოსებ ყიფშიძის რედაქციით გამოცემული). ამ წიგნში აღარ გავიმეორეთ. რედ.

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნში თავმოყრილი მასალისათვის შემკრებს, საზოგადო მოღვაწესა და მრავალნამსახურ მასწავლებელს—გიორგი ნათაძეს „ხალხური სიტყვიერების კრებული“ უწოდებია. დიდ ხანს ხალხში სიარულისა და სხვადასხვა თანამდებობის შესრულებისას, გიორგი ნათაძეს, გზადაგზა ხალხური შემოქმედების მრავალი ნიმუში ჩაუწერია. ბევრი სხვაც დაუინტერესებია ამ მეტად კარგი საქმითა და კორესპონდენტთა ქსელიც ჰქონია მასალების შეკრებისა და აღნუსხვის მიზნით. ხალხური სიტყვიერების ნიმუშები ხუთ მომსხო საერთო და ორ პატარა რვეულში შეუტანია, მათში დიდი და უმთავრესი ადგილი იმ კუთხის ხალხურ შემოქმედებას უჭირავს, სადაც შემკრებს ცხოვრება და სამსახური უხდებოდა. ეს არის ქართული მთიანეთი—ხევი, ფშავი, ხევსურეთი, ქსნისა და არაგვის ხეობანი. მასალებშიც შიგადაშიგ არის ნიმუშები გურული, იმერული, კახური და ქართლური (ვაკის) ხალხური შემოქმედებისა, მაგრამ მცირე რაოდენობით. ამრიგად, გ. ნათაძეს რამდენიმე ასეული ფოლკლორული ფაქტისთვის მოუყრია თავი, მათში ბევრია ეპიკური ხასიათის თხზულებები და ლირიკული შემოქმედების ნიმუშები.

გ. ნათაძე მხოლოდ ხალხური შემოქმედების შეკრებით არ ყოფილა დაინტერესებული; როგორც ცნობილია, მას არა ერთი კარგი წერილი დაუწერია ლიტერატურის წარმომადგენლებისა და სხვათა შესახებ. („ალექსანდრე მიხეილის-ძე ყაზბეგი“, საბიოგრაფიო მასალა, „მოამბე“, 1904 წ. № 10; „კოსტა ხეთაგუროვის უცნობი ლექსი“—„ლიტერატურის მატიანე“, № 1—2; „ალექსანდრე ყიფშიძის „დღიურებისათვის“ ალ. ფრონელის დღიურის პუბლიკაციით, იქვე, № 3—4; მონოგრაფიები დავით ბატონიშვილზე, იოანე ბატონიშვილზე, ქართველ კალიგრაფებზე; გამოკვლევა ქართული კულტურის კვალის შესახებ ჩრდილო კავკასიაში, ძველ ქართულ სახელმძღვანელოებზე. მოგონებები ს. მ. კიროვზე, ეგნ. ნინოშვილზე, ლადო კეცხოველზე...) ეთნოგრაფიული და ისტორიული ხასიათისა და სხვა. იგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი იყო და ძალ-ღონე არ დაუზოგია იმ ბედუკულმართ დროში ქართველი ახალგაზრდობის გონებრივი აღზრდისა და განვითარებისათვის.

გ. ნათაძეს მხოლოდ რჩეული ნიმუშები კი არ შეუკრებია ხალხის ნათქვამისა და მხოლოდ საუკეთესოთა აღნუსხვა არ უსურვებია. მას, როგორცა ჩანს, კარგად ესმოდა ქართული ლიტერატურის დიდი მესვეურების—ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შეხედულებანი ქართულ ხალხურ შემოქმედებაზე: ყველაფერი უნდა აიკინძოს მომავალი თაობებისათვის გადასაცემად, როგორც გარდასულ დროთა ნიმუში, როგორც საფუძველი ახალი ცხოვრებისათვის, რომ ხალხის მიერ შექნილი დიდი სიმდიდრე, რო-

ბორი სახისაც არ უნდა იყოს იგი, უნდა დაგროვდეს და მეცნიერული შესწავლის საგნად იქცესო. გ. ნათაძეს კარგად შეუგნია ილია ჭავჭავაძის მოწოდება: „მდაბიო ხალხის გონებით თუ სხვა საუნჯე მარტო იმის ლექსებში ანუ პოეზიაში როდი გამოიხატება, არა,—ეს საუნჯე უხვად დათესილი და დარჩენილია ისეთს ნაწარმოებებში, რომელნიც სრულებით არ ეკუთვნიან პოეზიის სფერას. ამგვარია, მაგალითებრ, ხალხის ჩვეულებანი, რომელნიც შეეხებიან ეკონომიურს და იურიდიულს ცხოვრებას“ (ტომი V, „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“). სწორედ ამიტომ, გ. ნათაძეც, რომელსაც საშუალება ჰქონდა თვალყური ედევნებინა ხალხური შემოქმედებისა და ხალხის ეკონომიურ-იურიდიული ცხოვრებისათვის, სხვა ნიმუშებსაც აგროვებს. გარდა იმისა, რომ ჟანრობრივად მრავალფეროვანი და ხასიათით მრავალგვარი მხატვრული ნიმუშისათვის მოუყრია თავი, მის რვეულებში შეტანილია სხვადასხვა წეს-ჩვეულებათა აღწერანი, ეთნოგრაფიული მასალები და სხვ.

გ. ნათაძეს მასალა შეკრების ადგილის მიხედვითა აქვს დაგროვილი, იქვე პატარა ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვასაც აკეთებს ამა თუ იმ კუთხისა, იმ ხალხის ცხოვრებისა, რომლის საილუსტრაციოდ უნდა გამოდგეს ხალხური შემოქმედების ნიმუშები. მრავალი მასალა თვით მოუსმენია, ნაწილიც კორესპონდენტთაგან მოწოდებული შეუტანია კრებულში, რომელთა შესახებ შენიშვნებში არის მოხსენებული. სამწუხაროდ, ნიმუშებისათვის შემკრებს ყველგან არ მიუწერია მთქმელისა, ადგილისა, დროისა და სხვათა შესახებ, რასაც თანამედროვე ფოლკლორისტები აღნიშნავენ. ეს მდგომარეობა ძიეწერება იმ საფეხურს ქართული ხალხური სიტყვიერების შესწავლისა, როცა ჯერ კიდევ არ იყო ჩვენში ჩამოყალიბებული პრინციპული და მეთოდური საფუძვლები ფოლკლორისტიკისა. უმთავრესად და ძირითადში გ. ნათაძე იძლევა ნედლ, უშუალო მასალას, როგორც საფუძველს სხვადასხვა მეცნიერული დაკვირვებისთვის.

გ. ნათაძის მიერ შეკრებილ მასალებში, როგორც ჟანრობრივად, ისე შინაარსისა და ხასიათის მიხედვით, მრავალფეროვანი ნიმუში არის შესული. ერთი და იგივე ხასიათის მასალა (თავისი აზრით და არა აგებულებით), მიზანშეწონილად ვცანით გაგვეერთებინა და ისე დაგველაგებინა, როგორც ეს არის აქამდე გამოცემულ ხალხური სიტყვიერების ნიმუშებში (აკაკი შანიძე, ფ. გოგიჩაიშვილი). ამის მიხედვით მასალა რამდენიმე დარგად დაიყო. ხალხური სიტყვიერების ნიმუშებში გვხვდება თემები ვაჟკაცობა-გმირობისა, ისტორიისა, წარსული ეპოქის სოციალური მდგომარეობისა, პირველი მსოფლიო ომისა და სალდათობისა. ტრფიალ-სიყვარულისა, ოჯახური ურთიერთობისა და სხვა... ყველა თემა მრავალი ნიმუშითაა წარმოდგენილი. ცალკე ჯგუფშია წვრილი ოთხეულები და კერძოულ საკითხების შესახები თხზულებები, რომელნიც ზემოჩამოთვლილ თემათა რუბრიკაში არ შევიდა.

როგორც გ. ნათაძე აცხადებს, მასალის შეკრება მას დაუწყია მოწაფეობიდან. ამიტომ კრებულში არ არის წარმოდგენილი ჩვენი თანამედროვეობა. იმ დროს, როცა ქართველმა ხალხმა ახალი ცხოვრება დაიწყო ბოლშევიკური პარტიისა და თავისი საყვარელი შვილის—ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით, ამ მასალის შემკრები, გიორგი ნათაძე, უკვე მოხუცებული იყო და აღარ ჰქონდა საშუალება ხალხში გასვლისა და ჩვეული ხალისით

მასალის შეკრებისა; ძველი ნაცნობები და კორესპონდენტებიც, რომელთაც წინასიტყვაობაში მოიხსენიებს, აღარ ჰყავდა. ამის მიუხედავად, მართალია მეტად მცირე, მაინც შეუტანია ანარეკლი ახალი ყოფისა.

გ. ნათაძე ხოგიერთ ნიმუშებს შენიშვნას უკეთებს და ამბობს „ხოგ ვარიანტში ასე სწერიაო", მაგრამ ეს ვარიანტი მას მოცემული აღარა აქვს, ამიტომ აღარც შეპირისპირება და არჩევანი მოხერხდა. შემკრების მიერ აღბეჭდილი ყველა მითითება შენიშვნებშია გამოყენებული.

გიორგი გრიგოლის-ძე ნათაძე დაიბადა 1870 წელს სოფ. მერეთში (ყოფ. გორის მაზრა).* „ჩამომავლობით ქსნის ხევის მთიული ვარ, დაბადებით ქართველიო"—გადმოგვცემს მემუარებში. მისი მამა დიაკვანი ყოფილა. დედამისს სცოდნია ჭრა-კერვა, წერა-კითხვა, ეხერხებოდა საეკლესიო წიგნების თავისუფლად კითხვა და შვილის პირველი მასწავლებელიც ის ყოფილა. გ. ნათაძემ ბავშვობა გაატარა მუხრანში; სოფელში დაბადებული და გაზრდილი, მცირე ასაკიდან ისმენდა თავის მეზობელთა და საერთოდ ქართველ გლეხთა მხატვრული შემოქმედების ნიმუშებს. შვიდი წლისა სოფლის სკოლაში შეუყვანიათ, შემდეგ თბილისის სასულიერო სასწავლებელში და სემინარიაში. სემინარიაში სწავლისას, სხვათა მსგავსად, გიორგის კავშირი გაუბამს სასწავლებლის გარეშე არსებულ წრეებთან, მონაწილეობა მიუღია ეგნატე ნინოშვილის მიერ ჩამოყალიბებული ჯგუფის მუშაობაში.

სემინარიის დამთავრების შემდეგ იგი მსახურობდა სოფ. ალში, მასწავლებლად, ხოლო 1894 წლიდან სტეფანწმინდაში, აქ მან რამდენიმე წელიწადს დაჰყო. სწორედ მაშინ შეაგროვა ~ფაქტიური მასალები ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიისა, აქვე ჩაწერა მან მეტად მდიდარი და საინტერესო მასალა~მოხეევური ხალხური შემოქმედებისა. 1899 წლიდან იგი ცხოვრობდა კავკავში (ახლა ძაუჯიკაუ) და მსახურობდა 1888 წელს მიხეილ ზაალის-ძე ყიფიანის თაოსნობით გახსნილ ქართულ სასწავლებელში. გ. ნათაძე ქართული სკოლისა და საერთოდ კავკაველი ქართული მოსახლეობის ერთგულ სამსახურში ჩაება და მონაწილეობა მიიღო იმ დიდ კულტურულ საქმიანობაში, რამაც ხსენებული სკოლა, თავისებურ კერად აქცია, რომლიდანაც წარმოიშვნენ ქალთა პროფესიული სკოლა, ადგილობრივი ქართული სცენა, მოზრდილთა საკვირაო სკოლა, ქართული ბიბლიოთეკა. გ. ნათაძე წერა-კითხვის სახოგადოების კავკავის განყოფილების მდივანი იყო, ამ ორგანიზაციის ირგვლივ თავს იყრიდნენ მაშინ იქ მცხოვრები მოწინავე ინტელიგენტები: იასონ ლორთქიფანიძე, ლუარსაბ ბოცვაძე, მოსე კალანდარიშვილი, პართენ გოთუა და სხვანი. გ. ნათაძისა და ქართველთა სახოგადოების სტუმარი ხშირად ყოფილა ოსეთის სახალხო მგოსანი კოსტა.*

მიუხედავად იმისა, რომ გ. ნათაძეს იმ დროს ეკლესიის მსახურის ტან-

---

* და არა მუხრანში, როგორც ეს აღნიშნული იყო ნეკროლოგში, იხ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1946, № 30.

** კავკავის ქართული სკოლისა და მის მოღვაწეთა შესახებ მოთხრობილია არკ. ხუნდაძის წიგნაკში „ლუარსაბ ბოცვაძე", რომლის დაწერისთვის ავტორს გიორგი ნათაძის მოგონებებიც აქვს გამოყენებული.

საცმელი ეცვა, მაინც მონაწილეობა მიუღია ქართული სცენის საქმიანობაში, დახმარება აღმოუჩენია როგორც ადგილობრივ სცენისმოყვარეთათვის, ისე თბილისიდან ჩასული პროფესიული მსახიობებისათვის, საგასტროლოს რომ ეწვეოდნენ კავკაველ ქართველებს. მსახიობი ნიკო გვარაძე „თეატრალურ მოგონებებში" წერს: „კავკავში ჩასვლისთანავე ჩემმა მეგობარმა მითხრა; სირცხვილი იქნება, რომ აქა ვართ და მღვდელ ნათაძეს სახლში არ ვეწვიოთო. მართლაც წავედით ნათაძესთან. იქ დაგვხვდნენ იქაური ქართული სკოლის მასწავლებლები და რამდენიმე ინტელიგენტი... ნათაძე კავკავში ცნობილი იყო, როგორც მოწინავე ინტელიგენტი საზოგადოებრივი საქმეების დიდი დამხმარე და ორგანიზატორი. ამ ნათაძის მეცადინეობით იყო კავკავში დაარსებული ქართული სასწავლებელი, სადაც მოთავსებული იყო თეატრის შენობაც. ნათაძეს დიდი გავლენა ჰქონდა კავკავის ქართველობაში. ეს ის მღვდელმსახური იყო, რომელიც წირვის დროს მრევლს მოუწოდებდა, ამაღამ ჩვენ თეატრში ქართული წარმოდგენა იმართება და უსათუოდ დაესწარითო! ეს ისეთი მღვდელი იყო, რომელიც თეატრს ყოველთვის მაღლა აყენებდა, ვიდრე ეკლესიას! ნათაძეს ესმოდა, როგორც ჭეშმარიტ ქართველს, რომ კავკავში გადახვეწილი ქართველებისათვის თეატრს და სცენიდან ნათქვამ სიტყვას დიდი კულტურული და აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დიდ საქმეში ნათაძეს ყოველთვის მხარში ედგნენ ქართული სკოლის მასწავლებლები: ნიკო კურდღელაშვილი (ნარ-კანი) და ელო ანდრონიკაშვილი (შემდეგში ქართული თეატრის მსახიობი)* კავკავის ქართული სკოლა და სცენა ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა პუნქტებში (არმავირი, მინერალური წყლები, ნალჩიკი, მოზდოკი, ალაგირი, გროზნა) მცხოვრებ ქართველთა კულტურული ცენტრი იყო. ქ. შ. წ.—კ. გ. ს. კავკავის განყოფილება ამარაგებდა იქაურ ქართველებს ყველაფრით.

სამოქალაქო ომის პერიოდში, ჩრდილოეთ კავკასიაში, თეთრგვარდიელთა ბანდების ბატონობის დროს ბევრი ქართველი ბოლშევიკი აფარებდა მის ბინაში თავს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩრდილოკავკასიაში, გ. ნათაძე კიდევ დიდხანს განაგებდა ქართულ სკოლას. 1930 წელს გადმოსახლდა თბილისში, მუშაობდა საქართველოს „სახელმწიფო მუზეუმში, ხელნაწერების განყოფილებაში, უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში კი ლიტერატურულ მუზეუმში მეცნიერ თანამშრომლად. დამსახურებისათვის გ. ნათაძეს პერსონალური პენსია ჰქონდა დანიშნული. გ. ნათაძე გარდაიცვალა 1946 წელს, დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოს ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

ხ. ხუციშვილი

---

* გვ. 200—201.

საგმირო-საგალობელი

1. ამირანი

ამირან მდევი შაიბნენ,
მთებსა გაჰქონდა გრიალი.
დასცა და ბეჭი მოსტეხა,
ადგილი დახვდა ქვიანი.
— „აცა, ამირან, ნუ მომკლავ,
ნუ გინდა ჩემი ზიანი,
წყალს გაღმა ქალსა გასწავლი,
ამომავალი მზე არი.
წადი და წამოიყვანე,
სახელათ ყამარი არი.“

2. მიამბე, ციხის ნაშალო

მიამბე, ციხის ნაშალო,
შენ რა დრო გამოგივლია.
აგებული ხარ ვისგანა,
ან ვისგან ჩამოშლილია?
შენი კალთა და გვერდები,
რომ სისხლით გადასვრილია,
ხევსურეთს ვინ ინახევდეს,
შენთან ვის ედგა ჭირია?
ერთ სიტყვაი თქვა ციხემა
მეტადაც გასაკვირია:
„ნაგებ ვარ შალვაისაგან,
მედგა რკინისა ძირია,

სისხლისღვრა, შვილდის ჭეხანი,
მე ბევრი გამომივლია.
მტერ მყავდა მე უთვალავი:
მახმად, ვიღაცა გმირია.
მებრძოდა, ვერას მაკლებდა
ზურაბ, ერისთვის შვილია.
გამტეხა შიგნით ღალატმა,
ეხლაც ამისთვის ვსტირია.
ხევსურეთს მაგრა იცავდეს,
შვილდს აჩქამებდეს გმირნია,
დღე-ღამე მყარაულობდეს,
გმირთა იბრძოდეს გალონი,
წინაპართ სისხლის დენისა
წითლად დიოდან წყარონი.
მრავალ დრო გამოიარეს,
დაწნეს თავის წილ კალონი.
მტერ მყავდა დაუთვალავი,
როგორც ვარსკვლავი ცისანი.
ხევსურ ყოფილან ცოტანი,
გვარად არ იყვნენ ცუდანი.
მაშინ არ იყო თოფები,
ჭყიოდნენ შვილდნი რქისანი,
იცავდეს თავის ქვეყანას,
მკვლავნი იბრძოდეს გმირთანი,
სისხლი მინდორზედ დიოდა,
რუნ ივსებოდნენ წყლისანი,
იბერტყებოდეს კალთანი,
ჯაჭვისა ჯავშანისანი.
მშვილდს არ უძლებდა ისარი,
ვადან ცვდებოდნენ ხმლისანი.
თითო ოროლა ნაკრეცი
ფურცხვისა მაკრატლისანი,
ჩამოდიოდეს ნამტვრევნი
ციხისა ჩარდახისანი.
ჩაჩქან ხვდებოდეს თავზედა,
გულ მაგრა იდგეს ქვისანი.

ომის კარს წარბ შეუხვრელის
ვაჟისა ჭაბუკისანი,
ხმა მაღლა სჭექდეს დროშანი,
თავ-თავის ხვთის შვილისანი.
იმ შურის ციხის ქვაზედა
ვითაჯერ წითლის ქვიშანი,
გაივსის აკლამისანი,
მკვდარს არ გასწვდიან მიწანი,
ხან მეაც გავიმარჯვიდი,
ვეღლიტე ლაშქარნი მტრისანი.
აღარსად მოდის ძგერანი
ჯიხო ჭიოხით რქისანი,
ვეფხვო, შენ ნუმც დაბერდები,
იქნეს გლარჯანი ბწკლისანი.
დაბერდა გუდანის ჯვარი,
ხმან შეეცვალნეს ვითარი,
კოპალამ კარატიონმა,
ქოთან რა უყო ქვისანი.
ხელთ ლახტი აღარ აქვისა,
ან კოპობ ნავთის წყლისანი.
რად მაირიედ ილბალი
იმ რუსის ხელმწიფისანი.
მარიგის კარზედ შეხვედით,
თვალნ იხალევით ხვთისანი.
მასთხოვეთ მარიგეს ღმერთსა,
სისხლ ახვეწინით გმირთანი.
აგებ დაგეძრათ ბაგენი,
ხელნ რო აგესხათ ყმისანი.
ჯარებ მიუდის რუსებსა
თქვენის ნარჩევის ყმისანი.
მიდიან ზღვას იქითია,
სრულნი ოც-ოცის წლისანი.
თქვენ მოძმე ბაგრატიონი
ერეკლე ნამეუარია.
სამზეოს აღარ გამოვა,
საყმოს მოავლოს თვალია.

შასწუხდეს რუსის ხელშია.
მაგის ერთგულნი ყმანია.
აღარ იბარებს ხევსურთა,
აივსას მეფის კარია.
აღარ დავ ქალინდაური,
ბეგენგორს მეომარია,
არც ხინჩლა ბაბურაელა,
მაგის მოკლეა ხმალია.
მარტიამ მისურაულმა
დაყარა საომარია,
თორღვა, რომელი ყოფილა-
ეგ ლაშქართ წინამძღვარია,
ბევრჯელ ჩაუძღვა ხევსურთა,
ვით ჯარებს აფიცარია,
ა ეხლანდელსა ვაჟებსა
ისინი სჯობან მკვდარია,
დაიცვეს თავის ძალითა
ეს ხევსურთ მთა და ბარია,
ვითაჯერ ჭარი გატეხეს,
ვითაჯერ ბელაქანია.
ვითაჯერ მითხოს ჩავიდნენ,
არ სწვდების წვიმის ცვარია,
ხევსურეთს გადმოლალიან
მითხოველთ ქარავანია.
ჩვენ, ნამყოფთ რუსის ხელადა,
რად გვინდა ხმალი, ფარია,
არც დიდი გვინდა თოფები,
ომის დროს მოსახმარია.
თავის ვაჟობა ვაჟკაცმა
ვერსად დაცადოს, ბრალია!
ღმერთო, აგვიხსენ ხელები,
რომ ვცადოთ ჩვენი ძალია.
ბატარა ხევსურიშვილი
არს ამის მალექსარია,
მიყვარს წინაპართ ანდერძი,
მემრ იმათ ნაომარია.

3. მეცხვარის ლექსი

თუ მკითხავ, ამბავს გიამბობ,
ამბავსა სიმართლისასა,
გულს დასწოვს ვაჟკაცისასა.
აყრილს ამბობენ ლაშქარსა
ურჯულოს ქისტებისასა;
გროზნისკენ დაბრუნებულან,
ქვას მაამტვრევენ კლდისასა.
ქისტი ქისტს ეუბნებოდა
ცხვრისასა მეცხვარისასა.
მეცნე მიუვა მწყემსებსა,
მზეს ეფიცება ხვთისასა.
ცხვარი აჰყარეთ, მწყემსებო,
წყალს გავსცდეთ ქვენა მთისასა.
გოგამ სთქვა ხარხელაურმა:
ვაი, დედის ჩემის მტრისასა,
მე თუ აქედან გავიქე
ნუმცღა დავლახავ მიწასა.
დაგვეცნენ უდრო უდროთა,
ცხვარ მიდის ფარეხისასა,
გავხედეთ—მააბნელებდა,
ფურცელსა ჰგავდა ტყისასა.
ეგრე ტყვრებოდა თოფები,
ტოტებს ჩამოჰყრის ხისასა.
აცათ, ძაღლებო, ქისტებო,
ხანს რათ არ მაცდით ცდისასა.
არც კი გემოზე მე გაპმევთ
ხორცსა ამ ჩემი ცხვრისასა.
წინ გადაუდგა გოგია,
პირს დაიბრუნებს მგლისასა.
შვიდნი დახოცა ერთბაშად,
ელვასა ჰგავდა ცისასა.
მერე დაგვიკრეს გოგისა,
ვაჟკაცი დასცეს მიწასა.

აქა ჰყავს ბუბუნაური,
მზეს ჰფიცვენ ერთურთისასა.
გიორგიმ ზატორს მოსწია:
ქისტო, შენ დაგდებ ლიშანსა.
ქისტი ქისტს გამოსძახოდა,
სახელს ეტყოდა მუსასა:
— ადე, წავიდეთ, მუსაო,
ვერას გავიგებთ გზისასა.
მუსაი ვეღარ წამოვა,
დაბლა მტვერსა ჰლოკს, ქვიშასა,
ეს რომ გაიგო პირიმზემ,
ტალღას შემოჰბერტყს ზღვისასა.
„სამ სამი დაუხოცნია,
მიმდეგსა იუდისასა.“
გააღო სამოთხის კარი,
ჯვარსა სწერს სამებისასა.
ზაფხული მომიხაროდა,
წასვლა მინდოდა დისასა.
მომიგონებდეთ, სწორებო,
რომ მიხოლთ ერთურთისასა.
საქანზე თავი დასდევით,
ჯვარი დასწერეთ ხიზანსა.

4. ითიურიძე

ჭონთიოს ითიურიძე
შინ ვერ ათენებს ღამესა,
იწროთ დაღბანდავს ხუნჩასა,
გზა შორის გამხანებელსა.
მოკლე-მოკლეთა შაჰბოჭავს
ჭალასა ქვა-ხიდისასა.
საშუალამოდ ესტუმრებ
ჭალასა ანდოტისასა.
ქალ ყელზე ჩამაეხვევა,
დაჰკოცნის ორსაე თვალებსა:

— ქალის იმედო, გარაო,
მარტო რად დახვალ ამ დროსა?
შენ რომ მტერმ ზიან რამ მოგცეს,
ქალ, არ ვიცოცხლებ თავსაო,
წავალი, წყალსა გავყვები,
წყალსა მაგ არდოტისასა.
— გარა მოუკვდეს დარციალს,
თუ მტრისა ჭამოს ჯავრია,
ღამე ბნელი სჯობს სავლელად,
თუ ვაჟკაც გულიანია.

5. შაჰბილს მოვიდა ხოხობა

შატილს მოვიდა ხოხობა,
სახლებ შეიყარ მხარზედა,
შვიდი დაზარდა წიწილებ
ახადელთ მუქარაზედა.
შვიდსავ უყიდა ხირიმებ,
შვიდსავ დაჰკიდა მხარზედა.
შვიდსავ უყიდა ფრანგულებ,
შვიდსავ შეარტყა წელზედა.

ხოხობამ შვილებ გაისტუმრ,
შვიდივ დაარიგ ჭკვაზედა:
—„შვილებო, მიხვალთ საომრად,
ფრთხილად იყავით გზაზედა.
ახადს გოდერძის ციხეო,
გაბია რკინის კარია,
მოგდიან შატილთ ბიჭები,
შვიდნივე გულ მაგარია.

ციხიდან გამოიყვანეს
გოდერძის თამარ ქალია.
სტიროდა გოდერძის თამარ,
ცრემლი სდიოდა ცხარეა,

წამოიყვანეს შატილსა,
მაატირებდნენ გზაზედა:
წინ ვაჟი შეეოეყარათ,
თხის ტყავი ეცვა ტანზედა,
დადგა და კითხვა დაუწყო:
— სიტყვა მითხარით წამზედა,
ეს ქალი საიდან მოგყავთ,
ცრემლი რო მოსდის თვალზედა?
— ეს ქალი მოგვყავს ახადით,
შატილს უნდ დავსვათ ჯარზედა.
მან უთხრა:—ვეღარ წაიყვანთ,
მოყმე სხვა დაგვხდა გზაზედა....

შვიდთ იმათ, მარტო იმანა
ხმალები დაძრეს წამზედა,
მგლებურად წამოურბინა,
თავებ დააშორ ტანზედა,
შვიდსავე დასჭრა თავები,
მკვდრები დააწყო გზაზედა.
აჰყარა იარაღები,
ლერწამს აისხა ტანზედა.

თავის იარაღ ქალს მისცა,
უთხრა:—დავ, გასწი გზაზედა.
ერთმანეთს გამოეთხოვნენ,
ცრემლი სდიოდათ თვალზედა.
— მამას უთხარი, გოდერძის,
მოყმე შემოგვხვდა გზაზედა,
შვიდსავე დასჭრა თავები,
დაყარა შარა გზაზედა.

თავის იარაღ მე მომცა,
ქალმა ავისხი ტანზედა,
იმათი სახსენებელი
მოსპო ამ ქვეყანაზედა.

6. მაღლიათ მოვლენ ღრუბელნი

მაღლიათ მოვლენ ღრუბელნი
გორებზე დაეკიდება.
ჯავრს ნუ მიუშვებ გულზეცა,
გულს ჟანგი მოეკიდება.
ჯავრის მიმყოლსა ვაჟკაცსა,
რა კარგი წაეკიდება?
ჯანი და ღონე წაუვა,
გმირობა გაეყიდება,
ასადგომ ნელად აიწევს,
არგანზე დაეკიდება.

7. გმირები

იკითხავ ჭანთის ტერელო:
პირიქით ვინა კაი ყმა?
ჭანთიოს არის დარცალი
კარები ფოლადისაო.
პეღოში—ზურაბთ გიორგი,
გულ-რკინა ფოლადისაო,
დაქივრთას—მოზაიძეი,
გალავან ალმასისაო.
გირევს—ხოსიკურთ ივანე
დიჩინი დულბანდიანი.
ფარსმაში—ავის ალუდა,
კოშკია სიმაგრიანი.
ჭეშოს—აბალოს დავითი
ხმალია პირი-ფთიანი.
დანოს—სულაკის თათარი,
პურ-წყალი თუშეთისაო.
კვავლოს—თოლიძე გიორგი,
შიშია შორის მტრისაო.
დართლოში—თადიაური
სუ თავი დართლოელთაო.
ჩიღოს—ქაზნიძე მეშველი
ხელმწიფის დროშაიანი.

8. ფშაველებისა და ქისტების ბრძოლა

ნურც გათენდება ტიალი
ორშაბათ საწყინარია,
სამშაბათ გადმაუმტვრევავ
ჩვენი სამშობლოს კარია.
კაცნი მავიდენ ბაჩალში:
„ქისტებ გარეკეს ცხვარია.“
ჯლუგას და აჩოლაურსა,
ნუმცა ჰყოლია ცხვარია,
მაგათი ცხვარისათვინა
დაბრუნდა ცოდვა-ბრალია.
დაერჩევიან ბაჩლითა
ოთხნავ მეომარ ძმანია,
წინ მირბის ნაკვეთაური
ქორ-შავარდენი ჩქარია.
უკან გამოჰყვა ბერიძე,
შვიდი წლის ნაჩობნარია.
მესამე მჭედლურ გამოჰყვა,
გულდინჯი, ომში ცხარია.
ჯაბაური წინ გარბოდა:
— არ ვეპამოთ მტრისა ჯავრია.
საქისტო გორზე ადიან,
აქ უფრო მოკლე სავლია.
შემოხდენ მთაწმინდაზედა,
მთებს შემოავლეს თვალია.
ერთმანეთს ეუბნებიან:
— არ მაუტანავ კვალია?
— აგერ, აგერა, ბიქებო,
ფადლაურაზე ცხვარია.
სანგლებს დაუწეს კეთება
საცა ცუდ გასავალია.
— ნუ უღალატებთ ერთ-ურთსა,
ძმურად უპიროთ მხარია.
ჩავხოცოთ ქისტის შვილები,
მკვდარზე შევყაროთ მკვდარია.

დავბრუნდეთ სახელიანი,
დავაყრევინოთ ცხვარია.
სადილობისას გადმოჩნდა
ჯლუგაის ვაცის რქანია,
მოუქეჩებენ ვაცებსა,
ზარებს გააქვის ჩქამია.
— სად მიხოლ, ვაცო ტიალო,
რად აგერივნეს გზანია?
ესროლა ნაკვეთაურმა,
ქისტ გამოგორდა მკვდარია.
— დედა გიტირე, რჯულ ძაღლო,
ეხლაც გარეკე ცხვარია!
ქისტებმაც სროლა დაუწყეს,
რომ ნახეს თავის მკვდარია.
შუაში შამოგვეყარნეს,
როგორც ფარეხში ცხვარია.
რას ვიზავთ სამი-ოთხ კაცნი,
უთვალავი ჩანს ჯარია,
მთაწმინდას ცხარე ომია,
ტყვია წვიმს, როგორც წყალია.
— გვიშველე, თამარ მეფეო,
დაგვჭირდა შენი ძალია.
არც თუ შენ გხურავს გვირგვინი,
არც ლაშარელი ხმალია.
— ნუ მიწყენთ, დალოცვილებო,
ჩემ სიტყვა-პირის წყალია.
ჩახოცეს ბატკნებივითა,
გაქანდა სისხლის ღვარია.
ხელნ დასჭრეს ნაკეთაურსა,
არ შეარჩინეს ვალია.
ხელნ რაღას სჭრიდი, რჯულ ძაღლო,
რაღას გიზავდათ მკვდარია?!
ეცადნეს ფშავლის შვილები
სანამ დასცალდათ ხანია.

9. ფშაველის და ვეფხვის ბრძოლა

ვაჟკაცმა, პირშიშველამა,
მოვინადირე, დავლახე
ბილიკნი, ჭიოხისანი,
თოფ დავკარ ჯიხვსა ბეხელსა,
ჭალას „ჯახ“ იქმნეს რქისანი.
შემოულამდა მოყმესა,
კარ ვერ გაიხვნა გზისანი.
წინ ვეფხვი შამოეყარა,
თვალები ჰქონდა მრისხანი.
შაიბნენ ვეფხვი და მოყმე,
შაიძრა დედა-მიწანი.
მთელი დღე ისე იბრძოლეს,
დღე დაუბნელდათ მზიანი.
გაზით გახივა კალთანი
ჯაქვისა ჯავშანისანი.
ფარსა იფარებს, ვერ ფარავს,
ნადირ ჩქარია კლდისანი.
მოყმემაც ხელთა იყარნა
ვადანი თავის ხმლისანი.
იმ დროს გაუჭრა ფრანგულმა,
ხან იყო წაქცევისანი.
ვეფხვი კლდეს გადაეკიდა,
გადააწითლა ქვიშანი.
მოყმე კლდის თავსა შემოწვა,
საწყალ, სულ ამომდინარი.
კლდესა შაღებამს სისხლითა
პირთავზე ჩამომდინარი.

დაიარება დედაი
საწყალი თვალ-ცრემლიანი:
„ჩემ შვილს გზას ვეფხვი შაყრია
გაჯავრებული, ტიალი.
არც კი ვეფხვ შახვდა ჯაბანი,
არც ჩემ შვილ იყო ჭკვიანი.

ეხლა კი აღარ გიტირებ,
არა ხარ სატირალია,
სწორშია, ლაშქრობაშია
არ იყო საწუნარია.
ხან იტყვის: „ნეტა უდედოთ
გაზრდა ვინა თქვა შვილისა?
ვინ იცის, ვეფხვის დედაი
იქნება ჩემებრ ტირისა.
ჩავეპარები წყეულსა
სამძიმარ ვუთხრა შვილისა.
ისიც მიაშბობს ამბოვსა,
მეც უთხრა თავის შვილისა,
იმასაც ბრალი ექნება
უწყალოთ დაკოდილისა“.

10. ვაჟკაცი

მტერსა რომ მტრობას უწევდეს
— ვაჟკაცის შესაფერია.
ვისაც მტრის მტრობა აშინებს,
ქვეყნად ის არაფერია.
არც მოუხდება აბჯარი,
არც ომში წასასვლელია,
არც ვაჟკაცებში ხსენდების,
არარად ჩასათვლელია.
უნდა გაზარდოს დედამ
ვაჟი მტრის გამჯავრებელი,
აუგის მთქმელი არ იყოს,
არც ფეხის დამწყნარებელი,
არც აშინებდეს სიკვდილი,
სიცოცხლის გამმწარებელი.

11. ᲓᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲐᲮᲡᲐᲠᲘ

შაიყრებიან დევები,
სადაც დიდ მეიდანია,
ᲒᲐᲐᲠᲘᲒᲔᲑᲔᲜ იმასა,
ერთ-ურთ უᲫᲘᲠᲝᲗ მხარია,
ღვთის შვილთ მოუკლათ კოპალე,
თავში დაუცნეთ ქვანია.
გაიგეს ესა ღვთის შვილთა,
ᲩᲐᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ ᲘᲐᲮᲡᲐᲠᲘᲝᲜ,
ცხრა დევს, რომ დედა ᲰᲧᲝᲚᲘᲧᲝ
ცხრათა გამზრდელი არიო,
ცხრანივ იმაში ᲩᲐᲮᲝᲪᲜᲐ,
თავს დააᲥᲪᲘᲐ ᲑᲐᲜᲘᲝ,
მეათე თავქა გაიᲥᲪᲐ,
თან ᲩᲐᲰᲧᲕᲐ ᲘᲐᲮᲡᲐᲠᲘᲝᲜ,
იმასაც კარგა სცოდნიყვნენ
ᲡᲐᲑᲐᲖᲐᲚᲔᲗᲝᲜ ᲒᲖᲐᲜᲘᲝᲜ,
უძირო ტბაში ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲐ,
თან ᲩᲐᲰᲧᲕᲐ ᲘᲐᲮᲡᲐᲠᲘᲝᲜ.
იზიდნა, ვერ ამოვიდა,
ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲗ ᲒᲐᲔᲑᲜᲔᲡ ᲒᲖᲐᲜᲘᲝᲜ,
იმის ყმათ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲔᲫᲔᲑᲔᲡ,
ოთხრქა, ოთხყურა ცხვარიო,
მოიყვანეს და ᲩᲐᲣᲙᲚᲔᲡ,
ამოვა ᲘᲐᲮᲡᲐᲠᲘᲝᲜ.

12. ᲮᲕᲔᲓᲘᲐ ᲒᲣᲓᲐᲛᲐᲧᲠᲔᲚᲘ

მოდი, ლექსი ვთქვათ, ᲑᲘᲭᲔᲑᲝ,
ᲚᲔᲥᲡᲘ ᲙᲐᲘᲡᲐ ᲧᲛᲘᲡᲐᲝ,
ᲮᲕᲔᲓᲘᲐᲡ ᲒᲣᲓᲐᲛᲐᲧᲠᲔᲚᲡᲐ
ᲔᲠᲗᲘ ᲐᲠᲐ ᲡᲯᲝᲑᲡ ᲪᲓᲘᲗᲐᲝ.
ᲝᲡᲛᲐᲚᲨᲘ ᲗᲐᲗᲐᲠᲡ ᲐᲥᲔᲑᲔᲜ
ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲛᲐᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲡᲐᲝ,

აქებენ მაგის ლურჯასა,
მუხლი აქვს ნიავქრისაო.
ეტყოდა ამხანაგებსა
დავყვეთ ალაზნის პირსაო,
მეცხვარეები მოდიან,
ბარჯი ავიღოთ ცხვრისაო.
ხვედიას შემოეყარნენ
გუდამაყრელის შვილსაო:
— ეგ ცხორი მოგვე, ხვედიავ,
თორე მსხვერპლ გაგხდი ხმლისაო.
ხვედია შემოუბრუნებს
მგელივით ლეგა პირსაო,
დაადვა თოფის ლიშანი
მარჯვენა ძუძუს პირსაო,
ლეგაის თოფი გავარდა,
თათარი დასცა ძირსაო.
„თორმეტი მახკალ, თათარო,
ახლა ხომ მოგხვდა ჭკვისაო!“
მაღლა ღმერთს ეყურებოდა
ტირილი მაგის დისაო,
ჩვენ ყარამანი ვინ მახკლა,
ხელი ვინ კადრა გმირსაო!

13. მიხას სიკვდილი

ამოთქვი, ამოიოხრე,
რა ენას ადგამ კბილსაო!
ფიქრები თავის გულისა,
თავის ძვირფასი ძმისაო.
იმ დროსა ვნახე სიზმარი,
ნაპირ გაიხსნა ცისაო.
შემოსულიყო მტრის ჯარი,
როგორც რომ ფარა ცხვრისაო.
მიხაი გეყავის ჯიელი
ფასია გომეწრისაო.

მალალი, კაი ტანადი,
ხნით ოცდახუთი წლისაო,
საცა გაუელის, გაუჭრის,
იმედი აქვის ხმლისაო,
და უდრის ბატალიონსა,
თუ მტრულათ დაუხვდისაო.
მაგრამა ღმერთმა დასწყეველოს
ტკბილ სიტყვა თავისისაო.
„სალდათში უნდა წახვიდე,
სხვაც მიდის შენის ხნისაო“.
„წავალ“, მიხამაც იფიქრა,
„ნება მექნება გზისაო!
დავბრუნდე შუა გზიდანა,
ჯავრი ვიყარო მტრისაო“.
თოფ აიყარა, დაიწყო
წმინდა ნაბიჯი გზისაო.
გაშინჯა მიდამოები
ტიალი თვალივისაო.
ეგრემც დღე გასთავებია
მამაძაღლ შანიძესაო:
იმან უბრძანა: „შაკონეთ,
მაგას მუხლი აქვს მგლისაო.
ეგ ისე დაგვეკარგება,
როგორც ვარსკვლავი ცისაო“.
მიხას, მაშინვე, უფროსმა
ხელები გაუკვრისაო,
როცა გასცილდნენ თვალივსა—
ხანია სიკვდილისაო,
გიორგი, აქიმის შვილმა,
უწინ თოფ გადიხსნისაო.
წინ-წინ მან დაჰკრა პირშია,
კისერში გავარდისაო,
გადაიწიკის მიხამა,
ისავაც გამაგრდისაო.
მერე ესროლეს ზალპითა,
ქუხილი იყო ცისაო.

მანამ არ დაჰკრეს მეათე,
მოკვლა ვერ უყვეს ცხრითაო,
ჩაფარი გაიძახოდა:
„ღირს იყო სიცოცხლისაო.
გული სდებია რკინისა,
ფილტვები ფოლადისაო.“
რკინის გულ მაშინ გენახათ,
ნება ჰქონოდა ცდისაო,
ხელში სჭეროდა ტურეცკი,
ნამართი თათრებისაო,
ხანჯარი ქისტისეული,
პირი აქვს ალმასისაო:
ვაი, რა ძნელია სიკვდილი
ხელ შეკონილი ყმისაო!

14. გორგიშვილის გმირობა

საწყალსა ჭილურტელებსა
თავს დაეცა ლეკის ჯარი,
ზოგსა მძინარეს მოასწრეს,
ზოგმა დაუკეტა კარი.
ძროხა და ღორი გაწყვიტეს,
რიყესავით ყარეს ცხვარი,
თან წაასხეს ქალი, რძალი.
მუხრანში რომ ჩაიყვანეს,
დაუცალეს ზარბაზნები,
მუხრან ქვეეით გორგიშვილმა
სასიკვდილოთ დასდო თავი,
ლეკს დამბაჩა გამოსტაცა,
სისხლით შაუღება მხარი.

ისტორიული

15. ერეკლე

ერეკლე, ჩვენი ბატონი,
ერთი პატარა კახია,
ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს,
გაჰკრა ხელი და გახია.
რაც უყო ლეკ-ოსმალებსა
ალალია და ახია.

16. ალექსანდრე

მეფის შვილმა ალექსანდრემ
შაიყარა დიდი ჯარი,
დედამიწას უმძიმდება,
ფოთოლს ანძრევს ფეხის ქარი.
მე რომ აქ ომი გადამხდა
მეფე ერეკლეს დროსაო,
ერთ თათარს წამოვეწიე
სახელად ერქვა მუსაო.
მომიბრუნდა და ფიცს მაძლევს:
—„ ნუ მომკლავ, შენი ჭირიმე,
შენ გენაცვალოს მუსაო,
ქართულად მოვინათლები
და მოვიპარსავ წვერსაო,
ღორის ხორცსაც გიახლები,
თავზე დავისხავ წვენსაო,
არაბულ ცხენსა მოგართმევ
ჩუჯსა და ქარშიკებსაო,

ოქროს უნაგირს დაგიდგამ,
სეევადით შეკაზმულსაო,
შეჯეგ და თან წამიყვანე,
შენ გენაცვალოს მუსაო“.
შეეჯექ და წამოვიყვანე,
ქალაქში აცხობს პურსაო.

17. ო მ ა ლ ხ ა ნ ი

წამოვიდა ომალხანი,
ზღვასავით მაიქნევს პირსა,
დამაცაით, ომალხანო,
მე დაგაწვნეინებ ცხრილსა.
შაგიყრი რუსის ჯარებსა,
შვიდ წალიკად ჩამოდისა.
დავაფიცხებ ზარბაზნებსა,
შენკე ვაქნეინებ პირსა.
დიდება და მადლი ღმერთსა,
ომი მოხდა წინა ემისა.
ომიც ეგეთი უნდა,
თოფი ჭეხს და ტყვია წვიმსა.
ჩივის, ტირის ომალხანი,
ცრემლით დაიბანდა პირსა,
— რა ვქენ, რაზე ვუღალატე
ალექსანდრეს, ნეფის შვილსა.

18. კაცი მოღალა ბატონმა

კაცი მოლალა ბატონმა,
ერეკლე იწვევს ყმასაო,
პირი ქნან ფშაველ-ხევსურთა,
აქ თუშნი ძიდგან მზასაო.
ადგეს, წავიდნეს ხევსურნი,
აფორას ლესვენ ხმალსაო.
გავიდეს ნაყავეჩისა,
მაღალს, თუშეთის მთასაო.

თვალთ გადმოსახედს იქერენ,
ლეკ რომელს მოვა გზასაო.
ხუთშაბათ თენებაზედა
ურჯულ გადმოხდა მთასაო,
ფარსმანს დამაგრდით, ციხენო,
ქავს დაგინაყენ კარსაო,
ფშავლთ შვილნი იმედ უდებენ,
თოფის დაგიხვევთ კვამლსაო,
თოფ არ მოსწონდა ობასა,
ხელი აიკრა ხმალსაო,
განათდა ბაწარაული,
ცა, წმინდა, უცემს თვალსაო.
გვერდს ედგა სახლისკაცები,
მშაველა სჭერდა მხარსაო.
შიგ სტანავ ღულელთ შვილები,
ერთ უძახებდა სხვასაო:
„თითოც ჩვენიაც შავსწიროთ
მაგათ მოკლულსა მკედარსაო“.
ნანოს ძეთა ღერენა
ამაამღერებს ხმალსაო,
რომენიც მეეწონების
იმას შესწირავს ძმასაო.
ღულელი თვალაჭაისძე
კარგა უჭერდა მხარსაო.
ბლოელი მოლოდინაი
წამააბედებს თავსაო,
ცხენ თითოს გამოფრინდების,
მხედარ ორ-ორ სჭრის თავსაო.

19. ხმალი ჭრის

ხმალი ჭრის ბაგრატივნისა,
მეფისა ერეკლისაო,
შვილმა აჯობა მამასა
მანამ იცვლიდა კბილსაო,

საკახო გამაამტვრია,
ზვავმა რო წვერი ტყისაო,
შაშინდნენ ჭარელთ შვილებმ
— ჩვენკ რაით იქამს პირსაო
შავა რუსთ ხელმწიფესთანა,
ეტლი თან შახყვა ხვთისაო.

20. შანშე ერისთავი

შანშე ერისთავს აქებენ,
რუსობას უდგას წინაო,
ქსანზე აპირობს წასვლასა,
ლომისას დადგა ბინაო.
ეგ მთიულთ გამოქცეული,
ნაბდით ჩათარეს შინაო.

21. სოლომანის ღექსი

სოლომან ბუტულაშვილი კარგად უვლის თავის ცხენსა:
დილითა და საღამოთი ჯერზედ აჭმევს ლიტრა ქერსა.
თბილი წყლით ძუასა ჰბანდა, გავას გადუსვამდა ხელსა.
მამა მღვდელი ეუბნება: — „რაზე აღუპვინებ ქერსა?!“
— „მინდა საჭმელი ვაჭამო, მტერსა გული მოუკვდესა,
აგები გამომადგება ჩემი გაჭირვების დღესა!“
ადგა სოლომან, წავიდა, დადგა სტამბოლის გზაზედა,
დღე და ღამე გაამწარა, მივიდა ხონთქრის კარზედა.
ხონთქარი შინ არ დაუხვდა, ვეზირი დახვდა კარზედა.
ვეზირმა შაიპატიჟა, დაისვა ხალიჩაზედა,
წმინდის ხმიანდი მიართვა, საღვინე საღვინეზედა:
— „სოლომან, ძრიელ გიქებენ ჯირითის გაგდებაზედა,
ერთი არაბი ჩვენცა გვყავს განთქმული თურქისტანზედა,
თუ შენ იმას ეჯირითო თუშიბს დაგადგმენ თავზედა.“
— „აბა, თუ არ მეშვებიან ცხენი დამიბან კარზედა“.
— „ცხენსა ისეთსა დაგიბამთ, არ იყოს ქვეყანაზედა,

შვიდ მეჯინიბეს ეპიროს ისევ დგებოდეს კალხზედა.
ოქროს უნაგირს დაგიდგამ ალმასი აჯდეს თავზედა.“
ორშაბათ დილა გათენდა, გავიდნენ მოედანზედა.
სოლომან შეჯდა ცხენზედა, გაფრინდა მოედანზედა,
გაატარ-გამოატარა, ხალხი გაჰკვირდა ძალზედა.
მორბის, მოხუის არაბი, გაშავებული ძალზედა,
მოიქნევს თავსა, შავ ხმელსა გაშავებული მკლავზედა.
— „აბა გამექეც, სოლომან, სამი ჯირითის კვრაზედა,“
გაექცა ჩვენი სოლამან, არაბი მიჰყვა კვალზედა,
სამი ესროლა არაბმა, ვერც ერთი—ახლო ტანზედა.
— „აბა გამექეც, არაბო, გაგშინჯო ბიჭობაზედა,
მე ერთის მეტსა არ გესვრი, მასაც ღვთის სამართალზედა“,
გაჰკრა, გაექცა არაბი, სოლომან მიჰყვა კვალზედა,
ერთი შესტყორცნა სოლომან, დაასვა ბეჭის თავზედა.
არაბი ძირს გადმოვარდა, ცხენი გარბოდა განზედა.
„ალაჰ, ალაჰ, გურჯი ყოჩაღ!“ ქისებს იბერტყენ თავზედა.
ხონთქარს კაცი მიუვიდა:—„შენი არაბი მოგიკლეს, გაზრდილი
თურქისტანზედა.“
— „ჩემი არაბის მომკვლელი, ფიცხლავ მომგვარეთ კარზედა“.
აგრე ჰგონია სოლომანს თავსა მომჭრიან ტანზედა,
დაასაჩუქრეს სოლომან, ხალათს აცმევენ ტანზედა,
შესვეს არაბულ ცხენზედა და გაისტუმრეს კარზედა.

22. მე პაზარა დავიბადე

მე პატარა დავიბადე
ამ ბატონიანთ ხელშია,
ხან ხელზე მიმსახურებენ,
ხან გამაგდებენ ტყეშია,
ქერის პურს გადმომიგდებენ:
მოსამსახურის წესია.
დავეხეტები მინდორში,
დავდივარ, ძიან ვკვნესია.
ამისთანა სიცოცხლეზე
სიკვდილი უკეთესია.

23. მოხელე იმისთვის გვინდა

მოხელე იმისთვის გვინდა
სამართალი გაარჩიოს,
არ დაწვას და არ დადაგოს,
ცოდოში არ გაახვიოს,
რომელი კაციც ტყუოდეს
მის კისერზე დააქდიოს,
იქვე შეუკრას ფეხები,
ნაობახტში გააქციოს,
გარს შამოარტყას რუსები,
ბულბულივით გააჩვიოს.
ტრაფი ბევრი დააწეროს,
იმის სახლი დააქციოს.

ყველას უნდა შიში მოგვცეს,
რომ სხვა აღარ დააჩვიოს.
კიდევ გაადახდევინოს,
რომელსაც კი შაამჩნიოს.

24. ცოდვის მქნელნი

სააქაოს ცოდვის მქნელი
ჯერ მჭედელი, მერე მღვდელი,
ფეიქარიც დაიბარეს
დიდი შულოს ამღებელი.
უკან მისდევს მეწისქვილე,
პირში სჩრია სარეკელი.
— „მე რომ პური მოგიტანე,
პური რისთვის მოიპარე?“
— „ბევრი ხომ არ მომიკლია,
ცოტა-ცოტა მოვიპარე“.
ფეიქარი მიიყვანეს,
ყელზე ჩამოჰკიდეს წნელი.
— „მე რომ ნართი მოგაბარე,
შულო რისთვის მოაკელი?“
— „ბევრი ხომ არ მომიპარავს
ერთი შულო მოვაკელი,
შულო შულოს მივუმატე,
გამოვიდა სამოსელი“.

მჭედელი რომ მიიყვანეს
თავში წაუშინეს კვერი.
— „მე რომ რკინა მოგიტანე,
რკინას რისთვის მოაკელი?“
— „ბევრი ხომ არ მიმიკლია —
ცოტა-ცოტა წავაპერი,
რკინა რკინას მივამატე,
გამოვიდა საკვეთელი“,
მღვდელი როცა დაიბარეს,
კუპრით გაუსვარეს წვერი,

— „მე რომ საწირავი მოგეც,
წირვა რისთვის დააკელი?“
— „ბევრი ხომ არ დამიკლია—
ორი სიტყვა დავაკელი.“
სამოთხე მათ არ აღირსეს
ჯოჯოხეთში უკრეს ხელი,
მიიყვანეს, იქ ჩაყარეს
სადაც არის კუპრი ცხელი.
ვინც გაივლის ყველა ამბობს:
„ვაი თქვენი სულის ბრალი!“

25. ველ-კეთილ ამოვიარე

ველ-კეთილ ამოვიარე,
გზა შამხვდა შექანებული,
წინ ქალა შამამეყარა
თავ ბაჭკო მოფარებული.

— ვაჟავ, სად მიხოლ ნეტარა,
შენ აგრე აჩქარებული?!
— შენ ვაჟას რაღას მეძახი,
კაცი ვარ დაბერებული!

თიანეთს უნდა ჩავიდე
პრისტავის დაძახებული.
— შენ ხომ არა ხარ ხევსური
ქურდობა დაბრალებული?

— მე არ გახლავარ, პრისტავო,
ცილი მაქვს დაწამებული,
ქურდებ სხვებია, ბატონო,
სოფელსა მაფარებული.

ბაბუას ბერდენკაი აქვ,
ხელმწიფის ჩაბარებული.
თუ ფშავში წახოლ, პრისტავო,
შენზე ას გაჯავრებული,

ჯერ ხომ თოფს დაგკრავს ხევსური,
ხმალიც აქვ გაფხავებული.
თუ იქ წამოხვალ, პრისტავო,
დღე გაქუ გათავებული.

6. ბლაკიაური ბაბოს ლექსი

ბაბო ვარ ბლაკიაური,
სამძიმო საქმე გავწიე:
მამას თოფი ვკარ თავშია,
რა მწარე ვახშამ ვაქმიე!
კვირიკეს ფლასებ დავპარე,
ბეროს არაყში ვაძლიე,
სულ დაულუპე ცხოვრება,
ქანდარა ჩამოუქციე.
— ჩემთან გადმოვედ, კვირიკე,
ერთი არაყი დალიე,
შენი ფლასების ნავაპრი,
კვირიკავ, შენვე გასმიე.
მგზავრობაც დაგალოცინე,
ჩემდ კაი სიტყვა გათქმიე.
დედა გიტირე, კვირიკე,
თიანეთს ჩამაგათრიე,
გავლიე წარა უგონოთ
სასამართლოებს შაგჩვიე,
შენი ძროხების ნაწველი
სასამართლოში აძლიე,
ვერ გამამტყუნა სუდიამ:
„მოწმებ სადა გყავს?“—ვათქმიე.

27. მოხუცის დარდი

სახლებ ვიყიდე კავკავსა
შუშაბანდით გამართული,
ეხლა ხაზეინი გავხდი,
ცოტას დამისვენდა გული.

კავკავის მცხოვრებელი ვარ,
ალარა ვარ დაკარგული.
ქალალდი რამ მამივიდა,
იყო რალაც დაჯღაბნილი:
ორმოცდაათი თუმანი
გადაიხადე ეგ ფული.
კაცი ოთხმოცი წლისა ვარ,
სიბერისგან დაჩაგრული,
არც კბილები მაბადია,
წინაც მიძევს მჭადის ჰური.

28. გუბეცკის ციხე

ქალაქ შენ თუ ხარ გუბეცკი,
ამტირებელი თვალისა,
უდროოთ დამქვრივებელი,
ბევრს თვალეუეუნა ქალისა.

გამოგეთხაროს კედლები,
კლიტე გაგიტყდეს კარისა.
ყველას გზა ექნას სახლისკენ
ტუსაღსა შესაბრალებსა.

შვილმა, ათწლობით ნაჯდომმა
სახე იხილოს მამისა.
დედასაც შეშრეს ცრემლები,
შესართავისა ღვარისა.

ცოლმა გაშალოს ლოგინი,
ღილი გაიხსნას მკერდისა,
ბალიშის მაგიერადა
მკლავი დაუდვას თავისა.

არც შენ გასტყდები, ციხეო,
არც კლიტე დაგეანგდება,
არც ტუსაღს სატრფო გულისა
ალოდეს გაულაღდება.

29. როსტია ჩობოლაური

ამბობენ გუდამაყარში
ცოდვით არ გაიელებაო,
ზეცას სტირიან ვარსკვლავნი,
ქვეშ დედამიწა სკდებაო.
როსტია ჩობოლაურო,
ნათელი დაგადგებაო.
შენფერი გუდამაყარში
ვერავინ წამოდგებაო.
ესროლეს შენი ბერდანა,
შენ შარად გადაგხდებაო:
რუსების ნაკეთებია,
როგორ მწარედა ტყვრებაო.
დაგიბარებენ დუშეთში,
სადაც სამართალ სწყდებაო:
ათ წელს გეტყვიან ციმბირსა,
შენი დღე ეხლა ჰქრებაო.

30. ჯარში მიმავალი

ვაჰმე, რა ლამაზ ღამეა,
ნეტავ არ გაათენაო.
გათენდა, დილის ვარსკვლავი
გორის პირს დაესვენაო.

ნეტავი სწორებთან ყოფნით
მე გული მომეჯერაო.
ჯარში მგზავნიან, მოვიდა,
ჩემი ბედი და წერაო.

დედა მიმზადებს საგზალსა,
პურსაც დაუწყო ზელაო.
ცრემლებისაგან საწყალმა,
გულ-მკერდი ჩაისველაო.

მამამაც ტირილ დაიწყო,
— ვეღარ მომიხვალ მთელაო.
მშობლების ცრემლებს რომ ვხედავ,
მეც გულმ დამიწყო ძგერაო.

განა მარტოკა მე მივალ,
ხალხ მიდის რამოდენაო.
მალე მამწყინდა ოხერი
ტრიალ მინდვრების ცქერაო,

თოფ-ზარბაზნების გრიალი,
უზომოდ სისხლის დენაო.

სად და როს მომკლავ, ოხერო
ტყვიავ, რომ მოგაქვს სტვენაო,

გასაოხრებო ყუმბარავ,
სად რა რა გადამთელაო.
ფშაველის მომტირალს ვამგზავსე,
ჩემს თავზე ყორნის ფრენაო,
ამომარიდეს გულ-ღვიძლი
მზეზე დაუწყეს ფენაო.

31. სალდათის ლექსი

გაფრინდი, ჩემო წერილო, როგორც მარსკვლავი ცისაო,
უამბე დაბარებული საწყალის სალდათისაო.
გაგვიხდა სანანურადა გაჩენა ჩვენის დღისაო:
გაგვიკრეს გრანიცაზედა, გატეხა გვინდა მტრისაო.
ან იმას ჩვენი რა მართებს, ან ჩვენ რა გვმართებს სხვისაო?
ცოდვა რად უნდა დავიდვათ ერთურთის დედ-მამისაო!
ხომ ვიცით, კაცის სიკვდილი შეცოდებაა ღვთისაო.
მოვიდა ტელეგრამაი რუსეთის ხელმწიფისაო.
შაიბნენ ხელმწიფეები, ნაპირ შეიძრა ზღვისაო,
მოკრიფეს ზაპასნოები, უთუოთ საქმე ჰირსაო!
ცხვირიდან წამოგვადინეს ნაწოვნი დედებისაო.
არ გვაძლევს მოსვენებასა ზრიალი ზარბაზნისაო,
ჩამოდის ყუმბარეები, როგორც რო სეტყვა ცისაო.
გაგვიკრეს ოსპიტალშია, ვისაც ჭრილობა გეჰირსაო!
ტყვია რას უზავს ვაჟკაცსა, ნიკო ბარდანაშვილსაო:
თავს გვადგას ლაშრის გიორგი, ჩვენკენ იბრუნებს პირსაო.
იქნება დავრჩე ცოცხალი, იმედი მაქვის მისაო.
გვწამლობენ სესტრიცეები, თვალიდან ცრემლი სდისაო:
„სადა ხართ დაბადებულნი, სად გექნათ სიკვდილისაო?!“
დედას მიუვა ანბავი შვილისა სიკვდილისაო;
— „ზზემც დააბნელა ჩემთვისა, არ გათენება დღისაო“,
იძახდა სახელდობრივა, ცრემლით იბანდა პირსაო,
„ვაი თუ მაჰკვდი წყურვილით, ან პურის შიმშილითაო,
ვაი თუ ბევრჯერ ინატრე მამწვდელი ცივის წყლისაო“.

32. საღამოს ნათქვამი

ერთ დილას ავსდეგ წაწოლი,
კედლებს მოვავლე თვალია,
გასავალ ვერცადა ენახე,
თავი ძირს ჩამოვხარია.
წაველ, ფანჯრიდან გავხედენ,
სასიამოვნო დარია.
მოწმენდილიყო ღრუბელი,
ჩაბრძანებულა მთვარეა.
კაზარმას ესალმებოდა
მზე ახლად ამამხდარია—
მარტო ეხედავდი, პირქუში
მოდუდუნებდა მტკვარია.
გულიდან ამომდიოდა
ფიქრები რამე მწარია.
მე ვთქვი: სამუდმოდ გავსწირე
სამშობლოს მთა და ბარია.
ამ სიტყვას გადმოგაყოლებ,
ღრუბელო, ფშავის არესა,
ხო ვიცი შაეფინები
ჩვენის გომეწრის მხარესა.

33. ხევსური ომში

გიორგობისა მთვარეა,
დილა გათენდა გრილია.
ტყემ ჩამოყარა ფოთოლი,
მიწამ გაიბა რთვილია.
მთაშიგით ცხვარი აჰყარეს,
შირაქში მიდის—თბილია.
მღერიან მეცხვარეები,
ჰგონავ დღეობის პირია.
ხმა გატყდა ხევსურეთშია
არაგვით ჩამოვლილიო—

შამრავლდნენ არსენალშია
თუშ-ფშაველ, ხევსურთ შვილიო.
მადით მოველი პრიკაზსა
წინად რომ ობოლ კვირია,
მოვიდა ტელეგრამაი
ხელმწიფის დაბეჭდილია.
მამეშველენით, ხევსურნო,
ახლა თქვენ დასთმეთ ძილიო.
მამქადის, მემუქარების
ავსტრი, ოსმალის შვილიო,
მხარს უჭერს გერმანიაი,
ვილგემი, ძაღლის შვილიო.
რას გვემართლების, რჯულძაღლი,
ღმერთმ გააყარო მხარიო,
შენც ბევრი ცოდო აიღე,
მამას მიგიდვნეს ვირიო.
ცოლ-შვილსამც გაგიჩინდება
სისხა და მუცლის ჭირიო,
ერთ კვირაზედა დამარხა
შენი ცოლ-ქალი, შვილიო!
შაგვყარეს მაშინაშია
საფერხე გასაკვირიო.
გავედით სუვალკაზედა
სადაც გრანიცის პირია,
აქ ტყე, გორს რაღა უნდა
მინდორი ტრიამულია.
შავი ღრუბელი მრისხავდა,
მზე წითლათ დაფენილიო.
გათენდა, ვნახე თვალითა
აღმოსავლეთი, ჩრდილიო.
კარგ იყავ, ჩემო სოფელო,
რთველ-გაზაფხულის პირიო,
ზოგთა სათქმელი გამწარდა,
ზოგთა კი ისევ ტკბილიო.
სად რა ხართ, ჩემებრ სწორებო,
სადამ რა გძინავთ ძილიო?

ჩვენ ვსხედვართ აკოპებშია,
მიწა გვაქვს ამოთხრილიო,
მოველით გათენებასა,
ცამა გააღოს კარიო.
უცქირა დურბიდებითა,
მტერს ცეპი შამორტყმულიო,
როტნი კამანდირ გვეტყოდა:
— ვინ ხართ გულგატეხილიო?
— ქალ არვინ გვტანავ,—ვუთხარით,—
ყველას ერთი გვაქვს პირიო.
გვიკამანდრა და გაგვიძღვა,
ვაჰ, აძგერდება გულია.
ტყუპად დავდექით სალდათნი,
საომრად მომზადულნია.
შტიკნი დაელვდნენ მინდორზედ,
თოფს უდგა ძგარა-ძგურია,
ზარბაზნის ელვა-ქუხილმა,
ტყვიამ დაბადა სუნია.
დაგვირთეს პულემეტები,
ტყვიები მოდის დუნია.
ერთ მეც მომარტყეს ძაღლებმა
ტყვია, რუსულად—პულია.
მეგონა, დაშინებულსა,
შუა გამიყვეს გულია.
მაშინ ვთქვი, დაბადების დღე
ჩემი ყოფილა კრულია.
სადაური ვარ, სად ვკვდები,
სადა ვარ დაკარგულია,
არც ვინ გვტანავის ქართველი,
წყალიმც ძალიან მწყურია.
მაილეს ლინეინკები,
ცხენები დაკაზმულია.
შავჯე და ვერ დავისვენე,
წამომერია გულია.
მოვედით ბალნიცაშია
ფარანი გამართულია,

ჩაი დულს სამოვარზედა,
ლოგინი დამზადულია.
ზედ დასახურიც მხათ არის,
თავითი დადებულია,
ჯერ ხინა დამალევინეს,
მემრ ჩაი დაშაქრულია.
თვალებს მამეცა ნათელი,
განხიარულდა გულია.
დავწექ და დამძინებია,
ამომეექცია სულია,
მეორე დილა გათენდა,
გამფიცხებიყო წყრულია,
ნოვიდეს სესტრიცეები,
ჩემი დახვევა ჰგულია.
გამიხვიეს და ვერა ვძლებ,
სისხლი მდის მეტად დუნია.
მელექსეს თუ რაs იკითხავთ,
მოსკოვში გამოთქმულია.
ხელში მიჭირავს კალამი
ქაღალდზედ გარდასრულია,
ხეესურეთისკენ გავგზავნე
ფოშტაზედ გამოკრულია.

34. ათას ცხრაას თოთხმეტ წელში

ათას ცხრაას თოთხმეტ წელში
დაგვიბნელდა მზეო,
საშინელი ომი ატყდა
მთელ ქვეყანაზეო.
ომში ბევრი წაიყვანეს
დედის ერთა ძეო.
სიცოცხლე ბევრმა დატოვა
უცხო მიწაზეო.
იმათი ქამარ-ხანჯლები
დღესაც უქმად ძევსო,
ოჯახქორო ნიკოლოზო,

შე ქოხ დასაქცევო,
ამ ხალხს რატომ არ იბრალებ,
ან სისხლს რად აქცევო.
ერთი დრო შენც დაგადგება,
რომ ჩაგივა მზეო,
შრომელ ხალხის რისხვას მაშინ
სად გსურს გაექცეო!?

35. რუსებისა და თურქების ომი

მზემ დაიხურა პირბადე,
მთვარემ გადიკრა შავია.
ცაზე ატირდა ვარსკვლავი,
დაბლა ჩამოდის ნამია.
ომი აქვს რუსის ხელმწიფეს,
თურქმა შეყარა ჯარია.
მოსწერეს ავსტრიელებსა:
თქვენც ჩვენ მოგვეცით მხარია,
ვეომნეთ რუსის ხელმწიფეს,
დღე დავუყენოთ შავია.
ეს რომ გაიგო მეფემა,
წელზე შეიბა ხმალია,
ადგა, მოკრიფა სალდათი,
ვერ უწევს წვიმის წყალია.
გარეკა გრანიცაზედა,
ყველგან შეუკრა გზანია.
ზარბაზნებს გააქვთ გრიალი,
ინგრევა მთა და ბარია.
თოფი სპექს, ბოლი ამოდის,
ტყვიას გააქვის ჩქამია.
ბევრი დაეცა მებრძოლი
ცხელი ტყვიითა მთვრალია,
იძახის: მომეშველენით,
დამალევინეთ წყალია.
ვინა ჰყავს შამბრალებელი,
გულზე მოუსვას ძმარია.

36. აბესალომ და ეთერი

ზეცას რომ ქრისტეს ყანა დგა-
ბრინჯაო გიდგა ნათელზე,
ზედ ბრუნავს ქარის წისქვილი,
მეპატრონე ჰყავს ეთერი.
— ეთერო, მხარსა შეგიყრამ
მწვანე ქათიბის სახელე,
ადექი, ქალო, გამომყევ,
დავღლილვარ შენის ძებნითა.
— დამშორდი, ელურსამელო,
არა ვარ შენი შემფერი.
შენ დიდი ხარ, დიდებული,
ყველა ქვეყნიდან ქებული;
მე, ობოლი, გლეხის შვილი
ობლობიდან დაჩაგრული,
ვაი თუ ბოლოს მიღალატო,
გამწირო წყალწაღებული!
—ეთერო, შენს მოღალატეს
ხიდი წყალში ჩაუტყდება,
იალბუზისა მინდორსა
დაუღამდეს, იქ დარჩება,
მოწყურებულს წყაროს წყალი
დაწაფებას გაუშრესა,
მტერზე მოქნეული ხმალი
ვადაზედ გადაუტყდესა.
თუ მაგასაც არ მიჯერებ—
მაღლა ღმერთი გაუწყრესა!

ჩვენავ გავმართოთ ქორწილი,
ხალხ დავიბაროთ მრავალი.
მაგათ გამართეს ქორწილი,
მოვიდნენ ბიჭის მაყრები,
პირდაპირ ჩამოჯდ შერეი,
ვულს ჩაუვარდა ეთერი,
მან მისცა სული ეშმაკებს,
მე გამომირთვით ეთერი.
შეულოციან წყეულებ,
რა კი არ შეუძლიანო,
ეთერს ჩაასხა კბენარი
ათასნაირი ფერიო.
რამდენსაც იცვლის სამოსსა,
იმდენი უფრო მრავლდება.
ადგება ელურსამელი,
თავთ მოიხადა გვირგვინი.
— ვის გინდათ ქალი ეთერი,
მზე-დილა ამომავალი!
— შერესა მიეც, ბატონო,
შინაყმა ვარ და მსახური.
შერეი დაქორწილდება
ამ უცხო ქვეყანაშია.
ერთი თვის განმავლობაში
შინ მოვიდოდა შერეი.
— შერევ, შერევ, შენსა მზესა,
შენი ცოლი რა ფერია?
— რასა მკითხავ, ცათა სწორო,
ცოლის ქება აუგია!
ხომ გინახავ ბროლის ციხე,
წვერი ცამდის მაღალია.
შიგა ზის ქალი ეთერი
ბროწეულის ყვავილია!
გვერდთ უსხედან სამი მული,
როგორც ცისა ანგელოზნი,
თავთან უზის დედამთილი,
აბრეშუმის საცერია!

კართან უწევს მამამთილი,
გველეშაპის მყლაპავია!
იქვ უდგენან ცხრანი მაზლნი,
დალესილნი ალმასნია,
მათ შუაში ეთერი ზის
ყელი მოუღერებია.
ყელ-ყური მძიმით სავსე აქვს,
შიგ გიშერიც ურევია!
ლოყა-ვარდა, კბილი-ბროლი,
ბაგე ხახვის ფურცელია,
წარბი წვრილი, შუბლი ბრტყელი,
საფეთქელიც მაღალია.
რაღა ბევრი ქება გითხრა:
ისევდელი ეთერია!
ავად გახდა ელურსამელ
ეთერის სიყვარულითა,
დედ-მამა საქმელს უმზადებს
ათასნაირი ფერია.
შავსა შეხედავს ღვინოსა:
დაგლეკ და გულსა დამიწვავ
ეთერის სიყვარულითა!
თეთრსა შახედა ქალასა,
რა ლამაზი ხარ, ქალაო,
შეგეპამ და გულსამ დამიწვამ
ეთერის ტირილივითა.
— ძმაო, მითხარი რა გტკივა,
რითგან ხარ ავადმყოფიო?
წავალ და იმას აქ მოგგვრი,
წყალსა ჩავყვები მდინარსა.
— წადი, დაო, და უთხარი,
ეთერის ნახე კარიო.
ადგა წავიდა მარიხო,
ეთერის მოსაყვანადა,
სახლს გარე შამოუარა,
დაურაკუნა კარები.
— დაგძინებია, ეთერო,

მთვარეს გიგვანდა სახეო.
— დამშორდი, შუქურ-მარგალო,
რას ფილაზოფობ ენითა.
გან შენ არ იცი რა მიყო,
თქმა რაღად გინდა ჩემითა?
უფლის ნაკურთხი გვირგვინი,
თვითონ უბოძა სხვასაო!
— რა დაგემართა, ეთერო,
გზა გაეცვით სიარულითა,
სამი თვე გზაზე დამელევ,
მარტი, აპრილი, მაისი.
გზაზედ დაგიგებ ხალიჩას--
ფეხ არ გალახო ქვიშაზე,
თავზე დაგადგამ ოქრომკედს,
შუქ არ მოგადგეს მზისაო!

ადგა, წავიდა ეთერი
მოყვარის სანახავადა,
ქიბეზედ ფეხი შემოდგა,
დაიძრა სახლის ყავარი.
— შიგნით შემოდი, ეთერო,
მოკლე გაქ შემოსავალი.
— მე შიგნით არას შემოვალ,
ძმებთ დამაბარა მრავალი.
— ძმაო, მოვიდა ეთერი,
თუღა თვალზე გაქ ნათელი.
— ეთერსა ჩემი ნახვითა
ცხენი უბოძეთ საღარი,
ქვიციც თან გააყოლიეთ,
გავა ბრტყელი და მაღალი.
— ეთერსა ცხენი რად უნდა,
უბოძეთ ქამარ-ხანჯალი,
ავათ რა მოყმე დავკარგე,
ახლად წვერ შემოდინარი!
მოყვარისეულ დანაო,
ჯიბეს მიძევხარ განაო.

ამოვიღებ და დავიცემ,
მარჯვენა ძუძუსთანაო!
ჩვენ სამზეოს მდგომარენი,
სულეთ რომ ცხონდებიანო.
ჩვენ ერთად დახოცილები,
ერთადა დაგვმარხვიანო.
გზის პირას იმარხებიან,
გზის თავად დაგვმარხვიანო.
ჩვენ შუაშ წყარო დიოდის,
შიგ ვერცხლის თასი დვიანო.
ამოვ-ჩამავალ ქარავან,
შენდობას ჩვენზე თქვიანო,
ეს ორნი მდებიარენი
სულეთსამც ცხონდებიანო.
ე მაგათ ორთავ საფლავზე
ზედ ვარდნი ამოდიანო,
გადახვეულან ბურჯღლები
ვითა საყვარლის წესია,
ა მაგ შერესა საფლავზე
ზედ ნარი ამოსულაო.
დილით მოვიდოდ ვირები,
საღამომდისინ ხვრიანო,
მობრუნდებიან, წყალს სმიან,
ბურთებრივ დახდებიანო.

37. ძღიერი სიყვარული

რა ვქნა, ვინც უნდა მიყვარდეს,
ვერ გაგცვლი სხვა და სხვაზედა!
გულზე შენ სახელ მაწერავ,
როგორც საფლავის ქვაზედა;
წინ მიდგა შენი თვალები
რო ვიყო მაღალ მთაზედა,
და თუნდა ვიყო ჭალაზე,
ხელ-პირს ვიბანდე წყალზედა,

მაბერებს შენი სურვილი,
მაჭალარავებს თმაზედა,
რაც გინდა ბევრი მინდოდეს,
ვერ გაგცვლი სხვა და სხვაზედა,
შიშზე, შიმშილზე, სირცხვილზე—
ხელს ვიღებ სუყველაზედა.

38. ჩამოიხოშნეს ვარსკვლავნი

ჩამოიხოშნეს ვარსკვლავნი,
ჩაცვივდეს მირღვეს წყალშია,
შენზედაც წინ-წინ მე ძომკლა,
ჩემსად სატირლად გაევლია.
ეგ შენი ცრემლი კორკოტა,
გულზედაც ჩამომადინა.
აწამცა შენი ტკბილი ხმა,
გულზე ქვად დამედებინა.

39. მიყვარხარ

მიყვარხარ, ჩემო ლამაზო,
შეკრულო ვარდის კონაო,
რომ გავიფიქროთ, ჩვენს შუა
რამდენი მთა და გორაო!
გულით ვინატრი შენს ნახვას,
ტყეში ფოთოლზე ვგორავო,
ნეტავი ნამტირალევსა
შენიმც ხმა გამაგონაო,
შენთან დამიგო ლოგინი,
შენს მკლავზე გამაგორაო.

40. შენ, ჩემო დიდო იმედო

შენ, ჩემო დიდო იმედო,
კოშკო ნაგებო კირითა,
კახეთს მოკრილო ისარო,

ქალაქს ნაღებო ინითა.
წითელო მოვის პერანგო,
შვიდგან შეკრულო ღილითა.
ცავ, წმინდავ ვარსკვლავიანო,
მზევ, დაფენილო დილითა,
უკვდავებისა წყაროო,
ნადენო ოქროს მილითა,
შენთანამც ყოფნით გამაძღო,
შენთანამც წოლა-ძილითა.

41. ყოჩაღი გოგო

გოგომ ფიჩხი ჩააყარა,
თონე ააპრიალაო,
მორჩა საქმეს და დამღერა
ხმები ააწკრიალაო,
რომ შევხედე, შემომხედა,
რეტმა დამატრიალაო.

42. ანბანზე

ანა, ბანა, განა, დონა,
ერთმა ქალმა დამაღონა,
ენა, ვინა, ზენა, თანა,
გულში დარდი ჩამატანა.
ინა, კანა, ლასა, მანა
შემიყვარდა მარტო ანა.
ნარა, ჟანა, რაე, პარა,
ანა უცებ გამეპარა.
სანა, უნა, ფარა, ტარა
ქუჩა-ქუჩა დამატარა.
ქანა, ფარა, შინა, ლანა,
ანამ ძლიერ დამაღონა.
შინა, ჩინა, ძილა, ცინა,
ხალხი ჩემზე გააცინა.

წალა, ჭარა, რაე, ხარა,
ანამ უცებ გამახარა.
ჯანა, ხანა, ჰაე, ჰიე,
მოდი ყელზე მომეხვიე.

43. ქალო, მითხარ

ქალო, მითხარ, გენაცვალე,
ალვის ხეი ტანისაო,
სადაც მიხვალ, უსურვაზო,
შუქი მიგაქვს მთვარისაო.
შენი პირისახის შუქი,
შენი გამოხედვა კუპრი,
შენი თეთრი ბროლის ყელი,
გელოდი, რათ არ მოხველი?!

44 სიცილი ელვას მიგიგავს

სიცილი ელვას მიგიგავს,
როდესაც გაგეცინება,
სილამაზითა მზეს გევხარ,
მიწას რომ მოეფინება.
სად მოიცალა ი ღმერთმა
შენი თვალ-წარბის წერათა,
ან რით შეგამკო ეგეთი,
ან სად დასწერა ხელათა!

45. თვალჭრელო

თვალჭრელო, ყვითელ თმიანო,
გულზე რომ ჩამოგეფინა,
მე რომ გეძებდი გორის-გორ,
შენ ციხის ლიბოს გეძინა,
გაგეხსნა ოქროს საკინძი,
გული ბროლისა გეჩინა.
დილას რომ კარად გამოველ,

მზე მაღლა წამოსულიყო,
ციხისა კარი გამოვხე,
ლამაზად გაძოსულიყო.
ხელები გეღებ ინითა,
ყელ-ყური ოქროს შიმითა.
ბედრიანაი გაძღება,
ლამაზო, შენთან ძილითა,
ღამე ხარ მარაგიანი,
მზე მოფენილი დილისა,
წყარო ხარ უკვდავებისა,
ნადენი ოქროს მილითა.
შენ რომ გაგეკრენ საყელო,
შაგეკრა სამის ღილითა,
სამივ ვხსენ, ერთიც ვერ გავხსენ,
სამივ დაგალეწ კბილითა.
მეორეს დილას შამოგხედ,
არა გეტყობოდ—მიკვირდა!
მთას ჯიხვნი გადმომდგარიყვნენ,
ჯერნები ჩვენდა ხედვათა,
მოდიან, აღარ დგებიან,
თავის ადგილას ხევითა.
ყელ-ყური ოქროს ჯაჭვები,
იმით დავაბათ მაგრათა.
რქა რქაზე გადაუხვიავ,
მდომიარეთა ჰგვანანა.

46. ᲒᲐᲕᲮᲔᲓᲔ

გავხედე და ტარებს ხსნიდა
თვალჟუჟუნა თეთრი ქალი,
— „აქ წამოდი“, დამიძახა,
„შინ არ არის ჩემი ქმარი,
ჭალაშია სათიბათა,
ხელთ უჭირავს ცელის ტარი.

მოვხარშე და გავუგზავნე
უმარილო შავი მხალი.
არა სჭამს და ჭირი ჭამოს,
წინ ჩაუდის შავი წყალი."

47. უკვდავებისა წყარო ხარ

უკვდავებისა წყარო ხარ,
მოსდიხარ ოქროს მილითა,
შენთანამც ყოფნით გამაძღო,
შენთანა წოლა-ძილითა.
შენისამც ნამგლის ყანა მქნა,
რო ფხაზე შეგეკრებოდი.
ვერცხლისამც თასათ მაქცია,
რო ღვინით აგევსებოდი,
დაფერილი მქმნა ოქროთა
შამსმელედი—შაგერგებოდი.
ანა მქნა ვერცხლის სათითე,
რო ხელზე ჩაგედებოდი.
ანა მქნა ვარდი-ყოილი
ცხვირპირზე დაგეყრებოდი.
ან ვიყო მოვის ბერანგი,
რო გულზე დაგა ღნებოდი.
ანა მქნა შენი წაწალი,
გულს ჯავრათ ჩაგეკრებოდი.
ანამც ძმა ვიყო, მოწილე,
ცოცხალს არ გაგეყრებოდი.

## 48. შშაური ნან	ობა

სალომე უნდა ვალექსო,
უნდა ვიუბნო კაფიო,
ფულიან სარტყელ არტყავის
მივა მაღაროსკარშიო.
მდიდრულათ არის მორთული,

კაცს მაუვალის თვალშიო,
ტუნტურაანთას დარჩება,
დაულამდება გზაშიო.
რაღა იმაში დაღამდა,
იმ ერთ წუთია ხანშიო.
გამოეგებნენ ქალ-რძალნი,
კოცნა დაუდგათ ყბაშიო.
შინ წამო, ჩემო სალომე,
ძაანა ცივა კარშიო.
შეიპატიჟეს სტუმარი,
გადასვეს ზემო თავშიო.
სალომეს ქამარ არ ახსოვს,
ფიქრობს რომენთან დავწვეო.
დარრც სჭუჭკამდა მხარშიო:
მიუდეგ, ჩემო ივანე,
სალომეს ქამრის ფასშიო.
მაგას კი ნულარ ატირებ,
ეგ ქამარ, მგონავ, სხვათიო.
ქალს ქამარ აღარად უნდა,
თუ ჭკვა აქვისა თავშიო.
აღარ თუ გახსოვს სალომე,
ერთ ქამარ მოგცემ ხარშიო,
კერაში დასძინებოდა,
მეწყინას შენას ფიქრშიო,
რად არ მოვალის ნეტარა
მალ-მალ გამოვა ქარშიო.
ლაზარეს წააკითხოდე,
ჩაიდეე კალათაშიო.

49. ჩ ო ნ ქ ა ̀ რ ა

ჩონქარაი ვარ ღვერათი,
დავდივარ როგორც კერატი,
წაწალს დავპირდი წუღებსა,
მითამ თავადა ვკერავდი!

50. ძალიან კარგი ყოფილა

ძალიან კარგი ყოფილა
ქარიანშია კაკალი,
ქალთათვამ ამომიტანა,
დუშმანსაც ნუ ჰყავს წაწალი.
ერთი კოდიკი აქავ აქვს,
კაკაბურშია დამრჩალი.
უნდა წავიღო დუშეთში
როცა გავალის გზა-კვალი.
თავისათ საკაბე მინდა,
მარიამისად—თავშალი.
უზიდნავ ალი-კულასა
მუდამ დღე თითო კაკალი,
ხინჯალას ქალი ჯავრობდა:
ვერა ყოფილა გამხძარი.

51. ნეტავი შენა, მთვარეო

ნეტავი შენა, მთვარეო,
რა ბევრს რასამა ჰხედავო,
გავხედე შირაქშიითა,
სათიბთ ყელები ჩნდებაო.
ფშავშიოთ არი ქორწილი,
ტოშიოთ სადა ტყვრებაო!
თამაშობს წითელ კაბაი,
რა კი არ შაუხდებაო,
მარჩება თამაშობასა,
წაწალს წინ გაუძღვებაო.
მივალის სახლის კარზედა,
კარ მოჯრილ დაუხვედებაო,
მოიხვევს ფანჩოს ძველასა,
საბძლისკე აუძღვებაო,
მივალის საბძლის კარზედა
მამალიც აჩქამდებაო.
ჩვენამც ცოდვა გაქვ, მამალო,
წიწაკაძც აგაჩნდებაო!

52. ᲐᲘ ᲛᲗᲐᲡᲐ

ᲐᲘ მთასა თოვლიანსა
ქუდი გადავაფრიალე,
ისე ჩავედი სოფელში,
ძაღლი არ ავახმიანე,
ისე შევაღე კარები—
კარი არ გავაკრიალე,
ისე ჩავწექი ქალთანა,
ტასტი არ გავახმიანე,
ისე გავუხსენ საგულე,
ღილი არ გავაწკრიალე,
ისე ვაკოცე ტუჩებში,
ხმა არც კი გავალებინე.
ავდექი და წამოველი,
წამოსვლა მეზარებოდა,
მივბრუნდი, ისევ ჩავწექი,
ადგომა აღარ მინდოდა.

53. ᲨᲔᲛᲝᲒᲮᲔᲓᲐᲕ ᲚᲔᲠᲬᲐᲛᲡ ᲰᲒᲔᲕᲮᲐᲠ

შემოგხედავ—ლერწამს ჰგეხარ,
ტანი წვრილად აგეყარა,
ცხრა ნაწნავი, გიშრისთმანი,
მხარ-ბეჭებზე გადგეყარა,
ადექ და ჩემკენ წამოდი,
შენი ჭირი შამეყარა.

54. ᲐᲕᲐᲓᲣᲚᲔ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲘ

ავადულე მარგალიტი,
გადმოვიდა გუბე, წყალი,
კალთაშიაც მოგიკვდები,
შენი ხელით მასხა წყალი.
იმას მაინც ვინმე გეტყვის;
„შენთვის მოკვდა ეგ საწყალი“!

55. პირად მზე და პირად მთვარე

წადი, წიგნო, პირად მზესთან,
პირად მთვარემ წაგიკითხოს,
ჩემი გკითხოს, მოახსენე:
ნახვა მინდა, გამიკითხოს.
ამ სოფელში მისით მკვდარსა,
რომ გულხელი დამიკრიფოს,
თუ რომ გულით არ მიყვარდეს,
საიქიოს ღმერთმა მკითხოს.

56. შენ რომ წიგნი მოგეწერნა

შენ რომ წიგნი მოგეწერნა,
ჩემი რათ არ წაიკითხე?
ობოლი ვარ და გლახა ვარ,
ღვთის გულისთვის გამიკითხე,
ეგრე როგორ მომიძ-ულე,
ერთხელ აღარ მომიკითხე?

57. ცალგნით ცანი და ქვეყანა

ცალგნით ცანი და ქვეყანა,
ცალგნით დაგინახე შენა,
ტანში ხარ გამოკანკლული,
პირში გაქვს ბულბულის ენა,
შენისთანა ანგელოზი
სიზმარშიაც მამეჩვენა.

58. ანა ხარ ბროლი

ანა ხარ ბროლი, ან ლალი,
ყირმიზი ჩამონათალი,
ობოლი მარგალიტი ხარ,
ფერსა ვერ გიცვლის ზამთარი.
თუ გძულვარ, თავსა მოვიკლავ,
შემომითვალე მართალი.

59. შემოგხედავ, მზეს გამგზავსებ

შემოგხედავ, მზეს გამგზავსებ,
ინდოეთიდან მოსულსა,
ბროლ-მარგალიტსა უფასოს,
მთვარეს ბადრსა ამოსულსა,
სიცოცხლეს შენ მირჩევნიხარ,
ნუ შეიცვლი ჩემზე გულსა!

60. კიტრი დავთესე ოქროსი

კიტრი დავთესე ოქროსი,
ლობიო—მარგალიტისა,
ქალი მოვიდა ლამაზი,
ხელი გადმოყო ბროლისა,
კიტრი მოკრიფა ოქროსი,
ლობიო მარგალიტისა.

6 . ნ ა ჯ ვ ი რ ა

ნეტავი ვიყო მე ვარდი,
შენ წინა გავიშლებოდე.
პატარა ჩიტათ მაქცია
უბეში ჩაგიჯდებოდე,
შაქრის ყინულად მაქცია
ენაზე დაგადნებოდე,
მასუკან მოვკვდე, რა წამსაც
შენს კეთილს გავიგონებდე.

62. მაღლა მთის მონადირე ხარ

მაღლა მთის მონადირე ხარ,
ბოლო გიხდება ხმლისაო,
ყველასი საყვარელი ხარ,
ბატონისა და ყმისაო.
საყვარლად დაგიტირებდი,
არ მეშინოდეს ქმრისაო.

63. ქალო, ამ ქალაქ ღამესა

ქალო, ამ ქალაქ ღამესა
შენთვინა ვდგევარ ბანზედა.
როდის იქნება გათენდეს,
გამოხვიდოდე კარზედა,
გადაგეხვიო, გაკოცო
მარჯვენა ლოყის თავზედა.

64. აქ მოდი და აქა მნახე

აქ მოდი და აქა მნახე,
თან წამალი მომიტანე,
თუ რომ მოვკვდე, დამიტირე,
ცხარე ცრემლი დამაყარე,
შენი თმისა ნაწნავები
დამწვარ გულზე დამაყარე,
სამარის კარამდის მომყე,
მუქით მიწა მამაყარე.

65. ო ბ ო ლ ი

დედა არა მყავს ობოლსა,
რომ მოვკვდე დამიტიროსა,
არცა მყავს სატრფო გულისა,
მოვიდეს, მომიჩრდილოსა.
ვაი თუ მოვკდე მინდორსა,
შამბია ჩემი სუდარა,
ყვავი მოვა და ყორანი,
განა კაპკაპი მუდამა.

66. გოგოვ, შენი სიყვარული

გოგოვ, შენი სიყვარული
გუნებაში ჩამიგდია,
ჭორი ბევრი გავიგონე,

მაგრამ ყური არ მიგდია.
თუ რომ გულით არ მიყვარდე,
ჩემი რჯული დამიგდია.

67. თუ მკითხავ, ამბოვს გიამბობ

თუ მკითხავ, ამბოვს გიამბობ
ჩემსა და ხინჩლას ძისასა,
შავიყარენით ერთადა
სამძღვარსა მუხრანისასა.
პური მთხოვა და ვაჭამე,
ურჩევდი თავთუხისასა,
ხორცი მთხოვა და ვაჭამე,
ურჩევდი ბატკანისასა.
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ურჩევდი ბადაგისასა,
ცოლი მთხოვა და ვერ მივეცი,
მიმყავდა ცოლის ძმისასა.
არ დაიშალა, აკოცა
ნაწნავსა გიშრის თმისასა.
შაშინდა ქალი, შასტირა:
— „ვა, უიმედო ქმრისასა!“
ხანჯარზე ხელი ავიკარ
ნაჩუქარს ცოლის ძმისასა.
ისევ იმანვე დამასწრო,
ელვას რომ ჰგავდა ცისასა!
ერთი მეც გადავუქნიე,
ვალს არც მე წავე მისასა,
ცხენი და კაცი გავკვეთე,
წვერი უწვდინე მიწასა.

68. საყვარელო

საყვარელო, შენი ქება
უცხო თემში მიამბესო,
გადმოფრენა დავაპირე,
მაგრამ ჯაჭვით მიმაბესო.

რამდენიც წამოვიწიე
ქალთა ლურსმნით დამიკრესო,
არ მაღირსეს შენი ნახვა,
ყველგან მახე დამიგესო,

69. შეგხვდე ჩამოხვიდოდი

შეგხვდე, ჩამოხვიდოდი
ბორელათ ბოსელთანაო,
შამოგხვდ, არ შამომხვდე,
შეყრილი წარბებთანაო.
გაგიცინ, არ გამიცინე,
ცოდომც დაგვყვება თანაო.
ჰყოფილხარ დედის ერთაი,
ცოცხალმაც ნუ მიხვ შინაო.

70. მოგწყინდა, თამარ ქალაო

მოგწყინდა, თამარ ქალაო,
იკვლივ გორანა ტიალი.
გადახველ კევლიანშია,
შენ კაბას გააქვს შრიალი.
წაწლის ნაჩუქარ ფულებსა
ჯიბეში გააქვს ჩხრიალი.
შენებ დაქსოვილ წინდებსა
რამთენგანა აქვს ჯვრიანი.

71. ჭებოსას ჩამოვიარე

ჭებოსას ჩამოვიარე,
სიმღერის იდგა გნიასი,
წამამეგებნეს ქალები:
— სად მიბრძანდები, კნიაზო?
ორთ ქალთა თავი მოვთხოვე,
რუსულად მითხრეს: „ნიატო“.
— შე ჩემი ცოდვა ავსილო,

ჩემდ ძვირო, სხვისად იაფო,
ე ჩემი გამაუდეგი
ყვავთა, ყვარანთამც მიაქო!

72. მამუკას ქალი

სხვაგან კი არ გაიზრდება
ოქრო მამუკას ქალია!
გადმოდგა სათამაშოდა,
დაქროდა როგორც ქარია...
კვიროდენ მუხრანელები:
ვისამ რა გლეხის ქალია?
ნეტავი ეგ კი ჩვენი ქნა,
დაგვდვა ვაჭრისა ვალია..

73. ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲩᲘᲕᲘᲚᲘ

ᲒᲚᲔᲮᲡ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲣᲗᲔᲜᲓᲔᲑᲐ,
ᲐᲜ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲡᲗᲔᲜᲔᲑᲘᲐ?!
ᲠᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲛᲝᲚᲮᲔᲜᲘᲗ
ᲒᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲰᲚᲝᲜᲔᲑᲘᲐ?
ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲫᲘᲚᲨᲘᲪ ᲙᲘ,
ᲑᲔᲩᲐᲕᲡ, ᲐᲠ ᲛᲝᲡᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲐ.
ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲙᲔᲠᲐᲖᲔ
ᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲰᲑᲔᲠᲔᲑᲘᲐ,
ᲐᲠᲪ ᲕᲐᲔᲘ ᲙᲐᲪᲐᲓ ᲰᲥᲪᲔᲕᲘᲐ,
ᲐᲠᲪ ᲥᲐᲚᲘ ᲒᲐᲡᲗᲮᲝᲕᲔᲑᲘᲐ.
ᲞᲣᲠᲘᲗ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲐᲛᲫᲚᲐᲠᲐ,
ᲦᲕᲘᲜᲘᲗ ᲐᲠ ᲖᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲐ.
ᲕᲘᲜᲪ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲡᲕᲐ,
ᲐᲑᲐ, ᲕᲘᲜ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲐ?!

74. ᲛᲝᲙᲕᲓᲐ ᲙᲐᲛᲔᲩᲘ

ᲛᲝᲙᲕᲓᲐ ᲙᲐᲛᲔᲩᲘ ᲑᲔᲮᲘᲐ,
ᲨᲔᲣᲨᲕᲔᲠᲘᲐ ᲤᲔᲮᲘᲐ.
— ᲬᲐᲓᲘ ᲣᲗᲮᲐᲠᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ,
ᲓᲐᲜᲐ ᲒᲐᲘᲠᲩᲝᲡ ᲬᲔᲚᲨᲘᲐ.
ᲛᲔ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲝᲒᲐᲒᲝᲜᲓᲔᲑᲘ,
ᲓᲘᲓᲘ ᲐᲚᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲕᲔᲚᲨᲘᲐ,
ᲨᲔᲒᲔᲑᲐᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲛᲝᲖᲕᲠᲔᲑᲘ,
ᲘᲒᲠᲘᲮᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲬᲔᲚᲨᲘᲐ.
„ᲐᲢᲐ-ᲐᲢᲐᲡ“ ᲘᲫᲐᲮᲝᲓᲔ,
ᲡᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲧᲔᲚᲨᲘᲐ!

75. გორის სანახავად წაველ

გორის სანახავად წაველ,
ხიდისთავს გაველ ფონშია,
ხიდისთაური ყურძენი
დავწურე კალათაშია.
იმითი დამთვრალი კაცი
სამი დღე ვეგდე ლაფშია,
მოვიდა დედინაცვალი,
ჩამიბარტყუნი თავშია:
„რისთვის თვრებოდი, სტყვრებოდი,
რათ ვარდებოდი ლაფშია?“
ამწია, გამომათრია,
დამაგდო დერეფანშია.

76. გადმოვიდა რუსის ჯარი

გადმოვიდა რუსის ჯარი,
თან გადმოჰყვა რაზმის ჯარი,
სულ რუსი და სულ ჩერქეზი,
გაწყობილი რაზმის ჯარი.
კახეთის ბოლოს მოვიდნენ
დიდი ფუტუროს თავშია;
კახელნო, თქვენი ქალები
ლამაზ დართევით ტანშია,
რომელსაც სიძე გინდოდესთ,
ამოარჩიეთ ჯარშია.

77. გაგას ლექსი

გამოვალექსოთ ქებითა გაგა სიჯანაშვილიო,
ხაზეინს ეხვეწებოდა, მოსაგებლებში ვივლიო.
არ დაუშალა შიომა—მანდ კაცი უნდა ფრთხილიო.
გაბრუნდა გალაღებული, გაგამ შაკმაზა ვირიო,

ცხვარი ხუტრისკენ გაშალა, ბალახი-დაქოჩრილიო.
ცხვარმა დაუგო ტყუპები, ისიც თან გაყოლილია,
წამოწვა დალდის პირზედა, წამოიძინა ძილია.
ერთი მგელ წამოეპარა, ი პატრონ გაწყვეტილია.
მოსტაცა ტყუპის ცალაი, წელში ჩაავლო კბილია.
გამოეღვიძა გაგასა, გარბის ტყავდაკოლთვილია,
— რა მიყავ, შე უპატრონო, სულ გამიმწარე ძილია!
ლადუა ამხანაგი ჰყავს, გასცქერს კბილდაკრეჭილია.

78 რაზომ არა სჭამ

— რატომ არა სჭამ „კეთილავ“,
ძროხავ, რა ამბოვი არი?!
— არ შაეჭამ მუხის ნეკერსა,
თუნდა დავირჩო მშიარი!
ხუთ ჯერზე ერთხელ ვერ გვაკმევ,
რა შენი სიცოცხლე არი!?
— თივა ხომ ბარე მეც მინდა,
მაგრამ სად არის ტიალი!
საყორნის ყელში გადაველ,
აჭ ვიცი ტირიფიანი.
ყური დამიგდე, დავითო,
ბახაის ნათქვამი არი,
ზაფხულში მოგაგონდება,
წამოსთიბ ხალისიანი.

79. ს ე ზ ყ ვ ა

უსამართლო ხარ, სეტყვაო,
ბრმასავით დაიარები,
გადმოხველ საქერეშია,
დაბლა დააგე ყანები.
ბევრი მთიული ატირე,
ბევრი მსვეტელი ქალები.

80. ბ ე ჩ ა ვ ი

ახალწელ დილა გათენდა,
მარტოკა ვზივარ ცეცხლთანა,
დედაკაცი მყავს ავათა,
ვტირი, გულს შამომეყარა.
ვიფიქრე, კეცებს მოვხურავ,
სულ ქადებს აცხობს ქვეყანა.
ის ერთი კეცი მომქონდა,
შუაზე გადამეშალა.
ვეღარც ამ ქადას მოვახვევ—
არ მიდის ერთმანეთთანა.
ძალუას გადავუძახე:
— არას მიშველი ნეტარა?
რა ვქნა, თავი დავიღუპე,
კარები გამომეჯარა,
ცოცხლებში სათვლელი არ ვარ,
უნდა ჩამთვალოთ მკვდრებთანა.

81. საწყალ გლეხ-კაცის შვილი

საწყალ გლეხ-კაცის შვილი ვარ,
ობლობით დაჩაგრულიო,
ტანისამოსი ძველ მაცვა,
ქალმები დაგლეჯილიო.
ღმერთ, იმთვენ შამაძლებინე,
თოფს მტრისკენ ვუყო პირიო.

82. მოშორდა შავი ღრუბელი

მოშორდა შავი ღრუბელი
კავკასიონის მთის წვერსა.
გაზაფხულდება, თანდათან
ფერი ეცვლება ხმელეთსა.
სიხარულისგან ხმა გააქვს

მთის ნაკადულსა, ხევებსა,
მათთან ერთადა ფრინველთაც:
ენები აამღერესა.
ყვავილნი ათასნაირნი
ჰფარვენ მიდამოს ველებსა.
გათენდა ყველასათვინა,
ჩვენდ-კი რა გაათენებსა!
დავჯდები დაღონებული,
გულზედ დავიკრეფ ხელებსა,
შემომესევა დარდები,
ჩქამი მააქვის ცრემლებსა...
დავწვები დაღონებული,
სიზმრებსა ვსინჯავ ძნელებსა,
წამიღებს საგონებელი,
გამაცივ-გამაცხელებსა.
ვიტყვი, ჩვენ ფერა ბეჩავი
როდისღა დაისვენებსა?
ან როდის გადაიშორებს
დარდებსა გულის მწველებსა!
მომწყინდა ასეთი ყოფნა,
ვემდური წერა-მწერელსა.

83. ოხერო წუთისოფელო

ოხერო წუთისოფელო,
ზარავანდიანით მწარეო,
სად გადაჰკარგავ ვაჟკაცსა,
საით სადამდე ავლეო!
ვაიმე, რა ძნელი ყოფილხარ,
ოხერ სხადასხვის მხარეო,
სხვა მხარეს ქართველ შვილებსა
გვტანჯავენ დღე და ღამეო.
ბევრ ლომის მსგავსი მოგვიკლეს,
ღმერთო, შენ ჩაიბარეო.
დაგვაკლდა ქართველთ შვილები,
ჩვენ დავრჩით მგლოვიარეო.

ბევრი ვართ დალონებული,
თვალებს გაბარნებთ მთვარეო,
ან იქით ამბავ წაიღე,
ან აქით მოგვიტანეო,
რას შვრება ჩვენი ცოლ-შვილი,
რას ფიქრობს დღე და ღამეო?
ღმერთო, აკმარე მათაცა,
რაც ცრემლი ღვარეს მწარეო.
და ჩვენ ვინღაცღა დამრჩალვართ,
ღმერთო, შენ მოგვეხმარეო!
დაგვიხსენ სიკვდილისაგან,
შინ ცოცხლად წაგვიყვანეო,
გვაჩვენე ჩვენი სამშობლო
და იქ დღე გაგვითავეო,
თქვენც ახალ ამბავ გვაცნობეთ
პეტრემ ეს დაგიბარეო.

84. თ ვ ე ე ბ ზ ე

იანვარი რომ დადგება
უნდა გქონდეს ბევრი ბრტყელი,
ბზე და თივა შევაჭამე
ჩალას ავუქავრე ხელი.
თებერვალი მოწუწუნებს,
როგორც დამშეული მგელი,
ისიც ისე გავატარე:
ვერა ქნა-რა ვერაფერი.
როცა რომ მარტი დადგება,
გადმოაგდო საგდებელი,
როგორც ჩვენმა პატარძლებმა
დღეში ხუთჯერ ისვა ფერი:
ხან თოვლის ბური ტრიალებს,
ხან მზე გამოჩნდება ცხელი.
აპრილმა შამოუთვალა:
— მარტო, ნუ ხარ ჭკუა თხელი,

შენ შენი გაგკვირებია,
ახლა ნახე ზოგი ჩემი,
უნდა გავიდე მინდვრადა,
არ გაუშვა ქურა ცხენი.
ახლა მაისი დადგება,
ბიქო, შავაბათ გუთნები,
პური ვხნათ და ქერი ბევრი.
კაცი მზეს რომ დაუწვება
მაშინ გაუთბება წელი.
ახლა თიბათვე დადგება,
მინდორს დაედება ფერი.
ვაჟკაცებსა დამიძახეთ,
ცელებს წამოავლონ ხელი,
წავიდნენ, თივა დათიბონ,
მწვანე არის, ლალისფერი.
ახლა მკათათვე დადგება,
ყანამ მოიღერა ყელი,
შემიტყობინეთ ბიქებსა,
ნამგლებს წამოაელონ ხელი,
ურემს უღელი დააკრან,
შიგ შააბან კამეჩები,
ძნა კალოზე მოიტანონ,
ყანა იყოს, თუნდა ქერი.
მარიამობის თვე დადგა,
ამას მოსდევს სიცხე ძნელი,
მუშასაც დაეძინება,
ყველას ეშლება იერი.
ცოება მაშინ გაჩნდება,
ცხელება მოჰყვება ძნელი.
ენკენისთვე რომ დადგება,
ამას მოსდევს ხილი ბევრი,
ქალები ბაღში მიდიან,
ხელთ უპირავთ კალათები,
ბევრი ხილი შავინახოთ,
მოვიგონოთ ჩვენი მკვდრები.
ღვინობისთვე რომ დადგება,

ვენახში გაჩნდება რთველი,
დამიძახეთ ვაჟკაცებსა,
მოამზადონ საწნახელი,
ქვევრებს მოუღეროთ ყელი.
იწურება ყურძნის წვენი,
სავსე და სავსე დავლიოთ,
ბევრი არის, ბევრის ბევრი.
გიორგობისთვე დადგება,
ამას მოსდევს ქორწილები.
ქრისტიშობისთვე დადგება,
თოვლი მოგვივიდა ბევრი,
ტყე სულ თოვლით დაიბარდნა,
დღე მოკლე და ღამე გრძელი,
საქმე აღარა კეთდება,
ქორწილებსღა მიჰყვეს ხელი.

85. ფშავლების კამათი

I

— მოდი შირაქში წავიდეთ:
იქ გვიბარებენ შვილები.

II

— აბა შირაქაში რა გვინდა,
აქაც ბევრ მოდის სვილები!

I

— მოდის და რასით მოიტან,
უნდა დაკაზმო ვირები.

II

— მათ ენაცვალოს პატრონი
დააქვის თეთრი ცხვირები.
აღმართში დარატრატდება,
ქვემოთ მე დაეეხირები.

I

— იქ ყველას ურმით მოიტან!
რა გაქვის გასაპირები!

II

— ურემს მაუკვდა ამშენი
დამწვეტებელი ჩხირები.
გადაბრუნდება ლაფშია,
დადექ და კრიპე კბილები,
იმას ვერ ამოათრევენ,
თუნდა დახვიო გმირები.

I

— თითონვე გამოიტანენ
შავი კამეჩის შვილები.

II

— კამეჩს მოუკვდეს პატრონი,
იმათ თუ ვეღუპვინები:
არ ეყოთ სადილ-ვახშმათა
ფშავ-ხევსურეთის თივები.

86. ხინჯალაის ცოლი

საწყალი ხინჯალაის ცოლს
ლიმაზ მაუკვდა ცხენიო,
ჩამაეთარა ხევშია,
ყელზე ჩაება წნელიო,
ტიროდა ხინჯალას ცოლი:
— საქონლის ზარალ ძნელიო,
სხვები კი ეუბნებოდნენ:
— ნიჩავო, არაფერიო.

87. ბოლიოური მუშვას ლექსი

ჩიოდა მუშტად ჭრელაი,
— დიმიკოხტავდნენ შვილები:
თითოს იორლა ცხენები,
ოთხი თვის დაჭედილები,
ლასტიკის ახალუხები
ზედაც მასკოვის ღილები.
აბრაშუმ ნაყარ ჩოხები,
დადიან გადრეცილები,
პატარა ნაბდის ქუდები
გვერდზე აქვთ დახურულები.
მაღაროსა ვფქვავ წისქვილში,
ზურგით ამამაქვს ფქვილები,
გამოსაცვლელიც არა მაქვს,
ამდის ჩამამდის ტილები.
რძლებიც ყურს აღარ მიგდებენ
ეგ მამაძაღლის შვილები.

88. ფშავლის ქალის ჭირილი

ფშავლისა ქალი ტიროდა
ქართლისა შუა მთასაო:
— ჩემიმცა დღენიმც ადგანენ
ვინც ქალი ენდოს ქმარსაო,
ცრუსა და ამპარტავანსა,
წვერ უხვეველსა ყმასაო,
მიყოლა, გადამიყოლა,
გამწირა შუა გზასაო.

89. ვაჰ, დედაშენს, ჩემო თაო

ვაჰ, დედაშენს, ჩემო თაო,
მოგივიდა რა დრუება,
ლახატაზე გადავიდა
არტნის საზოგადოება.

ჯალაფნ დამითავსწვერავდნენ,
დავსწვი მაგათ აფუება!
ერთ ქალ უკანა ფშავს გარბს,
არა მკითხა გათხუება,
მე ლიშანიც დავიპირე,
ჯალაფთ იმას ვატყუება,
ქალის მამამ ვერ გაიგო,
ქალი ბალღსაც აწუვებდა!

90. რძალ-დედამთილი

ზემო ქართლიდან წამოველ
ჩამოვყე ქარის ქროლასა,
ღმერთმა ნულარსად შემასწროს
რძალ-დედამთილის ბრძოლასა.
რძალმა აჯობა დედამთილს,
თავი უხალა კერასა,
უმცროსი მაზლი ჰკითხავდა:
— რძალო, რა სტკივა დედასა?
— არაფერი, ჩემო მაზლო,
ციება დააწყებინა,
თავი დაუწყებს ბრეცასა.
ცარიელა პურს არა სჭამს,
მე სად უშოვნი წველასა.
იმითი გაჯავრებულმა,
შემოვაწყვიტე კერასა.
ესეთი ქალი გახლავართ,
გეყურებოდე ^ყველასა!

91. დედის ამაგი

ვინა სთქვა: წილი არ უძევს,
რომ დედა დაზრდის შვილებსა,
ცხრა თვესა მუცლით ატარებს,
მეათეს მოუხშირებსა.
კრულ იყოს მისი სახელი
ვინც დედა შაიგინოსა.

92. პირგი რძალი

დედამთილი ენაცვალოს
რძალს, დილითა რომ ადგება,
ძროხებს დასწველავს ადრიან,
სანამ ნახირი დადგება,
ჯამ-ჭურჭელსაც დაალაგებს,
თაროს ნათელი ადგება.

93. ძმა რომ ძმას არ გაეყრება

ძმა რომ ძმას არ გაეყრება:
ძმა ძმისა საყვარელია,
სახლში რძალი შაიყვანეს
ყბედი და ავის მთქმელია.
მალ-მალ ქმარს ეტუტუნება:
„ეგ ძმა ხომ შენი მტერია“.

94. იქით მთასა და აქეთ მთას

იქით მთასა და აქეთ მთას
ხელსა მოვაელებ — ქარს ვუზავ,
სამოცსა ლიტრა რკინასა
კბილ ქვეშ ჩავიდებ, კნაწს ვუზავ,
თავსა გასულსა დიაცსა
დაეხსენ,— ვეღარას უზავ!

95. ავი პაპარძალი

ავი პატარძლის ყოლასა
სახადი სჯობს სახლშიაო:
ჯამ-ჭურჭელი გადეყარა
წუნწუხსა და ლაფშიაო,
საჯერო წამოქცეულა,
ციცხვი იცემს თავშიაო.
კოვზებს ფერხისა უბიათ
გარეთ დერეფანშიაო.

96. აბეზარი კაცი

წავა-წამოვა ღრუბელი,
ცის კიდეს მოეკიდება,
კაცი—რომ ამპარტავანი
სილაღეს მოეკიდება,
დედასა სცემს და მამასა,
ცოლს ავად მოეკიდება,
მთვრალი არის თუ ფხიზელი,
ფიცხლავ კაცს წაეკიდება,

97. საწყალო, შენმა სიდედრმა

საწყალო, შენმა სიდედრმა,
ქალი შენ მოგცა ყვითელი.
არც არა ქალსა აქებენ,
არც არა მოჰყვა მზითები,
ერთი საბანი გამოჰყვა,
იმასაც აკლდა მითელი.

98. როგორი პაჭარძალი უნდა

ზოგიერთი პატარძალი
წამოწვება ძელივითა,
ენასაც არ დააყენებს
მაწყინარი გველივითა,
იმას იფნის სახრე უნდა,
იხრებოდეს წნელივითა.
სახლში პატარძალი უნდა
ირხეოდეს ვერხვივითა,
დედამთილსა ემსახუროს,
მამამთილსა—ღმერთივითა.
იმას ისე შეინახვენ,
ვით უმანკო მტრედივითა.

99. ქალო, რისთვის გიხარიან

ქალო, რისთვის გიხარიან
კარგი ყმისა ცოლობაი,
კარგი ყმისა ცოლობასა
კარგი უნდა ქალობაი!
შინა სახლსა რიგი უნდა,
კარე-კურსა შვენებაი,
სტუმარსა კარგა დახვედრა,
კარგი გულის ჩვენებაი.

100. ერთი ენია ვითხოვე

ერთი ენია ვითხოვე,
ბრიყვი რამ გაუზრდელია,
სამი სარტყელი უყიდე,
მეოთხე ჭიაფერია.
ერთმანეთს გადავაკვლანძე,
კიდევ ვერ შემოწვდენია,
ენიას მოყვანაშია
ცხრა ცხენს მომაწყდა წელია.
ახლა ურემი წავიღე,
ფერსო გახეხა სქელია.
ცხრა ძმის ცოლი გამილახა,
მეათე—დედაჩემია.
მამაჩემი დაიჭირა
შალმა აგლიჯა წვერია.
ახლა მე მემუქრებოდა:
შენ დარჩი დასაზელია.
აკოშკიდანა გადმოვხტი,
ვერ გადმოვტიე წელია.
ცოტა ახლო რო მოვიდა,
ფეხში დამტაცა ხელია,
ერთი ისეთი წამაწნა,
წელზე ამვარდა მტვერია,

ამისგან შეშინებულსა
დღესაც არ მაძევს ფერია.
ენიასა მაჟანკალსა
გაუხმეს ენის წვერია.

101. ცოლი თუ წაწალი

ცოლი სჯობის თუ წაწალი,
ჯაბანო, შენა გკითხაო.
— ცოლი სჯობია წაწალსა,
წაწალ ფეხებზე მკიდაო,
წაწალს სჭირდება ფერობა,
ცოლს კი არასა ვკითხაო.

102. ღობილის სიკვდილი

წამოვე შირაქიითა
ლურჯაი მყავდა ჩქარია,
ნადობის სახლთავს გადმოვჩნდი,
კარებზე დამრჩა თვალია.
ნადედობ გამომეგება:
— როგორ გავიდა ცხვარია?
— ცხვარი კი კარგად გავიდა,
ჩემ ნადობ როგორ არია?
— შენ ნადობ შავეთს გავგზავნეთ>
მეორე კვირაც არია!
— ეგემც არ გეთქვა, ბებერო,
ის გეთქვა „სხვაგან არია“,
გულზე დამეცას ხანჯალი,
ტყვიამ დამიფქვას ძვალია,
ანამც დამლევდეს არაგვი,
ადიდებული წყალია.
მართლა ვთქვა, ჩემი სიცოცხლ
ამ ქვეყნად ცოდვა-ბრალია.

103. სიკვდილის პირას

ვაი, შე წუთისოფელო,
შავად მორთულო ღილითა,
რად მეჩვენება ლურჯადა —
სახლი ნალესი კირითა?

უთუოდ ვკვდები ჯიელი,
მიწავ, გექცევი ძირითა,
დასუქდენ მიწის ჭიანი
ჩემის ხორცით და ტვინითა.

104. აცა, მოიცა, მიწაო

აცა, მოიცა, მიწაო,
ჯერ მე არ ჩაგებარები,
არ მემეტება შენთვინა
ეს ჩემი ნორჩი ძვალები,
ხორცით გავსილი გულ-მკერდი
და უმიზეზავ თვალები.
რაღა თქმა უნდა, ჩემს სიკვდილს
დაინანებენ ქალები,
უკაცისხელოდ, ციხეო,
დაგეკეტება კარები.

105. ფასანაურის შვილი

მშვიდობით, ფასანაურო,
ლუხუბის არე-მარეო,
ლუხუბის მთების მეფეო,
ფასანაურის მხარეო.
შორს გადავარდნილ ტუსაღსა,
მოდით, მომხედეთ მალეო!
ისევე თქვენი შვილი ვარ,
ისევ თქვენ ჩამიბარეთო,
ისევ გამილეთ კარები,
როგორც რომ დამიჯარეთო.

106. ბბათანას ჩამონგრევა

ტბათანას მოსქდა ცალ გვერდი,
ზოვად დაქანდა ქვიშაო,
თან წამოიღო ცხვარ-მწყემსნი,
იმ თავის საქონლითაო.

თან წამოიღო ვირები,
მზიდავი ბარგებისაო,
თან წამოიღო ძაღლები,
გამბრუნებელნი მგლისაო.
ერთი არ დარჩა საწყლებსა,
თორმეტი ფარა ცხვრისაო.
ტბათანას ჩაყრილ ცხვარ მწყემსნი
ბახტრიონს გამორიყაო,
არ დაილევა ცოდვითა
წყალი შენ ალაზნისაო.
დედებს უხარის, შვილები
მოგვივლენ შირაქითაო.
რა იცან იმათ დედებმა,
დაუტუსაღებს მიწაო.

107. ყორნების ზნე

რა ცუდი ზნე გქირთ, ყორნებო,
თეთრს არ ჩაიცვამთ ტანზედა,
ტირილის სამაგიეროთ
ყეფა რათ იცით მკვდარზედა!
ვაჟკაცს გულს ამააგლეჯავთ,
ჩამაარიგებთ ჯარზედა,
დასხდებით, ჭამას დაუწყებთ,
ცრემლ არ მოგივათ თვალზედა!

108. შინში მაჩვენეს თვალითა

შინში მაჩვენეს თვალითა,
წყლულებს უხვევდნენ ბეჩავსა.
რო მნახა, წამოიწია,
ამბავი მკითხა მე დასა.
შენც აქ მოხვეა, ბაბალე,
მენა ეჯავრობდი ჩემს თავსა,
— გაჩნდა ტიალა შავქირი,

ელაღებოდა ბევრ სხვასა,
ბევრებთ ბალღები წაართვა,
აწიოკებდა ბეჩავთა.

109. წუთისოფელი

წუთისოფელი რა არის?
აგორებული ქვა არი,
რა წამს კი დავიბადებით,
იქვე საფლავი მზა არი.
დაგვეხუჭება თვალები,
ზედ დაგვაკრავენ ფიცარსა;
წაგვიღებენ, ჩაგვაგდებენ,
ზედ მოგვაყრიან მიწასა.

110. წუთისოფელმა დღე ჩემი

წუთისოფელმა დღე ჩემი
სიმწარე დამალევინა,
არც მამკლა, არც მამარჩინა,
არც სული დამალევინა.
დედამ გამზარდა საწყალმა,
ძუძუ მაწოვა სასალა.
უბედური დავიბადე,
ჩემი აკვანიც დამწვარა.

111. დავეხსნათ ჭორის კრებასა

დავეხსნათ ჭორის კრებასა,
ძრახვასა მეზობლისასა,
ჩვენც ისე დავიხოცებით,
როგორცა ვხედავთ სხვისასა.
ციე საფლავში ჩაგვაგდებენ,
ზედ დაგვაყრიან მიწასა.

112. რად გინდა

რად გინდა თეთრი ქაღალდი,
შავი კალამით წერაცა,
ყველანი დავიხოცებით,
ვაი, ჩვენს ბედისწერასა.

113. ადამიანის ქონება

ათასი თუმნის პატრონი,
ორი ათასის ქონება,
მივიდეთ ვნახოთ ცხედარი,
ნეტა რა მიექონება?!
სამი ადლი ტილო მიაქვს,
ის არის მისი ქონება!

114. სიკვდილის ზნე

ნეტავ რა ზნე სჭირს სიკვდილსა,
ვერ მიხვდა ჩემი გონება!
შიგ ამოარჩევს ვაჟკაცსა,
რომელიც მოეწონება.

115. სოფელს რა მხარეს უნახე

სოფელს რა მხარეც უნახე,
სუყველა მხარე ჭრელია,
ძმაცა ვსცან და ძმობილიცა,
დუშმანო მიწის მთხრელია.
სადაც მოკეთე მეგონა,
სულ ყველა ჩემი მტერია.
ეს ამისთანა სიცოცხლე
ვაჰ, რაღა სანატრელია?!

116. ფმავლის ჯორი

მამა-შვილ გავიყარენით
ვერხოტის მოედანზედა,
ერთ ჯორ მარგუნა მამამა,
მაგის მეტ აღარ შაგხვდება.
დაგლოცოს, ჯორო, გამჩენმა,
უნდა დაგიწყო შაქება.
ჯაქვი მურაზით მართულო
ქორაკ გიხდება თავზედა.
ვერცხლისა ნაშროს მაგივრათ
თეთრი გარსაკრი ტანზედა,
ერთ მუქა თივას მიუტან—
იმავე წუთში გაძღება.
ჯორო, ლამაზად გიხდება
წნელები უზანგაზედა,
იცის ვირული იორღა,
როცა შადგება გზაზედა.
მე რომ იმ ჯორზე შავჯდები,
თავზე ქუდ აღარ მადგება.
მცხეთით ვაჯიბრე მაშინას,
ვარბოლეთ მოედანზედა,
ჩემ ჯორმ აჯობა მაშინას,
ქალაქში გაჩნდა წამზედა;
კვირობდნენ ქალაქელები,
ბიჭო, საიდან მოხველი,
სადაურ კმაზულობაა?
ძალზე უნდოდათ გაგება.

ერთ მენახშირე მევაჭრა,
არ ვიცი როგორ გაბედა.
რას ამბობ მენახშირეო,
შენ თვალებ ხომ არ აგება?
ხომ ხედავ ფარჩა მიკიდავ,
ფშავის ხევს მინდა წაღება!
ჩემი ჯორი თვალ მძივია,
ფულზე არ დაიფასება.
თოფი აქვს კუდის ძირასა,
არცათ არ დაეკარგება.
არ უნდა რჩევა პატრონას,
ყველა ჯურისა ადგება,
კუდით აუწევს პრიცელსა,
პულიმეტივით დატყვრება,
გაუხმობს ფშაეის კლდეებსა,
ერთმანეთს შამოეხლება.

117. თაგვების ხელმწიფე

თაგვებმ დასვიან ხელმწიფე,
სახელად კეისარია.
წავიდნენ ცოლი მოჰგვარეს,
მზეთუნახავი ქალია,
შვიდი დღე-ღამ ქნეს ქორწილი,
იწვიეს მთა და ბარია.
თორმეტი დაკლეს ფურბერწი,
სხვა უთვალავი ცხვარია.
იმდენი ღვინო დახარჯეს,
რამდენიც ალაზანია.
გზაზე გამოჩნდნენ ნაწვევნი,
გადმოაბნელეს მთანია.
ციცის დაჭერას ფიქრობენ,
მძიმე შეჰყარეს ჯარია.
ციცას მიუხდნენ კარზედა
კვირა-შაფათის ძალია.
ციცა ციხეში შეევარდა

წელთით დაკეტა კარია.
— „ციცავ, ციხეში რად შეხველ,
თუ გულ არ გიძევ მხდალია!“
ორშაფათ დილა გათენდა,
ციცამ გალესა ხმალია,
ყელს ლარი გადაიკიდა,
ბროლის ნაჭედი ფარია.
გამოერია თაგვებში,
დადგა ცოდო და ბრალია.
გაწყვიტა დიაც-ყმაწვილი
ცამდინ ააგო მკვდარია.
თაგვებს მოუკლა ხელმწიფე,
გააგდებინა თავია.

118. ქსნის ხევის სოფლები

მე მუხრანელი არა ვარ,
კომბალი მედოს მხარზედა,
ერთი პური გამომეკრას,
მოგადგე სახლის კარზედა.
მე დამპალელი არა ვარ,
ღიპი გამეშვას განზედა.
ქსოვრელი კაციც არა ვარ,
კოკა მეკიდოს მხარზედა,
ოკმელი კაცი მგელსა ჰგავს,
თეზელი კაცი ტურასა,
ლამისყანელი ბიჭები
არაკრაკებენ კულასა.
ლამისყანელი არა ვარ,
ვიცქირებოდე მკლავზედა,
ბიჭებსა ხელი გავავლო,
გადავატარო მხარზედა.
მე ხომ ოძელი არა ვარ
ქვიშა მეყაროს ბანზედა,
ახმეჯელიც ხომ არა ვარ,
გუდა მეკიდოს წელზედა.

ბოლელი კაცი არა ვარ,
ვიჯდე მედუქნის კარზედა.
ახალგორელი არა ვარ,
კერკი მეფინოს ბანზედა,
საცა ვინმე დავინახო,
ვიძალებოდე ძალზედა.
იკოთელიც ხომ არა ვარ,
ქუდი ვაწვალო თავზედა,
ყანჩაელიც ხომ არა ვარ,
ნესვი მეხაროს კარზედა.
მე ხომ წირქვლელი არა ვარ,
ტირიფი მედგას კარზედა.
ალეველიც ხომ არა ვარ,
ნიჩაბი მედოს მხარზედა.
საძეგურელი არა ვარ,
თევზებს ვიჭერდე ქსანზედა.
მე ცხავატელი არა ვარ,
ჭურჭელს ვამტვრევდე გზაზედა.

119. ანდრია ზუმბალაშვილი

ციხისძირიდან გიახელ
ზუმბალაშვილი ანდრია,
ქალაქის მოქალაქესა
კაი ქორწილი სცოდნია.
სამი თუმანი მიეეცი,
შევაკაზმინე სტვირია,
საქეიფოთ წამიყვანეს,
იმას იქიდან ველია,
იმაში დამძინებოდა,
დავკარგე ჩემი სტვირია.
შვილები ჩამომეგებნენ
მამავ, რა უყავ სტვირია?
წავიდნენ, დედას ახარეს:

„მამამ დაჰკარგა სტვირია“.
ის შინიდან მიჯავრდება,
მე დერეფანში ვსტირია.
— „თვალი დაგიდგა, „კნეინავ“,
გაგიცვდა ქობის ძირია,
მე სტვირს მალე გავაკეთებ,
სად გაწყდა ორი ჩხირია!“
სამი დღე რომ გამოვიდა
ვიპოვნე ჩემი სტვირია,
დავუკარ, დავაღლულუნე,
ჩემი ქამანჩა სტვირია.
ქალი ბევრი ვათამაშე
ქეთევანი და თინია.
ვინც ნამუსიანი იყო,
ჯიბეს ჩაიყო ხელია,
რომელიც უნამუსოა
გვერდზე წაიღო ცხვირია.

120. ქაქუთლში შესანიშნავი საღ რა იქის

ბაზაზობა ქალაქური,
ქარი დიღმური,
ღვდელი ქვემოავჭალელი,
ქალი ზემოავჭალელი,
შოლტი ნაქულბაქიური,
ტურა ძეგვური,
მელა სასხორული,
ორკეცი ჩურჩხელა ქვემონიჩბური,
დიდი ძაღლები ზემონიჩბური,
ჭრელი მ.მლები გომიჯვრული,
ლობიო დავრული,
არშიყობა თელათგორული,
ერდო მაღალი წინარეხული,
შინდი თვალადური,

ბუში ჩოკაანთუბნური,
კირი კავთისხევური,
ჭილობი იდლური,
ფინია გომური,
რთვილი კასპური,
იხვი ბორტული,
ფშატი ჩოჩური,
კუდა-აზნაური მეტეხური,
ყივანახველა სასრული,
ჭონა ყარაღაჯული,
ჭრელი ძაღლი გრაკლული,
სადღობელი დოესური,
მკითხავი ქვახრელური,
ციებ-ცხელება უფლისციხური,
ქალი და რძალი ხიდისთაური,
წყლის ხერხი ატენური,
ლიტრა გორული,
ჩანგური ხოვლური,
სიმინდის ჯინი ზემოხანდაკური,
დავიდარაბა ახალქალაქური,
სახრავი ატამი თეძმისხეური,
დიდრონი საბძლები ახალციხური,
ჭიანი კვრინჩხი ნოსტური,
ქერი ქოტისური,
ავდარი მოხისური,
პური თონეთური,
ჩხუბი დვანური,
პანტა ღოლოვნური,
კართოფილი რუისული,
ვირი წალკური,
ნახშირი წყნეთური,
მეველე შინდური,
მაღალი კაცი ლისური.

121. მივიარე, მოვიარე

მივიარე, მოვიარე,
ქალი ვნახე მწოლიარე,
თავით ედგა თეთრი თუთა,
ფეხით—უფრო მსხმოიარე.
თავი ვსთხოვე, იუარა:
ძმაზე ვარო მგლოვიარე,
ღმერთმა იმ გულით უშველოს,
რაც გულით გამოვიარე.

22. ნათლიდედამ დამპატიჟა

ნათლიდედამ დამპატიჟა,
ღვინო მასვა ტკბილიო,
იქიდამა წამოვედი,
მომერივა ძილიო.
ერთი ბუჩქი მომეწონა,
იქ წავყავი ცხვირიო.
ერთ მეღორეს ჩამოევლო,
მოეპარა სტვირიო.
ჩემი სტვირის მომპარავსა
დაუსივდეს ცხვირიო,
იმის ცოლი დამენახოს
დღეისწორზე ქვრივიო.
ჩემი ძმისთვის მომეყვანოს,
გამეწიოს ლხინიო.
მზითევშიაც მოჰყოლოდეს
ჩემი ჭრელი სტვირიო.

123. ბ ე ბ ე რ ი

ბებერი რომ დაბერდება,
მიუჯდება კერასაო,
რომ არავინა ჰკითხავდეს,
არატრატებს ენასაო.
კრუხ-წიწილა მივაბარე
დამიჭმია ძერასაო.

124. ღრუბლები მიდი-მოდიან

ღრუბლები მიდი-მოდიან,
თავთაქვე ჩადგებიანო,
ქალებსა აქვით ცილობა,
ჩემ თავზე წილსა ჰყრიანო.
ვისაც კი წილში ვერგები
ქვაბში ხინკალსა ჰყრიანო.

125. ქემხიაანთ ქორწილი

ქემხიაანთ ქორწილი ჰქნეს,
დაკლეს კუდა თხაო,
ფანგიან ქვაბში ჩაყარეს,
წვენი არა ჰქნაო,
პატარძალი ათამაშეს,
გახტა-გამოხტაო.

126. მაჯნელი ბიჭი

ბახტრიონელი არა ვარ
წამოვჯდე გორაკაზედა,
მე ხირბალელი არა ვარ,
ცხვრები ვიპარო წყალზედა.
მე ახმეტელი არა ვარ,
სულ ვიჯდე დუქნის კარზედა,
ქისტაურელი არა ვარ,
ჩხუბი გავხადო გზაზედა.
მატნელი ბიჭი გახლავარ,
დავიყურები მკლავზედა.

127. ᲔᲚᲘᲐ

ნახე რა ქნა ელიამა,
რა საქმე მოიქმედაო:
თვითონ წინ წაბრძანდებაო.
ხოვლელები სულ აიკლო,
წირქოლს დაიდო ბინაო,
წირქოლელები ჩივიან:
რა ძაან წაგვახდინაო,
ორიოდე კვირის სარჩო
ვერ შევიტანეთ შინაო.
ელიამ წამოიძახა:
— უნდა წავიდე წინაო.
მივიდა კვირა-ცხოველთან
დაჯდა და მოილხინაო.
გადმოხედა ხურვალეთსა,
ნახე რა ამბავიაო,
აღარც არის წირვა-ლოცვა,
აღარც კვირა-უქმეაო.
ვისაც კი ერთი ხარი ჰყავს,
კვირა უქმით უბიაო.
მაშინვე კაცი გაგზავნა
დაიბარა ზენა ქარი:
მანდედან რო წამოხვიდე
წამოიღე ქარიშხალი,
სულ მუშტის ტოლა ისროლე
სამი—ოთხის წირვის ხანი.
ბანები სულ გადალესე,

აღარ ჩანდეს ერდო-კარი,
ჯამ-ჭურჭელი ააცურე
როგორც გამართული ნავი,
ქალები ააღრიალე,
როგორც ბატკნიანი ცხვარი.
ხურვალელა აადიდე,
როგორც ერისთავის ქსანი.
ტირიფონაში წაიღო
მამაცაანთ დიდი ზვარი.
ამ ელიამ ამომყარა
როსტომელას კიტრის ჯავრი,
ვინცა, თხოვდა უფიცავდა:
ერთი მასრა არსად არის.

128. სოლომონ ბრძენი და კუნძულელი.

სოლომონ და დედოფალი
ორნივ წყლის პირს ჩამოსხდესა.
მეთევზემ ბადე ესროლა,
სამი თევზი გამოჰყვესა.
დასჭრეს, დაკუწეს წვრილადა,
ტაფით ცეცხლზე შემოდგესა.
როცა ხარშვა მოეკიდა,
აიღეს და გადმოდგესა.
ხვთის ნათლული სოლომონი
სიტყვას მოჰყვა განსაცდელსა:
— ჯერ ხმელეთის ხელმწიფე ვარ,
მერე მეძახიან ბრძენსა,
სანთლის გუთანს ავაშენებ,
შიგ შავაბამ ულელ დევსა,
ჭინჭველას გოდორს ავკიდებ,
კამეჩებს დავუყრი ბზესა,
ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ,
მშრალზე ვინადირებ თევზსა,
ყინულზე კალოს გავლეწავ,
მორეკვში ვინახავ ქერსა.

წუხელისა ერთი კაცი
საწოლს ჩემსას ეახლესა,
ხელთ ეჭირა ოქროს ვაშლი,
ტურფა იწვა სარეცელსა,
საბნის კალთას ეწეოდა,
ეხვეოდა ბროლის ყელსა.
თუ ეს სიტყვა მართალია,
ჩემი თევზი გაცოცხლდესა.
ღვთისაგანაც ბრძანებაა:
გაცოცხლდა და გაცურდესა.
— რიგით მოვყვეთ სამართალსა,
ყველას თავის ხვედრი ხვდესა —
ახლა დედოფალსა ხვდესა.
შიშითა და სირცხვილითა
დედოფალი შაწუხდესა,
გულზე ასხმენ ვარდის წყალსა
აფიცებენ მამის მზესა:
— არას გიზავ, პირად მზეო,
თუ მტერს მომიკიდებ ხელსა.
— ვაი რა ძლიერ მოვსტყუვდი,
ვუღალატე მკლავსა შენსა,
თორმეტი წელიწადია
ვყვარობ კუნძულ ხელმწიფესა,
თუ ეს სიტყვა მართალია,
ჩემი თევზიც გაცოცხლდესა.
ღვთისაგანაც ბრძანებაა:
გაცოცხლდა და გაცურდესა.
— რიგით მოვყვეთ სამართალსა,
ახლა ვეზირსაცა ხვდესა.
წამოდგა, წამოუჩოქა
ბედნიერ სოლომონ ბრძენსა.
— გამზარდე და გამაკაცე,
წამამასწარ ამ შავ დღესა,
დღეში ხუთჯერ ამას ვიტყვი:
მე მოვკლავ სოლომონ ბრძენსა,
შისი ტურფა მე დამრჩესა.

თუ ეს სიტყვა მართალია,
ჩემი თევზიც გაცოცხლდესა.
ღვთისაგანაც ბრძანებაა:
გაცოცხლდა და გაცურდესა.
სამი თევზი წყალს ჩავიდა,
ტაფა ცარიელი რჩესა.
დაჰპატიჟებს კუნძულელსა,
იქ კაცები აახლესა,
სიხარულით კუნძულელი
აღარ უცდის ვეზირებსა,
მოარბენდა თავის ცხენსა,
ოქროს ბურთსა მოისროდა,
ღამეს მოანათლებს ბნელსა.
ისეთი ტახტი დაუდგეს,
არ ენახა თავის დღესა.
ღვთის ნათლული სოლომონი
სიტყვას მოჰყვა განსაცდელსა:
— ერთი პატარა კოკა მაქვს
მიბარია მემაშხლებსა.
ვინც იმას საყმოთ ამივსებს,
ჩემი ტურფა იმას რჩესა.
სიხარულით კუნძულელი
აღარ აცლის ვეზირებსა:
— სუყველაყა აქ წამოდით,
შინ არავინ არ დარჩესა.
ნურც სახლში ბებერს დააგდებთ,
ნურც აკვანში ყმაწვილებსა.
შვიდი დღე-ღამე ადინეს,
კოკას ყელში დააკლდესა.
— შენც შიგ ჩაჯექ, კუნძულელო,
საყვარელიც თან ჩაგყვესა!
ჩაიტყუეს კუნძულელი,
თავს ზარფუში დაჰხურესა,
ოთხავ კუთხეს გადაკეტეს,
აიღეს და წყალს მისცესა.
ათას ხუთასს წელიწადსა,

ავი მავნე არ იყვესა.
მეთევზე და მებადური
მისდღეში დაწყევლილია,
გამჩენელი გაუწყრესა:
წყალში ბადე გაფინესა,
კოკას ყელზე გამოსდვესა,
ნაპირზე გამოიტანეს,
„აქ ხომ დიდი სარჩო ძევსა“.
კოკას რომ პირს ვერ ახადეს,
კოკა ძირში გატეხესა.
გამოცვივდნენ ეშმაკები
ზოგი—კლდესა, ზოგი—ტყესა,
ზოგიც წყალში ჩაცვივდესა.
ერთი ცალთვალა ეშმაკი
შიგ წისქვილში შავარდესა.
მელოგინეს ეშინოდეს,
თავის დღეში ის დახვდესა.
ვინც ხეზე თავს ჩამოიხრჩობს,
მისი სული ჩვენ დაგვრჩესა.
ვინც წყალში გადავარდება,
მისი სულიც ჩვენ დაგვრჩესა.
ვინც წისქვილში იღალატებს,
მისი სულიც ჩვენ დაგვრჩესა.

129. მე რომ დედაჩემს გაუჩნდი

მე რომ დედაჩემს გაუჩნდი,
იქ მამაჩემს ვინ ახარა,
ჩემი გაჩენის გულისთვის,
ჩემი აკვანი დამწვარა.
გაჭირებამ და შიმშილმა
მთლად ქვეყნები დამატარა.
აზნაური და თავადი
სუყველანი შემასწავლა,
ვენაცვალე ჩემს ქამანჩას,
ჩემი უბე გაახარა.
ის სატიალო ციება

მკათათვეში შემეყარა,
არც მომკლა, არც დამარჩინა,
არც ხეირი დამაყარა,
მამამ ურემი შემიბა
ბარბაროში წამიყვანა,
სამ დღე-ღამეს იქ მამყოფა,
ისევ უკან მამიყვანა,
მდვდელმა ტარასტა მოგზავნა
მესტვირე ხომ არ მომკვდარა?
მე კი ღმერთმა დამიფარა,
უწინ თითონ გარდიცვალა,
საცეცხლური და ოლარი
ორივენი გადაყარა.
იმისმა ფოფოდიამა
ტაბლები ვეღარ შეეპამა.

30. ჭერჭერას დახვედრა

ჩვენი ტერტერა მობრძანდეს
ცხენსა ქერი დავუყაროთ,
ფეხსაცმელები გავხადოთ,
ალაგობრივ შაუნახოთ.
ჯერ კარგათ ღვინით დავათროთ,
მერე გარეთ გავატაროთ.
ჩვენი ტერტერა რო მოკვდეს,
ცხარე ცრემლი დავაყაროთ;
შაბათ დილით ადრე მოკვდეს
კვირა დილით მივაბაროთ,
სულ ჩვენმა მრეველმა ვიგლოვოთ,
სხვა არავინ მივაკაროთ.

131. მღვდელი და ღიაკვანი

ოდელია დელია, ჩვენში ერთი მღვდელია,
ბებერს თხას უგავს წვერია,
დეეხეტება ტაბლებზე,

სადაც მსუქანი წვენია!
ისე შაჰამა ტაბლები,
სულ მოითხუპნა წვერია!
დიაკვანი წეეწოდა,
ცემით მოსწყვიტა წელია!
ტარასტა კარში გამორბის
ვაი, შიში რა ძნელია!
ბებრები შიგნით ელიან,
სანთლები ასანთებია.
საცეცხლური ძირსა გდია,
საკმელიც ასაკმელია.

132. მ ე ს ტ ვ ი რ ე ლ ი

ქამანჩა მომართული მაქვს,
ხელში მიჭირავს სტვირია,
თქვენი სახელი გვიბრძანეთ,
ამის გაგება გვჭირია.
აჰა, ელია, მელია,
ბულბული მგალობელია.
ჩვენი გიორგი, ეტყობა,
უხვი და მწყალობელია,
თვალად ლომი და პირად მზე,
ტკბილი სიტყვების მთქმელია.
შენ დაგენაცვლოს მესტვირე,
ჯიბეს გაიკარ ხელია.
საზანდარი და ქებაო,
თავი ნუ მოგიკვდებაო,
ერთი აბაზი მაჩუქე,
ქისას არ მოაკლდებაო.

133. ლაღოცვა ქორწილის ღრეს

დიდება და გამარჯვება მოხსენდეს
ნადიდებ, ნახსენებ ხთის შვილებსა.
იმათ დავლათამც დაელოცება.
წაღმართ-წაღმართის პატრონსა,

წალმართი წალმა წაუყვანოს.
ერთად შეყრილნი ახალყოილნი
ერთმანეთს შეუბერნეს,
ერთ სართაულზე დაუბერნეს,
ქნეს ეტლიან ბებლიანი,
ბედიან დოვლათიანი.
სამჯერ ქალიანი,
ცხრაჯერ ვაჟიანი,
ვაჟით ვაჟიანი.
ვაჟის მაყრებო,
ვაჟის მაყრობა ნუ მოგიშალოსთ.
ქალის მაყრებო,
ხვალ ძმის მაყრებშიაც იქნებითო,
მდადეე, დედოფალ გაგიხაროს.
ეჯიბო, შენ მეფეს გაუმარჯოს.

134. საღლეგრძელო

ღმერთმა ისე გადღეგრძელოს,
როგორც შიოს მარანიო.
ხახვის ნერგი დაგიძველოს,
სარჩო მოგცეს მრავალიო.
ბეღელში პური,
სკივრში ფული,
ლოგინში ქალები,
ლამაზნი, განა შავები,
დერეფანში ჩიტები,
სახლში ბიჭები.

135. ღაღოცვა

ღმერთმა აცოცხლოს
კაცის მარჯვენა,
ხარის ნახნავი,
დედამიწის მოსავალი,
ცა და ღრუბელი,
მზე და წვიმა,

კაცის პირიანობა,
დედაკაცის ნამუსი,
გემით მგზავრები,
უპატრონო ავადმყოფი,
მართალი პატიმარი,
სწორე მოსამართლე,
გაჭირვებული მელოგინე,
ობოლი ბალღები,
კარგი მთავრობა.

136. ღ ა ღ ო ს ვ ა

ღმერთმა აცოცხლოს კერაო,
მაყურებელი ყველაო,
აქეთ-იქითა კედლები,
შუაზე მაცხოვრებელი.
გამართული გუთანი,
გუთნის დედით, მეხრეებით,
შადგმული ურემი,
საწისქვილო საფქვავით,
მართალი მეწისქვილე,
ცხვრის ფარა,
ძროხის ნახირი,
ცხენის ჯოგი
მწყემსებითა,
ორმოში პური,
მამა-პაპის ზედაშე,
ფრთა მოქცეული,
კალოს ბარაქა.

137. უფალმა ღმერთმა

უფალმა ღმერთმა ინებოს
შენი წითელი გვირგვინი,
უკან მაყრები მოგდევდნენ
თოფიანი და ხმლიანნი,
მეც უკან მოვჩანჩალებდე
ჩემი სტვირ-ქამანჩიანი.

138. სუფრავ გაშლილო

სუფრავ გაშლილო, ვარდი ხარ.
ჭკვას ჩავარდი გონებასა,
ერთი ნამუსი სჯობიან
ათას თუმან ქონებასა.
ერთხელ სჯობია სიკვდილი,
მუდამ ეამს დაღონებასა.

139. მასპინძელი

მასპინძელ კარგად მასპინძლობს,
გულითა მხიარულითა,
მწვანე ქოშები გაცვითა
სუფრაზე სიარულითა,
წითელი ქვევრი მოხადა,
დაგვიხვდა სიყვარულითა.

140. ღ ა ღ ო ც ვ ა

გაცოცხლოს და გადღეგრძელოს,
როგორც აბრამი და სარა.
გამრავლოს როგორც ზღვას თევზი,
ცას ვარსკვლავი არ თუ კმარა!
დიღმის მინდორი მოგეცეს,
სახნავ სათესავათ კმარა,
შვიდი გუთანი შაგებას,
იყვე არც ამის ამარა:
ასოცი საძნე ურმითა
ზედ კარზედ აგეღოს ღალა,
შვიდი ფარა ცხვარი მოგცეს,
ესეც სათვალავათ კმარა.

141. გაცოცხლოს და გადღეგრძელოს

გაცოცხლოს და გადღეგრძელოს,
მოგცეს ადამის დღენია,
უწინ მე მომაკვლევინოს
შენზედ მოსული მტერია.

142. ოჯახის დაცოცვა

ამ ოჯახის სახლის კუთხე,
ქრისტე ღმერთო, შენ აკურთხე.
ღმერთო, ნუ მოჰშლი ამ სახლში
ლხინსა, ქორწილსა, სადილსა,
ქალების დათხოვებასა,
დაქორწილებას ვაჟისა.

143. სანახავად ლამაზია

სანახავად ლამაზია
მინდორს ერთი მრგვალი ლოდი,
ზედ ასხია მარგალიტი,
სულ არ მოვა ერთი კოდი,
დალიე და ნუ მოიწყენ,
ალავერდი ჩემთან მოდი.

144. ზომიერი სმა

გულისა საგრილობლადა
ღვინის სმას არვინ დაგვიშლის,
ცოტა რამ მოჭარბებული
ჭკუას თავიდან შაგვიშლის,
მოყვარეს მტრად გარდაგვიქცევს,
დავიდარაბას აგვიშლის.

145. სურვილისა კოშკი მედგა

სურვილისა კოშკი მედგა,
ზედ მირონის გუბე იდგა,
დაგლოცოს პირმა ღვთისამა,
საყდარმა გელათისამა,
ას ორმოცმა ანგელოზმა,
თორმეტმა ბარძიმისამა.
სიონის ხატმა და ჯვარმა,
გადმამცქერალმა მტკვრისამა.

146. მახარობელი

მე ვარ მახარობელი,
სახლის გამხარებელი,
ამიხვიეთ მხარი,
მტერს დაუდგა თვალი.

147. ძმის დაღოცვა

ძმაო, ღმერთმა გადღეგრძელოს,
საბძელი მოგცეს ბზიანი,
ოთხი-ხუთი ცხენი მოგცეს,
წითელი-ნარინ [ჯიანი],
სადაც რომ წახვიდე ომში,
შენს ხმალს გაჰქონდეს პრიალი,
მოგეკლას ათი ათასი,
არ დაგმართოდეს ზიანი.

148. ახალთაობას

ახალთაობას მივმართოთ,
დავივიწყოთ ძველი რჯული.
ხელი მივყოთ ხვნა და თესვას,
იქნებ გავიბევროთ პური.
ყველამ გაზეთი ვიკითხოთ,
ყველა ვიყოთ გასწავლული,
მაშინ მტერი ვერას გვიზამს
შინაური, გარეული.

149. ბებერი მონადირე

ვაჰ, დედას თქვენსა, ჯიხვებო,
დავბერდი, მიკლეს თვალთაო,
ფეხდაფეხ ვეღარ მოგყვებით,
მუხლები დამეხლართაო.
კიდევ სად გაყურებინებთ
ჩემი ყირიმის ხმასაო.
ჭიუხში შეგაბერტყინებთ
ცისკრის ხანს გეჩის ნამსაო.

150. თოვლი თოვს

თოვლი თოვს, ჯიხვი ფეხს უცემს,
გული გკლავს, მონადირეო:
— ჯიხვო, ვერ მოგკალ, ტიალო,
სისხლი ვერ გაგადინეო.
ვერ გადაგაგდე კლდეზედა,
რქაზე ვერ დაგაბჯინეო.
ვერ დავიკვეხე სწორებში,
გულო, ვერ გაგაცინეო.

151. ამ სოფელსა სამი ვთხოვე

ამ სოფელსა სამი ვსთხოვე:
ენა ტკბილი, ხელოვანი,
ზედ საჯდომი კარგი ცხენი,
წინ მინდორი ველოვანი,
გვერდ საჯდომი თეთრი ქალი,
თასით ღვინო ფეროვანი.

152. ღვინო კი მათრობელა სჯობს

ღვინო კი მათრობელა სჯობს,
ძაღლი—თეოზედ მყეფარი.
ვაჟკაცი წყნარი სჯობია,
რა გაჭირდება—მჭეხარი,
არც ვარგა ქალთა მიმყოლი,
ჩალად არა ღირს მკვეხარი.

153. ვაჟი ვიყავ

ვაჟი ვიყავ და ვვაჟობდი,
ქორულად შევქენ ნავარდი,
მეფის ერეკლეს ჯარშია
თავს ვეცი, ბოლოს გავვარდი.
დახედე სიბერკაცესა:
ბოლოს ჟამს როგორ დავვარდი!

154. ვერიცანა

ვერიცანს ცხენსა უქებენ,
კვიცია სამი წლისაო,
ზედ ვერიცანა შეჯდება
ლერწამი ზღვის პირისაო.
მუხლი უბია მგლისაო,
თვალები შავარდნისაო,
ჩოხა, მასრები უყრია,
დათლილი ჩერქეზისაო.

155. აიმა მთასა

აიმა მთასა, მამიდავ,
ვეფხ-ლომნი გაკიდებულნი,
ვეფხვი სცემს, ლომი უფარებს,
ჩადიან დამწარებულნი.

156. ხმალმა თქვა

ხმალმა თქვა: ჯანგმა შამჭამა
ჯაბანმა რამამ ჩამაგა,
ნეტავინ პირშიშველასა
წვერ უხეევლ ყმასთან შამაბა,
რო შამიტანოს ომშია,
სისხლის მორევში ჩამაგდა!

157. ხევსურო, ხმალი გალალებს

ხევსურო, ხმალი გალალებს,
ფშაველო—ენა გრძელიო,
მაღარი—გუდამაყრელო,
ტყვია გამუდის ცხელიო.

158. ლეგას ლექსი

ერთმანეთს უზიარებდნენ
მალალი მთების ცრემლებსა,
ამბობენ დღეობა არის,
სოფლად ჰკაზმავენ ცხენებსა.

ლეგაიც ჰკაზმავს „წითლასა“,
გაოზე უსვამს ხელებსა.
ახლა უნაგირს დაადგამს,
ვერცხლის ღილებით ჭრელებსა.
ააყრის ძველსა ნალებსა,
ახლებს დააკრავს მთელებსა.
ცოლი დაუცხობს საგძალსა,
მისალოცავსა კვერებსა.
ბევრებს დაუცხობს ლეგასა,
ცოტას არ დააჯერებსა.
ჩაიცვამს ტანისამოსსა,
ვაჟი მხრებს დაიმშვენებსა.
— ჩქარა წავიდეთ, სწორებო,
ნუ ჩამოვრჩებით ჩვენებსა.

159

ვაეკაცო გულადო, მარდო,
როსტომიანთა სახეო,
ისპაანს ნადირთ მომკვლელო,
ძელისა ტყავითურთ დამხევო.

160

ხმალო, ფრანგისა ნაქედო,
ვაჟმა გაგლესა, დაგფერა,
ერეკლემ, ჩვენმა ბატონმა,
საომრად ჯვარი დაგწერა.

161

ფშავი ხარ, ბიქათ ვარგიხარ,
არვინ გიცქერის ტანზედა,
ფეხს დაჰკრავ, გადაჰფრინდები
ბახტრიონ გალავანზედა.

162

კარგ ყმასა ჰშურობს სოფელი,
იტყვიან: კარგი რად არი?

საქმე რომ გაუჭირდება,
ყველა იბარებს: სად არი?

163

ნადირი, მენადირეო,
გან თუ სრუ გებედებისა:
ეხლა ვერ მახკალ, კვლავ მახკლავ,
აუგ არ დაგედებისა.

164

ვინც იცნობს ჩვენთა სოფლელთა,
მთას ქორებურა ქრიანო,
მტერსა და მოჯაითესა
ტანზეთი ჯაჭვსა ჰყრიანო.

165

კა ყმა არ უნდა სოფელთა,
რა მოკვდის—მოღგონდებისა,
კაის ყმის ნასადგომარსა
მოძალე გადმოდგებისა.

166

შაუპატიჟეთ კას ყმასა
ჯარზედა დიდის თასითა,
რახან გაჭირდა, კაი ყმა,
საყიდას დიდის ფასითა.

167

ხუმარამა დათვი მოკლა;
მცარცვავი ფშაველთ ცხვრისაო,
იკურთხოს იმის მარჯვენა,
ვინც სისხლი გვასვა მტრისაო.

168

ჭარში ლეკმა დაიკვეხა,
სამგან გადვინაცვლე ბინა,
მე თქვენი თოფი არ მომკლავს,
თუ არ მომხვდა ყარაბინა.

169

ქსნელი ბიქისა ჭირიმე,
ირემს ჰგავს, ქორბუდიანსა,

170

აზნაურობა რა არის?
— ერთი წითელი ბაწარი,
შემოიქირე წვიეზედა,
ბაზარში შექენ წანწალი.

171

სამწყერაოთ კვარხეთი სჯობს,
საკურდღლაოთ კირბალ-ზერტი,
ბერშუეთი ყველასა სჯობს,
მაგრამ ბატონი ჰყავთ ცეტი.

172

ორშაბათობით დავთესე
ქინძი, ქონდარი, პრასაო,
მუხრან ბატონის ქონება,
სულ ტიალ-ოხრად დარჩაო.
გაჯავრებულმა ფრანცუცმა
ქეთევანი კი დასცაო.

173

ნეტავი ბევრი ძმისასა,
ცხარე მზე არ დაადგება,
ვერც არა მტერი ულაშქრებს,
ვერც ბატონი მიუხტება.

174

ბეჩაო, მამასახლისო,
კაცნი კაცადა გთვლიანო,
ზოგნი გიცხობენ ქადასა,
ზოგნი ხინკალსა ყრიანო.
მაშინ რას იზავ არ ვიცი,
მაგ ჯაკს რომ წამოგყრიანო.

175

აზნაურობა მიყვარდა,
გვერდზე დახურვა ქუდისა,
ბაზარში გავლა-გამოვლა,
ყველგან ატეხა ჩხუბისა.
აზნაურობა დავაგდე,
ქორჩი წამოვკარ ახოსა,
მალი-მალ გავიხედავდი:
არავინ დამინახოსა.

176

რად მიტევ, მამასახლისო,
გული რადა გაქვს დიდია?
იმით თუ მებუზღუნები
გულზე რომ ჯაქვი გკიდია,
სახლი რკინებით საესე გვაქვს
ძაღლები ჯაქვით გვიბია.

177

შემოუარე, გამოვა,
ნაღარა გამოვარდება,
მამასახლისი ძოკვდება,
ნაცვალი ამოვარდება.

178

სახნის, საკვეთი, ჯამბარა
მამასახლისმა დაგვპარა,
იმას გაუწყდეს ცოლ-შვილი,
უხნავ-უთესი დაგვყარა.

179

მოჯამაგირის ულუფა
— ერთი დამწვარი კუტია,
იმასაც არ აღირსებენ,
თუ არ ასტეხა ჩხუბია.

180

შაშვი, ნაწრეტი რათ გინდა,
ნადარბაზევი ქვიანი?
არ არის წყალი, წისქვილი,
არცა მოყვარე მხრიანი.

181

სილარიბე, დაწყეველილი,
ჩემზე რადა დაჩვეული,
საცა წავალ, გამამყვება,
ჩოხის ძველში გახვეული.

182

მანამდის ღმერთმა გაცოცხლოს,
სანამ გასძლებს მცხეთის ხიდი,
მე კი ძმურად მოგეკიდე,
შენ კი ეხლავ ამიხირდი.

183

სახლო, ღმერთმა აგაშენოს,
ჯერ ჭურჭელი, მერე თარო,
ოჯახში გაგაძლიეროს,
ჯერ ვაჟკაცო, მერე ქალო.

184

ერწოს იყივლა მამალმა,
იკვლიევში კოდალამაო,
ქალო, რატო არ მიყურებ,
დაგწყევლოს კოპალამაო.

185

გადაგიხტი, გადმოგიხტი,
ჩაგეგრიხე წნელივითა,
ქალო, რისთვის გამირბიხარ,
ტყეში დამფრთხალ შველივითა?!

186

ნეტავ, ქალო, შენმა ქმარმა
აიღოს და ქვა დამცესო,
ის ციმბირში წაიყვანონ
შენი თავი მე დამრჩესო.

187

მზე წავიდა ბუდისაკენ,
ჩასასვლელად ეღირება,
გოგოვ, შენი ერთი კოცნა
მთელ ქვეყანად ეღირება!

188

გოგოვ, ისე ლამაზი ხარ,
ფერსაც ვერ გიცვლის ზამთარი,
მომცემ სიცოცხლეს, თუ მომკლავ?
შემომითვალე მართალი.

189

ქალმა რომ კოკა აავსო
ჩამოჯდა წყლის პირს ქვაზედა,
დანიშნულს დაპირებოდა:
იქ მოგიცადო წყალზედა.

190

გოგომ რომ ვაშლი მესროლა,
მეტკინა გულის ფიცარი,
თუნდ მომკლან, სახელს არ ვიტყვი,
ღმერთმა უშველოს ვინც არი.

191

ქალები დაგროვებულან
სიმინდის სათოხნელადო,
ლოყები დასწითლებიათ
ბიჭების საკოცნელათო.

192

კაცსა, ხვთისა გაჩენილსა,
თვალი უზის ეშმაკისა,
რაც უნდ კარგი ცილი ჰყვანდეს,
მაინც მოსწონს სხვადასხვისა.

193

ქალო, შენმა სიყვარულმა
გამიჩინა გენიაო,
რა ვქნა, როგორ არ გიყურო,
რო გიყურო, მრცხვენიაო!

194

მინდორთა მაშვენებელო,
ვარდო, გაშლილო ველადა,
სად მაიცალა იმ ღმერთმა
შენი თვალწარბის წერადა!
ვინ მისცა საწერ-კალამი,
დაგხატა ათას ფერადა!

195

ეს სოფელი მისთვის მინდა,
შენ გიცქირო, ჩემო მზეო!
ახლო ნახვა არ მეღირსა,
შორს გიგონო? რა ვქნა მეო!

196

ქალ-ვაჟთა მდომიარეთა,
სოფელი ბრმაი ღგონია,
სოფელი ბრმაი არ არის:
ყედელსაც თვალი ჯდომია.

197

საიდან მოხვალ შენ, ქალო.
მხარზედ რომ გიდგა კოკაო?
მომზადებულხარ სარძლოთა,
დაგწითლებია ლოყაო.

198

ქალო, შენსა სიყვარულსა,
შემომიოვალე, რა ვუყო?
ზურგს ავიკიდო საბლითა?
რომ ვერა ვზიდო, რა ვუყო?!

199

ქალო ავშავო, თვალშავო,
წამწამ გიშერო, თმა შავო,
მასწავლე შენი საწოლი,—
ია და ვარდი გავშალო.

200

მინდორს კოშკი ავაშენე,
ზედ მოვადგი ნარიყალა,
ქალო, შენმა სიყვარულმა
შორის გზიდან მომიყვანა.

201

გაზაფხულისა პირზედა,
შაშვმა დაიწყო გალობა,
მე კი დამწვი და დამდაგე,
დაიწვეს შენი ქალობა.

202

იარე, ქალო, წავიდეთ,
მინდვრის ყანები ვნახოთო,
ყველი და პური წავიღოთ,
დავსხდეთ და ლხინი ვნახოთო.

203

ლამაზო ქალო, შენ იცი
სიყვარულისა ფანდები,
მოგივლის ჩემი სურვილი,
მსწრაფლ ჩემსკენ გამოჰქანდები.

204

შენი ჭირიმე, დედაო,
ქალი ზის წყაროზედაო,
წავიდეთ, წამოვიყვანოთ
დავისვათ კერაზედაო.

205

ვერა ხილი ვერ სჯობიან
აყვავებულსა ატამსა,
შენ რომ თვალით დაგინახავ,
გული დამიწყებს კანკალსა.

206

ბიჭო, შენსა ბიჭობასა,
ჩემი სჯობდა ქალობანი,
ჩემი გავლა და გამოვლა,
ჩემი საქციელობანი.

207

სურვილისა ვაშლი მედგა
ფეხი შევდგი, შევხარეო,
შენ რომ თვალით დაგინახე
ღმერთსა ხელი შევყარეო.

208

ქალმა ჩიქილის ქნევითა
ბიჭს თავი შააყვარაო,
შორით დაწვა და დადაგა,
ახლო არ მიიკარაო.

209

აგრე არ უნდა შენ, ბიჭო,
ქალსა თმიანსა ყვარება,
ხან კოცნა უნდა, ხან ხვევნა,
ხანდისხან მკლავზე გორება.

210

დილით ადგები მზიანსა,
ხევ-ხევ ჩაჰყვები ნიავსა,
შიგ გულში ჩაგეკონები
ჯერ გაუშლელსა იასა.

211

გემდური, ჩემო დედილო,
რად გამათხოვე პატარა.
პატარა ქმარი შემყარე,
სულ არი-არე მატარა.

212

რა ქნას რომ არა სტიროდეს
შავი და ბნელი ქალიო:
პირდაპირ ჩამოსჯდომია
სიკვდილის ფერი ქმარიო.

213

ყმა გავლილ-გამოვლილი სჯობს,
ქვეყნიერება ნახული.
ქალ მამის კერას ნაჯდომი,
საქმარად თავშენახული.

214

მაღალ მაღალსა მთაზედა
ია კვნესოდა „ვამეო“:
ან მოვა თოვლი დამაძრობს,
ან მზე დამაჭკნობს მალეო.
თუ გამაჩინე, უფალო,
რათ არ დღეც დიდი მამეო.

215

დაგლეე მაღალ მთის წყაროვო,
ცივათ ნადენო კლდისაო,
წავალ და დავიკარგები
როგორც მარსკვლავი ცისაო.

ვაი რა ძნელი ყოფილა
გაწირვა სწორებისაო!

216

მოდი, ეილხინოთ ყველამა,
სანამ ერთმანეთს ვხედავდეთ,
გლოვა მაშინაც გვეყოფა,
შავს მიწას ამოვხედავდეთ.

217

ერთი ვარ, ერთხელ მოვკვდები,
ერთხელ ვატირებ დედასა,
ერთხელ სჯობიან სიკვდილი,
მუდამ ღამ დაღონებასა.

218

შაიყრებიან ყორნები,
არ გაირევენ ძერასა,
კაცი ვერსაით წაუვა,
თავის ბედისა წერასა.

219

ყველა ფრინველი ხეზე ზის,
მწყერი კი ძირს დაგოგდება,
ვინც იტყვის, რომ დღეგრძელი ვარ,
ის უფრო მალე მოკვდება.

220

მთვარეე, გამცილდი, ტიალო,
გამშორდი, გამეცალეო,
რას დამცქერ გახარებული?
სიკვდილი დამაცალეო.
შენც მალე გნახამ დაბურვილს
ნისლით, დღეს ანუ ხვალეო.

221

მშვიდობით, ჩემო სამშობლოვ,
სამუდამოთა გშორდები,

რაც აქით ვალი მიმყვება,
სულ იქით გაგისწორდები.

222

ოხერო წუთისოფელო,
საქციელი გაქვს ცუდიო,
ჯერ კი წაიცდენ ვაქკაცსა,
ბოლოს გამოჰკარ კუდიო.

223. გასათხოვარი ქალის სიკვდილი

ბაბალემ დაივაგლახა,
ნურც დავრჩენივარ დედასა,
თუ ღმერთი სიცოცხლისასა
მეტს არ მომცემდა ნებასა,
შავეთის კარი გამიღეს
ზარი დარეკეს ზეცასა.

224

გუდამაყრელი ჩიოდა:
გუდამ შაჭამა ყველიო,
გუდა ყველს როგორ შესჭამდა,
დაექცეს მამის ყელიო!

225

ჩემს მტერსაც დაულამდება
ავჭალასა და მცხეთასა,
შინ ხომ არავინ შაუშვებს,
სიცივე მოჰკლავს ბეჩავსა.

226

შენ გატიალდი, ზამთარო,
ლამის ბუხარში შემთარო,
შენი ჭირიმე, ზაფხულო,
სადაც დაეწვები, დამხურო!

227

დატრიალდი, მოგიხდება
ვით ხარატული ჯარაო,
მშობელი შენი ვაცხონე,
გამზრდელი შენი ლალაო.

228

წყალში მოდის ორაგული,
ბოლოს აქნევს, თავს არაო.
ეხლანდელი ახალგაზრდა
მზითევს ეძებს—ქალს არაო.

229

პატარძალო პატარაო,
წყალს მოიტან—სხვას არაო,
წამოჯდები კერასაო,
ატარტარებ ენასაო.

230

შენ, ბიჭო, ისე გგონია
ლექსები გამომელია?!
ლექსები იმდენი ვიცი,
დილმის მინდორზე გრძელია,
აგაკრეფინებ ტომრებში,
მოგაწყვეტინო წელია.

231

ხშირად ლექსებს მოგახსენებ,
ტირიფონაზე გრძელია,
თუ გინდა შინაც გაგატან,
მოგაწყვეტინო წელია.

232

ბიჭო, შენც ხომ კარგად იცი,
მგელი ბატკნისა მტერია,
ხურჯინი ლექსით სავსე მაქვს,
გუდა პირმოუხსნელია.

233

ტატუნაშვილი ზაქარა
რა ეშმაკებმა შაშალა?
წმინდათ მოხვეტა ტაბლები,
მკვდრები მშიერი დაყარა!

234

ეგ ოხერი ჩვენი მღვდელი
ფინთათ აცანცარებს წვერსა,
სადაც ტაბლას დაინახავს,
იქით მიაჭენებს ცხენსა,
ხორაგს ხურჯინში ჩააწყობს,
ქოთანში ჩაასხავს წვენსა.

235

დავლიოთ ღვინო, დავლიოთ,
თორემ მოიგდებს ბრკესაო,
ვადღეგრძელებდეთ ცოცხლებსა,
მოვიგონებდეთ მკვდრებსაო.

236

ბერო, სიბერეს ნუ სჩივი,
მოკლებას თვალებისასა,
ეცადე ჭკუა-გონებას,
რიგებას სოფლობისასა
ჯერ ბოლოს გაიკეთებდე,
მემრ გზასა სულეთისასა.
აიჯუფდება სწორები,
ნუ მოუწონებ ხვთის მადლსა,
სწორადა გაუჯავრდოდი
თავისასა და სხვისასა.

237

ტყეში დავუდე ურემი
სოფელზე არ აუვლია,
ეს ეხლანდელი ბიჭები
დუქნების ყარაულია,

დღე და ღამე იქა დგანან:
ვის აუვლივ, ჩაუვლია!

238

მჭედელო, განა რკინასა
სპილენძი არ გაერევა?
კაცს რომ კაცი ეჯავრება
ბიზეზი არ დაელევა.
თავისთვის რომ პურსა სჭამდეს,
ჭაპი-ჭუპათ ეჩვენება,
თავისთვის ლაპარაკობდეს,
რახი-რუხათ ეჩვენება.

239

მთიული ქალი რათ ვარგა,
ჩიქილა ჩამოფხატული,
ქალი სჯობიან ქართლელი,
თეალ-წარბში გამოხატული.

240

მძაგს ქათამი ნაკრუხალი,
ბოლო-კურტუმ დაგლეჯილი,
კაცი სხვაგან მხიარული,
თავის სახლში დაღრეჯილი.

241

— უსანეთობას წამოვალ,
მე გადმოვიელი თქვენსაო,
ძალიან გაგაპურადებ,
მოგახდევინებ ქვევრსაო,
ღვინოსაც დაგვალევინებ,
შინაც გაგვატან ბევრსაო.

242

— ჩემ ცოლის დამ დაგიწუნა,
ჭიდროსით ხარ ალაგისა.

— უცოლოდ არ დავბერდები,
ნუ ღონდები, არა გინდა,
თავბუმბულიანს მოვიყვან,
როცა მოვალ ქალაქითა.
გუდარახ რა ადგილია,
ხომი სჯობის ბარაქითა,
სულ დავავსენ ჯამ-ჭურჭელნი
ერთის ფურის კარაქითა.

243

ამისი ავი კაცი ვარ,
ვილაპარაკებ ბევრსაო,
ზოგი მეძახის ჭკვიანსა,
ზოგი კი ჭკვაზე თხელსაო.

244

ადე, ირემო, რას გძინავს,
ყურცქვიტა ლალებიანო,
მოდიან მონადირენი,
თავი არ დაიზიანო!

245

დოვლათიანი ირემი
დილით ღამიან ადგება,
სერებს გაივლის ჭამითა,
წავა, სიმაგრეს დაწვება.

246

ანანურს—ციხე მაღალო,
საყდარო გუმბათიანო,
ქალო და რძალო ლამაზო,
ვაჟკაცო ლაზათიანო.

247. აჭირდა ყვავი

ატირდა ყვავი, ყორანი,
ხოფისა და ბეღან ტყისა,
ხოფასა და ხერხმელასა
სისხლის წყარო აღარ დისა.
ნადირს კაცი გაუგზავნეს—
ახლა ჩამოვიდეს ძირსა,
ნუღარც ნადირს ეშინიან,
ნუღარც წყალში თევზი თრთისა;
აღარ არის „კუსრას ბიჭი“,
აღარც მისი თოფი ტყვრისა,
ირემი ნაბოსტნარში სძოვს,
ღორი ნასახლარში სთხრისა.

248. ორშაბათ დილა გათენდა

ორშაბათ დილა გათენდა,
ვირსა გაუღე კარიო,
წადი, ვირო, ქალას ჩადი,
ჩააცრამუნე ნარიო.
წინ მგელი შამოეყარა,
ამოუკრინტა თვალიო:
— ვინ არის შენი ბატონი,
ვირო, ვისი ხარ, ყმაიო?
— ჯერ თავად ციციანთი ვარ,
მერე ერისთვის ყმაიო,
გუშინ ქალაქში ვიყავი,
მარილი მოვიტანეო,
ერთს ჩარექს გამოგიგზავნი,
რომ მაინელო მხალიო.
— მე მხალე-მხული არ ვიცი,
არა ვარ მოლოზანიო,
მამაჩემის შვილს უყვარდა
სახრავად შუა ძვალიო.

სთქვა და იმ ვირს დააფრინდა,
დაახრა გავის ძვალიო,
— დიდი ა.ო დაიღრიალო,
არ შემიყარო ჯარიო,
კუდიც არ გააცანცარო,
არ გამომთხარო თვალიო.

249. პირქუში მოყმე

გაზაფხულ იყო მაშინა,
ახლათ ყვაოდენ იანი,
მწვანეს ეწვდება ბალახსა
ხარი ირეში რქიანი.
გამოჩნდა მოყმე პირქუში,
ჩამოვა შვილდ-ისრიანი.
შემოფრთხა ხარი ირემი,
რქებმა წაიღეს ბზრიალი.
გამოაყოლა მოყმემა:
— შორს ვეღარ ივლი ტიალი!
— რათა მკლავ, ღალატიანო,
შენთვის რა მიქნავს ზიანი?
ჩემი მხის დამბნელებელო,
შენაც შეგჭამენ ჭიანი!
შენ ჯოჯოხეთში დაიწვი,
ჩემთვის მზათ სამოთხე არი.

250. ჭახთან შებმა

ჰაი, სესიავ, სესიავ,
შენ წამიყვანე ტყეშია,
შენ მაღლა-მაღლა იარე,
მე—დაბლა-დაბლა ხევშია.
წინ ტახი შამომეყარა,
კუდა იყო თუ მოეშია.
დავიჩოქე და ვესროლე,
მოვარტყი ბეჭიფთეშია.

ერთი იმანაც მისართა
ამ სისქის ბარძაყებშია.
დავჯექ, ფეხი შევიხვიე,
თოფი ავიღე ხელშია.
ვეღარც თოფი წამოვიღე,
ვეღარც იმისი ლეშია,
აღმართი ამოვირბინე,
ერთი არ დამიხვნეშია,
მოველ და ბიჭებს ვუამბე:
— ვაიმე, ძმებო, ფეხია.
— ეხლა ჩვენ რაღას გიშველით,
მონადირისა წესია.
შენისთანა ბიჭ-ბუჭები
ტახს ბევრი გაუსრესაა.

251. კ ო მ შ ი

კომშმა სთქვა: მეცა ხილი ვარ
ყოველი ხილის სადარი.
დიდი ხე არ გავიზრდები,
ულელი ხარის სათარი,
შიგნით გული ასეთი მაქვს,
როგორც სიონის საყდარი.
არ შამჭამს ქართველი კაცი,
ზედ დამაკვდება თათარი.

252. ა ლ ა ზ ა ნ ი

შენ თუ ხარ ლეკთა მიჯნაზე
და გქვიან ალაზანია,
შხუილის მეტი ტიალის,
წყალო, არა გაქვს ჩქამია.
ნეტავიცა გქნა არაგვი,
ფშავიდან მამდინარია,
ტკბილად მეკითხა ამბავი:
ფშავლები როგორ არია,

ქალები გუდარახისა,
გამოღმა ჩარგლის მხარია,
სხვა კი სულ ყველა მოვსთვალე,
ერთიღა დამრჩა ქალია:
სიკვდილსამც დაავიწყდება
თამარი, ოსის ქალია.

253. ღ ე ხ უ რ ა

ამილახვრიანთ ლეხურა
ცეტი არი და სულელი,
ეამურიდან წამოვიდა,
ჩეჩქი წამოიღო ბევრი.
კასპის ვენახები სწყვიტა,
მტკვარსა მოგვიწყვიტა წელი-
ლიახვსა შემოუთვალა:
შენ ძმობილი იყავ ჩემი,
საშამფურე წამოიღე,
მე სამწვადე მამაქვს ბევრი.
კასპში ღვინოებს აქებენ,
ღვინო არი ლალისფერი,
ისე დავხადე ქვევრებსა,
აღარა დასჭირდა ბარი.

254. ქ ს ა ნ ი

დეკანოზის დალოცვა:

— ღმერთო, შენ გააძლიერე
არაგვი და ჩვენი ქსანი.

ქსანი:

— მე შენი ლოცვა არ მინდა,
მე ჩემ თავათ ავდიდდები,
პატარა წვიმა მოვიდეს,
წამოვალ და გავგიჟდები.

სულ ერთიანად დაეგლიჯე
მიდელაანთ წისქვილები,
კორინთას რომ ჩამოველი,
დავსჯეკ, დავწერე წიგნები,
გაუგზავნე რატიშვილსა:
— მანდ არს ჩემი მამულები.
— აქ ვინ მოგცა შენ მამული,
ან ვინ მოგიწერა ხელი?!
— სასახლის წინ ჩამოგივლი,
ჩამოინგრეს თავხეები,
ძირის ვაკიდან დაგიფრენ,
ხრიაკის წვერზე გაგყვები.

255. ᲐᲠᲐᲒᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘ

შეეჩრელებულა თოვლები
არაგვის ყველა მხარესა.
ალარსად ზვავები ჩანან,
თვალს ვავლებ არემარესა,
მხოლოდ მდინარის გადაღმა,
ხევებზე, ყოველ მხარესა
სძინავთ ძირს დამრჩალ ზვავებსა,
ზედ ფოთოლ დანაფარებსა.
გაცოცხლებული მიდამო,
შეხარის მაღლა მთვარესა,
ჭალებთან მუსაიფი აქვს,
არა გავს მოღიმარესა.
მდინარე ჭალას უამბობს
ამბავსა საცინარესა.
მე ვალდებული გამხადეს
მტკვრისად მიმეცა წყალია,
ვერ ჩავაბარე დროზედა,
მისი დამედო ვალია.
ვადა მქონდა მოცემული,
პირველი თებერვალია.
წყალი ვეღარსად ვიშოვნე,

ყინვამ წამართო ძალია.
მტკვარსა მივწერე წერილი,
ხეეწნით თავ შევაბრალია:
ორი თვე ნახევარიცა
მადროვე, დამაცალია.
მომეცი წყალი, მჭირდება
მთებს თხოვნით დაუბარია,
იმათ სიცილათ არ ეყო
ის ჩემი ნაუბარია.
ბოლოს კი ხერხსა მივმართე,
მეტი არ მქონდა ძალია.
მთას დავუბარე მუქარით:
ვცადოთ ვისი ჭრის ხმალია,
განანებ თავხედობასა,
იცოდე—შენი ბრალია.
მთამ რო გაიგო მუქარა
მეტათ იუკადრისაო,
და დამიშინა ზვავები,
ჩამონასხლეტი კლდისაო.
და სწორეთ მეც ეგ მინდოდა,
მოსამატებლად წყლისაო:
დადნა და წყალი შეიქნა
ზვავი, ნასროლი მთისაო.

256. ვინც საქმე გააკეთა, პურიც იმანა ჭამოს

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ბიჭი, ჰყავდა დედა და ერთი ხარი. ხვნის ან ლეწვის დროს ხართან ულელში ხან შვილი, ხან დედა შეებმებოდენ ხოლმე. ერთხელ ხართან ულელში დედა იყო შებმული, შვილი კევრზე იდგა და ასე ლეწავდენ ძნას. ამ დროს ხელმწიფემ გამოიარა.

—ბიჭო, რას შერები მაგას, რა გიქნია საცოდავ დედაკაცისათვისა!?

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, ერთი ხარის მეტი არა გვყავს და მეტი ღონე არა გვაქვს, ასე ვშველით ხარს ულლის გაწევაში!

— მაშ თუ ეგრეა, წამოდი ჩემთან და მე მოგცემ ერთ ხარს,—უთხრა ხელმწიფემ.

ბიჭს გაუხარდა და გაჰყვა.

თურმე ხელმწიფეს ჰყავდა ერთი ისეთი გიჟი ხარი, რომ ახლოს არავის იკარებდა. დაჰხვია ხელმწიფემ ამ ხარს თავისი ჯარი და რის ვაივაგლახით შეაგდეს ბაკში. ბიჭმა უთხრა: რამდენიმე დღეს ნურაფერს ნუ აკმევთო. კარგა ხნის შემდეგ ბიჭი მიუახლოვდა ხარს და ცოტა თივა შეაკამა, ბიჭმა დაიჭირა ხარი, იღლიაში თივა ამოიდო და გამოუძღვა. ხარი უკან გაჰყვა, მიიყვანა შინ, შეაგდო ბოსელში და ოთხი დღე არაფერი აკამა. მეხუთე დღეს გამოიყვანა, შეაბა კევრში თავის ხართან, თავისი დედა კევრზე დაუსვა, თითონ თივა აიკიდა და გაუძღვა წინ. გაჰყვა მშიერი ხარი უკან. ბოლოს ისე მოარჯულა ეს ხარი, რომ დაუფასებელი გახდა.

ერთხელ ეს ბიჭი თავის ხარებს კალოზე დააქროლებდა, თითონ კევრზე იდგა და ოროველას დასძახოდა. ამ დროს ხელმწიფემ გამოიარა და ბიჭს ჰკითხა:

— ვისია ეგ ხარი?

— ჩემია, შენი ჭირიმე, თქვენ რომ მაჩუქეთ ის ხარია,— მიუგო ბიჭმა. მეფეს გაუკვირდა და ბიჭს უთხრა:

— წამოდი ჩემთან, ერთი ქალი მყავს და შენ უნდა მოგათხოვო.

— რასა ბრძანებ, შენი ჭირიმე, მე რა თქვენი ქალის ღირსი ვარ!

— მე შენ გიბრძანებ, უნდა წამოხვიდე და ჩემი ქალი შეირთო!—უთხრა ხელმწიფემ.

ბიჭი კიდევ შეეხვეწა თავი გაენებებინა, მაგრამ მეტი ღონე არა ჰქონდა, ადგა და გაჰყვა ხელმწიფეს.

თურმე ამ ხელმწიფეს ერთი ისეთი ზარმაცი ქალი ჰყოლია, რომ რაც დაბადებულა ლოგინიდან არ ამდგარა, ლოგინში ჩააცმევდენ, იქვე სჭამდა და სვამდა. მივიდენ სასახლეში. ეს ბიჭი კიდევ შეემუდარა ხელმწიფეს:

— გამანთავისუფლე, შენი ჭირიმე, რა ჩემი საქმეა თქვენი ქალიო!— ხელმწიფემ თავისი არ დაიშალა. ბიჭმა უთხრა ხელმწიფეს:

— კარგი, შენი ჭირიმე, რაკი აღარ მეშვებით, მაშ ერთი ჟანგიანი ხმალი მომეცით, ერთი ქეციანი ძაღლი და ერთიც გადამკვდარი ცხენი.—ამაზე უარს ვინ ეტყოდა, მისცეს რაც ითხოვა. ჩამოიკიდა დაჟანგული ხმალი, წამოიყვანა ხელმწიფის ქალი, ქეციანი ძაღლი და გაძვალტყავებული ცხენი. მოდის ბიჭი და ზარმაცად, ზლაზნით ყველანი მისდევენ უკან. მიუბრუნდა ბიჭი ძაღლს და ეუბნება:

— ძაღლო! ჩემს ნაფეხურზე დაადგი ფეხი, თორემ ამ ხმალს ხომ ჰხედავ? თავს მოგაგდებინებ!

რასაკვირველია, ძაღლი ვერ აუსრულებდა ბრძანებას. მიუბრუნდა ბიჭი ძაღლს, დაჰკრა ხმალი და თავი გააგდებინა. ახლა ცხენს უთხრა:

— ცხენო, ჩქარა იარე, ფეხი ჩემს ნაფეხურზე დაადგი, აქეთ-იქით ნუ გადაუხვევ, თორემ ამ ხმალს ხომ ჰხედავ, თავს წაგაგდებინებ!—ცხენს რა გაეგებოდა ბიჭის ლაპარაკი, როგორ აასრულებდა მის ბრძანებას! მიუბრუნდა ბიჭი, დაჰკრა ხმალი და თავი მოაგდებინა.

მერე ქალს უთხრა: — ქალო, ხომ ხედავ ამ ხმალს, ჩქარა იარე, ფეხი ჩემ ნაფეხურზე დაადგი, თორემ შენც ისე გადაგაგდებინებ თავს, როგორც სხვებსა!

მიდის ბიჭი, მისდევს ქალი, ეშინიან არ ჩამორჩეს; რო-

ბორც იყო და არ იყო მივიდენ სახლში. გაუშალეს ლოგინი, ჩაწვა შიგ ეს ქალი და აღარც იქით იძვრის და აღარც აქეთ.

მეორე დღეს დედა და შვილი სამუშაოდ კალოზე წავიდნენ. მთელი დღე იმუშავეს, გალეწეს, გაანიავეს და საღამოთი შინ დაბრუნდნენ. დედამა ჰკითხა შვილს:

— შვილო!

— რა გინდა, დედა?

— პური ვინა ჭამოს?

— მე და შენა!

— საქმე ვინ გააკეთა?

— მე და შენა,—მიუგო შვილმა.

ჭამეს დედა-შვილმა პური, ქალი კი შორიდან უყურებს მშიერ-მწყურვალი. დაწვნენ და დაიძინეს. მეორე დღეს ისევ სამუშაოდ წავიდნენ. ასე გაატარეს ოთხი დღე. ქალს მეხუთე დღეს ისე მოშივდა, რომ სულ კუჭი ეწვოდა სიმშილით. თუ არა გავაკეთერა, ეს ხალხი მშიერს მომკლავენო, სთქვა ქალმა, მისწვდა ლოგინიდან ცოცხს და რასაც ლოგინიდან მისწვდებოდა, შემოიგავა გარშემო. დედა და შვილი საღამოთი მუშაობიდან დაბრუნდენ.

— შვილო!

— რა გინდა, დედა?

— საქმე ვინ გააკეთა?

— მე და შენა!—უთხრა შვილმა.

— პური ვინა ჭამოს?

— მე და შენა.

დასხდენ დედა-შვილი და ჭამეს პური.

დედამ შვილს უთხრა:—ცოტა პური ამასაც მოვუტეხოთ, თავის გარშემო შემოუგვია. მოუტეხეს ერთი ხელის გულის ოდენა პური. ცოტა პურმა ქალს უფრო მადა გაუღვიძა. მეორე დილით დედა და შვილი სამუშაოზე რომ წავიდენ, შიმშილმა ისე შეაწუხა ეს ქალი, რომ ადგა, აიღო ცოცხი და ნახევარ კერა შემოგავა, მივიდა და ისევ ლოგინში ჩაწვა. მოვიდენ დედა-შვილი, ჭამეს პური და ნახევარი პური ქალსაც მოუტეხეს კერის დაგვისათვის. დილით ისევ სამუშაოზე წავიდნენ. ქალი ადგა, მთელი სახლი დაგავა, ლოგინი დაიბერტყა, დააგო და ისევ შიგ ჩაწვა. ჭამეს პური და ქალსაც ერთი მთელი პური მიუტანეს. მეორე დილით ჩვეულებრივ დედა-შვილი სამუშაოზე წავიდნენ. ქალმა იფიქრა: ეს კარგი, ერთი

პური დღესა და ხვალ მეყოს, მერე? თუ არა გავაკეთერა ეს ხალხი შიმშილით მომკლავენ. ადგა, აილაგა ლოგინი, დაიბანა პირი, დაგავა, დაასუფთავა სახლი, ჯამ-ჭურჭელი დარეცხა, დააკრიალა, კერაში შემოდგა შეჭამანდი, მოირთო და ისე დახვდა დედამთილს და ქმარს. დედა-შვილს გაუხარდათ, გადაეხვივნენ და გადაჰკოცნეს. ამის შემდეგ ისე მორჯულდა და მოიქცა ეს ქალი, რომ ბადალი არა ჰყავდა.

ერთხელ ხელმწიფემა სთქვა: მოდი წავალ, გავიგებ რა დაემართა ჩემს ქალს, ცოცხალია თუ მკვდარიო. დედამთილი და ქმარი სამუშაოდ იყვნენ წასული, თითონ კი დერეფანში იჯდა და ლობიოს არჩევდა. დაინახა თავისი მამა, გაექანა და გადაეხვია. მეფეს ძალიან გაუხარდა, რომ თავისი ქალი ასე ნახა. ქალმა უთხრა მამას: ჩემი ქმარი, ვინც საქმეს არ გააკეთებს, პურს არ აჭმევსო, აბრძანდით ბანზე ვეზირებით და ბანი დატკეპნეთო. ამ ქალის ქმარს ის-ის იყო ახალი ქვითკირის სახლი გაეკეთებინა და ბანზე ახალი მიწა იყო დაყრილი. გახარებული მეფე თავის ვეზირებით ავიდენ ბანზე და კარგად დაუტკეპნეს ბანი. ამ დროს დედა და შვილიც მოვიდა, გამართეს ლხინი და მეჯლისი. მეფემ დაასაჩუქრა თავისი სიძე და ქალი და დაიწყეს ტკბილი ცხოვრება.

257. მ თ ხ ო ვ ა რ ა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რაღა იქნებოდა, იყო ერთი ძალიან მდიდარი ხელმწიფე. ამ ხელმწიფეს თავისზე მდიდარი ქვეყანაზე აღარავინ ეგონა. გააკეთა თორმეტი სახლი, შემოავლო დიდი და მაღალი გალავანი, რომელსაც თორმეტი ჭიშკარი გაუკეთა. თითო ჭიშკარს თითო მცველი დაუყენა, მისცა ყველა მათ ბევრი ფული და უბრძანა: თუ მთხოვარი მოვიდეს, მიეცით ფული და გაისტუმრეთ, თუ რომელიმე მათგანი გაჭირვეულდეს და შემოიწიოს — შემოუშვითო. ყოველ სახლის კართანაც დაუყენა მცველები. იმათაც ფული მისცა და უთხრა: მთხოვარა თუ მოვიდეს, ფული მიეცით, თუ შემოიწიოს, არ შემოუშვათო.

მივიდა ერთხელ ერთი მთხოვარა და მოწყალება ითხოვა.

ერთმა მისცა, ახლა მეორესთან მივიდა—მიიღო ფული. მესამესთან და ასე ყველა მცველებთან მივიდა და ყველასაგან ფული მიიღო. მერე შიგნით შეიწია და შეუშვეს. იქაც ყველა სახლის კარის მცველებს ჩამოუარა და ყველასაგან მიიღო ფული. ახლა შინ შეიწია მეფის სანახავად, მცველებმა არ შეუშვეს, მთხოვარა გაჭირვეულდა, თავისი არ დაიშალა და შევიდა ხელმწიფესთან.

ხელმწიფე გამოვიდა და ჰკითხა: რა გინდა, რად შემოხვედი, კაცო?!

— მოწყალებას ვთხოულობ,—მიუგო მთხოვარამ.

— ამდენ კარის მცველებისაგან რომ ფული მიიღე, განა ის მოწყალება არ არის!?—უთხრა ხელმწიფემ. მთხოვარამ ყველა მცველებისაგან მიღებული ფული ესროლა ხელმწიფეს ფეხებში და უთხრა:

— არა ჰგვანებიხარ მისრეთის ხელმწიფესა!—გამობრუნდა და საჩქაროთ წავიდა. ხელმწიფემ რომ ეს გაიგონა ეცა ელდა, ჩაწვა ლოგინში, აღარცა სჭამდა და აღარცა სვამდა; სულ იმის ფიქრში და დარდში იყო, ვინ არის მისრეთის მეფე, რომელიც მე მჯობიან სიმდიდრითაო. უსათუოთ უნდა წავიდე, ვნახო ის ხელმწიფე, რათაც უნდა დამიჯდესო.

ადგა, ჩაიცვა მათხოვრულად (დავრიშულად), თავისი სახელმწიფო ტანისამოსი შიგნით შემოირტყა, აიღო ჯოხი და გაუდგა გზას. იარა, იარა უგზო უკვლოთ და ერთ ქალაქს მიადგა. იმ ქალაქისა ყველაფერი—სახლები, ბაღის ღობეებიც კი სულ სპილენძისა იყო. მივიდა ერთ მებაღესთან და სთხოვა ღამე გაეთენებინათ. მებაღემ სიამოვნებით მიიღო. უხვად გაუმასპინძლდა. თორმეტი სულ სხვადასხვა საჭმელი მიართვა სპილენძის ჭურჭლითა. თორმეტი სპილენძის თეფში, მათლაფა და სხვადასხვა ჭურჭელი ხურჯინში ჩაულაგა და უთხრა: ესეც თან უნდა წაიღოვო. გაკვირვებულმა ხელმწიფემ მასპინძელს ჰკითხა:—რათაო?—ასე გვაქვს ჩვენი ხელმწიფისაგან ნაბრძანებიო,—მიუგო მასპინძელმა.

— ვინ არის თქვენი ხელმწიფე?

— მისრეთის ხელმწიფე!—მიუგო მებაღემ.

— მაშ კარგი, რაკი ასეა, ეს ხურჯინი აქ იყოს, გამოვივლი და წავიღებო,—უთხრა ხელმწიფემ და გაუდგა გზას.

იარა, იარა უგზო-უკვლოდ და დაინახა, რომ შორს რაღაც თეთრად ბრჭყვიალებს. იარა, იარა იქითკენ და მივიდა ვერცხლის ქალაქში. აქ ყველაფერი ვერცხლისა იყო. დადგა ისევ ერთ მებაღესთან. ისენიც კარგად გაუმასპინძლდენ, თორმეტი თავი საქმელი სულ ვერცხლის ჭურჭლით მიუტანეს. მეორე დღეს ეს ჭურჭელი დარეცხილ-დასუფთავებული ჩაუწვეს ხურჯინში და იმათაც უთხრეს ეს ჭურჭელი თან უნდა წაიღო, ასე გვაქვს ჩვენი ხელმწიფისაგან ნაბრძანებიო.

— ვინ არის თქვენი ხელმწიფე,—ჰკითხა მეფემ.

— ჩვენი ხელმწიფე მისრეთის ხელმწიფეა—გასათხოვარი ქალია.

— რატომ არა თხოვდება თქვენი ხელმწიფე?—ჰკითხა მეფემ.

— ერთი სიტყვა აქვს, ვინც იმ სიტყვას გაუგებს, იმას მისთხოვდება,—უპასუხეს.

გადაუხადა მადლობა, გამოვიდა და წავიდა. იარა, იარა და ახლა ოქროს ქალაქში შივიდა. იქაც ისე მოექცნენ და ისე უთხრეს, როგორც წინა ქალაქებში. გავიდა ქალაქ გარეთ. დაინახა ერთი სოფელი, მივიდა და იქ ერთ ბებერ დედაკაცთან დადგა. ხელმწიფემ იმ დედაკაცს ჰკითხა:

— დედა შვილობას, ერთი მითხარი: რატომ თქვენი ხელმწიფე არა თხოვდება?

— ჩვენ ხელმწიფეს ერთი სიტყვა აქვს, ვინც იმ სიტყვის აზრს გაიგებს, ის უნდა შეირთოს ქმრათაო,—უპასუხა დედაკაცმა.

— გეთაყვა თუ შეიძლება შეატყობინეთ თქვენს ხელმწიფეს ესა და ეს ხელმწიფე მოვიდა და თქვენი ნახვა ჰსურს თქო.

დედაკაცი წავიდა და მისრეთის ხელმწიფეს—გასათხოვარ ქალს შეატყობინა უცხო ხელმწიფის მოსვლა და მისი ნახვის სურვილი. ქალმა უთხრა: მობრძანდესო. ხელმწიფემ გაიხადა მთხოვრის ტანისამოსი, შეიმოსა მეფური ტანისამოსით და მივიდა ქალის სასახლეში. ქალი მოეგება და ერთ დიდ დარბაზში შეიყვანა. დარბაზს ჭერი, იატაკი, კედლები, სუყველაფერი ოქროსი ჰქონდა.

ხელმწიფეებმა ერთმანეთი მოიკითხეს. შემდეგ ხელმწიფემ ჰკითხა მეფე-ქალს: რა მიზეზია რომ ქმარს არ ირთავო.

— რაკი ეგრე ძალიან გდომნია ამისი გაგება, გეტყვი: ამა და ამ ადგილას, ერთ ქალაქში, ყოველ პარასკეობით მოდის ერთი კაცი, ძროხაზე ზის, ხელში უსტარი (წერილი, სურათი) უჭირავს. მივა ერთსა და იმავე ადგილზე, უცქერის, უცქერის სურათს, ამოიღებს ხმალს, მოსჭრის ძროხას თავს, იტირებს, იტირებს და წავა. ვინც ამ კაცის მოქმედების მიზეზს გამიგებს, იმას მივთხოვდები ცოლადო. გამოეშვიდობა ხელმწიფე ამ ქალს, მივიდა ბებერთან, გაიხადა სახელმწიფო ტანისამოსი, ისევ მთხოვრულად ჩაიცვა და გასწია დასახელებულ ქალაქისაკენ. შევიდა ქალაქში, პარასკევი იყო. მოედანზე მთელი მილეთის ხალხი შეკრებილიყო. ხელმწიფე გაერია ხალხში და დაუწყო ლოდინი იმ საოცარი კაცის მოსვლას. ვნახოთ და გამოჩნდა ის კაციც. შემჯდარა ძროხაზე, ხელში უსტარი უჭირავს და მოდის. მოვიდა, გადმოვიდა ძროხიდან, დააცქერდა სურათს, უცქირა, უცქირა, დაახეთქა და დაამსხვერია, ამოიღო ხმალი, მოსჭრა ძროხას თავი, იტირა, იტირა და წავიდა. გაჰყვა ხელმწიფეც უკან. მიდის ის კაცი და მისდევს უკან ხელმწიფე. აიღო ამ კაცმა და გადმოუგდო ოქროთი სავსე ქისა. ხელმწიფემ ზედ გადაიარა ქისაზე და ისევ გაჰყვა კაცს. მოიხედა კაცმა უკან, რომ დაინახა რომ ისევ უკან მისდევდა, შემოიხსნა თავისი ძვირფასი ქამარი და გადაუგდო და გაჩქარებული გასწია. ხელმწიფემ ზედაც არ შეხედა ქამარს და ისევ უკან გაჰყვა. იარა, იარა ამ კაცმა და შევიდა ერთს სახლში, შეჰყვა ხელმწიფეც.

— რა გინდა, კაცო, ჩემგან, რატომ თავს არ დამანებებო,— უთხრა ამ კაცმა ხელმწიფეს.

— მე ამა და ამ ქვეყნის ხელმწიფე ვარ და მინდა გავიგო მიზეზი რათ, ამსხვრევ უსტარს და ან ძროხის ცოდოს რათ იდებო?—უთხრა ხელმწიფემ.

— რაკი ეგრე ძალიან გინდა იმის გაგება, გეტყვი: მე მქონდა სამი დავთარი: ერთი ზეცისა, ერთი ხმელეთისა და ერთიც ქაჯეთ სახელმწიფოსი. რიცა რომელიმე დავთარს გავხსნიდი, რაც კი რამ იმ სახელმწიფოშია, ან რაც კი იქ ხდებოდა, სუყველა ჩემს წინ გამოცხადდებოდა. ერთხელ ცოლის შერთვა მოვინდომე. გადავშალე ზეცის დავთარი და იქ არც ერთი ქალი არ მომეწონა, გადავშალე ხმელეთისა და

არც იქ მომეწონა ვინმე, გადავშალე ქაჯეთ სახელმწიფოსი, მომეწონა ერთი ქალი და შევირთე ცოლად. იმ ქალს თან მოჰყვა ერთი დედაბერი. ერთხელ ეს დედაბერი გაჰქრა და თან წაიღო მოპარული ქაჯეთ სახელმწიფოს დავთარი. იმ ქალს ჩემი ცოლის სულიც თან გაჰყვა. გადასწია ფარდას და უთხრა:—აი, ეს ქალია ჩემი ცოლი, რომელიც მას აქეთ უსულოდა წევს, სურათიც ამისია, რომელსაც ვამტვრევ ხოლმე. ძროხას რომ ვკლავ, იმ დედაბერის ჯაგრს ვყრილობ. გამოემშვიდობა ხელმწიფე ამ კაცს, გამოვიდა და გაუდგა გზას. ავიდა ერთ მაღალ მთაზე, ნახა რომ ორ მთხოვარას სძინავს. მივიდა, ისიც დაწვა იმათთან და დაიძინა.

ერთ ხელმწიფის შვილს ვაჟიშვილი გასჩენია და თურმე დიდს ნადიმს აპირებდა, სანადიროდ გამოსულიყო. ეს მთხოვრები რომ დაინახა, თავის მხლებლებს უბრძანა, მთხოვრებიც თან წაეყვანათ სასახლეში. წაიყვანეს და სასახლეში დააბინავეს მთხოვრებიც.

ყოველ ღამე სასახლეში ხელმწიფის ოჯახს რაღაც საშინელი ტირილი და წიოკობა აუტყდებოდა ხოლმე. ხელმწიფე-მთხოვარამ ერთხელ იკითხა—რა ამბავია, რომ ყოველ ღამე ასეთი უბედურობა ასტყდება ხოლმეო. მასპინძელმა ხელმწიფემ უთხრა: დიდიხანია შვილი არ გვყავდაო, როგორც იყო ვაჟი გაგვიჩნდა. საღამოობით ჩავაწვენ თუ არა ბავშვს აკვანში, აკვნიანად გაჰქრება ხოლმე, დილაობით კი ისევ აქ გაჩნდებაო. მე ვუშველი თქვენს გაჭირვებასო. როცა დილით ბავშვი აკვნიანად ისევ სასახლეში გაჩნდა, ხელმწიფემ (მთხოვარამ) დასწერა ქაღალდზე: ამა და ამ ხელმწიფეს ვაჟი გასჩენია, ბავშვი აკვნიანათ ყოველ ღამე გაქრება და მხოლოდ დილით ისევ გამოჩნდება ხოლმე. შეშობლები ამის გამო ძალიანა სწუხანო. მეორე ქაღალდზე დასწერა: ამა და ამ ხელმწიფესთვის ქაჯეთ სახელმწიფოს დავთარი მოუპარავს ვიღაც დედაბერს. ხელმწიფის ცოლი მას შემდეგ უსულოდ გამხდარა. ეს ქაღალდები უჩუმრად აკვანში ბავშვის თავით შეაწყო. როდესაც აკვნით ბავშვი დილით ისევ სასახლეში გაჩნდა, ხელმწიფე-მთხოვარა მივიდა აკვანთან, ბავშვის თავიდან ამოიღო დაწერილი ქაღალდები. ერთში ეწერა: „რა გაწუხებთ, ჩვენს ხელმწიფეს ქალი გაუჩნდა, თქვენი ვაჟი სა-

სიძოდ გვინდა, ამისათვის ყოველღამე მოგვყავს და ჩვენს ქალთან ვათამაშებთო“.

მეორეში ეწერა: „ჩვენ ძალიან შეგვაწუხა და აგვაღელვა დედაბერის მიერ ქაჯეთის სახელმწიფოს დავთრის მოპარვამ, ბებერი ჩავაქვავეთ, დავთარს გიგზავნით“.

ეს წერილები აჩვენა ხელმწიფეს, რომელმაც ძალიან გაიხარა, გვთხოვე რაც გინდა და აგისრულებთო, — უთხრეს მთხოვარას. იმან ყველაფერი უამბო თავისი თავის გადასავალი და სთხოვა, რომ მეზობელ ხელმწიფესთან წაეყვანათ ის. დიდის დიდებით წამოიყვანეს მეზობელ ხელმწიფესთან. თან მთხოვარამ წამოიღო დაბრუნებული ქაჯეთ სახელმწიფოს წიგნი, შევიდა თუ არა ხელმწიფის სახლში, ხელწიფის ქალი მაშინვე გაცოცხლდა. გაუხარდა ხელმწიფეს, უთხრა: მთხოვე რაც გინდა და აგისრულებო. იმასაც უამბო თავისი თავგადასავალი და სთხოვა მისრეთის ხელმწიფემდე მიმიყვანეთო. აქედანაც დიდებით წაიყვანეს მისრეთის ხელმწიფესთან. მეფე ქალს ყველაფერი უამბო. ქალს გაუხარდა. დაიწერეს ჯვარი, გამართეს დიდი ლხინი და ნადიმი.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ნაცარი იქა, ფქვილი აქა.

ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა
ძილი გაამოთ ყველასა.

258. ფრინველთ ხელმწიფე

იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა სამი ქალი. ერთხელ ამ ხელმწიფემ სთქვა: მოდი წავალ სხვა ქვეყნებს ვნახავ და ჩემს ქალებს საქმროებსაც ავუჩენო. შეუგზავნა თავის უფროს ქალს ვეზირი საკითხავად: რა გინდა რომ მოგიტანოვო? უფროსმა ქალმა შემოუთვალა: ისეთი კაბა მომიტანე ავდგე—ჩამეცვას, დავჯდე—გამეხადოსო. შუათანა ქალმა შემოუთვალა—ისეთი სარკე ბიშოვნე ბთელი ქვეყანა შიგა სჩანდესო. უმცროსმა შემოუთვალა—ალაყიზილბაშის ყვავილი უნდა მიშოვნოვო. ადგა ეს ხელმწიფე, რკინის ქალამნები ჩაიცვა, რკინის ყავარჯენი

დაიპირა და გაუდგა გზასა. ბევრი სიარულის შემდეგ მივიდა ერთს ქალაქში. იკითხა ყველაფერი რაც თავის ქალებმა დაბარეს. უფროს ქალს კაბა უშოვნა, შუათანას სარკე, მაგრამ როცა ალაყიზილბაშის ყვავილი მოიკითხა, ყველამ გაიკვირვა: მაგისთანა ჩვენ არაფერი არ გვინახავს და არც სახელი გაგვიგონიაო. დაბრუნდა შინ, მიუტანა თავის ქალებს საჩუქრები. უმცროსს უთხრა: არამცთუ შოვნით არ იშოვნება ალაყიზილბაშის ყვავილი, სახელიც კი არავის გაუგონიაო. დაიწყო უმცროსმა ქალმა ტირილი, ჩაიცვა შავი ტანისამოსი და დაიწყო გლოვა.

ადგა ხელმწიფე და ისევ გაუდგა გზასა. იარა, იარა და ერთ სოფლის ბოლოში ერთი კოკააკიდებული ქალი დაინახა. ამ ქალსა ჰკითხა ხელმწიფემ: ალაყიზილბაშის ყვავილი ხომ არ იცი სად იშოვებაო?

ქალმა უპასუხა: ე მაგ მესერს გაჰყევ. იქ ერთ კარებში შეხვალ, იქ ფრინველთ მეფე ზის და ის გეტყვისო. გაჰყვა მესერს, ნახა რომ მართლა იქ ფრინველთ მეფე ზის და გარშემო ფრინველები ახვევია. ჰკითხა იმათ: ალაყიზილბაშის ყვავილი სად არისო?

— აი იქ, ბუმბულის სასახლეს ხომ ჰხედავ? იქ არის ალაყიზილბაშის ყვავილი, თუ ერთ ბუმბულს გამოაძრობ და წაიღებ ისე, რომ არავინ გაგიგოს და არ დაგინახოს, ალაყიზილბაშის ყვავილი თან წამოგყვებაო, თუ არა და დაგეხვევიან ფრინველები და შეგჭამენო. მიხოხდა ჩუმად ხელმწიფე სასახლესთან, გამოაძრო ერთი ბუმბული და გამოსწია შინისკენ. მოვიდა თუ არა შინ, მოჰყვა კიდეც ერთი მშვენიერი ახალგაზრდა ყმაწვილკაცი. გაუხარდა ხელმწიფეს და იმის უმცროს ქალს. დაიწერა ჯვარი და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება. ამათი ბედნიერება უფროს დებს შეშურდათ. ჩვენ ვეზირები ქმრებად გვყავს და მაგან კი მშვენიერი ახალგაზრდა კაცი ფრინველთ მეფე შეირთოვო. მოინდომეს იმათი გაუბედურება. ალაყიზილბაშის ყვავილი დღისით წავიდოდა და საღამოთი კი მოდიოდა ხოლმე. უფროსმა დებმა ჩუმად გატეხეს მამის სალარო, გამოიტანეს შუშის ჭურჭელი, დაამსხვრიეს და დაყარეს იმ ალაგას, სადაც ალაყიზილბაშის ყვავილი ჩამოხდებოდა ხოლმე ცხენიდან. ჩვეულებისამებრ, დაღამებისას, მო-

ვიდა ალაყიზილბაშის ყვავილი, ჩამოხტა ცხენიდან, დაჰკრა ფეხი შუშას, შეერჩო ფეხში შუშა, ისევ შეჯდა ცხენზე, წავიდა და წავიდა. უმცროსი ქალი ელოდა, ელოდა, რომ აღარსად გაჩნდა მისი ქმარი, დაიწყო ტირილი და გლოვა. მერე ადგა, ჩაიცვა რკინის ქალამნები, დაიჭირა რკინის ყავარჯენი, გასწია და წავიდა თავის ქმრის საძებნელად. მამამ შავი კარავი დაიდგა, შავი ტანისამოსი ჩაიცვა და დაიწყო გლოვა. ქალმა იარა, იარა და შეხვდა სწორეთ იმავე კოკიან ქალს. როგორც იმის მამას, ისე ამას ასწავლა გზა ალაყიზილბაშის ყვავილისა. ქალი მივიდა ფრინველთ ხელმწიფის სასახლესთან და ახლო დაჯდა. დარეკეს ზარი. მოვიდა და მოვიდა ფრინველები. ერთი ფრინველი არსადა სჩანდა. რეკეს ზარი და რეკეს, მაინც ფრინველი არსად გამოჩნდა. როდის იყო და როდის არა ბოლოს ეს ფრინველიც მოფრინდა. აქამდის სად იყავიო, ჰკითხეს.—ფრინველთ ხელმწიფეს შუშა შერჩვია ფეხში, ისე შეწუხებულია, ისე ბღავის, როგორც ხარიო, იმას ვუყურებდი,—უპასუხა ფრინველმა.

ქალმა ჰკითხა ფრინველს:

— ის ხელმწიფე სადა სცხოვრობსო?

— აგერ აი, იქ რომ ბუმბულის სასახლეა, იქა სცხოვრობს,— მიუგო ფრინველმა. მივიდა ეს ქალი სასახლესთან. იქ ერთი წყარო იყო და დაჯდა იქ.

ამ დროს ერთი მოახლე მოვიდა იმ წყაროსთან წყლის ასავსებად.

— შენს მზესა, ერთი თასით წყალი დამალევინე,—სთხოვა ქალმა მოახლეს. მოახლე დიდს უარზე დადგა. ქალი მაინც არ მოეშვა, გამოართვა თასი და წყლის დალევის დროს ჩუმათ, თასში, იმ ხელმწიფისაგან მიცემული ბეჭედი ჩააგდო.

მოახლემ მიართვა ხელმწიფეს თასით წყალი, დალევის დროს ხელმწიფემ ის ბეჭედი რომ დაინახა, ერთი ისეთი გადიხარხარა, რომ შუშა ფეხიდან გამოვარდა, ფანჯარა გაამტვრია და გარეთ გავარდა.

— ვინ დალია ამ თასით წყალი?—ჰკითხა ხელმწიფემ მოახლეს.

მოახლეს შეეშინდა და უარი სთქვა,—არავის დაულევიაო.

— ნუ გეშინიან, მართალი მითხარი და დაგასაჩუქრებ.

— გარეთ ვიღაც ერთი მთხოვარა ქალია და იმას დავალევინე,—უთხრა მოახლემ.

— წადი და ეხლავე აქ შემოიყვანეო,—უბრძანა ხელმწიფემ.

როცა ეს ქალი შევიდა, ხელმწიფე წამოხტა, მოეხვია ამ ქალს და ორივემ ტირილი დაიწყეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ თავის მამასთან წამოიყვანა თავისი ქმარი, ყველაფერი უამბო თავის მამას, მამა ძალიან გარისხდა, თავისი ბოროტი ქალები ცხენის კუდზე მოაბმევინა და ისე დახოცა. დარჩა სახელმწიფო უმცროს ქალს და ბედნიერად ცხოვრობდა.

259. ფარიელი და ნესტან-დარეჯანი

იყო ერთი ხელმწიფე, სახელად როსტომი ერქვა. ჰყავდა სამი შვილი: ფრიდონი, ავთანდილი და ტარიელი. როსტომის სიკვდილის შემდეგ ფრიდონი გამეფდა. უმცროსმა, ტარიელმა, დაიწყო მოგზაურობა სხვადასხვა სახელმწიფოებში, ერთ ხელმწიფესთან სამსახურში ტარიელი ამ ხელმწიფის ვეზირად გახდა. იმ ხელმწიფეს ჰყავდა ერთი მშვენიერი და ლამაზი ქალი ნესტან-დარეჯანი (ლესტან-დარეჯანი). ტარიელს და ნესტან-დარეჯანს ერთმანეთი შეუყვარდათ.

ნესტან-დარეჯანის მამას ერთმა სხვა ხელმწიფემ ომი აუტეხა, ტარიელი სარდლად დააყენა და ომში გაგზავნა. ამ დროს ხოროსანის ხელმწიფის შვილისაგან ნესტან-დარეჯანის მამას კაცი მოუვიდა: შენი ქალი უნდა მომათხოვოვო. მეფე დასთანხმდა. ეს რომ ნესტან-დარეჯანმა გაიგო, ძალიან დაღონდა, ადგა და ხოროსნის მეფის შვილს მისწერა:

ახა იხვი, ახა ბატი,
ახა ტურფა სავატელი,
არ მინდა და არ შეგირთავ,
თვალში მეფუქსავატები.

ხორასნის მეფის შვილმა მაინც თავისი არ დაიშალა და თავის ჯარი-ჯამაათით წამოვიდა ნესტან-დარეჯანის შესართავად. ნესტან-დარეჯანმა ეს რომ გაიგო, დასწერა წერილი, შეაბა მტრედს ფრთაზე და ტარიელს გაუგზავნა:

ესე წიგნი დამიწერავს,
გამიპრელავს ქაღალდზედა,
თუ ამ წამს ჩემთან არ მოხვალ,
მათხოვებენ მე სხვაზედა.

ტარიელმა წაიკითხა თუ არა წერილი, მაშინვე შეჯდა თავის რაშზე და გამოსწია შინისკენ. გზაში ხოროსან მეფის შვილი შეხვდა, ტარიელი შეებრძოლა, ამოსწყვიტა თავის ჯარიჯამაათით, მივიდა შინ და თავის გასისხლიანებული რაში საჯინიბოში დააბა და თითონ პირდაპირ ნესტან-დარეჯანთან შევიდა. მეფეს შეატყობინეს, რომ შენი სასიძო ხოროსან მეფის შვილი, ვიღამაც გზაში მოკლა და ვეზირ-ნაზირიც გაუწყვიტაო, ისიც შეატყობინეს, რომ ტარიელი მოვიდა გასისხლიანებული, რაში საჯინიბოში დააბა და თითონ ნესტან-დარეჯანთან შევიდაო.

მეფე მიხვდა საქმე რაშიაც იყო, გასწია ნესტან-დარეჯანის ოთახისაკენ და ორივენი ერთად მწოლიარენი ნახა.

მეფე საშინლად განრისხდა და ტარიელს უთხრა:

ტარიელ! დაგსვი ვეზირად,
სიტყვა შენი ვამჯობინე,
თუ ჩემი ქალი გინდოდა,
რატომ არ შემატყობინე?
ხოროსან მეფის შვილისა
ცოდო რად დამადებინე?
არცა შენ მოგცემ, არც იმას,
ორთავ ხელს აგაღებინებ.
დავუძახებ ხუროებსა,
კიდობანს შეეკვრევინებ,
შიგ ჩავსვავ ნესტან-დარეჯანს
და ზღვასა წავაღებინებ.

ტარიელმა ხელმწიფის მუქარას ყურადღება არ მიაქცია, შეჯდა თავის რაშზე და ისევ საომრად გაეშურა. მეფემ თავისი სიტყვა სისრულეში მოიყვანა: გააკეთებინა კიდობანი, ჩასვა შიგ ნესტან-დარეჯანი და ზღვაში გაუშვა. ზღვამ კიდობანი ქაჯეთის სახელმწიფოში მიიტანა. ტარიელმა დაამარცხა მტერი და გამარჯვებული დაბრუნდა შინ. გაიგო თავისი უბედურობა, ბევრი იტირა, ბევრი იგლოვა, შეჯდა თავის რაშზე და წავიდა ნესტან-დარეჯანის საპოვნელად. მივიდა ზღვასთან, აუარ-ჩამოუარა და გაბრაზებულმა უთხრა:

ზღვაო, რა გიყო?
თოფი არ გესვრის,
ხმლისა არ გესმის,
მუშტით არ გეომებიან!

ავთანდილმა გაიგო თავის ძმის ტარიელის უბედურობა და წამოვიდა მის საძებნელად. იპოვნა ტარიელი ზღვის პირას მტირალი. ტარიელმა თავისი მწუხარება უამბო ავთანდილს. ორივენი წავიდენ თავის უფროს ძმა ფრიდონთან, უამბეს თავისი გასაჭირი, იმის ჯოგში ამოარჩიეს საუკეთესო რაშები. ფრიდონმა გზა დაულოცა და გასწიეს ნესტან-დარეჯანის საძებნელად. იარეს, იარეს და ისევ ზღვას მიადგნენ. ავთანდილმა ტარიელი აქ დასტოვა, თითონ შეცურდა ზღვაში თავის რაშით, გავიდა მეორე ნაპირზე. იქ ერთი წისქვილი დაინახა. მივიდა წისქვილთან. წისქვილთან მეწისქვილის ცოლი იჯდა და წინდასა ჰქსოვდა, იმის ახლოს თამაშობდა იმისი პატარა ქალი, რომელსაც საუცხოო ბაღდადი ჰქონდა მოხვეული. ავთანდილი მიესალმა მეწისქვილის ცოლს და ჰკითხა:

— დედა შვილობას, ერთი მითხარით ეს რა ქვეყანაა?

— ქაჯეთის ქვეყანაა, შვილო!—მიუგო დედაკაცმა.

— აქ კიდობანი ხომ არაფერი გამოუგდია ზღვას?—ჰკითხა ავთანდილმა.

— როგორ არა, შვილო, ერთი კიდობანი მოსდებოდა წისქვილის ღარს, ჩემმა ქმარმა ამოიღო, გახსნა და შიგ საუცხოვო ლამაზი ქალი ნახა, წაიყვანა და ქაჯეთ ხელმწიფეს მიართვა. ეხლა ქაჯეთ ხელმწიფის შვილმა ცოლად უნდა შეირთოს ის ქალი და ქორწილის მზადებაში არიან, ერთი თვე ნადირს ხოცავენ, ორი კვირა უნდა კიდევ ინადირონ. აი ეს ბაღდადიც, ჩემს პატარა ქალს რომ ახვევია, იმ მზეთუნახავ ქალისაა. ავთანდილმა მეწისქვილის ცოლი რიღასთვისაც გაგზავნა, პატარა ქალს ბევრი ფული მისცა და ბაღდადი გამოართვა, შეჯდა რაშზე და თავის ძმა ტარიელისაკენ გამოსწია. ავთანდილმა ტარიელს ყველაფერი უამბო, ბაღდადიც აჩვენა. ტარიელმა ბევრი იტირა, გაუხარდა, რომ ნესტან-დარეჯანის კვალს მიაგნეს, ეხლა თითონ შეჯდა და წამოვიდა მიჯნურის დასახსნელად. გაცურდა იმავე ადგილას—წისქვილთან, ნახა მეწისქვილის ცოლი და მისგან გაიგო, რომ ნესტან-დარეჯანი ერთ მაღალ კოშკში ჰყავთ, სარკმელთან ზის; კოშკის კარებ-

თან ქაჯია ყარაულად, თუ ახლო ვინმე მივა ამ კოშკთან, ეს ქაჯი დაიკივლებს და რაც ქაჯებია იქ შეიყრებიანო.

ტარიელი ამ კოშკთან მივიდა, გაიარ-გამოიარა, სარკმლისკენ დაიწყო ყურება და თან ბაღდადი გაშალა. ნესტან-დარეჯანმა შენიშნა და იცნო თავის ტარიელი, დარაჯ ქაჯს სთხოვა: ერთი წადი შეატყობინე, რომ ფლავი მინდა, მომიმზადონ და მომიტანეო. როცა ქაჯი წავიდა, ნესტან-დარეჯანი გამოიპარა, მივიდა ტარიელთან, ტარიელმა საჩქაროთ შემოისო რაშზე და გამოიქცენ.

ქაჯი დაბრუნდა, ნესტან-დარეჯანი რომ ვეღარ ნახა, ერთი ისეთი დაიწივლა, რომ მთელი საქაჯეთი სწრაფათ შეიკრიბა. გაიგეს რაშიაც იყო საქმე, გამოუდგნენ დასაჭერად.

მიჰქრის ტარიელი და უეცრად ჩამობნელდა.

— ეს რა არის?—ჰკითხა ტარიელმა ნესტან-დარეჯანს.

— ეგ ქაჯთა ჯარის ფეხთა მტვერია,—მიუგო ნესტან-დარეჯანმა.

მერე უეცრად წამოწვიმა.

— ეს რაღა არისო?—იკითხა ტარიელმა.

— ეგ იმათი ცხენების ოფლია,—მიუგო ნესტან-დარეჯანმა.

მიაქროლებს ტარიელი, ეგ-ეგ არის ქაჯები უნდა წამოვიდნენ, რომ ზღვას მიადგენ და შეცურდენ შიგ. ქაჯები მიხვდენ, რომ ვეღარაფერს გახდებოდენ და ეშმაკობას მიმართეს:

— ეგ ხომ მიგყავს და მიგყავს ქალი, შენთვის დაგვილოცნია, დაიცა, მოდი ერთად პური მაინც ვსჭამოთ და გზა დაგილოცოთო.

გაბრიყვდა ტარიელი, მივიდა მათთან, ქაჯებმა რაღაც წამლით დააძინეს ტარიელი, მოიტაცეს ნესტან-დარეჯანი და ისევ კოშკში ჩასვეს. გამოეღვიძა ტარიელს. ბევრი იტირა, თავ'ში იცა, გამოვიდა ავთანდილთან, უამბო ყველაფერი. ეხლა ორივენი წამოვიდნენ ნესტან-დარეჯანის მოსატაცებლად. ნესტან-დარეჯანმა დაინახა ისინი. დარაჯი ქაჯი კოშკში შეიტყუილა, თითონ გარეთ გამოვარდა, გადაურაზა კარები და გამოიქცნენ. მართალია ქაჯები ეხლაც გამოუდგნენ, მაგრამ ამათ ზღვაში შესვლა მოასწრეს და გაღმა მშვიდობიანად გავიდენ. დიდის ამბით იქორწილეს ტარიელმა და ნესტან-დარეჯანმა და ბედნიერად სცხოვრობდენ.

260. ნასყიდა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი და დედაკაცი, ჰყავდათ ერთი ვაჟიშვილი. ძალიან ღარიბათ სცხოვრობდენ, ლუკმა პური ენატრებოდათ, შვილი ვერაფრით შველოდა მშობლებს და ძალიან სწუხდა. უთხრა თავის დედ-მამას, წამიყვანეთ და გამყიდეთ, ჩემი ნაფასურით ჭამეთ და ტანთ ჩაიცვითო, ჯერჯერობით გეყოფათ და მერე იქნება ღმერთმა მიშველოს და თავი დავიხსნა. ამის გაგონებაზე დედ-მამამ ტირილი დაიწყეს. შვილო, შენი ნაფასური ჩვენ როგორ უნდა მოვიხმაროთო და უარი უთხრეს. შვილმა მაინც თავისი არ დაიშალა. მამამ წაიყვანა ტირილით თავისი შვილი გასაყიდათ. გამოემშვიდობა დედას და მამა-შვილი გაუდგენ გზას. შვილმა უთხრა მამას:—რომ გკითხონ როგორა ჰყიდიო, უთხარი—ხუთ თუმნათაო. თუ გკითხონ, რა იცის ხუთი თუმნისაო?—უთხარი: ჩემი შვილი თვალსა, კაცსა და ცხენსა სცნობს-თქო.

ბევრი სიარულის შემდეგ მივიდენ ერთ სახელმწიფოში. ხელმწიფემ გაიგო, რომ ერთ კაცს შვილი მოუყვანია გასასყიდათო. უბრძანა, ის კაცი იმასთან მიეყვანათ. როცა მამა-შვილი მიიყვანეს ხელმწიფესთან, ჰკითხა: როგორა ჰყიდი შვილსაო?—ხუთ თუმნათაო, უპასუხა კაცმა. — ხუთი თუმნისა რა იცის შენმა შვილმა? ჰკითხა ხელმწიფემ.—ჩემი შვილი თვალსა, ცხენსა და კაცსა სცნობსო, უპასუხა მამამ. იყიდა ხელმწიფემ ეს ბიჭი, შვილმა გამოაცილა მამა და უთხრა: ეგ ფული უსათუოთ მოიხმარეთ, რაც გიჭირდეთ იყიდეთო.

მივიდა კაცი შინ, მისცა ცოლს ხუთი თუმანი, ბევრი იტირეს ცოლ-ქმარმა, დაკეცეს ეს ფული და შეინახეს—ეს ჩვენი შვილიაო.

ხელმწიფემ ნასყიდი ბიჭი მიაბარა თავის მეპურეს და უბრძანა დღეში ერთი პური მიეცეო.

იმ სახელმწიფოში ერთმა კაცმა ერთი უცნაური თვალი მოიტანა გასასყიდათ. კაცი ხელმწიფესთან მიიყვანეს. გასინჯა ხელმწიფემ თვალი, ძალიან მოეწონა და ჰკითხა: რას აფასებო?—თავის წონა ფულსა-ო, უპასუხა კაცმა. დასდვეს სასწორზე, მეორეზე დაყარეს ფული, მაგრამ რამდენსაც უმა-

ტებდენ, თვალს ვერ შეუწონეს. ხელმწიფემ მთელი თავისი ქონება შეუწონა, მაგრამ თვალი მაინც მეტი მოდიოდა. გაუკვირდა ხელმწიფეს, დაიბარა თავისი ნასყიდი ბიჭი, რომელსაც ეხლა ყველა ნასყიდას ეძახდენ და უბრძანა: აბა, გაიგე რის თვალია? ნასყიდამ გასინჯა თვალი და მოახსენა: ეს თვალი ადამიანისაა: ადამიანის თვალი ხარბი და გაუმაძღარია, მიწის მეტი ვერაფერი გააძღობსო. დაასველა თვალი, გაგორა მიწაზე, თვალმა მიწა აიკრა, დადეს სასწორზე და ერთი კაპეიკიც ვეღარ აიწონა. ხელმწიფემ მეპურეს უბრძანა, ნასყიდას დღეში სამი პური აძლიეო.

გაიარა ხანმა. იმ სახელმწიფოში ერთმა კაცმა გასასყიდათ ისეთი ცხენი მოიყვანა, რომ სულ ვარსკვლავებს ეთამაშებოდა. ხელმწიფეს ძალიან მოეწონა და უნდა ეყიდნა. დაუძახა ნასყიდა ბიჭს და უთხრა: ეს ცხენი როგორიაო? — ცხენი კარგია, მთელ შენს სახელმწიფოში ასეთი ცხენი არ არის, მაგრამ კამეჩის რძით არის გაზრდილი, ამას დედა ძალიან პატარა მოჰკვდომია, კამეჩისათვის შეუჩვევიათ, ამას როცა დასცხება მაშინვე ტალახში ჩაეშვება.

ხელმწიფემ არ დაუჯერა, ცხენი ძალიან შოეწონა და იყიდა. ერთხელ შეკაზმა და სანადიროთ წავიდა. დაინახა ჯიხვი, გამოუდგა ცხენდაცხენ, ცხენი მერცხალივით მიფრინავდა, წამოეწია ჯიხვს, ის იყო უნდა მოეკლა ჯიხვი, ცხენს დასცხა, გუბე დაინახა, შიგ ჩაწვა და ხელმწიფე სულ ამოისვარა ლაფში და ჯიხვიც გაექცა. ხელმწიფე ეხლა კი დარწმუნდა ნასყიდას ნათქვამის სიმართლეში, მაგრამ გეიანლა იყო. ხელმწიფე შინ რომ მივიდა, მეპურეს უბრძანა: ნასყიდას ერთი პური მიუმატეო.

ხელმწიფე დარწმუნდა, რომ ნასყიდი ბიჭი მართლა ყველაფერს კარგადა სცნობს, გადასწყვიტა—ჩემს სამეფოს შევაგროვებ, უნდა გავიგო ვის უნდა ჩემთვის კარგიო, ვინ არის ჩემი ერთგული და ვინ ორგულიო. დაიბარა ხალხი. შეიკრიბა ხალხი და მოახსენეს ხელმწიფეს, სუყველანი აქ გახლავართ და რას გვიბრძანებ, დიდებულო ხელმწიფეო. ხელმწიფემ დაიბარა ნასყიდა, უბრძანა: — შენ უნდა გამიგო, ვინ არის ამ ხალხში კარგი ჩემთვის და ვინ ჩემი ორგულიო. ნასყიდამ მოახსენა: პირობა უნდა დამიდო და დამიწერო, რომ მე რა-

საც ვიტყვი, იმისთვის არ დამსაჯოთო. ხელმწიფემ მისცა პირობა, და ქაღალდიც დაუწერა. ხალხი შეშინდა: ყველას ეშინოდა, ორგულობა არ დაგვწამონო. მოჰქონდათ და მოჰქონდათ ნასყიდასთან საჩუქრები—ჩემზე კარგი სთქვიო. ნასყიდა ყველას პირობას აძლევდა: ნუ გეშინიათ, არავის არაფერი არ დაგიშავდებათო. გაყო ნასყიდამ ხალხი ორათ. თითონ შუაში ჩადგა. ხან ერთ მხარეს გახედა ხალხს, ხან მეორეს. მერე ხელმწიფეს პირობის ქაღალდი დაანახვა: დიდებულო ხელმწიფეე, პირობა ხომ გახსოვთო? მახსოვს, მახსოვს, ნიუგო ხელმწიფემ. კიდევ გადახედა ხალხს, მერე ხელმწიფეს შეჰხედა და მოახსენა: დიდებულო ხელმწიფეე, აქ ერთი კაციც არ არის ავი და ცუდი, ყველა თქვენი ერთგულია და კეთილის მსურველია, ავიც შენა ხარ და ხარაზის შვილიცაო. ეწყინა ხელმწიფეს, მაგრამ რას იზამდა. წავიდა დაღონებული შინ და თავის დედას ჰკითხა: დედაჩემო, მართალი მითხარ, ვინ იყო მამაჩემი?—ვინა და ხელმწიფე! მიუგო დედამ. ხელმწიფე არ ეშვებოდა: თუ სიმართლეს არ მეტყვი ვინ იყო მამაჩემი, შენს თვალ წინ თავს მოვიკლავო. მეტი რა გზა ჰქონდა, უთხრა: შვილო, მამაშენი ხელმწიფე რომ მოკვდა, მე შვილი არა მყავდა, შენი სახელმწიფო რო სხვას არ დარჩენოდა, ერთი ხარაზი გვყავდა და იმასთან დავიწყე ცხოვრება და იმისაგან მეყოლეო. ხელმწიფემ დაიბარა ნასყიდი ბიჭი, აჰკიდა ცხენებს თვალ-მარგალიტი და უბრძანა: წადი აქედან, ჩემს სახელმწიფოში თვალი აღარ დაგკრაო. წამოიღო ბიჭმა ეს ამოდენა სიმდიდრე და მივიდა თავის დედ-მამამასთან. მშობლები დარდით და სიღარიბით ძალიან დაბერებულიყვნენ, ის ხუთი თუმანი ისევ ჰქონდათ შენახული—ჩვენი შვილის ნაფასურს როგორ დავხარჯავთო. გაიხარეს, ბევრი სიხარულის ცრემლი დაღვარეს შვილის მშვიდობით დაბრუნებით და ნახვით, სიხარულით გაახალგაზრდავდნენ, გაიკეთეს ლამაზი სახლები და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება, ასე რომ დღესაც კი ბედნიერად ცხოვრობენ.

261. ქ ა ჩ ა ლ ა

იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა ერთი ქალი. ხელმწიფემ ბრძანება გასცა: ვინც ისეთ ტყუილს მეტყვის, რომ ჩემს დღეში არ გამეგოს—ჩემს ქალს იმას მივსცემო. შეიკრიფა მთელი სახელმწიფო, მაგრამ ისეთი ტყვილი ვერავინ სთქვა, რომ ხელმწიფეს მოსწონებოდა. იმ სახელმწიფოში სცხოვრობდა ერთი ყველასაგან ყბად აღებული ბიჭი, რომელსაც მეტ სახელად ქაჩალას ეძახდენ. ხალხმა ქაჩალას უთხრა: მოდი, ქაჩალ, იქნება შენა სთქვა ისეთი ტყუილი, რომ ხელმწიფეს ჯერ არ გაეგონოსო.

მივიდა ქაჩალაც ხელმწიფესთან და უთხრა: აბა მე რა მეცოდინება, დიდებულო ხელმწიფე.

მამიჩემის ქორწილში,
ბატით წაველ ქორწილში,
გამოშივარდა მგელი,
გამომიპამა მკერდი.
გადავფრინდი ტყეში,
გამოვჭერ წნელი თხილში,
გამოვუხლართე გვერდი,
შევჯექი და მივედი.

ხალხმა სიცილი დაიწყო ამ ტყუილზე და ძალიან გააკვირვა ასეთმა ტყუილმა, მაგრამ მაინც უთხრეს: ეგ ტყუილი კი არ არის—მართალიაო.

მეორედ ხალხი კიდევ შეიკრიბა. ვერც მაშინ ვერავინ ვერაფერი სთქვა ისეთი ტყუილი, რომ ხელმწიფე გაეკვირვებინათ. მოვიდა ქაჩალაც.

— მოდი, ქაჩალ, იქნება შენ რამე იცი ისეთი ტყუილი, ხელმწიფე გააკვირვოსო. ქაჩალამ ხელმწიფეს მოახსენა: ჩვენი საბძლის ბოლოზე დედაჩემმა გოგრა დათესა, იარა, იარა გოგრამ და შავ ზღვის გაღმა გავიდა. წავიღე ურემი, გოგრის ყუნწზე გავატარე, დაეჭერ გოგრა, დაუდე ურემზე, ისევ გოგრის ყუნწზე გამოვატარე, ეს არის იქიდან მოველიო. თუმც ხალხს ძალიან მოეწონა ეს ტყუილი, მაინცა სთქვა: ეგ ტყვილი კი არ არის—მართალიაო.

მესამე დღეს კიდევ შეიკრიბა ხალხი. ვერავინ ვერაფერი

სთქვა ხელმწიფის მოსაწონი. ქაჩალს ურემზე ათ კოკიანი ქვევრი დაუდვია და მოდის. ხელმწიფემ, რომ დაინახა ქაჩალა, უბრძანა ხალხს: ქაჩალამ როგორი ტყუილიც არა სთქვას, თქვენ ისევ დაიძახეთ—ეგ ხომ მართალიაო. ხალხმა უთხრა ქაჩალას: ქაჩალ, მოდი და ერთი კარგი ტყუილი გეცოდინება და სთქვიო. ქაჩალამ ხელმწიფეს მოახსენა:—დიდებულო ხელმწიფევ, მამაჩემი რომ კვდებოდა მითხრა: ჩვენს ხელმწიფეს ერთი ეს ქვევრი ოქრო ჰმართებს და გამოართვიო, გთხოვთ, ნუ ინებებთ ჩემს ცოდოს და ვალი დამიბრუნოვო. ხალხმა დაიძახა: მართალია, მართალიაო.—მაშ თუ ტყუილი არ არის და მართალია და ქვევრი ეხლავე ოქროთი უნდა ამივსოთო.

რაღას იზავდა ხელმწიფე, ქვევრიც ოქროთი გაუვსო, ქალიც იმას მიათხოვა და ხელმწიფობაც დაულოცა.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ნაცარი იქა, ფქვილი აქა.

262. სიზმარი

იყო და არა იყო რა, იყო კაცი და დედაკაცი, ჰყავდათ ერთი ვაჟიშვილი. ერთხელ მამა-შვილნი წავიდენ მინდორში სამუშაოთ. როცა დაისვენეს, ბიჭმა დაიძინა. გამოიღვიძა და მამას უამბო თავისი სიზმარი: მარჯვნივ მზე მეჯდა, მარცხნივ—მთვარე, შუქურ-ვარსკვლავი კალთაში მეჯდა და ღვინოს მასმევდაო. მამამ უთხრა: ეგ სიზმარი მე უნდა მაჩუქოვო.—რანაირად უნდა გაჩუქო, ეს ხომ სიზმარია, განა ჩიტის ბარტყია ხელში მეჭიროს. მამა მაინც არ ეშვებოდა, ეგ სიზმარი მე უნდა მაჩუქოვო.—აბა როგორ გაჩუქო: სიზმრის ჩუქება როგორ შეიძლება, სიზმარი იყო და გაიარა. გაბრაზდა მამა, გამოუდგა მოსაკლავად, შვილი გაიქცა, ხელმწიფის კარზე მივიდა, ეგონა ხელმწიფე დამიფარავსო. ხელმწიფემ რომ გაიგო რაშიაც იყო საქმე, ახლა ის ჩააცივდა, ეგ სიზმარი მე უნდა მაჩუქოვო. სიზმარი როგორ გაჩუქოვო, უპასუხა ბიჭმა. გაჯავრდა ხელმწიფე, დააჭერინა და ერთ დიდ ხაროში ჩაადებინა. იმ ხაროში ხელმწიფეს გველეშაპი ჰყავდა, ვინც რამეს დაუშავებდა, იმ ხაროში ჩააგდებდნენ და იმწამსვე გველეშაპი შესჭამდა. როცა ბიჭი ჩააგდეს ხაროში, გველეშაპმა

დაიწივლა და ქვესკნელს გაექანა. ხელმწიფის ქალს ძალიან ენანებოდა ის ბიჭი, რომ უსამართლოდ ჩააგდეს ხაროში. რამდენიმე დღის შემდეგ ქალი ჩუმათ წავიდა და ჩაიხედა ხაროში. ნახა ბიჭი ცოცხალი იყო და გველეშაპი კი იქ არ იყო. ძალიან გაუკვირდა, ჰკითხა ბიჭს, გველეშაპს როგორ გადურჩიო, რომ არ შეგჭამაო. ბიჭმა უამბო ყველაფერი, საქმე როგორც იყო. ქალი მამის ჩუმად ბიჭს საქმელს უზიდავდა.

ერთხელ დასავლეთის ხელმწიფეს ამ აღმოსავლეთის ხელმწიფისათვის მარმარილოს ქვა გამოეგზავნა და შემოეთვალა:— ეს ქვა უნდა დამირთავო, თუ არ დამირთავ შენს ქალს მე წამოვიყვანო. დაღონდნენ ხელმწიფე და მისი ქალი, მარმარილოს ქვის დართვა როგორ შეიძლებაო! როცა ქალმა ბიჭს სადილი მიუტანა, დაღონებულმა უამბო ყველაფერი,— თუ არ დავართით, დასავლეთ ხელმწიფე წამიყვანსო და შენ რაღა გეშველებაო? ბიჭმა უთხრა: ის ქვა ისევ იმ ხელმწიფეს გაუგზავნეთ და შეუთვალეთ: ცოტა თქვენ დაართეთ და გვაჩვენეთ, როგორ გინდათ დართვა, მსხვილათ თუ წვრილათაო. ის იმას ვერ დაართავს და თავს .დაგანებებთო. მართლაც ისე მოიქცნენ ხელმწიფე და მისი ქალი და აჯობეს დასავლეთ ხელმწიფეს.

გავიდა ცოტა ხანი. დასავლეთ ხელმწიფემ ახლა სამი ცხენი გამოუგზავნა და შემოუთვალა: გამოიცანით ამ ცხენებში დედა რომელია, შვილი რომელია და შვილიშვილი რომელიაო, თუ არ გამოიცნობთ, შენს ქალს მე წავიყვანო. ხელმწიფემ თავისი სახელმწიფო ერთმანეთს შემოახალა, მაგრამ ვერავინ გამოიცნო. დაღონდენ ხელმწიფე და იმისი ქალი. ქალმა ყველაფერი ბიჭს უამბო, ის ხელმწიფე მე წამიყვანსო და შენ რაღა გეშველებაო? ვაჟმა, უთხრა: თქვენ ნუ გეშინიანთ, იმ ცხენებს ბევრი მარილი აჭამეთ. სამი დღე დაამწყვდიეთ, მერე გამოუშვით წყლის დასალევათ, პირველათ დედა გამოვა, მერე შვილი და ბოლოს შვილიშვილი. ნიშანი დაადეთ და შეუთვალეთ: ეს დედაა, ეს შვილი და ეს შვილიშვილი-თქო. ქალმა მამას ურჩია. მართლა ასე მოიქცნენ, ნიშნები დაადეს — ეს დედაა, ეს შვილია და ეს შვილიშვილიო და გაუგზავნეს.

დასავლეთ ხელმწიფეს არ ესიამოვნა ეს, გაჯავრებულმა შემოუთვალა: ისეთი კაცი უნდა მიშოვნოთ, რომ მანდედან

ზარბაზანი გამოისროლოს და აქ ჩემი სახელმწიფოს ნახევარი სულ წააღებინოსო.

დაღონდნენ ხელმწიფე და მისი ქალი, მთელ სახელმწიფოში ვერავინ იპოვნეს ამის ამსრულებელი. როცა ქალმა სადილი მიუტანა ვაჟს, ყველაფერი უამბო. ვაჟმა უთხრა: მაღლა ვიყო, მე ვიცოდი, როგორც წავაღებინებდიო, აბა აქედან რა ექნაო. მაშ შეგიძლიან ამის ასრულება? ჰკითხა ქალმა. მაღლა ვიყო მე ვიცოდი, როგორც დავანგრევდიო, კიდევ გაუმეორა ბიჭმა.

დიდი ხანია ქალს უნდოდა ამ ბიჭის როგორმე განთავისუფლება, ძალიან ენანებოდა, უსამართლოთ რომ იტანჯებოდა, მაგრამ მამას ვერ უბედავდა, ეხლა კი თამამად გაუბედა მამას და უთხრა:—მამავ, თქვენ რომ ხაროში ბიჭი ჩააგდებინეთ, იქნება იმან შესძლოს ეგ საქმეო. ხელმწიფემ გაბრაზებულმა უპასუხა: იმისი ძვლებიც აღარ იქნებაო, ჯერ გველეშაპს არ გადურჩებოდა, მერე შიმშილით მოკვდებოდაო.—ვნახოთ, მამავ, იქნება ცოცხალია და ვკითხოთო, არ ეშვებოდა ქალი. მამა და ქალი წავიდნენ და ნახეს. ხელმწიფეს საშინლად გაუკვირდა, ბიჭი ცოცხალი რომ დაინახა.—ბიჭო, გველეშაპს როგორ გადაურჩი, ჰკითხა ხელმწიფემ. ბიჭმა ყველაფერი უამბო როგორც იყო. ხელმწიფემ თავის გასაჭირი უამბო, თან ჰკითხა: შენ შეგიძლიან მიშველო რამეო? დიდებულო ხელმწიფევ, აქედან აბა რა შემიძლიან და მაღლა ვიყო, მე ვიცოდი რა დღესაც დავაყრიდიო! ხაროში ჯდომის დროს ბიჭს ფრჩხილები ისეთი გაზრდოდა, რომ მიწაში ჩასულიყო ფესვებივით, იმოდენა თმა ეგზრდოდა, რომ ქვეშაც იფენდა და ზევიდანაც იხურავდა. ხელმწიფემ უბრძანა თავის მოსამსახურეებს—ამოიყვანეთო, მაგრამ ვერ მოახერხეს იმისი დაძვრა. ბიჭმა უთხრა: ერთი დანა და მაკრატელი მომაწოდეთ, ფრჩხილებს დავიჭრი და თმას მოვიჭრიო.

ამოიყვანეს მაღლა ბიჭი. ქალმა თავის მამას ყველაფერი უამბო. მეფემ კარგად მიიღო. გაასუფთავეს, ჩააცვეს კარგად, ერთი კვირა დაასვენეს. ერთი კვირის შემდეგ დაუდგეს ზარბაზანი. გაისროლა ბიჭმა და ნახევარი სახელმწიფო კი არა, თვით ხელმწიფის სასახლეც თავზე ჩამოაშალა. გაბრაზდა დასავლეთის ხელმწიფე, კიდევ შემოუთვალა აღმოსავლეთ ხელმ-

წიფეს: ისეთი კაცები უნდა მიშოვნო, რომ თითომ ასი კოკა ღვინო ერთად დალიოსო და ასი კოდი გამომცხვარი პური ერთად შეჭამოსო. დაღონდა აღმოსავლეთის ხელმწიფე. ვაჟმა უთხრა: მე თითონ წავალო. ხელმწიფე და იმისი ქალი ეხვეწებოდნენ—ნუ წახვალო. ვაჟმა მოახსენა: რა ღმერთმა აქამდის შამინახა, ეხლაც ის ღმერთი დამარჩენსო. ახსენა ღმერთი და მოემზადა წასასვლელათ. ხელმწიფემ დიდის ამბით გააცილა. იარა ბიჭმა და გზაზედ ერთი კაცი შემოეყარა. ფეხებზე დოლაბები მიება და კურდღლებს დასდევდა, რამდენსაც დაიჭერდა, მაშინვე გადაჰყლაპავდა. ვაჟმა იფიქრა: ეხლა კი ღმერთმა მიშველაო. მივიდა, მიესალმა და უთხრა: მე და შენ ამხანაგები ვიყვეთო.—ძალიან კარგიო, უპასუხა იმ კაცმა. იარეს, იარეს, დაინახეს: ერთ კაცს გუთანი უბია, ხნავს და თან ბელტებს ყლაპავს. ვაჟმა იმასაც ამხანაგობა სთხოვა. მიდის ვაჟი თავისი ორი ამხანაგით, იარეს და მიეიდნენ ერთ ზღვის პირზე. ნაპირას ერთი კაცი დაეწაფა და ზღვა დააშრო. ესეც გაიამხანაგა და წავიდენ გზას. ნახეს ერთ ხეზე ორი მტრედი ზის, ერთი კაცი, ერთ მტრედს ბოლოში გამოაძრობს ბუმბულს და მეორეს უკეთებდა, ახლა მეორეს გამოაცლიდა და პირველს უკეთებდა, მტრედები კი ვერა ჰგრძნობდნენ და ვერც იტყობდნენ. ესეც გაიამხანაგეს და გაუდგენ გზას.

ვაჟმა გზაში ამხანაგებს ყველაფერი უამბო. ამხანაგებმა დახმარება აღუთქვეს.

მივიდენ დასავლეთ ხელმწიფესთან. ვაჟმა მოახსენა:—ჩვენ აღმოსავლეთ ხელმწიფესაგანა ვართ გამოგზავნილიო. ხელმწიფემ მოამზადა რაც საჭირო იყო. ზღვის დამშრობი მიუჯდა ას კოკიან ღვინის ქვევრს, დაეწაფა და დააშრო. დოლაბებიანმა და ბელტიყლაპიამ რაც პური და ხორცი მოიტანეს, გადაყლაპეს და ხელმწიფეს უთხრეს:—ცოტა რამე კიდევ მოგვიტანეთ—გვშიანო. ხელმწიფე შეშინდა და თავის ვეზირებს უთხრა:—ამათ თუ რამე არ მოვუხერხეთ—გადაგვჭამენო. მოუმზადეს ვახშამი, ხელმწიფემ სანდო პირებს უთხრა, მაგათ კერძი მოუწამლეთ და ისე მიუტანეთო. ვაჟმა შეიტყო ეს და მტრედების პატრონს ჩუმად უთხრა: შეუმჩნეველად კერძები შესცვალეო. ივახშმეს. ხელმწიფე და იმისი მეგობრები დაიხოცხენ, გადარჩა მარტო ხელმწიფის ქალი. წამოიყვანა ვაჟმა

ეს ქალი, მოვიდა აღმოსავლეთ ხელმწიფესთან და ყველაფერი უამბო. ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა და უთხრა: ვაჟიც შენ ყოფილხარ და ხელმწიფობაც შენ გეკუთვნისო, შენთვის დამილოცნია და ჩემი ქალიც შენთვის მომიციაო. ვაჟმა ორივე ქალი შეირთო, დიდებული ქორწილი გადაიხადეს. ეყოლათ ოქროს ქოჩრიანი ვაჟიშვილი. ვაჟმა მარჯვნით აღმოსავლეთის ქალი დაისო, მარცხნივ — დასავლეთისა, ხელში ოქროს ქოჩრიანი ვაჟიშვილი დაიჭირა და თავის სიმაღრს მოახსენა: აი ჩემი სიზმარი: ერთი მზე არის, მეორე მთვარე და ეს ჩემი ვაჟიც—შუქურ-ვარსკვლავი, აბა, ამას თქვენ როგორ გაჩუქებდითო. ხელმწიფემ დალოცა. ვაჟი ბედნიერად ცხოვრობდა.

263. სოლომონ ბრძენი და სოვდაგარი

სოლომონ ბრძენის დროს ერთმა სოვდაგარმა თავისი მოსამსახურე ნოქრებით გაიარა ქალაქ იერუსალიმზე. სოვდაგარმა თავისი ერთი ნოქარი გაგზავნა თავისათვის კვერცხების სასყიდლათ. ნოქარმა ერთი დედაკაცისაგან იყიდა ათი კვერცხი, მოართვა, ისაუზმეს, აჭიდეს თავისი საქონელი აქლემებს და წავიდენ სხვა ქალაქისაკენ სავაჭროდ. სხვა ქალაქში რომ მოვიდენ, ნოქარმა ნახა, რომ ჯიბეში ჩარჩენოდა ბებრისთვის კვერცხებში მისაცემი ფასიდან 10 კაპ. ეწყინა ძალიან, მოახსენა თავის ბატონს, სოვდავარსაც ეწყინა, მაგრამ ორი შაურის ბებრისათვის ჩაბარება შეუძლებელი იყო: უკან დაბრუნება არ შეიძლებოდა, ვისიმე ხელით გადაცემაც ვერ მოხერხდებოდა, ბებრის არც სახელი იცოდენ, არც გვარი, არც ქუჩა; სოვდაგარმა უთხრა ნოქარს: რა გაეწყობა, ცალკე შეინახე ეგ ორი შაური, ცალკე ვასარგებლოთ და რასაც მოიგებს, როცა დავბრუნდებით, ვიპოვნოთ ის დედაკაცი და ჩავაბაროთ თავისი ორი შაური სარგებლით.

სოვდაგარი სხვადასხვა დიდ ქალაქებში ვაჭრობდა. დიდი მოგება ნახა და ამ ვაჭრობით დიდი სიმდიდრე შეიძინა. ორმა შაურმაც ასი თუმანი მოიგო ცალკე ვაჭრობიდან. დაბრუნ-

დენ შინ, გამოიარეს ისევ იერუსალიმში. ბევრი ძებნის შემდეგ იპოვნეს ის ბებერი დედაკაცი, რამაც ძალიან გაახარა ორივენი—სოვდაგარიც და მისი ნოქარიც. დედაკაცს არაფერი ახსოვდა, ვის მიჰყიდა კვერცხები ან როდის, მაგრამ რაკი ბედმა ასეთი დოვლათი არგუნა, გამოართვა ასი თუმანი და მადლობა გადაუხადა. გახარებულმა დედაკაცმა თავის მეზობლებს უამბო ყველაფერი თავისი ორი შაურისა და თან დაუმატა—ღმერთმა ადღეგრძელოს, ასი თუმანი მომიტანესო. მეზობლებმა დაცინვა დაუწყეს: განა იმ ორ შაურს ამოდენა ხანში ასი თუმნის მეტი არ ერგებოდაო?! აბა დაფიქრდი: ათი კვერცხი ას წიწილას გამოიყვანდაო. ის წიწილები გაიზრდებოდნენ, რამდენ კვერცხებს დასდებდენ, იმ კვერცხებიდან აუარებელი წიწილები გამოიჩეკებოდა და ამდენა ხანში ასი თუმანი კი არა, ბევრი ასი თუმანი გერგებოდაო. დედაკაცი სიხარბემ შეიპყრო, გააბრიყვეს, წავიდა, დაუწყო სოვდაგარს ძებნა, იპოვნა და წაედავა: მომატყუეე, მე უფრო მეტი მერგებოდაო. გულნატკენმა სოვდაგარმა უთხრა: მეტის მოცემა არ შემიძლიანო. უჩივლა დედაკაცმა, მოსამართლემ იანგარიშა და მართლა აუარებელი ფული გადაუწყვიტა დედაკაცს. სოვდაგარმა უფრო დიდს სამართალში გაასაჩივრა თავისი საქმე. იქ უფრო მეტის გადახდა გადაუწყვიტეს. ეაჭარმა ვეზირს მიმართა საჩივრით. ვეზირმა კიდევ დაუმატა და რაც ეაჭარს ქონება ჰქონდა, გადასახადის ნახევარსაც არ ეყო. წაართვეს რაც რამე ჰქონდა და მისცეს დედაკაცს. დარჩა სოვდაგარი მთლად ღარიბ-ღატაკი. თავის ნოქრებმაც კი არ ასესხეს იმდენი, რომ ან ვაჭრობა დაეწყო ან სული მოეთქვა, რომ ვასესხოთ საიდანღა გადაგვიხდისო—ფიქრობდენ ნოქრები. მეტი გზა არა ჰქონდა, შინშილით რომ არ მომკვდარიყო, თავის ნოქრებს დაუდგა მოჯამაგირეთ. მოგება და ზარალი ძმანი არიანო, ანუგეშებდა თავის თავს. თან სწამდა, რომ იქნება სიმართლემ როდესმე თავი იჩინოსო.

სოვდაგარს გაგონილი ჰქონდა სოლომონ მეფის სიბრძნე-სამართლიანობაზე. სთქვა—მოდი ერთი ვსცდი და სოლომონ მეფესთანაც ვიჩივლებო. მივიდა და თავისი დარდი შესჩივლა სოლომონ მეფეს. მეფემ უბრძანა: ხვალ მოდი და პასუხს გეტყვიო. მეფემ მთელი ღამე იანგარიშა, ბევრი იფიქრა და მე-

ორე დღეს სოვდაგარს უთხრა: მოსამართლეებს სწორედ უანგარიშიათ, თუ არა გჯერა, დაჯექ და შენ იანგარიშე დაუწყო თითონვე ანგარიში: ათი კვერცხი ათ ქათამს გამოსჩეკდა, ათი ქათამი ამდენსა და ამდენს კვერცხს დასდებდა, ამდენს წიწილას გამოსჩეკდა, ამდენი დაეხოცებოდა, ამდენი კვერცხი გალაყდებოდაო და ასე დაწვრილებით. აბა, ხომ შენ თითონაც კარგადა ჰხედავ, შვილო, რომ მოსამართლეებს სწორეთ უანგარიშებიათო. დაეთანხმა სოვდაგარი და გამწარებული გამობრუნდა. სოლომონ ბრძენმა უეცრად შეაყენა და ჰკითხა: იმ დედაკაცისაგან შენ უმი კვერცხები იყიდე თუ მოხარშული?—მოხარშულიო, უპასუხა სოვდაგარმა. მაშ წადი და ხვალ მოდიო, უბრძანა მეფემ.

მეორე დღისათვის სოლომონ მეფემ დაიბარა ყველა ის მოსამართლეები, რომელთაც სოვდაგრის საქმე გაარჩიეს. შეიკრიბა დიდძალი ხალხი, სასახლის არემარე გაივსო ხალხით. ყველას აკვირვებდა მოსამართლეების დაბარება და რაღაც განსაკუთრებულ გამოცხადებას მოელოდნენ და მოუთმენლად ელოდენ კრების მოწვევის მიზეზის გაგებას. მობრძანდა დედაკაციც, მდიდრული ეტლით და მახლობლებით. დამმარებული სოვდაგარიც აქ იყო ატუზული. გამობრძანდა სოლომონი, თან გამოჰყვენ დიდებულნი და მოსამართლეები. მეფემ ხალხს მიმართა: თქვენ ამ ბოლოხანს ხშირად სჩიეთ მოუსავლობაზე, ეს თურმე იმის ბრალი ყოფილა, რომ თქვენ უმ, მოუხარშავ თესლს სთესავთ. ამის შემდეგ, ვინც გაბედავს და მოუხარშავ თესლს დასთესავს, სასტიკად დაისჯება, როგორც სახელმწიფოს მოღალატე. შეიქმნა ხალხში დრტვინვა და უკმაყოფილება. სთხოვეს ერთ დიდებულს, ხელმწიფესთან დაახლოვებულ მოსამართლეს, მოახსენე მეფეს, როგორ შეიძლება მოხარშული თესლიდან რაიმე ამოვიდეს, ეგ ხომ ჩვენი დაღუპვა იქნებაო.

მეფემ დედაკაცს ჰკითხა: შენ ამ სოვდაგარს მოხარშული კვერცხები მიჰყიდე თუ უმებიო?—მოხარშული, დიდებულო ხელმწიფეე. თბილ-თბილი კვერცხები მივეცი, კვერცხები ისევ ცხელები იყო. მერე მეფემ უამბო ხალხს საქმის ვითარება: მოსამართლეებმა როგორ იანგარიშეს ათი კვერცხიდან ათი წიწილის გამოჩეკა და სხვა და ამდენი შეაყენეს, რომ მდიდარი

სოვდაგრის ქონება არ ეყო იმის ანაზღაურებასაო. ხალხმა ერთხმად დაიძახა: „მოხარშული კვერცხებიდან წიწილების გამოჩეკა ვის გაუგონიაო?“ ასე რომ ხალხმა თითონ გადასწყვიტა სამართალი. მოსამართლეებს შერცხვათ და თავები ჩაღუნეს. მეფემ უბრძანა მათ, წაართვით ამ დედაკაცს რაც რამ სოვდაგრიდან ძიიღო და ჩააბარეთ თავის პატრონს, დედაკაცს კი ორი შაური დაუბრუნეთ თაეისი კანონიერი სარგებლით. სოვდაგარს სიმდიდრე დაუბრუნეს, დედაკაცს კი ის ასი თუმანიც წაართვეს და რვა აბაზი სარგებელი დაუბრუნეს.

264. გრძნეული დები

იყო და არა იყო რა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი, იყო ერთი ცოლ-ქმარი, ჰყავდათ ერთი ვაჟიშვილი. გაიზარდა ვაჟი. ამ დროს ამ ქვეყანაში ატყდა ომიანობა. ბიჭი ომში წავიდა. ომი ოცდაათი წელიწადი გაგრძელდა და ეს ბიჭი სულ ომში იყო. გათავდა ომი და ვაჟიც დაბრუნდა სახლში, მშობლები უკვე დიდი ხანია დახოცოდნენ, ახლო ნათესავი და ნაცნობი აღარავინ დარჩენოდნენ, გული აღარ დაუდგა ამ ქვეყანაში და მოშორდა იქაურობას.

მიდის ეს ბიჭი მინდორში, გაიხედა და დაინახა—თივის ზვინს ცეცხლი ეკიდება, თივის ზვინის გულში ქალი ზის, საცოდავად იტანჯება და გამოსვლა სწადიან. სადაც არის იმასაც მოეკიდება ცეცხლი და დაიწვის. შეევარდა ბიჭი თავისი ცხენით ცეცხლში, გამოიყვანა ქალი და გადაარჩინა საშინელ სიკვდილს. ქალი გველათ იქცა, ბიჭს მკლავზე დაეხვია და უთხრა:—როგორც მიდიხარ, მაგ გზით იარე პირდაპირ და არსაით არ გადაუხვიო. იარა ბიჭმა და მივიდა ერთ სახლთან, გველი ქალათ იქცა. იმ სახლში ამ ქალის ორი და სცხოვრობდა. ქალმა ყველაფერი უამბო, დებმა სიხარულით მიიღეს ბიჭი და სთხოვეს:—მოდი ჩვენთან და-ძმურად იცხოვრეო. ბიჭმა დაიწყო იმათთან ცხოვრება, მაგრამ ერთ ადგილს ყოფნა მოსწყინდა, დობილებს უთხრა: ცოტას გავივლი ცხენითაო. დებმა უთხრეს: ვიცით, შენ სულ წახვალ, ჩვენთან აღარ დაბრუნდები. მისცეს ერთი ხანჯალი, ერთი ისეთი პერანგი, რომ

არც ტყვია, არც ხმალი არ მიუდგებოდა და ერთიც ქისა, რომელშიაც არას დროს ოქრო არ გამოილეოდა. დებმა უთხრეს:—თუ უბედურობა შეგემთხვეს—მოგკლას ვინმემ, შეეხვეწე—აგკაფონ და ხურჯინით შენს ცხენზე გადაგკიდონ. შაჯდა ბიჭი ცხენზე, გადაჰკრა მათრახი და გადაიკარგა.

იარა, იარა და მივიდა ერთ ბებერი ცოლ-ქმრის სახლში, ჰკითხა: ამ თქვენს სახელმწიფოში უცხო ამბავი ხომ არაფერიაო?

— არაფერი, შვილო!—უპასუხეს ბებრებმა.

— მაინც, იქნება არი რამე! – არ ეშვებოდა ბიჭი.

— უცხო ეს არის რომ, ჩვენს ხელმწიფეს ერთი ქალი ჰყავს, ვინც სამ ოთახს სამ თვეს ოქროთი ამივსებს, ჩემს ქალს იმას მივსცემო. ერთი ხელმწიფის შვილი სთხოვს, მაგრამ არ აძლევს.

— დედაშვილობას, წადი და მოახსენე ხელმწიფეს: მე შევუსრულებ რასაც თხოულობს, ოთახებს ოქროთი ავუვსებო.

წავიდა დედაკაცი და მოახსენა ხელმწიფეს:

— ჩემთან ერთი ბიჭი მოვიდა და ის ამბობს—მე ავუვსებ სამს ოთახს ოქროთიო. ხელმწიფემ გაიცინა და უთხრა:

— შენთან ისეთი ვინ უნდა მოვიდეს, რომ ეს შესძლოსო. დედაბერმა ბიჭს ამბავი მოუტანა. ბიჭი კიდევ შეეხვეწა:

— წადი, უთხარი ხელმწიფეს, თუ ვერ შევსძლო, თავი მომჭერ-თქო. დაიბარა ხელმწიფემ ბიჭი და უთხრა:

— ხელმწიფის შვილი მთხოვს ქალს, იმან ვერ შესძლო ჩემი პირობის ასრულება, შენ საით შასძლებო?!

— თუ არ ავავსო სამი ოთახი ოქროთი, თავი მომჭერიო,—უპასუხა ბიჭმა.

აბოლო ბიჭმა თავისი ქისა, გახსნა და სამი ოთახი სამს კვირაზე ოქროთი ავსო. გაუკვირდა ხელმწიფეს, მაგრამ რაღას იზავდა, ადგა და მიათხოვა თავისი ქალი. ქალს ეს ბიჭი არ მოსწონდა—ხელმწიფის შვილი მოსწონდა. ქალმა ხელმწიფის შვილს შაუთვალა:—თუ ჩემი ცოლობა გინდა ამ ბიჭს—ჩემს ქმარს გამოუცხადე ომი, მოკალი და შენ გამოგყვები ცოლადაო. ხელმწიფის შვილმა გამოიწვია ბიჭი საომრად.

ბიჭი რომ საომრაჯ მიდიოდა, სიმამრმა უთხრა—ჯარი წაიყვანეო, მაგრამ ბიჭმა არ ინდომა და მარტო გავიდა. შაუთვალა ხელმწიფის შვილს: ჯარს ნუ დამახოცინებ—მარტო

შენ გამოდი საომრადო, მაგრამ ხელმწიფის შვილმა ჯარი მიუსია. ბიჭმა ამოწყვიტა ყველანი, დაიჭირა ხელმწიფის შვილი და უნდა მოეკლა, მერე შეებრალა და გაანთავისუფლა. ბევრი ეშმაკობით ხელმწიფის ქალმა გაიგო, რაშიაც ჰქონდა ძალა იმის ქმარს, ხელოსნებს გააკეთებინა ისეთივე ხანჯალი, პერანგი და ქისა, ჩუმათ ქმარს თავით დაუწყო, იმისი კი ხელმწიფის შვილს გაუგზავნა და დაუბარა: კიდევ გამოიწვიე საომრადაო. მართლაც გამოიწვია. როცა ბიჭი გავიდა საომრათ, იმისმა ხანჯალმა აღარ გასჭრა, ხელმწიფის შვილმა დაიჭირა და ჰკლავდა. ბიჭი შეეხვეწა: როცა მომკლა, ასო-ასო ამჭერ, ხურჯინში ჩამაწყე და ჩემს ცხენს გადამკიდეო. ხელმწიფის შვილმა აასრულა იმისი თხოვნა: აკაფა, ჩააწყო ხურჯინში და გადაჰკიდა მისივე ცხენს. ცხენი გაიქცა და ბიჭის დობილებთან მიიტანა ხურჯინი. დებმა გადმოიღეს, დარეცხეს ბიჭის ნაჭრები, ჩააწვინეს უკვდავების წყალში. ბიჭი გაცოცხლდა და დაიძახა:—„უჰ, ეს რამდენი მძინებიაო!“ დებმა ყველაფერი უამბეს. მაშინ მიხვდა ვინც მოკლა.

დარჩა ბიჭი ცოტა ხანი დებთან. დები უვლიდენ, მოხარშულს და მოხრაკულებს აკმევდნენ; მოკეთდა, მოღონიერდა და ისევ აიტეხა: ცხენზე უნდა შეეჯდე და გავიარ-გამოვიაროვო. დებმა უთხრეს: ვიცით, შენ აღარ დაბრუნდებიო და მისცეს ერთი ჯვარი, როცა გაგიჭირდეს, რასაც ინატრებ, ყველაფერს აგისრულებს ეს ჯვარიო. შეჯდა ცხენზე და ისევ იმ სახელმწიფოში მივიდა დედაბერთან. ჰკითხა: დედაშვილობას, ამ თქვენს სახელმწიფოში უცხო ამბავი ხომ არაფერიაო.—უცხო ამბავი ის არის, რომ შარშან ჩვენმა ხელმწიფემ ერთ ყმაწვილს თავისი ქალი მიათხოვა, ქალს კი ერთი ხელმწიფის შვილი უყვარდა. იმ ხელმწიფის შვილმა ამ ყმაწვილს ომი გამოუცხადა, მოკლა ხელმწიფის სიძე. ქალი თითონ შეირთო ცოლად და ხელმწიფეთაც თითონ გახდაო. ბიჭმა უთხრა: იმ ხელმწიფის სიძე მე ვარ, მე ცხენათ ვიქცევი, შენ წამიყვანე, იმ ხელმწიფესთან მიმიყვანე, ძალიან მოვეწონები და ჩემ წონა ოქროთ მიმეცეო, ლაგამი პირში არ დამიგდო, გამომაცალე და შინ წაიღეო. თუ გითხრან სად იშოვნე ეგრეთი კარგი ცხენიო, უთხარი—პატარა კვიცი შინ გავზარდე-თქო. ბებერი ასეც მოიქცა. ხელმწიფემ მისცა ცხენის

წონა ოქრო და იყიდა. დედაბერს სიხარულით დაავიწყდა ლაგამი პირიდან გამოეცალა. გამდიდრდა დედაკაცი და კარგად დაიწყო ცხოვრება. იმ ხელმწიფეს ერთი გასათხოვარი ლამაზი დაცა ჰყავდა. თვით ხელმწიფეს, იმის ცოლს და ამ დას ძალიან უყვარდათ ეს ცხენი და კარგად უვლიდენ და ეალერსებოდენ. ერთხელ ხელმწიფის ცოლი დააცქერდა ცხენს თვალებში და თავის წინანდელ ქმრის თვალებს აფერა. მოიგონა ავადობა. მრავალი ექიმები მოჰგვარეს, მაგრამ ვერაფერი უშველეს. თავის ქმარს უთხრა:—თუ ამ ცხენს დაჰკლავ, გულღვიძლს მომიხარშავ, იმის წვენს დამალევინებ, მოვრჩებიო. ძალიან დაღონდა ხელმწიფე, იმისმა დამ ტირილით უთხრა ცხენს: ჩემო ლამაზო ცხენო, დღეს თავს მოგჭრიანო. ცხენმა ენა ამოიდგა და უთხრა ქალს: როცა თავის მოჭრა დამიწყონ და პირველი სისხლი ვამომივიდეს, ფრთხილათ აიღე, ერთი ორმო ამოთხარე მინდორში და იქ ჩაასხიო. ქალი მართლა ისე მოიქცა. ერთი კვირის შემდეგ იმ ადგილას ისეთი ვაშლის ხე ამოვიდა, რომ არემარეს დღესავით ანათებდა.

ხელმწიფის ცოლი მორჩა, მაგრამ საუცხოვო ვაშლის ხე რომ დაინახა, ისევ მოიავადმყოფა თავი. ექიმებმა ვერაფერი უშველეს. ქალმა თავის ქმარს უთხრა: ის ვაშლი მოსჭერით, იმისი შუაგული მოხარშეთ და დამალევინეთ, მარტო ის მომარჩენსო. დაღონდა ხელმწიფე. ხელმწიფის დამ ხეს შასტირა: ჩემო ვაშლო, დღეს მოგჭრიანო. ვაშლმა კაცის ენით აიძრახა: როცა ჭრა დამიწყონ, პირველი ნაფოტი რომ გადმოვარდეს, ის ნაფოტი წაიღე და იმ ტბაში ჩააგდე, სადაც შენი ძმა ბანაობს ხოლმეო. ქალი ისე მოიქცა. ნაფოტი შაშვათ იქცა. როცა ხელმწიფემ ბანაობა დაიწყო, შაშვი იმის ტანისამოსს დააჯდა და კაცად იქცა. უთხრა ხელმწიფეს: აბა ეხლა აქ გამოდიო. მოკლა ხელმწიფე, იმისი ცოლიც, იმისი და ცოლათ შეირთო, დიდი და ლამაზი ქორწილი გააკეთა და ბედნიერათ დაიწყო ცხოვრება.

პირი იქა, ლხინი აქა, ნაცარი იქა, ფქვილი აქა.

265. ხელმწიფის შვილი და ოქრომჭედელი

ერთ ქვეყანაში ერთი ხელმწიფე იყო, სასტიკი და ბორო-ტი. ვინც იმის სახელმწიფოში ცოლს შეირთავდა პირველად ამ ხელმწიფისათვის უნდა მიეყვანა. ერთმა მჭედელმა შეირთო ერთი მეტად ლამაზი ქალი. გააკეთა თორმეტი ზედიზედ გადაბმული ოთახი, ჩასვა თავისი ცოლი მეთორმეტე ოთახში, დაადო ოთახებს თორმეტი კლიტე და სთქვა: აბა ეხლა მომტაცოს ხელმწიფემ ცოლი. საღამოობით, როცა საქმეს გაათავებდა ოქრომჭედელი, გააღებდა თორმეტ ოთახს, ცოლს ნახავდა. დანარჩენ დროს სულ თორმეტკლიტულში იჯდა საცოდავი ქალი.

ამ დროს ერთი ხელმწიფის შვილი დადიოდა სხვადასხვა ქვეყნებში და ათვალიერებდა სხვადასხვა ხალხის ყოფაცხოვრებას. მოვიდა ამ სახელმწიფოშიაც და ერთ ბებერ დედაკაცთან დადგა.

— რა ამბავია, დედი, თქვენს ქვეყანაში? — ჰკითხა ხელმწიფის შვილმა ამ დედაკაცს.

-- რაღა რა ამბავია, შვილო, ჩვენი ხელმწიფის შიშით ცოლი ვერავის შეურთავს. ბრძანება გასცა: ვინც ცოლს შეირთავს, პირველ ღამეს უსათუოთ ჩემთან უნდა მოიყვანოსო, არის ერთი უბედურება და თავში ცემა. აი ეხლაც ერთმა ოქრომჭედელმა შეირთო ერთი ლამაზი ქალი, რომლის ბადალი დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება, ჩაკეტა თორმეტკლიტულში და ჰყავს, საცოდავი, დამწყვდეული. დღე ერთია და ცდა ათასი. წვალობს ჩვენი ხელმწიფე, რომ როგორმე მოსტაცოს ის ქალი, მაგრამ ვერაფერი გაუწყვია.

— არ შეიძლება, დედი, როგორმე დავიახლოვო ის ოქრომჭედელი?—ჰკითხა ხელმწიფის შვილმა.

— ადვილია, შვილო,—უპასუხა ბებერმა,—ჯერ მიდი და ისე უბრალოდ გაეცანი იმ ოქრომჭედელს, მერე სხვა ოქრომჭედელს ერთი ისეთი ბეჭედი გააკეთებინე, რომ დედამიწის ზურგზე იმისი ბადალი არ იყოს, გაიკეთე ხელზე და იმ ოქრომჭედლის ახლოს გაიარე ისე, რომ ბეჭედი დაგინახოს. რომ დაგინახავს, ძალიან მოეწონება, აიღე და ბეჭედი იმას აჩუქე. ხელმწიფის შვილი ასეც მოიქცა. გააკეთებინა ისეთი

ბეჭედი, რომ კაცის თვალს ჯერ ასეთი არა ენახა რა. გაიკეთა და იმ ოქრომჭედლის დასანახვებლად გაიარ-გამოიარა.

— უჰ, ეგ რა საუცხოვო ბეჭედია!—უთხრა ოქრომჭედელმა.

— თუ ასე მოგწონს, ფეშქაშ!—უთხრა ხელმწიფის შვილმა, გამოიძრო და აჩუქა ბეჭედი ოქრომჭედელს.

ხელმწიფის შვილმა ბებერს უთხრა:

— ბეჭედი ვაჩუქე, ეხლა რაღა ვქნაო?

— ეხლა წადი და ისეთი ხმალი გააკეთებინე, რომ ამ ქალაქში არავისა ჰქონდეს, გაიკეთე და ოქრომჭედელს გაუარე, ხმალი მოეწონება, აიღე და აჩუქე, —უთხრა დედაკაცმა. ხელმწიფის შვილმა გააკეთებინა ხმალი, გაიკეთა და ოქრომჭედელს გაუარა. ოქრომჭედელი აღტაცებაში მოვიდა, აიღო მეფის შვილმა და ხმალიც აჩუქა ოქრომჭედელს.

— ეხლა რაღა ვქნაო,—ჰკითხა ხელმწიფის შვილმა დედაკაცს.

— ეხლა ისეთი ქულაჯა შეაკერინე, რომ თვალი ზედ დარჩესო,—უპასუხა. შეაკერინა ხელმწიფის შვილმა, ჩაიცვა და ოქრომჭედელს გამოუარა. ოქრომჭედელმა ჰკითხა:

— ვის შეაკერინე ეგეთი საუცხოვო ქულაჯაო. ხელმწიფის შვილმა ქულაჯაც აჩუქა ოქრომჭედელს. ოქრომჭედელმა წაიღო ყველა ეს ნივთები, თავის ცოლს მიუტანა და იმის ოთახში დაჰკიდა კედელზე. ოქრომჭედელმა ისე შეიყვარა ეს ხელმწიფის შვილი, რომ აღარ იცოდა რა ექნა. მოინდომა მისი პატივისცემა—სადილათ დაპატიჟება. ცოლს შეეკითხა:

— როგორ მოვიქცე, აქ შენს ოთახში მოუხერხებელია იმისი მოყვანა და ჩემს სახელოსნოში რომ მოვიყვანო რა უშავსო?

— შე უბედურო, იმისთანა საპატიო სტუმარი დუქანში როგორ უნდა დაჰპატიჟო, ვინ რას იტყვის! განა შეგეშამს აქ რომ შემოიყვანო!—მაინც ვერ გაბედა ოქრომჭედელმა ცოლის ოთახში სადილის გამართვა და ისევ თავის სახელოსნოში გაუმართა სადილი. ხელმწიფის შვილმა დედაბერს რჩევა ჰკითხა:

— როგორ მოვიქცეო.

— სადილის დროს ჩუმათ ბანგი ჩაუყარეო, დაეძინება, ჯიბიდან გასაღებები ამოაცალე, გააღე კარები და ნახე ქალი. როცა ნახო ისევ დაკეტე და ჯიბეში ისევ ჩაუდე გასაღებებიო, დაარიგა დედაბერმა. მართლაც, სადილის დროს, ხელმწიფის შვილმა ბანგი ჩაურია ოქრომჭედლის სასმელს, ოქრომჭედელი

უგონოთ დაეცა და მკვდარივით დაეძინა. ხელმწიფის შვილმა ამოაცალა გასაღებები და დაუწყო ოთახებს გაღება. მეთორმეტე რომ გააღო, ქალმა დაინახა თუ არა ყმაწვილი, გაექანა და გადაეხვია, შეეხვეწა: ერთი ქბის შუქი დამანახვეო. ხელმწიფის შვილმა დააიმედა:—წაგიყვან, შენზე ჯვარს დავიწერო, მხოლოდ ცოტა უნდა მოითმინოვო. ისევ დაკეტა ოთახები, გასაღებები ჩაუდო ჯიბეში ოქრომჭედელს და თითონაც იქვე მიწვა და თავი მოიმძინარა. გამოიღვიძა ოქრომჭედელმა, ხელმწიფის შვილს ღვიძება დაუწყო.—უუჰ, რამდენი მძინებია! სთქვა სტუმარმა, მადლობა გადაუხადა და წამოვიდა.

ხელმწიფის შვილმა დედაბერს ყველაფერი უამბო.

— რატომ ქალი არ მოიტაცე, ხელის შემშლელი ვინა გყავდა!—ჰკითხა დედაკაცმა.

— მინდა ცოტა კიდეც გავასულელო ოქრომჭედელი,— უპასუხა ხელმწიფის შვილმა.

ხელმწიფის შვილმა ბებრის რჩევით დაიქირავა ქანქანები (მიწისმთხრელნი). ბებრის სახლიდან ოქრომჭედლის ცოლის ტახტის ძირამდე გააკეთებინა საიდუმლო სავალი. ჩავიდოდა და ქალთან ატარებდა დროს, როცა ქმრის მოსელის დრო მოვიდოდა, ისევ ბებრის სახლში ამოძვრებოდა. ერთხელ ხელმწიფის შვილმა ოქრომჭედელს გამოუცხადა თითონ ვინც იყო, უთხრა—ცოლს ვირთავ და მეჯვარეთ უნდა გამომყვეო.— თუკი მიკადრებ, ჩემთვის მაგაზე დიდი ბედნიერება რაღა იქნებაო!—უთხრა გახარებულმა ოქრომჭედელმა.

ხელმწიფის შვილმა ქალთან ყოფნის დროს ჩამოიღო კედლიდან ბეჭედი, რომელიც თითონ აჩუქა ოქრომჭედელს, გაიკეთა ხელზე და ოქრომჭედელს გაუარა. ოქრომჭედელმა იცნო თავისი ბეჭედი, გულგახეთქილი გაექანა თავის ოთახში, სანამ თორმეტ კლიტეს გააღებდა, ხელმწიფის შვილმა მოასწრო, ჩავიდა ქალთან, ბეჭედი თავის ადგილას დაჭკიდა და ისევ ბებრის სახლში ამოძვრა. ოქრომჭედელმა თავისი ბეჭედი თავის ადგილას დაინახა, დამშვიდდა და სთქვა:

— დასწყეველოს ღმერთმა, ხელმწიფის შვილს ხელზე სწორეთ ამისი მსგავსი ბეჭედი აქვს, მე ეს მეგონაო.

—თუ შენთვის იშოვნა, ხელმწიფის შვილი .თავისთვის კი ვერ იშოვნიდა ამისთანა ბეჭედსა?!—უთხრა დაცინვით ცოლმა ოქრომჭედელს. ახლა, მეორეს დღეს, თავის ნაჩუქარი ხმალი

ჩამოიკიდა და ისე ეჩვენა ოქრომჭედელს. გაოცებული ოქრომჭედელი გაიქცა ცოლის ოთახში, ხელმწიფის შვილმა მოასწრო ქალის ოთახში შისვლა, ჩამოჰკიდა თავის ადგილას ხმალი და ისევ ამოძვრა ბებრის ოთახში. ოქრომჭედელმა დაინახა თავისი ხმალი და დამშვიდდა. ცოლმა უთხრა:

— ნეტა რა გიჟივით დარბიხარ, თუ შენთვის იშოვნა ასეთი ხმალი, თავისთვის კი ვეღარ იშოვნიდა?!—დაბრუნდა ოქრომჭედელი შერცხვენილი. მესამე დღეს ხელმწიფის შვილი შეივიდა ქალთან, ჩაიცვა ქულაჯა, შემოიკრა ხმალი, გაიკეთა ბეჭედი და ოქრომჭედლის წინ გაიარ-გამოიარა. გულგახეთქილი ოქრომჭედელი მივარდა თავის სახლში, ნახა ყველა თავთავის ადგილას იყო. ცოლმა დაცინვა და ჯავრობა დაუწყო. მეოთხე დღეს ხელმწიფის შვილმა ქალი გამოიყვანა თორმეტი კლიტულიდან, მოიყვანა ბებრის სახლში, მოისვა გვერდზე და ოქრომჭედელთან კაცი გაგზავნა: მობრძანდი ჯვარისსაწერად მზადა ვართო. გახარებული ოქრომჭედელი შემოვიდა ბებრის სახლში, თავისი ცოლი რომ დაინახა ელდა ეცა,—ცოტახანს შინ გიახლებით და ეხლავე დავბრუნდები,—მოიხადა ბოდიში ოქრომჭედელმა და გაექანა თავის სახლისკენ. სანამ ის თორმეტ კლიტეს გააღებდა, ხელმწიფის შვილმა ქალი ისევ ოქრომჭედლის ოთახში გაიყვანა. შევარდა ოქრომჭედელი, დაინახა თავისი ცოლი და წამოიძახა:

— ხელმწიფის შვილი ცოლს ირთავს და იმისი საცოლე სულ შენა გგავს!

— შე უბედურო,თუკი შენ იშოვნე ჩემისთანა, რატომ ხელმწიფის შვილი კი ვერ იშოვნიდა!?—უთხრა ცოლმა. შერცხვენილი ოქრომჭედელი დაბრუნდა. ხელმწიფის შვილმა, სანამ კარებს დაკეტავდა ოქრომჭედელი, ქალი ისევ ბებრის სახლში გამოიყვანა და გვერდზე მოისვა. მოვიდა ოქრომჭედელი, ჩასხდნენ ეტლში, ჩაისვეს ოქრომჭედელიც და წავიდნენ ყმაწვილის მამასთან. დიდის ზეიმით დაიწერეს ჯვარი, გადაიხადეს დიდებული ქორწილი. ქორწილის შემდეგ, ოქრომჭედელს ხელმწიფის შვილმა ისევ ჩააცვა თავის ნაჩუქარი ქულაჯა, შემოაკრა ხმალი, გაუკეთა ბეჭედი, შესვა კარგ ცხენზე, ერთი წერილი მისცა. და სთხოვა,—ეს წერილი თქვენს ხელმწიფეს მიართვეო. ოქრომჭედელმა სიხარულით გამოაქანა ცხენი. მივიდა ხელმწიფესთან და მიართვა წერილი. წერილში ეწერა:

„დიდებულო ხელმწიფეე! ის ქალი, რომლის მოტაცებას შენ დიდიხანია სცდილობდი და ვერ მოახერხე, მე წამოვიყვანე, ცოლად შევირთე და მისი ქმარი, ოქრომჭედელი, მეჯვარეთ გამოვიყოლე“.

წაიკითხა ხელმწიფემ ეს წერილი და ერთი საშინელი გადაიხარხარა. გაოცებულმა ოქრომჭედელმა მოკრძალებით ჰკითხა ხელმწიფეს სიცილის მიზეზი. ხელმწიფემ წაუკითხა წერილი. ოქრომჭედელს ელდა ეცა, ბევრი იტირა, თავში იცა, მაგრამ რაღას გააწყობდა.

მთას ურემი ავაგორე,
ბარს წავიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით გამიძეხით,
საიქიოს ცხონებითა.

266. ბებერი დედაკაცი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი უშვილო კაცი და დედაკაცი. შეეხვეწნენ ღმერთს: ღმერთო, ერთი შვილი მოგვეცი და საღმრთოს ვიზამთო. შეუსმინა ღმერთმა ვედრება და მისცა შვილად ერთი ქალი. კარგი რამ იზრდებოდა ეს ქალი, მაგრამ იმის მამას საღმრთო აღარ აგონდებოდა. ერთხელ ეს პატარა ქალი მიდიოდა, დახვდა ანგელოზი და უთხრა:—მამაშენს უთხარი საღმრთო გააკეთოსო. ქალმა მამას უამბო ანგელოზის ნახვა და საღმრთოს გადახდის შესახებ დაბარება. მამამ სთქვა:—ეჰ, ვაჟი რომ მოეცა ღმერთსა, საღმრთოს მაშინ გადავიხდიდიო.

პატარა ხნის უკან ჩამოვიდენ ორი ანგელოზი, ასწიეს ციმციმად პატარა ქალი და წაიყვანეს ზეცაში. შეექმნათ იმის მშობლებს საშინელი ტირილი და ვაება. შეეცოდა ღმერთს ისინი და ანგელოზებს უბრძანა, ისევ ჩაუყვანეთ ქალი მშობლებსაო.

როცა ანგელოზებს ქალი მოჰყავდათ, ერთმა ანგელოზმა დალოცა: ხელმწიფის ცოლი გახდიო, მეორე ანგელოზმა დალოცა: გაიცინებ ია-ვარდი გადმოგცვივდეს, იტირებ—თვალთაგან მარგალიტიო. ჩამოიყვანეს და მიუყვანეს მშობლებს. შეუდგათ ქალის მშობლებს სიხარული, ხვევნა და კოცნა. გა-

დაიხადეს საღმრთო. ქალი იზრდებოდა მშვენიერი და ლამაზი.

იმ ქვეყნის ხელმწიფემ გაიგო, რომ ამა და ამ კაცს ასეთი და ასეთი ქალი ჰყავსო. წამოვიდა ხელმწიფე ამ ქალის მამასთან თავის ვეზირებით და უთხრა:

— შენი ქალი უნდა მოვათხოვოთ.

— რასა ბრძანებ, შენი ჭირიმე, ჩემი ქალი რა თქვენი ცოლობის ღირსია!—უთხრა მამამ. ხელმწიფე აღარ მოეშვა. რას იზავდა, დასთანხმდა მამაც. მოამზადეს ქალი წასაყვანად. ამ ქალს ბებერი დეიდა ჰყავდა, რომელსაც ერთი ლამაზი გასათხოვარი ქალი ჰყავდა. ამ ბებერმა სთხოვა ხელმწიფეს: მე და ჩემი ქალიც თან წაგვიყვანე ამ ჩვენი ქალის მოახლეთაო. წამოიყვანა ხელმწიფემ ორივენი. იარეს, იარეს და ერთ წყაროს პირას ჩამოხტენ დასასვენებლად. ბებერმა უთხრა ხელმწიფეს:

— დაღალული ბრძანდებით, წამოწექით და ცოტახანს მოისვენეთო, მე კი ამ ქალს გავასეირნებ, გაერთობაო. დედაკაცმა ქალი შორს ტყეში წაიყვანა. დედაკაცმა უთხრა ქალს:

— აბა, შვილო, ეგ შენი კაბა ამ ჩემს ქალს როგორ მოადგებაო.—გაიხადა ქალმა კაბა და მისცა დეიდაშვილს, თითონ იმისი კაბა ჩაიცვა.

— აბა ვნახოთ შენი საყურეები როგორ მოუხდება ამ ჩემს ქალსაო.—საყურეებიც მისცა. ასე ყველაფერი გაჰხადა და თავის ქალს ჩააცვა. დასთხარა ქალს თვალები, გამოიხვია ხელსახოცში და წამოიყვანა თავისი ქალი. ხელმწიფემ ვერაფერი გაიგო, წამოიყვანა ბებრის ქალი, გადიხადა დიდებული ქორწილი, ხელმწიფე ჰკვირობდა, რომ ქალს აღარც ია-ვარდი გადმოსდის და აღარც თვალ-მარგალიტი.

— დაღალულია, შვილო, და იმისთვის მოსდის ეგრეო,— დაამშვიდა ბებერმა.

ის ქალი კი იდგა და სტიროდა და თვალთაგან თვალმარგალიტი გადმოსდიოდა. ამ დროს მახლობლად ერთი საწყალი გლეხი ფიჩხსა სჭრიდა. იმისმა ლეკვმა ქალი რომ დაინახა, ყეფა დაიწყო, ქალი მიხვდა—ახლო ადამიანი იქნება ვინმეო. დაიწყო ყვირილი, ვინა ხართ, რა სულიერი ხართ, მიშველეთო. ამ ყვირილზე გლეხი მივიდა, დაინახა მტირალი ქალი და ვინაობა ჰკითხა.

— ჩემი ვინაობა რად გინდა, მიშველეო, შეეხვეწა ქალი.

— რაღა შენი შემატება მინდა, ისეც შინ ათი ქალი მყავსო,—უთხრა გლეხმა.

— მიშველე, წამიყვანე, — შეეხვეწა ქალი,—თუ არას შეგმატებ, არას დაგაკლებ. მივიდა ეს გლეხი ქალის წამოსაყვანად და დაინახა ქალის წინ თვალ-მარგალიტი ყრია. აკრიფა, გამოუძღვა ქალს და წამოიყვანა შინ. ცოტა ხანში ეს საწყალი გლეხი გაკეთდა, გამდიდრდა, ჩაიცვეს, დაიხურეს, გააკეთა მშვენიერი სახლი. ერთხელ ამ ქალმა თავის მამობილს უთხრა:

— ერთი ოქროს სინი გააკეთებინე, ზედ ია-ვარდი დაყარე და სასახლის წინ წაიღე გასაყიდად. ასეთი და ასეთი ბებერი დედაკაცი გამოვა, შეგეკითხება, შენ უთხარი ფულად არ ვყიდი—თვალადა-თქო, მოგცემს თვალს და მომიტანეო. გლეხი ისე მოიქცა. გაიტანა ოქროს სინით ია-ვარდი და დაიწყო ყვირილი: —ია-ვარდი გასასყიდი, ია-ვარდი! ქალის დეიდა იჯდა დაღონებული აივანზე, გლეხის ხმა რომ გაიგონა, დაუძახა და უთხრა:

— ოღონდ ეგ ია-ვარდი მე მომყიდე და მაგ სინს ფულით გაგივსებო.

— ფულად არ ვყიდი—თვალადაო,—უთხრა გლეხმა. ამოიღო ბებერმა ჯიბიდან თვალი და მისცა გლეხს. დედაბერმა ია-ვარდი შეიტანა, თავის ქალს მიუყარა, როცა ხელმწიფემ გამოიღვიძა, ქალმა სიცილი დაიწყო, ბებერმა უთხრა ხელმწიფეს:

— აკი მოგახსენეთ, დაღლილია-მეთქი, აი რომ დაისვენა, როგორ ია-ვარდი გადმოსდისო.

ხელმწიფეს ეს ამბავი ძალიან ესიამოვნა.

გლეხმა წამოიღო თვალი, მოუტანა ქალს, ქალმა მიიდო და ცალი თვალი ისევ გაუმთელდა.

ახლა თვალ-მარგალიტი გაიტანა გლეხმა სასახლის წინ გასასყიდად, დედაკაცს მიჰყიდა და მეორე თვალიც გამოართვა. დედაკაცმა შეიტანა თავის ქალის საწოლში და თვალ-მარგალიტი მიაბნია. დილით ხელმწიფემ რომ დაინახა გაფანტული თვალ-მარგალიტი, ძალიან გაუხარდა. გლეხმა ქალს მოუტანა მეორე თვალიც, ქალმა მიიდო და ისიც გაუმთელდა.

ქალმა უთხრა თავის მამობილს:—გააკეთე ერთი დიდებული სადილი და ხელმწიფე დაჰპატიჟეო. გააკეთა გლეხმა სადილი და დაჰპატიჟა ხელმწიფე. ხელმწიფეს ძალიან გაუკვირდა და სთქვა: ერთი წავალ, გავიგებ, რითი მპატიჟობს ეს საწყალი გლეხიო. ბებერ დედაკაცს გულმა უგრძნო, აქ რაღაც კარგი არა ხდებაო და უშლიდა ხელმწიფეს წასელას. მაგრამ ხელმწიფემ თავისი არ დაიშალა, წავიდა და თან თავის ცოლიც წაიყვანა. მივიდა, ნახა რომ ამ გლეხს მართლა საუცხოო სადილი გაუკეთებია. სადილს შემდეგ ხელმწიფე წამოწვა დასასვენებლად. გლეხმა მოახსენა: თუ გნებავთ ერთი კარგი მეზღაპრე ქალი მყავს და ზღაპარს მოგახსენებსო. ცოლმა დაუწყო ხელმწიფეს ხვეწნა: წაიდეთ შინაო, მაგრამ ხელმწიფემ ზღაპრის მოსმენა ისურვა, ქალი კი შინ წაიდა მარტოკა. ხელმწიფე საღაც იწვა, ფარდა ჰქონდა გაბმული, ქალი ფარდის გარეთ იჯდა და უამბობდა თავის თავგადასავალს. იქამდის რომ მივიდა, როგორ იყიდა ია-ვარდი და თვალმარგალიტი ბებერმა მისმა დეიდამ და საწოლ ოთახში დაუბნია, ხელმწიფემ ფარდას გადახადა, იცნო თავის ნამდვილი ცოლი და გადაეხვიენენ ერთმანეთს.

ბებერი დედაკაცი და მისი ქალი მოაბეს ცხენის კუდზე და ისე ათრევინეს. ხელმწიფემ გადაიხადა ახლად ქორწილი და დაიწყო ამ ქალთან ბედნიერი ცხოვრება.

სამი ვაშლი მქონდა: ერთი შენა, ერთი მთქმელსა და ერთიც გამგონელსა.

267. ავთანდილი და ყარაბოღლი

იყო ერთი უშვილო ხელმწიფე. ძალიან სწუხდა, რომ შვილი არა ჰყავდა. ერთხელ, სასახლის წინ მიდიოდა ერთი ტერტერა. ტერტერა უეცრად ჩაჯდა და მიწაზე რაღასაც ჩასცქეროდა. ხელმწიფემ დაინახა ეს და ძალიან გაუკვირდა. გაგზავნა კაცი ამბის გასაგებად.

— ტერტერ! რას აკეთებ?—ჰკითხა გაგზავნილმა კაცმა.

— ჰიანჰველებს ჩხუბი მოსვლიათ, ერთმანეთისთვის თავ-

პირი დაუმტვრევიათ, წამალს ვადებ რომ მოვარჩინო,—უპასუხა ტერტერამ. მოახსენეს ხელმწიფეს.

— წადით ეხლავე და ის ტერტერა აქ მომიყვანეთ!— ბრძანა ხელმწიფემ.

მოიყვანეს ტერტერა.

— ტერტერ, იქ მიწაში რას ჩასცქეროდი?—ჰკითხა ხელმწიფემ.

— ჭიანჭველებს ჩხუბი მოსელიათ, ერთმანეთისათვის თავპირი დაუმტვრევიათ, მე წამალს ვუკეთებდი, რომ მოვარჩინო,—უპასუხა ტერტერამ.

— მაშ შენ უშვილობის წამალიც გეცოდინება?—ჰკითხა ხელმწიფემ.

— მაგაზე ადვილი რაღა არის!?—უპასუხა ტერტერამ.

— მაშ თუ ისეთ წამალს მომცემ, რომ ვაჟიშვილი გაგვიჩნდეს, ნახევარ სახელმწიფოს შენ მოგცემ, —უთხრა ხელმწიფემ.

— თქვენს ბაღში ერთ ხეს ორი ვაშლი აბია, გაგზავნე, მოატანინე, ერთი შენ შეჭამე, ერთიც დედოფალმა, ერთი წლის შემდეგ ვაჟიშვილი გეყოლებათ,—სთქვა ტერტერამ, გაძოვიდა სასახლიდან და წავიდა.

ზამთარი იყო. ხელმწიფემ იფიქრა: ამ ზამთარში ხეზე ვაშლებს რა უნდაო. მაინც გაგზავნა კაცები საძებნელად. გაგზავნილებმა მართლაც ერთ ხეზე იპოვნეს ორი ვაშლი. ესროლეს, ჩამოაგდეს. ხე მდინარის პირს იდგა, ერთი ვაშლი წყალმა მოიტაცა და წაიღო, ერთი ხელმწიფეს მიართვეს და მოახსენეს: ერთის მეტი არ ებაო. გასჭრა ხელმწიფემ ვაშლი, ნახევარი თითონ შეჭამა, ნახევარი დედოფალს მისცა. მეორე ვაშლი, რომელიც წყალმა მოიტაცა, წისქვილის ბორბალში გაიჭედა. მეწისქვილემ იპოვნა, გასჭრა, ნახევარი თითონ შეჭამა, ნახევარი თავის ცოლს მისცა. მეწისქვილეც უშვილო იყო. გავიდა ერთი წელიწადი და ხელმწიფეს და მეწისქვილესაც გაუჩნდათ ვაჟი. ხელმწიფის შვილს დაარქვეს ავთანდილი, მეწისქვილისას ყარაბოღლი. ვინც წლით იზრდებოდნენ, ესენი საათობით იზრდებოდნენ. ბავშვებმა ჩქარა ერთმანეთი იპოვნეს, ისე შეეთვისნენ, რომ უერთმანეთოდ ვეღარა სძლებდნენ. ხელმწიფეს ძალიან ეთაკილებოდა, რომ იმისი შვილი

შეწისქვილის შვილთან იზრდებოდა, ბევრი ეცადა, მაგრამ ერთმანეთს ვერ დააშორა. ძალიან ღონიერი და ტანიანი იზრდებოდნენ. ბიჭებს რომ კოჭებს მოუგებდნენ, ხელს მოუჭერდენ კოჭებს და სულ მტვრად აქცევდენ. ერთხელ კოჭაობის დროს ერთმა ბებერმა, წყლით სავსე კოკა აკიდებულმა გამოიარა. ავთანდილმა, კოჭი გაისროლა მოარტყა ბებრის კოკას, კოკა გაიბზრიტა და წყალი სულმთლად დაეღვარა. ბებერმა უთხრა:—აბა როგორ დაგწყევლო, დედის ერთა ხარ, შენამც ჩაგვარდნია ცხრა ძმა მდევების დის სიყვარული. ავთანდილმა გადაყარა კოჭები, წავიდა შინ, წაწვა პირქვე, აღარც დგებოდა, აღარც სჭამდა და სვამდა. ამ ყოფაში გაატარა ავთანდილმა ორი კვირა. მშობლები შეშინდნენ, დაიწყეს წუხილი. მოიყვანეს ექიმები. მაგრამ ვერაფერი უშველეს. ხელწიფემ მოაყვანინა ყარაბოღლი და უთხრა:

— ჰკითხე, ჰკითხე რა სტკივა ავთანდილსაო. ყარაბოღლიმ უთხრა:

— ძმაო, რა გტკივა? ავთანდილმა უთხრა:

— ხომ გახსოვს ბებერმა რომ დამწყევლა, ცხრა ძმა მდევების დის სიყვარული ჩაგივარდეს გულშიო, მას შემდეგ სულ ის მელანდება და თუ შავირთავ ინ ქალს, მოვრჩები, თუ არა, უსათუოდ მოვკვდებიო. მშობლები უფრო დაღონდენ, შეექმნათ ჩოჩქოლი, მაგრამ რას გააწყობდენ. შეამზადეს ავთანდილი, გააყოლეს ყარაბოღლი და დიდი ჯარი და გაისტუმრეს იმ მდევების დის საძებნელად. ცოტა ხნის შემდეგ ჯარი უკანვე დააბრუნეს და თითონ მარტოკები წავიდნენ. ამ ყმაწვილების მშობლებმა დაიწყეს გლოვა, თითონაც შავები ჩაიცვეს და სახლებსაც კი შავები გადააკრეს.

ავთანდილმა და ყარაბოღლიმ იარეს, იარეს და ერთი ხის ძირას ჩამოხდენ დასასვენებლად. ხეზე სამი ყვავი შემოჯდა. ერთმა ყვავმა მეორეს უთხრა:—ყვავო!

— რა, ყვავოო?—უპასუხა მეორემ.

— ისა, ყვავო,—უთხრა პირველმა,—რომ ეს ყმაწვილები ცხრა ძმა მდევების დის შესართავად მიდიან, როცა მივლენ, მდევები სანთლის ცულს მისცემენ და რკინის კუნძს დაუგდებენ და ეტყვიან: გასქერიო. თუ ვერ გასქრა, ორივეს შესჭამენო. თუ ცულის პირზე მდევების დის თმის ბეწვს დაახ-

ვეეენ, კუნძი თავის თავად გასკდებაო. მერე ერთ მაღალ ალვის ხის ქვეშ გაშლიან ქაღალდს, მისცემენ ერთი თასით რძეს, ისე უნდა აიტანოს და ჩამოიტანოს საესე თასი, რომ ერთი ცვარი რძე არ დაღვაროს, თუ დაიღვარა ცვარი ქაღალდზე დაეცემა და მდევები იმითი გაიგებენ და ორივეს შესჭამენ. თუ იმ ქალის ბეჭედს ჩააგდებენ თასში, რძე ისე გაიყინება, პირქვეც რომ დაიჭირონ თასი, ერთი წვეთიც არ გადმოვარდება. შემდეგ ერთ-ერთს დიდ ქვაბში ცხრა ირემს ჩაჭყრიან, ეს ქვაბი სამჯერ უნდა შეუდგას და გადმოუდგას ზედადგარზე. თუ ყველა ამას შეასრულებენ, შეირთავენ მდევების დასა, თუ არა—ორივეს იქ შესჭამენო. მაგრამ ამით არ გათავდება ამათი განსაცდელი: შინ რომ დაბრუნდებიან მდევის დით, მეფეს ერთ ლურჯა ცხენს მიართმევენ, თუ იმ ცხენზე შეჯდება, ცხენი მიიქნევ-მოიქნევს და მოჰკლავსო. მერე გახარებული თავისიანები ერთ აბრეშუმის პერანგს მიუტანენ, თუ იმ პერანგს ჩაიცვამს მეფე, პერანგში წყეული (გველი) იქნება, უკბენს და მოჰკლავს. თუ ამ განსაცდელსაც გადარჩა, დიდხანს იცოცხლებსო. ამ ყვავების ლაპარაკის დროს ავთანდილს ეძინა, ყარაბოღლიმ კი ყველაფერი გაიგონა და გულში ჩაინერგა, გააღვიძა ავთანდილი, ყვავებისაგან გაგონილი არაფერი არ უთხრა და გაუდგენ გზასა. იარეს, იარეს და შორიდან დაინახეს მდევების სასახლე. სასახლის წინ ვაშლის ორი დიდი ხე იდგა. ესროლა ყარაბოღლიმ თავისი ბოძალ-შვილდი და ამოდენა ვაშლი სულ ძირს დასცა, გარედ გამოვიდა მდევების და, დაინახა ეს ყმაწვილები და უთხრა:—მენანებით, ეგეთი კარგი ახალგაზრდები რომ მოსულხართ, გირჩევთ თვალით არ დაენახოთ ჩემს ძმებს—მდევებს, ორივეს შეგჭამენო. — შენ დარდი ნუ გაქვს, ოღონდ შენი ბეჭედი მომეცი და შენი თმის ერთი ბეწვი, დანარჩენი მე ვიცი,—უთხრა ყარაბოღლიმ. ქალმა ბეჭედი წაიძრო და მისცა, გამოიძრო თმიდან ერთი ბეწვი და მისცა. დასხდენ ავთანდილი და ყარაბოღლი ვაშლის ძირას და დაუწყეს მდევებს ლოდინი, გამოჩნდნენ მდევებიც, თითოს თითო ირემი გაუდვია მხარზე და მოდიან, მიესალმნენ ყმაწვილებს, თან ერთამანეთს ჩაულაპარაკეს:—ეს კარგი ლუკმები მოგვსვლიაო. მდევებმა ძმები მიიწვიეს. ყმაწვილები მივიდნენ. მისცეს სანთ-

ლის ცული, დაუდეს რკინის კუნძი და უთხრეს: — გასქერი. თუ ვერ გასქრი ორივეს შეგჭამთ. ცული ყარაბოღლიმ აიღო, გადაახვია ცულზე ქალის თმის ბეწვი, დაჭკრა კუნძს და რკინის კუნძი შუაზე გადახეთქა. მდევებმა ერთმანეთს შეხედეს და სთქვეს შეშინებულებმა — ეს რა ყოფილაო. გაუშალეს ალვის ხის ტევეშ ქალალდი, მისცეს რძით სავსე ერთი თასი და უთხრეს: ეს თასი ისე უნდა აიტანო და ჩამოიტანო ამ ალვის ხეზე, რომ ერთი წვეთი არ დაღვაროვო, თორემ იცოდეთ ორივეს შეგჭამთო. ყარაბოღლის პირში ჰქონდა ქალის ბეჭედი, ჩუმად პირიდან თასში ჩააგდო ქალის ბეჭედი და დაიწყო ხეზე ასვლა. ავიდა, ავიდა ყარაბოღლი ხეზე და როდესაც სულ ზევით წვერზე ავიდა, გაიხედ-გამოიხედა, დაინახა თავისი და ავთანდილის მშობლების სახლები შავად შემოსილი, ამოუჯდა გული, გადმოყარა ცრემლები, დაეცა ცრემლი ქალალდზე. მდევებმა სიხარულით დაუყვირეს: ჩამოდი, ჩამოდი უნდა შეგჭამოთო. ყარაბოღლიმ ჩამოსძახა: ეგ ჩემი ცრემლები ღაეცა ქალალდზე და არა რძის წვეთები, ჩემი დედ-მამის სახლი დავინახე და იმაზე ვიტირეო. თუ არა გჯერათ, მეცრემლე მოიყვანეთ, გაშინჯოს, თუ მართლა ცრემლი გამოდგეს, ხომ კარგი, თუ რძე და შეჭამეთო. მოიყვანეს მეცრემლე, გასინჯა ენით და სთქვა:— ცრემლიაო. რალას იზავდნენ მდევები.

აიღეს მდევებმა, ცხრა ირემი ერთს დიდს ქვაბში ჩაყარეს და უთხრეს ყარაბოღლის: აიღე და ზედადგარზე შედგიო, ყარაბოღლიმ აიღო ქვაბი, სამჯერ შედგა და გადმოდგა ზედადგარზე, მერე აიღო ქაბი, გაიქნია და ცხრა მთას იქით გადააგდო. რალა ეთქმოდათ მდევებს. ღირსი ყოფილხარ ჩვენი დისაო და მიათხოვეს ავთანდილს.

მდევები და ყარაბოღლი სანადიროთ წავიდნენ, ავთანდილი ცოლით შინ დარჩა. ავთანდილმა უთხრა: მოდი ერთი მაჩვენე როგორ სცხოვრობთ, ან სად რა სიმდიდრე გაქვთო. წამოიყვანა ცოლმა, გააღო ერთი ოთახი, სულ ვერცხლის ნივთებით იყო სავსე, გააღო მესამე... მერვე... ყველა ოთახები ვერცხლით და თვალ-მარგალიტით იყო სავსეები, მეცხრე ოთახი არ გაუღო: მაგისი გაღება არ შეიძლებაო. თუმცა ავთანდილი ბევრი ეხვეწა თავის ცოლს,—მეცხრე ოთახიც მაჩვენეო, მაგრამ ცოლმა არ გაუღო. წამოვიდნენ უკან. ქალმა ავთანდილის მუხლ-

ზე თავი დასდო და დაიძინა. ავთანდილმა ქალს ჩუმად გასაღებები ამოაცალა, წავიდა და გააღო ყველა ოთახები. გაღო მეცხრეც. აქ თურმე ცხრათავიანი მდევი იყო დაბმული, რომელსაც ქალის მოტაცება უნდოდა. იმისი თვალების ბრიალი რომ დაინახა, ავთანდილს გული გაუსკდა, უკან დაიწია, ოთახი ისევ უნდოდა დაეკეტა, მდევმა დაუძახა: მოდი, ნუ გეშინიან გეთაყვა, ერთი აის ლიტრა წყალი მომაწოდეო. ავთანდილი მივიდა, მიუტანა ლიტრა, ლიტრაში თურმე ძმარი იდგა, დალია მდევმა, მიიწ-მოიწია, დაგლიჯა ჯაჭვები, მოუგრიხა ავთანდილს კისერი, შედო იქვე ხეზე, მოიტაცა იმისი ცოლი და ცხრა მთას იქით გადაიკარგა. დაბრუნდნენ შინ მდევები და ყარაბოღლი, დაინახეს ავთანდილი თავმოგრეხილი ხეზე. მაშინვე მიხვდნენ თავიანთ უბედურობას, დაუწყეს ჯავრობა ყარაბოღლის: — ეს სულ თქვენ დაგვღუპეთ, უნდა შეგეპამოთ შენ და შენი ძმაო. ყარაბოღლიმ უთხრა:—ექვსი თვე ვადა მომეცით, თუ ამ ექვსი თვის განმავლობაში მოგიყვანოთ თქვენი და, ხომ კარგი, თუ არა, ჩემი ძმა ავთანდილი შეპამეთო, მანამდე კი უნდა მელოდოთ. დაეთანხმნენ მდევები. ყარაბოღლიმ ერთი პური წამოიკრა წელზე და გაუდგა გზასა. მიდის და დაინახა, ერთ კაცს წისქვილის დოლაბები გაუკეთებია ფეხებზე, დარბის და კურდღლებს იჭერს.

— კაცო, რას შერები?—ჰკითხა ყარაბოღლიმ,—ეს რა საკვირველია.—საკვირველი ის არის, რომ ყარაბოღლიმ ცხრა ირმით სავსე ქვაბი ცხრა მთას იქით გადაისროლა,—უთხრა დოლაბებიანმა.—მეც—ყარაბოღლი! გეძმო, თუ გეყმო?—უთხრა ყარაბოღლიმ.—ყმობა რად მინდა, მეძმეო! დაძმობილდნენ ყარაბოღლი და ის კაცი და წავიდენ ერთად. მიდიან. დაინახეს, ერთ მღვდელს საყდარი აუკიდია და მოდის. სადაც უნდა დასდგავს საყდარს, ილოცავს, სწირავს, წამოიკიდებს და მიდის. გაკვირვებულმა ყარაბოღლიმ ჰკითხა:—მღვდელო, რას შვრები მაგას? მე ერთი პურიც მამძიმებს, შენ მაგოდენა საყდარი როგორ დაგაქვს?! მღვდელმაც ისე უპასუხა, როგორც დოლაბებიანმა. მღვდელიც ეძმო და სამივენი გაუდგენ გზას. მივიდნენ და დაინახეს, ერთ კაცს გუთანი უბია, რამდენიც ბელტი გადმოვა, ეს კაცი აიღებს და გადაჰყლაპავს.—კაცო, რას შერები, მე ერთი პურიც ვერ შემიჭამია,

შენ ამდენ ბელტებს როგორა ჰყლაპავო?—ჰკითხა ყარაბოღ-ლიმ. ბელტიყლაპიამაც სხვებივით უპასუხა და ესეც ეძმო. გაუდგენ ოთხნი გზასა. ყარაბოღლიმ უთხრა ამათ:—მოდი ბოძალ-შვილდები გავისროლოთ, ვინ უფრო შორს გაისვრისო. გაისროლეს იმათ და იქვე ახლოს დაეცა, გაისროლა ყარა-ბოღლიმ და ცხრა მთას იქით, სადაც ცხრათავიან მდევს სორო ჰქონდა, იმ სოროსთან დაერეკა. ამოძვრა ცხრათავიანი მდევი, ბევრი ეჯაჯგურა, მაგრამ ისარს მოძრაობაც ვერ უყო.

იარეს, იარეს და სოროს პირზე დაინახეს ყარაბოღლის ბოძალ-შვილდი. ყარაბოღლიმ ნეკი წამოჰკრა და ამოაგდო. დახოცეს ნადირი, შედგეს დიდი ქვაბი ხორცით სავსე და ხარშვა დაუწყეს. სანამ სადილი მომზადდებოდა, სანადიროდ წავიდნენ, ქვაბთან კი მღვდელი დასტოვეს. სოროდან მდევმა ამოიძახა: ეგ ხორცი აქ ჩამოყარეო, თორემ ამოვალ და სულ ლუკმა-ლუკმად დაგგლეჯავო. შეშინდა მღვდელი, აიღო და წვნიანად სოროში ჩაუშვა. მოვიდენ ამხანაგები და ჰკითხეს: მღვდელო, ეს რა გიქნია, სადილი რა უყავ?! მღვდელმა უთხ-რა: დამძინებოდა და სულ დამშრალიყოვო. მეორე და მესამე დღეს დოლაბებიანი და ბელტიყლაპია დაუდგენ ყარაულად და იმათაც ისე დაემართათ, როგორც მღვდელს. მერე ყარა-ბოღლი დაუდგა ყარაულად, სხვები კი სანადიროდ წავიდენ. სოროდან მდევმა ამოიძახა:—ვინა ხარ მანდა? ეგ ხორცი აქ ჩამომიყარე, თორემ ამოვალ და კისერს მოგიგრეხ! ყარაბოღ-ლიმ ჩასძახა:—ამოდი აქ და ვინცა ვარ მე გიჩვენებ! ეწყინა მდევს, წამოვიდა ზევით გაბრაზებული, ამოვიდა ზევით, ჭკრა ყარაბოღლიმ თავისი ბოძალ-შვილდი და მდევს სული გააბრთ-ხობინა. აკუწა, აკუწა და იქვე დააგროვა. როცა ისინი დაბ-რუნდნენ, ყარაბოღლიმ უთხრა: აი თქვენ თურმე ვინ გაში-ნებდათო. ამას ბევრი ოქრო-ვერცხლი ექნებაო,—სთქვეს იმათ, მოდი ჩავიდეთ და ამოვიტანოთო. ყარეს წილი და მღვდელს ერგო: პირველად ის უნდა ჩასულიყო. მოაბეს თოკი და ჩა-უშვეს ორმოში. დავიწვი, დავიწვი, შემეტრუსა წვერი და ულ-ვაში,—ყვიროდა მღვდელი, ამოსწიეს და ამოიყვანეს. ჩაუშ-ვეს დოლაბებიანი, ვერც იმან გასძლო, ჩაუშვეს ბელტიყლა-პია, იმანაც ყვირილი მორთო—დავიწვიო და ისიც ამოიყვანეს.

ყარაბოღლიმ უთხრა: ეხლა მე ჩამიშვით, რამდენიც დავიყვი-
რო—დავიწვი,—იმდენი უფრო ჩამიშვითო. ჩაუშვეს. დაიწყო
ყარაბოღლიმ ყვირილი:—დავიწვი, დავიწვი. ამხანაგებმა ჩა-
უშვეს და ჩაუშვეს. ჩავიდა სულ ძირს. დაინახა ქალმა—იცნო
და გადაეხვია. რაც სიმდიდრე, ძვირფასეულობა იყო, სულ
ამოაწოდა ახდილ ყუთებით. ქალმა უთხრა—ჯერ შენ ადი და
მერე ამიყვანე, თორემ გიღალატებენო. ყარაბოღლიმ არ
დაიშალა, ჩასვა ქალი ყუთში, მაგრა თავი დააკრა და ააწოდა.
ახადეს ყუთს, ნახეს შიგ მშვენიერი ქალია, მიანებეს თავი
ყარაბოღლის ორმოში. იყარეს წილი: ქალი მღვდელს ერგო,
ძვირფასეულობა დოლაბებიანს და ბელტიყლაპიას. ქალმა
ჩასძახა:—აკი გითხარი, ჩემო მაზლო, გიღალატებენ-მეთქი,—
ჩაუგდო ერთი გასაღები და უთხრა:—იქით ერთი ოთახია, ის
გააღე, შიგ სამი თხაა, თუ შავზე შეჯექი—ქვესკნელში ჩა-
გაგდებს, თუ ლურჯზე—მოგკლავს, თუ თეთრზე—ზევით ამო-
გიყვანს. გააღო თუ არა ყარაბოღლიმ ოთახი, დაეტაკა შავი
თხა და ქვესკნელს ჩააგდო. დაეცა ყარაბოღლი ერთ ბებრის
სახლში.-- წყალი, წყალი,—დაიძახა ყარაბოღლიმ,—გული მო-
ვიბრუნოვო.—შვილო, წყალი ეინ მოგვცა—ჩვენი წყალი გვე-
ლეშაპს უპირავს, ვინც თითო ქალს მიუყვანს შესაქმელად—
მისცემს წყალს, თუ არა და—არა. ასე უწყლოდ იხოცება
ხალხი. აი ეხლაც ხელმწიფის პატარა ქალი ჰყავს შესაქმე-
ლადაო.—მომეცი კოკები!—უთხრა ყარაბოღლიმ. მოუტანეს
კოკები, შემოჰკრა ერთმანეთს და დაამტვრია, მიეიდა მარან-
ში, ნახა დიდი ქვევრები, მისწი-მოსწია, ამოაძრო ქვევრები
და ბებერს უთხრა: წყალს მე მოგიტანო და წავიდა. მივიდა
წყაროსთან, ნახა წყაროს პირას ხელმწიფის ქალი ზის და
ტირის. ქალმა უთხრა: წადი, წადი ჩქარა, ყმაწვილო, თორემ
ჩქარა ჩემს შესაქმელად გველეშაპი ჩამოვა და შენც შეგქამს.
ყარაბოღლი ქალის კალთაზე წამოწვა და უთხრა: როცა გვე-
ლეშაპი მოდიოდეს, გამაღვიძეო,—და დაიძინა. გავიდა ცოტა
ხანი. უცებ საშინელი შხუილით წამოვიდა ზევიდან საშინელი
გველეშაპი. ქალმა ტირილი დაიწყო, ცრემლები ყარაბოღლის
ლოყაზე დაეცა და გამოეღვიძა. ესროლა თავისი ბოძალ-შვილ-
დი, მოკლა გველეშაპი და მისი სისხლი სულ ღვარად წავი-
და. გახარებული ქალი წამოხტა, გაიქცა და ყველაფერი უამ-

ბო თავის მამას. ხელმწიფეს გაუხარდა, გამართა დიდი წვეულება და ბრძანება გასცა, რომ ყველანი უსათუოდ უნდა მოსულიყვნენ ამ წვეულებაზე. ყარაბოღლიმ ჩაიცვა ძველი ტანისამოსი, ჩამოიფხატა ძველი ქუდი, დაიპირა პატარა ბაჭია და ისე მივიდა წვეულებაზე. ხელმწიფემ უთხრა თავის ქალს: აბა, შვილო აუარ-ჩამოუარე, იპოვნე გველეშაპის მომკველელი და კალთაში ჩაუჯექიო. ქალმა აუარ-ჩამოუარა, იცნო ყარაბოღლი, მაგრამ ბაჭიასი შეეშინდა და ახლოს ვერ მივიდა, მერე დახუჭა თვალები და უეცრად ჩაუჯდა ყარაბოღლის კალთაში. ხალხს გაუხარდა, ხელმწიფე გადაეხვია და გადაჰკოცნა, უთხრა:—რა გინდა რომ მოგცეო?—ზევით ამიყვანეო, უპასუხა ყარაბოღლიმ.

ხელმწიფემ დაიბარა თავისი ფასკუნჯი, აჰკიდა ზედ ათი დაკლული ძროხა, ათი კოკა ღვინო, შესვა ზედ ყარაბოღლი და უთხრა: რამდენიც ფრთა მოიქნიოს, იმდენი ნაპერი ხორცი ჩაუდე და ღვინო ჩაასხიო. ფასკუნჯმა გააქანა ყარაბოღლი ზევითკენ. ერთი ფრთის მოქნევაღა აკლდა და ხორციც გათავდა. გამოიპრა ყარაბოღლიმ ბარძაყში ხორცი და ჩაუდო პირში ფასკუნჯს, ავიდენ კიდეც ზევით. ფასკუნჯმა ჰკითხა—ეგ რა ხორცი იყო, ბოლოს რომ პირში ჩამიდეო.—ჩემი ხორციო,—უთხრა ყარაბოღლიმ.—ვაი დედას, რომ პატარა ქვევით ვერ გავიგე თუ ასეთი ტკბილი ხორცი გქონებია და იქვე არ შეგჭამე!—მისცა თავისი ფრთა და უთხრა:—მოისვი გამოქრილ ბარძაყზე და მორჩები, ეგ ფრთა მკვდარსაც კი გააცოცხლებსო. მოირჩინა ბარძაყი, ჩაიდო უბეში ფრთა, გადაუხადა მადლობა ფასკუნჯს და წამოვიდა. არ იცოდა სად და რა ქვეყანაში იყო. შეხვდნენ მეძროხეები და ჰკითხა:—ბიჭებო, თქვენს ქვეყანაში რა ამბავია?—რაღა რა ამბავია, ჩვენში ერთი მღვდელი ერთ მზეთუნახავ ქალზე ჯვარს იწერსო, უთხრეს ბიჭებმა. ამ მწყემსებისაგან იყიდა სალამური და პირდაპირ ქორწილში მივიდა. დადგა გარეთ და დაიწყო სალამურის დაკვრა. შეიყვანეს შინ. ყარაბოღლიმ თავისი ბოძალ-შვილდი დაინახა, ჰკითხა:—რა არის ეს, არ შეიძლება ერთი მაჩვენოთო.—შენი თავის მზემ, გაჩვენოთ, მაგის პატრონივით არ მოიხმაროვო. სტაცა ყარაბოღლიმ ხელი, მისწივ-მოსწია, ესროლა მღვდელს, მოკლა და წამოიყვანა ქალი.

ის იყო მესამე თვეც გავიდა, უკანასკნელი დღე იყო და ვადაც თავდებოდა. მდევები ავთანდილის შესაპმელად ემზადებოდნენ და მივიდა კიდეც საღამოთი ყარაბოღლი ქალით: გაუხარდათ მდევებს. ყარაბოღლიმ ფასკუნჯის ფრთა გადაუსვა ავთანდილს და გააცოცხლა. დიდის აშბით გამოისტუმრეს მდევებმა. მიახლოვდენ თვითონ სახლს, გზაში ხელმწიფემ მოაგება თავისი ლურჯა ცხენი. ამოიღო ყარაბოღლიმ ხმალი და მოსჭრა თავი ამ ცხენს. საშინლად ეწყინა ავთანდილს, მაგრამ არაფერი სთქვა. შინ როცა მივიდნენ ავთანდილის დამ აბრეშუმის პერანგი მოუტანა, გამოსტაცა ყარაბოღლიმ ეს პერანგი, ჩააგდო თონეში, ისეთი დაიჭექა, რომ იქაურობამ ზანზარი დაიწყო. ნაწყენმა ავთანდილმა უთხრა ძმობილს:—ეს კი ყველაფერი ჩამაშხამე, რაც სიკეთე მიყავიო. ყარაბოღლიმ უამბო ყვავებისაგან გაგონილი ლაპარაკი და გაბრთხილება. ნახეს თონეში და ვეებერთელა წყეული (გველი) კი იყო შიგ ჩამწვარი. ავთანდილმა ბოდიში მოიხადა ყარაბოღლისთან. ავთანდილის მამამ გაუკეთა ყარაბოღლის დედ-მამას მშვენიერი სახლი, მისცა მრავალი სარჩო და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

ელასა მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა.
მთქმელსა და გამგონებელსა
ძილი გაამოთ ყველასა.

268 ორი ძმა

იყო ერთი დედაკაცი, ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი. შვილი წავიდოდა სანადიროთ, ნადირს მოიტანდა. დედაკაცი სახლს უვლიდა. ერთხელ ეს ბიჭი წავიდა სანადიროდ, ბევრი იარა და ვერაფერი იშოვნა რა. იარა, იარა, ერთ მაღალ მთაზე ავიდა, გაიხედ-გამოიხედა და დაინახა, რომ შორს სადღაც ბოლი ამოდიოდა. წავიდა იქითკენ. იარა, იარა და მივიდა და ნახა ერთი დიდი სახლი დგას, შიგ მდევები სხედან და დროს ატარებენ. მდევებმა ბიჭი დაინახეს და ძალიან გაუხარდათ:—უჰ, ეს რა კარგი სამწვადე მოგვსვლია, წადი, ერთი შემოიტა, ცოცხალ-ცოცხალი შამფურზე ააგეო,—უთხრეს ერთ მდევს. გამოყო თუ არა ამ მდევმა თავი, ბიჭმა დაარტყა თავისი

ხმალი და თავი გააგდებინა.—წადი, ნახე რატომ სამწვადე არ შემოაქვს,—გაგზავნეს მეორე. იმასაც კარებში თავი მოვარდა. გამოდიოდენ ასე თითო-თითო და ყველას თავი ეკვეთებოდათ. ბოლოს ცხრა თავიანი მდევი გამოვიდა ეძგერა ეს ბიჭი და რვა თავი დააჭრა, მოსჭრა მუხლები და ერთ ორმოში ჩააგდო, ზედ მიწა დააყარა და მაგრა დატკეპნა. შეეიდა ბიჭი მდევების სახლში და ნახა, რომ ოთახები სულ თვალ-მარგალიტებით სავსეა. მივიდა და უთხრა თავის დედას: წავიდეთ. იქ ვიცხოვროთ, იქ ყველაფერი ბევრიაო.

წაიყვანა დედა და დაიწყეს მდევების სახლში ცხოვრება. ბიჭი ისევ სანადიროდ დადიოდა, დილით სანადიროდ წავიდოდა, საღამოთი დაბრუნდებოდა, დედა კი სახლს უვლიდა. რამდენსაც ეს დედაკაცი ჭურჭელს ან სარეცხს გარეცხავდა, ნარეცხს მოიტანდა და ზედ იმ ორმოზე დაასხავდა, სადაც მდევი იყო დაფლული. მდევმა ეს ნარეცხი ლოკა, ლოკა და მოსულიერდა. ერთხელ იქიდან ამოიძახა:—ვინა ხარ, რა სულიერი ხარ? ამომიყვანე აქედან, გაძლევ თავდებად მაღლა ცას და ძირს დედამიწას, რომ ხელს არ გახლებ და არაფერს დაგიშავებო. ერთხელ როცა ბიჭი შინ არ იყო—სანადიროდ იყო წასული, დედაკაცმა ამოიყვანა მდევი, გაბანა, გადაკრიჭა და იქვე მდევების მიერ დარჩენილ კიდობანში, სადაც ბოძალ-შვილდებს ინახავდენ, ჩასვა.

მოვა შვილი, სჭამს ნანადირევს, დილით ადგება და წავა. დედაკაცი ამოიყვანს ამ მდევს, ეთამაშება, ეცუნცრუკება, საღამოთი წაიყვანს და ისევ კიდობანში ჩასვავს.

გავიდა დრო და დედაკაცი დაორსულდა, შვილს კი უხაროდა: დედაჩემი გასუქდაო. დედაკაცმა უთხრა მდევს: რა ვქნა, რომ დაეორსულდიო: მდევმა უთხრა:—თუ ქალი გეყოლოს მე მომიყვანე და შევსჭამო, თუ ვაჟი—წაიყვანე და სადაც შენს შვილს მოელოდე, იქით გადააგდეო. დედაკაცი დაწვა და ვაჟი ეყოლა, წაიღო და იქით დააგდო, საიდანაც შვილს მოელოდა. საღამოთი შვილი სანადიროდან მოდიოდა, ერთ მხარზე ირემი გაედო, მეორეზე—მშვილდი, დაინახა ბუჩქებში მჩერებში გახვეული ბავშვი, გამოხსნა, ნახა—მშვენიერი ყმაწვილია.—მადლობა შენ ღმერთო: ძმა არა მყავდა და ძმა მომეციო, და შინ წამოიყვანა. დედამ რომ დაინახა,

დაიწყო საშინელი ჯავრობა:—წაიყვა, წაიყვა, თორემ თავ-ჰირს დაგამტვრევ, მე მაგის გაზრდის თავი არა მაქვსო. შე-ეხვეწა შვილი:—შენი ჰირიმე, დედი, ხმელ ძუძუს მოჰკიდე, აგები გაიზარდოსო. დედა დასთანახმდა. ბავშვი ძალიან დიდი გაიზარდა. ბავშვი ამჩნევდა თავის დედის საქციელს, რომ რაღაცას ეთამაშებოდა და ეკურკურებოდა. თხუთმეტი წლი-სა რომ გახდა ერთხელ თავის უფროსს ძმას უთხრა:—კი-დობნიდან დედა ჩემი რაღაცას ამოიყვანს ფეხებდაჭრილს და რვათავ დაჭრილს, ეთამაშება და საღამოთი ისევ კიდო-ბანში ჩასვამსო. უფროსი ძმა გადაეხვია და დაჰკოცნა უმც-როსი ძმა. დილით ისევ წავიდა სანადიროდ. არაფერი მოჰკ-ლა. თავისი ბოძალ-შვილდი დაგლიჯა, მოვიდა შინ და დედას უთხრა: ჩემი შვილდ-ისარი დამიწყდა, ამისათვის ვერაფერი ვინადირე, ერთი კიდობანში ნახე, იქნება იპოვნო ბოძალ-შვილდი და მომიტანეო. — სულ ამოვაქოთე იქაურობა და იქ არაფერი არ არისო,—უთხრა დედამ.—აბა ერთი მე ვნახავ, იქნება იყოს რამეო. მივიდა ჭკრა წიხლი კიდობანს, დალეწა და მდევი კი გადმოვარდა იქიდან. დაეტაკა ეს მდევი ბიჭს, დაძალა და წააქცია.—დედი, ერთი ადე ე ხმალი ჩამოიღე და მომაწოდეო. დედამ ყურიც არ უგდო, იჯდა და ჯარას ატრიალებდა. პატარა ძმამ მუთაქა მუთაქაზე დადო, ზედ შედ-გა, ისე მისწვდა ხმალს და ჩამოიღო, ქარქაში თითონ დაი-ჰირა და ისე მიაწოდა თავის უფროს ძმას. გასწია ძმამ, გა-აძრო ხმალი, ამოუსო ქვეშიდან ხმალი და მოჰკლა მდევი, აკუწა და იქვე მიაგროვა. ახლა დედას დაადგა თავზე, დასცქერის, ვერც მოუკლავს და თან დედაზე ბრაზიც მოსდის. პა-ტარა ძმამ გამოსტაცა ძმას ხმალი, სტაცა დედას და თავი გააგდებინა, აკუწა და ისიც იქვე მიაგროვა. კიდევ გადაეხვია უფროსი ძმა და გადაჰკოცნა. დაიწყეს ცხოვრება ამ ორმა ძმამ. უფროსი ისევ სანადიროდ დადიოდა, უმცროსი სახლს უვ-ლიდა. გავიდა დრო. ერთხელ უფროსმა ძმამ უთხრა უმც-როსს:—მოდი და ცოლს შეგრთავო.—არა, ჯერ შენ შეირ-თე, მერე მე შემრთეო,—უთხრა უმცროსმა ძმამ.—კარგიო, დასთანახმდა უფროსი. ორივემ ერთნაირი ტანისამოსი შეი-კერეს, ერთნაირი ცხენები და იარაღი იშოვნეს. უფროსმა უთხრა:—მე წავალ და ერთი ხელმწიფის ქალს შევირთავ,

მერე ერთი მზეთუნახავი ქალია, იმას კი შენთვის დავნიშნავო. ერთი ბოძალ-შვილდი ჩამოჰკიდა ბოძზე და უთხრა თავის ძმას:—თუ რძე გასდიოდეს ამ შვილდ-ისარს, იცოდე რომ არა მიჭირსრა, თუ სისხლი—და მომეწველეო. გამოემშვიდობა და წავიდა. მივიდა ერთ ხელმწიფესთან, ქალი სთხოვა ცოლად, ხელმწიფე დასთანახმდა და ბიჭმა შეირთო ცოლად. რამდენიმე ხნის შემდეგ ბიჭმა ჰკითხა თავის ცოლს:—მზეთუნახავ ქალს რომ ამბობენ, სად არის, ან როგორ შეიძლება იმის ნახვაო? ცოლმა უთხრა:—აქა და აქ არის ერთი კოშკი, იმ კოშკში სცხოვრობს ის მზეთუნახავი ქალი. კოშკის ძირში წყარო გამოდის, ვინც იმ ქალის გადმოხედვას მოასწრობს, პირს დაიბანს და საუზმეს სჭამს—იმას შეირთავსო, ვინც ვერ მოასწრობს,—პირდაუბანელი და უსაუზმო დახვდება—თავს მოსჭრის და თავის კოშკის თავებით აგებულ გალავანს მიუმატებსო. ადგა შუალამისას ეს ბიჭი და გასწია იმ კოშკისკენ. ის იყო პირი უნდა დაებანა, რომ ზევიდან ქალმა დაუძახა:—მიჯობნიხარ, აქ ამობრძანდიო. ავიდა ზევით, ქალმა სასიკვდილეთ ვერ გაიმეტა, თავი მოუგრიხა და იქვე შედო. ამ ხანში უმცროსი ძმა შინ იყო და ბიჭებში, მეზობლის ახალგაზრდებში, თამაშობაში იყო გართული. ხშირად შევიდოდა, ბოძზე ჩამოკიდებულ ბოძალ-შვილდს სინჯავდა.

ერთხელ შევიდა შინ, გაშინჯა ბოძალ-შვილდი და შეამჩნია, რომ სისხლი გასდის. მაშინვე თავის ძმასავით ჩაიცვა, იმისთანავე იარაღით შეიკაზმა, შეჯდა ცხენზე და წავიდა თავის ძმის საძებნელად. უმცროსი ძმა ამ შეკაზმულობით და სახით ისე ჰგავდა თავის უფროს ძმას, რომ ძნელი იყო იმათი ერთმანეთში გარჩევა. იარა, იარა და ისიც იმ ხელმწიფესთან მივიდა, რომლის ქალიც იმისმა უფროსმა ძმამ ცოლად შეირთო. ხელმწიფეს თავისი სიძე ეგონა. დიდი სიხარული შეექმნათ იმის მისვლაზე, გამართა დიდი წვეულება და ნადიმი. ეს ბიჭი კი სულ ჩუმად იყო და ხმას არ იღებდა. დააწვინეს ერთად ესა და მისი ძმის ცოლი. ქალი ეალერსებოდა, ეს კი განზე იწევდა. მერე ამოიღო ხმალი, თავისა და ქალის შუაში ჩადო, პირი თავისაკენ უყო, ყუა ქალისაკენ. გაკვირვებულმა ქალმა ჰკითხა:—რა დაგემართა, რატომ ხმას არ იღებო?—დღეს ასე მაქვს შეთქმულიო,—უპასუხა ბიჭმა

და ნეკა თითით ხმალს იქით მისწვიტა ქალი.—მზეთუნახავ ქალისა რა ჰქენი, ნახე თუ არა?—ჰკითხა ქალმა:—რაო, რა მითხარი? მაშინ ბურანში ვიყავ და ვერ გავიგონე,—უთხრა ბიჭმა. — მე ის გითხარი რომ ამა და ამ ადგილას ერთი კოშკია, იმ კოშკში ზის მზეთუნახავი ქალი, კოშკის ძირს წყაროა, ვინც ისე მოასწრობს, პირს დაიბანს და საუზმეს სჭამს, სანამ მზეთუნახავი ქალი გადმოიხედავს, იმას შეირთავს, ვინც არა და თავს მოჭრის და თავის კოშკის გალავანზე დასდებს.

ადგა ბიჭი ღამე და გასწია, მივიდა კოშკთან, წყაროსთან პირი დაიბანა, სუფრა გაშალა, გვერდით წითელი ღვინო მოიდგა და ისაუზმა. ამ დროს კოშკიდან მზეთუნახავმა გადმოიხედა, დაინახა ეს ბიჭი და გადმოსძახა:—გიჯობნია. გადმოუყარა თავისი ნაწნავები და უთხრა: ამოდიო. ბიჭმა დაუჭირა ნაწნაეები და უთხრა:—სად არის ჩემი ძმა, მითხარი და ისე ამოვალო.—ამოდი, აქ არისო!—ჩასძახა ქალმა. ავიდა ბიჭი, ქალმა გამოიძრო თმა, მიუს-მოუსვა და უფროსი ძმა გააცოცხლა. უმცროსმა ძმამ მზეთუნახავი შეირთო, გადაიხადეს ქორწილი და წამოიყვანეს, გამოიარეს უფროსი ძმის საცოლესთან და ისიც წამოიყვანეს და შინ წავიდენ. გზაში დასასვენებლად ერთ ადგილას ჩამოსხდნენ. უფროსმა ძმამ უმცროსს უთხრა:—როგორ დავიჯერო, რომ ერთი ღამე ჩემს ცოლთან იწექი და არ შეეხეო. უმცროსმა აისროლა მაღლა ბოძალ-შვილდი და სთქვა: რომელ ასოთიც შენს ცოლს შეეხებიავარ, იმ ასოზე დამეცეს ისარი და მომკლასო. ისარი ნეკზე დაეცა და მოკლა. შეუდგათ ტირილი და თავში ცემა. უფროსმა ძმამ ველარ აიტანა ძმის ასეთი სიკვდილი, ამოიღო ხანჯალი, ტარი ძმას დაადო, თითონ მუცლით დააწვა და ზედ დააკვდა. მოუსხდნენ ეს ქალები და ისე სტიროდნენ, რომ იმათი ვაება ზეცას ადიოდა. ღმერთმა ორი ყვავი გაგზავნა:—წადით, გაიგეთ რა ღრიანცელი მოდისო. წავიდენ ყვავები, ნახეს მკვდრები, დაძღნენ ლეშითა, ავიდენ და ღმერთს მოახსენეს:—ცხვარსა სწველავენ, ბატკანი შიგ ერევათ და იმათი ბღავილიაო. ახლა მტრედები გაგზავნა—აბა ახლა თქვენ წადით, იქნება თქვენ მაინც გაიგოთ რა ამბავია. ჩამოვიდენ მტრედები, სისხლში ფეხები დაისველეს, ავიდენ ღმერთთან და მოახსენეს ღმერთს რაც ნახეს. ღმერთმა

თმა გამოიძრო, მისცა მტრედებს და უთხრა: ეს მიუსვ-მოუსვი და გაცოცხლდებიანო. მერე ყვავებს დაუძახა, ხელი დაარტყა და უთხრა:—თქვენამც ვა, ვა გიძახიათო.

ჩამოვიდენ მტრედები, გადაუსვეს მკედარ ძმებს თმა და გააცოცხლეს. წამოვიდენ ძმები თავიანთ ცოლებით დიდის ამბით და სიხარულით. დაიწყეს მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრება.

ჰირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა.

269. მენახირის შვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მენახირე, ჰყავდა ცოლი და ერთი ვაჟიშვილი. ეს ვაჟი იყო დედ-მამის სიხარული და იმედი. მენახირე ხშირად ეტყოდა ხოლმე ცოლს:—ეხლა ნუ ღარაფრისა გეშინიან, შვილი გაგვეზრდება და გაგვახარებსო, მაინც ღამთა ვითარებაა, იქნება მოვკვდე და ეგ ბიჭი ეგრე არ გაუშვა, რომ ჩემსავით კომბალი ეჭიროს ხელში და ნახირს ერეკებოდესო, იმდენი ეცადე, რომ ხელობა ისწავლოს და თავის მურაზს მიეწიესო. მართლაც, მენახირეს უმტყუენა ბედმა, გახდა ავად და გარდაიცვალა. დამარხეს როგორც შეეფერებოდა, ყოველივე წესრიგი მიადევნეს. ბიჭი თორმეტი წლისა გახდა და ეტყობოდა მკლავ-ჯანიანი იყო, ვერც ერთი თავის ტოლი ბიჭი ვერ ერეოდა, ამასთან დიდი მოჩხუბარი იყო და ხშირად სტყეპდა ტოლ ბიჭებს. ნაცემების მშობლები საჩივრად დედასთან მოდიოდნენ და დედას თავი ჰქონდა მობეზრებული. დედას მეტი ჯანი არა ჰქონდა, უნდა თავის შვილი მოეშორებინა თავის ჭერიდან და ვისთვისმე ხელობაზე მიებარებინა შაგირდათ. ბევრი ფიქრის შემდეგ წაიყვანა ეს ბიჭი ერთ კარგ ოქრომჭედელთან და სთხოვა: — თუ შეიძლება ჩემი შვილი შაგირდათ აიყვანე და შენი ხელობა ასწავლეო. ოქრომჭედელმა უთხრა:—მაგის მამა ისეთი პატიოსანი კაცი იყოვო, რომ იმის ხათრით ავიყვან შენ შვილს და ჩემს ხელობას ვასწავლიო. დედაკაცმა მადლობა გადაუხადა, დასტოვა შვილი ოქრომჭედელთან და თითონ სახლში წამოვიდა.

მაგრამ, მე არ მოგიკვდეთ, ეს ბიჭი ხელობას ვერ მიხვდა. ბევრი ეცადა ოსტატი, ბევრი, მაგრამ ვერაფრით ვერა ჩააგონარა მენახირის შვილსა. ბოლოს რომ ვეღარა გააწყორა, დაითხოვა თავისი შაგირდი და უთხრა:—წადი, შვილო, შენ სახლშიო, რაც ხელობა მამაშენს ჰქონდა, შენც იმ ხელობის ღირსი ხარ, შენ სხვა ხელობას ვერ ისწავლიო. მივიდა ბიჭი თავის სახლში. დედამ რომ დაინახა, ელდა ეცა.—იქნება შენ შენი ანცობა იქაც არ დააშალე და ოსტატმა დაგითხოვაო. შვილმა ჰკითხა:—დედილო, მამაჩემი რა ხელობისა იყო, მეც იმის ხელობა მინდა ვისწავლოვო. – შვილო, მამაშენი განთქმული ოქრომჭედელი იყო,—უპასუხა დედამ. ბიჭმა არ დაიჯერა და ჩააცივდა,—სწორეთ უნდა მითხრაო. დედამ ბევრი ხელობა უთხრა, შვილი კი სულ იმას ეუბნებოდა:—არა, შენი ჭირიმე, დედილო, სწორეთ მითხარიო. როცა აღარ მოეშვა შვილი, უთხრა დედამ:—მამაშენი სოფლის მენახირე იყოვო. —ჰოო, ეხლა კი მჯერა, რომ სწორეთ მითხარი; მაშ მამაჩემს სანახირო კომბალი ექნებოდა, აბა ერთი მონახე და მომიტანეო. ბევრი იტირა დედამ, რომ თავისი ქმრის ანდერძი ვერ შეასრულა, რომ მისი შვილი რამე ოსტატი გამოსულიყო, მაგრამ რაღა გაეწყობოდა, გამოუტანა მამისეული კომბალი და გადასცა შვილს. აიღო ბიჭმა კომბალი, გაიდო მხარზე, გავიდა გარეთ და გამვლელ-გამომვლელს ეუბნებოდა თავის ვინაობას, ხვალ ამა და ამ ადგილას შევაგროვებ ნახირს, კარგად მოუვლი და ვისაც უნდა მომაბაროსო, ჩემთან მორეკოსო. მართლაც მეორე დღეს კარგა ბლომა ნახირი შეაგროვა და საძოვარზე გარეკა. ერთ კვირაზე საქონელი ისე გახადა, რომ ძროხები რომელიც წინად ჩარექს იწველიდა, ეხლა თუნგის წველა დაიწყო. ხალხი ძალიან მადლობელი ჰყავდა და სულ ამის ქებაში იყვნენ. ერთხელ ამ მენახირემ შორს გარეკა თავისი ნახირი და ისეთ საბალახოში შერეკა, რომ საქონელი აღარ სჩანდა ბალახში, თითონ ბექობზე ავიდა და იქიდან ათვალიერებდა და ტკბილად ღიღინებდა.

მე რად მინდა სხვა ხელობა,
ოქრომჭედლის ჩაკუჩი,
ჩემი ნატვრა ის არის,
ვიყო სოფლის ნახირში.

ამ ტკბილ ფიქრებში და ღიღინში რომ არის გართული, დაინახა, რომ შორიდან მოდის ქარავანი. ბიჭს ძალიან გაუკვირდა: ვინ არიან, რომ ამ უალაგო ალაგას ასე უშიშრად მოდიანო. როცა მოუახლოვდენ, ბიჭი ფეხზე იდგა და სოვდაგრებს სალამი მისცა. იმათაც სალამი მისცეს. მენახირემ ჰკითხა.—საიდან მოგზაურობთ? სოვდაგრებმა უპასუხეს:—ჩვენ ინდოეთში ვიყავით, იქ საქონელი გავყიდეთ, კარგი მოგება ვნახეთ და აი ეს ამოდენა ტვირთი სულ აბრეშუმი და თვალ-მარგალიტი არისო. მენახირემ უთხრა:—ხალხნო, არ გეშინიანთ, რომ მარტოკები ამოდენა სიმდიდრით უშიშრად მოდიხართ ამ უდაბურ ადგილსაო.—მარტოკანი რად ვიქნებით, აი შენისთანა ვაჟკაცი გვერდზე გვყეხარ და რისა უნდა გეშინოდეს?! გაიცინეს სოვდაგრებმა და გზას გაუდგენ. გავიდა ცოტა ხანი და მენახირეს საშინელი ხმაურობა შემოესმა. გაიქცა იქით, საიდანაც ხმაურობა მოდიოდა და რა ნახა: სოვდაგრებს დასცემიან თულები, გაუცარცვავთ, რაც ჰქონიათ წაურთმევიათ და კარგადაც უძეძიათ სოვდაგრები. ბიჭმა რომ ამ ყოფაში ნახა სოვდაგრები, შეეცოდა, წამოეწია ყაჩაღებს, გადგა განზე და ის შენ მტერსა, რაც თავის კომბლით იმ ყაჩაღებს დღე დაეყენა, სულ თავ-პირი დაამტვრია. ყაჩაღებმა თავს უშველეს და გაიქცენ, და რაც რამ ჰქონდათ სულ იქ დაყარეს.. წამოუღო და ყველაფერი ჩააბარა ისევ სოვდაგრებს. სოვდაგრებს გაუხარდათ და გაუკვირდათ, რომ ნახეს ასეთი პატარა ბიჭის ასეთი უნარი. უთხრეს:—იცი, შვილო, რა გითხრათ: ამ ქონების ღირსი შენა ყოფილხარ და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, ჩვენ ისიც გვეყოფა, რომ სიკვდილს გადაგვარჩინე, გვითხარი შენი სახლი სად არის და სულყველაფერს იქ მოგიტანთო. ბიჭმა მადლობა გადაუხადა და უთხრა:—მე ერთი ფლურის დანაფასებიც არ მინდაო. სოვდაგრები მაინც არ მოეშვნენ, სირცხვილში ნუ ჩაგვაგდებ, ცოტა რამე მაინც მიიღე ჩვენს სახსოვრადაო. მენახირემ კიდევ მადლობა გადაუხადა, ყველაფერზე უარი სთქვა, გზა მშვიდობისა უთხრა და თითონ თავის ნახირს მიხედა. ნახირი დააბინავა, პატრონებს ჩააბარა, თავისი გუდა ზურგზე მოიგდო, კომბალი მხარზე გაიდო და ყაჩაღებს კვალში ჩაუდგა. დაინახა ერთ მდინარის პირს ყაჩაღები დასისხლია-

ნებულ პირს იბანენ და სისხლით მოთხუპნილ ტანისამოსს ირეცხავენ. ბიჭი დაიმალა. ყაჩაღებმა დაიბანეს პირი და გაუდგენ გზას. მენახირე ჩუმათ აედევნა უკან. ყაჩაღები სულ თორმეტნი იყვნენ, მივიდნენ ბინაზე, შეაღეს კარი, ბიჭი კარის უკან დაიმალა და იქ მეცამეტე კაციც დახვდათ, თურმე ის ამ ყაჩაღების თავი ყოფილა. უფროსმა რომ დაინახა თავპირდამტვრეული ამხანაგები, გაშტერებული შეჰყურებდა და გაკვირვებულმა ჰკითხა:—სად ყოფილხართ, ვის დაუხვდით ისეთ ძლიერსა, რომ თქვენთვის სულ თავ-პირი დაუმტვრეგიაო. ერთი ყაჩაღი წარსდგა წინ, მოწიწებით თავი დაუკრა ბელადს და უამბო:—ჩვენ ჩრდილოეთის ხევში ველოდით ინდოეთიდან სოვდაგრების დაბრუნებას, შარშან გაიარეს და დრო ჰქონდათ დაბრუნებისა. მართლაც, დიდი სიმდიდრით დაბრუნებულიყვნენ სოვდაგრები და მოდიოდნენ. დავეცით, ყველანი კარგად დავამტვრიეთ და წავართვით რაც რამ ებადათ, ის იყო ნადაელით უნდა გამოვბრუნებულიყავით, რომ უეცრად ვიღაც, ასე თორმეტი წლის ბიჭი კომბლით გადაგვიდგა წინ და გვითხრა დაგვებრუნებინა პატრონებისათვის წართმეული სიმდიდრე. შენ ვინა ხარ, რომ ასე მბრძანებელის კილოთი გვიბრძანებო,—უთხარით დაცინვით.—აი ვინა ვარო! გასდგა განზე და თავის კომბლით ისეთი დღე დაგვაყენა, რომ სულ კუდით ქვა გვასროლინა. რომ არ გამოვქცეულიყავით უსათუოდ ყველას დაგვხოცავდაო. უფროსმა გაკვირვებულმა წამოიძახა:—ახ, ნეტა ერთი მაჩვენა, რა სულიერი იყო, რომ ეგეთი პატარა მაგ შნოს პატრონი ყოფილაო. ეს თქმა იყო და ბიჭი წინ წასდგა.—მე ვარ ის ბიჭი, რა გწადიანო? ყაჩაღები შიშისაგან ციებ-ცხელებამ აიტანა, ერთმანეთს შეხედეს და სთქვეს,—ეს რა ჭირი გადაგვეკიდაო, თუ ამას არაფერი უხერხეთ, ამას ჩვენ ვერ გადავურჩებითო. ბევრი ფიქრის შემდეგ ერთმა სთქვა:—ბიჭობა ეგ კი არ არის, რომ ჩვენ თორმეტს თავ-პირი დაგვალეწე, ბიჭობა ის არის, რომ ამა და ამ ქალაქსა, რომელსაც კახ-ქალაქი ჰქვიან, ერთი ბებერი დედაკაცი დაჰპატრონებია, სულყველანი გადაუჭამია და მთელი ქალაქის ქონება იმას დარჩენია. აბა ბიჭი შენ იქნები, თუ გაბედავ, წახვალ, იმ ბებერს დაიჭერ და მთელი ქალაქის ქონებაც შენ დაგრჩება.—თქვენ გზა მასწავლეთ და

მე წავალ იქაო. ყაჩაღებს გაუხარდათ, რომ თავიდან იშორებდნენ ამ ბიჭს, გაუმართეს მეჯლიში და მეორე დღეს გზა ასწავლეს და გაისტუმრეს. იარა ბიჭმა, იარა და შევიდა კახ-ქალაქში და დიდი საკვირველება იხილა: ქალაქში არამცთუ ადამიანის, ოთხფეხის ჭაჭანებაც არსად იყო. დაიწყო იმ ბებრის ძებნა. ვერსად ვერავის შეხვდა, დაღონდა, ესე ხელცარიელი რომ დაბრუნდე ხომ შევრცხვიო. ამავე დროს არც ბებერს ეძინა და დაძრწოდა, შესაჭმელს ეძებდა, სუნით გაეგო კარგი საუზმის (ზაკუსკის) მისვლა, სიხარულით ოქრომჭედელთან გაიქცა, რომელიც ცოცხალი ისლა დაერჩინა, და უთხრა:—აბა კბილები დამილესეო. ოქრომჭედელმა დაულესა და ბებერი გამოვარდა და პირდაპირ ბიჭისაკენ გაიქცა, დაინხა ბიჭი, მივიდა და უთხრა:—უი, შენ კი გენაცვალე, საიდან მომიხველი, წამოდი ჩემთან, გემშიება, პატარა შეჭამე რამეო. ბიჭი გაჰყვა. შევიდნენ ერთ ბანიან სახლში. სახლში ბიჭმა შესვლისთანავე შეამჩნია კერის მაღლა ერთი გუდა ეკიდა და მოეჩვენა, რომ მითომ შიგ პატარა ყმაწვილი იყოს და სტიროდეს.—შენ გენაცვალე ერთი მიზურგულე ის ყმაწვილი ჩამოვიყვანოვო. თურმე ეს დედაკაცი ყველას ასე ატყუილებს, ჩაჰკრავს წიხლს, გასჭყლეტავს და შეჭამს. ბიჭი დასთანახმდა, უზურგულა. დედაკაცი შეახტა ზურგზე და ერთი მაგარი წიხლი ჩააზილა. ბიჭს არ ეჭაშნიკა—ეტკინა. არც ბებერს ეამა, რომ იმის წიხლს ბიჭმა გაუძლო. ჩაჰკრა მეორე, მესამე, მაშინ კი ველარ მოითმინა ბიჭმა.—შე ქოფაკო, ეხლა კი აღარ ხუმრობო. გადმოაგდო, ცალი ხელი ძუძუზე წააკლო, მეორე ხელით თავისი კომბლით ისე ურტყა, რომ ბებერმა ძლივს უშველა თავს და გაექცა. მხოლოდ ბიჭს რაღაც თილისმა შერჩა ხელში. ბიჭმა გუდაში ჩადო თილისმა, მოიკიდა, აიღო თავის კომბალი და ისევ იმ ცამეტ ყაჩაღებთან წამოვიდა. იმოდენა დოვლათს თავი დაანება, მოვიდა და უამბო ყველაფერი ცამეტ ყაჩაღს. იმათ გულები დაუსკდათ. თან ნიშანი—თილისმა უჩვენა. რომ დაატყეს ყაჩაღებმა, რომ ეს ბიჭი ამათ აღარ ეშვება, უთხრეს:—იცი რა გითხრა: ეს თილისმა ისეთი ძვირფასი რამ არის, რომ ამას ჩვენ ფასს ვერ დავდებთ. გაიტანე ბაზარში და ვინც რა უნდა შემოგაძლიოს შენ მხოლოდ

ის უთხარი: შენ უფრო მოგეხსენება ამის ფასი თქო. მეორე დღეს მართლაც გაიტანა ბაზარში, შეხვდა ერთი სოვდაგარი, მოეწონა ძალიან თილისმა და ჰკითხა:—ბიჭო, როგორ აფასებ მაგასო?—შენ უფრო მოგეხსენება მაგისი ფასიო.—ასი თუმანი მოგცე?—შენ უფრო მოგეხსენება მაგისი ფასი!—ორასი? სამასი? ოთხასი? აძლია სოვდაგარმა, მაგრამ ბიჭი ისე ამბობდა, როგორც ყაჩაღებმა დაარიგეს. რომ ზაჰლა წაერთო სოვდაგარს, თავი მიანება და უთხრა: — წადი, შვილო, შენთან მორიგება შეუძლებელი არისო. შეხვდა მეორე, მესამე, მეოთხე. ყველას ერთსა და იმავე პასუხს აძლევდა. ბოლოს შეხვდა ერთი ურია. ურიამ რომ დახედა ძვირფას განძს, მივარდა ბიჭს და მოინდომა როგორმე წაერთმია! ეს განძი ჩემი ძმისაა, სავაჭროდ იყო წასული და, ალბათ, შენ მოკალი და გასცარცეეო. წამოდი ეხლავე ხელმწიფესთანაო. გაჰყვა. ურიამ უთხრა ხელმწიფეს: ამ ბიჭს ჩემი ძმა მოუკლავს და აი ეს ძვირფასი განძი ჩემი ძმისაა, ამას გეუცარცავავსო. ხელმწიფემ შეხედა ურიას და ჰკითხა.—თქვენ კიდევ გაქვთ ასეთი განძიო?—ეგეთ ძვირფას განძს ვინ მომცემს კიდევ სხვას, მაგის ბადალი მგონი დედამიწაზედაც აღარ მოიპოვებაო. ბიჭმა კი მოახსენა ხელმწიფეს: — მაგისთანა მე ბევრი მაქვსო და თუ გნებავთ, დიდებულო ხელმწიფეე, ათას ამისთანას კიდევ მოგართმევთო, ოღონდ ვადა ერთი წელიწადი მომეციო. მოგცემ, მხოლოდ თავდები ვინმე უნდა გყავდესო.—თუ გნებავთ ცამეტ კაცს წარმოგიდგენთ თავდებადაო, მხოლოდ გთხოვთ, სანამ მე დავბრუნდები, ეს ურიაც დამწყვდეული გყავდეთო. ურია მაშინვე დააწყვდიეს. ბიჭი ყაჩაღებთან წავიდა, ყაჩაღებმა რომ დაინახეს, გულები დაუსკდათ—ე რა ჭირს გადავეკიდეთო. ბიჭმა ყველაფერი უამბო ყაჩაღებს და დაუმატა: აბა, ძმებო, ეხლა მიჭირს თქვენი თაკი, თავდებად უნდა დამიდგეთო. ყაჩაღები უარესად დაღონდნენ: არ გავყვეთ—თავის კომბლით აქვე დაგვხოცავს, გავყვეთ—ხელმწიფე გაიგებს, რომ ყაჩაღები ვართ და სუყველას ჩამოგვახრჩობსო, ჩავცვივდით ორ ცეცხლ შუაო.

აიღეს, დაიღეს და გადასწყვიტეს წაჰყოლოდნენ ხელმწიფესთან თავდებად. ხელმწიფემ ცამეტი კაცი დაამწყვდია და ბიჭი კი გაანთავისუფლა. გამოვიდა ბიჭი თავის გუდით და

კომბლით, უგზო-უკელოდ ბევრი იარა, ერთ მინდორში დაუ-ღამდა და დაჯდა და აქეთ-იქით დაიწყო ყურება. დაინახა შორს სანთლის შუქი, ადგა და წავიდა შუქისაკენ; იარა, იარა და როცა ახლო მივიდა შუქთან, დაინახა ერთი კარავი, კა-რავში ცხედარი ესვენა, თავზე და ფეხთ შანდლები ედგა და ზედ სანთლები ენთო. შევიდა კარავში, ილოცა, გამოვიდა იქიდან და იფიქრა, ამ ცხედარს უსათუოდ პატრონი ეყო-ლება, აქ უნდა დავიცადო სანამ პატრონი გამოჩნდებაო. წა-მოწვა იქვე ახლოს და დაიწყო ლოდინი. გავიდა ცოტა ხანი, მოვიდა მშვენიერი ქალი. ბიჭმა დაინახა და გაინაბა, ენახოთ ბოლოს რა გამოვაო. მივიდა ქალი ცხედართან, ერთი წკეპ-ლა ეჭირა ხელში, გადაარტყა ცხედარს, მიცვალებული ფეხზე წამოდგარდა, დაარტყა მეორე და იქცა რაშად. შეხტა ქალი რაშზე და გააქენა. ბიჭი სახტად დარჩა, შევიდა კარავში, იფიქრა—უსათუოდ უკან დაბრუნდებაო, და დაიმალა.

გათენებამ რომ მოატანა, ენახოთ დაღალულ-დაწყვეტილ რაშით მოვიდა და გადმოფრინდა ქალი, გადაჭრა წკეპლა და რაში მშვენიერ ვაჟკაცად იქცა, როდესაც მეორედ შეუმაღლა წკეპლა დასარტყმელად, მისწვდა ბიჭი წკეპლასა და მაგრა დაიჭირა, მერე მისდგა თავისი კომბლით და დაუწყო ქალს ცემა. ბევრი იბრძოლეს, ქალმა იგრძნო, რომ ბიჭი მოერეოდა, გაუსხლტა ხელიდან და გაიქცა, წკეპლა კი ბიჭს შერჩა ხელ-ში. გადაარჩინა ვაჟკაცი ამდენი წვალებისაგან. როცა დამ-შვიდდენ, კარგათაც გათენდა, ვაჟკაცმა ჰკითხა ბიჭს:—რა სუ-ლიერი ხარ, ვინა ხარ, რომ ჩემს მხსნელად გამოსჩნდიო, მე არ ვიცი როგორ გადაგიხადო შენი სიკეთეო. მე დიდი ხელმწიფის შვილი ვარ, ჩვენ ეხლა წავიდეთ მამაჩემთან და ის გადაგიხდის შენს დაუვიწყარ სიკეთესო. წავიდნენ სასახ-ლისაკენ. ხელმწიფეს გაეგო, რომ მისი შვილი ცოცხალი გა-დარჩენილა და შინ ბრუნდებაო, გამოეგება დიდის ამალით. მერე ყველა მხრიდან მოდიოდა აუარებელი ხალხი და ულო-ცავდნენ შვილის მშვიდობიანად გადარჩენას. გამართა ხელ-მწიფემ დიდი ლხინი. ყველა მისი ქვეშევრდომი იყო მოწვე-ულნი მეჯლისზე. როცა გაათავეს ლხინი, მამამ ჰკითხა შვილს, ვინ იყო ისეთი ღვთისნიერი და მადლიანი ადამიანი, რო-მელმაც შენ ტანჯვისგან დაგიხსნაო. შვილმა უჩვენა კომბ-

ლიან და გუდიან მენახირეზე,—ამან დამიხსნაო. გადაეხვია ხელმწიფე ამ ბიჭს და უთხრა:—იცი, შვილო, რა გითხრა, მე ერთი ვაჟის მიტი არა მყავს, ეხლა კი ორი მეყოლებითო, ჩემი სახელმწიფო დიდია, გაიყავით და ორივეს გეყოფათო. ბიჭმა უთხრა:—მე არაფერი არ მინდა, ცამეტი კაცის ცოდო მადევს კისერზე, ჩემი თხოვნა ის არის: გემში ჩამსვით და ზღვის გაღმა გამიყვანეთო. ხელმწიფე ძალიან დაღონდა:—ზღვის გაღმა გასვლა ძალიან ძნელია და არ გაგიშვებო. ბიჭი მაინც ისევ იმას სთხოვდა, უსათუოდ გაღმა უნდა გამიყვანოთო. რაკი აღარ დაიშალა, ხელმწიფეც დასთანხმდა. ხელმწიფემ და მისმა შვილმა დიდის ამბით მიაცილეს გემამდე, ჩაბარეს მეგემეს და უთხრეს:—თუ ამას რამე დაშავებია, ცოცხალს არ გაგიშვებთო. ჩაიბარა მეგემემ ეს ბიჭი. დიდის ტირილით გამოეთხოვნენ ხელმწიფე და მისი შვილი. დაიძრა გემი და შეცურდნენ ზღვაში. შუა ზღვაში გემი უეცრად დადგა, დაიწყო ზანზარი და რყევა, მგზავრებმა საშინელი ჩოჩქოლი ასტეხეს. ბიჭმა ვერაფერი ვერ გაიგო, ჰკითხა მეგემეს,—ეს რა ამბავიაო. მეგემემ უთხრა—ცოტა ხანიც მოითმინე, საკითხი თითონ გადასწყდება და გზასაც გაუდგებით ჩქარაო. ბიჭი არ მოეშო მეგემეს,—ყველაფერი უნდა მითხრაო. მეგემემ დაწვრილებით უამბო: ხელმწიფე სწორედ იმიტომ არ გიშვებდაო, რომ საშიში იყო. ზღვაში რაღაც იქერს გემს, თუ ერთი კაცი არ ჩავუშვით და არ მივაწოდეთ, გემს გადააბრუნებს და სუყველანი დავიღუპებითო. ბიჭი მაშინვე წამოხტა და დაიძახა: — ხალხნო! დამშვიდდით, მე ჩავეშვები ზღვაში და იმედი მაქვს მშვიდობით გადავრჩები და თქვენც გადაგარჩენთ. მეგემემ კინაღამ თავი მოიკლა: ხელმწიფემ შენი თავი მე ჩამაბარა და ნებას არ მოგცემ, რომ შენ ჩაგიშვანო. ბიჭი გაჭირვეულდა, არ იქნა და არ მოიშალა, შეეოიკრა თოფი, აიღო თავისი კომბალი და გუდა და ჩაეშვა ზღვაში. მეგემე კინაღამ დარდით გაგიჟდა. ბიჭი ჩავიდა, ჩავიდა ზღვაში და დაინახა ერთი დედაკაცი. ხელზე ერთი საოცარი ძვირფასი ბეჭედი ჰქონდა და იმ ბეჭდით ჰქონდა გემი შეყენებული. ბიჭი მაშინვე ბეჭედში ეცა, ხელი მაგრა დაუჭირა, მისდგა და თავის კომბლით დაუწყო ცემა. ზღვაში ისეთი საშინელი თქაფათქუფი ასტყდა, რომ კინაღამ გემი გადაბრუნდა.

ბევრი იბრძოლეს, ბიჭმა დაძალა დედაკაცი, დედაკაცი ხელიდან გაუსხლტა და გაიქცა, ბეჭედი კი ბიჭს შერჩა ხელში. ზღვა დაშოშმინდა. ამოსწიეს და მშვიდობიანად ამოიყვანეს გემზე ბიჭი. მგზავრებს დიდი სიხარული შეექმნათ, შემოეხვივნენ ამ ბიჭს, ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ, საჩუქრები მოჰქონდათ,—შენ სიკეთე დასთესეო, ისეთი სიკეთე დასთესეო, რომ საუკუნოდ დაუვიწყარი გახდიო. ბიჭმა საჩუქრებზე უარა სთქვა; მეგემემ ხომ სიხარულით არ იცოდა რა ექნა. დაიძრა გემი, მეორე ნაპირს გავიდა მშვიდობით, მგზავრები წავიდ-წამოვიდნენ, მარტო ბიჭიღა დარჩა ზღვის პირას და არ იცოდა საით წასულიყო, რომელ გზას დასდგომოდა. გაჰყვა ერთ ბილიკს და სთქვა:—სადაც მიმიყვანს ეს ბილიკი, მიმიყვანსო. იარა, იარა, ბევრი იარა, დაღამდა. დაღალული ბიჭი მიწვა და დაიძინა. სიზმარში ერთი მოხუცებული კაცი გამოეცხადა და უთხრა:—ადექ, რასა გძინავს, დაადექ ამ ბილიკს და სადაც ეს ბილიკი გათავდება—იქ იქნება რასაც შენ ეძებო. წამოდგა ბიჭი, ილოცა და დაადგა იმ ბილიკს. ბევრი იარა და ბოლოს შევიდა ერთ კლდიან ალაგას და გაუთენდა კიდეც. მოექცა ამ კლდეებს შუა და გზა ალარსაით არა სჩანდა. მიიხედ-მოიხედა, მაღლა აიხედა და დაინახა, რომ პატარა საფეხურები იყო. შესდგა ფეხი, მეორე, მესამე და ასე სულ მაღლა-მაღლა მიდიოდა; ავიდა, ავიდა და ბოლოს ნახა სწორე ალაგი. ჩამოჯდა და ფიქრობს—ეს სადა ვარ, სად ამოველი, ჩასვლაც ძნელიაო. დაისვენა, ადგა და წავიდა. რამდენიმე ნაბიჯი რომ წარსდგა, ერთ უძირო ორმოს მიადგა. ორმოს საფეხურები ჰქონდა. ჩადგა ფეხი, მერე მეორე, მესამე და ასე სულ ძირამდე ჩავიდა. იქ ერთი კარები დაინახა, იქიდან ლაპარაკი გაგიოდიოდა. ბიჭი შესდგა და ყური დაუგდო. კარებში პატარა ჭუკრუტანა იპოვნა და შეიხედა ოთახში და რა დაინახა? მშვენიერი ტახტი, ტახტზე გაშლილი სუფრა, რა გინდა სულო და გულო, რომ იმ სუფრაზე არ ეწყო! ფიქრობს ბიჭი რად უნდათ, ან ვინ უნდა ჭამოს ამოდენა სასმელ-საჭმელიო!? დაუგდიბ ყურს, ბოლოს რა გამოვაო. ერთიც ენახოთ, გაიღო სენაკის კარები და გამოვიდა ერთი მზეთუნახავი ქალი. გაიღო მეორე სენაკის კარი და გამოვიდა პირველ ქალზე უფრო უკეთესი ქალი, გაიღო მესამე კარი და ყველაზე უკეთესი ქალი გამოვიდა. თურმე

სამნიეენი დები ყოფილან, გადაჰკოცნეს ერთმანეთს და შემოუსხდნენ სუფრას გარშემო და დროსტარება დაიწყეს. ცოტა ხნის შემდეგ უფროსმა დამ სთქვა: ეხლა კი დროა ყველამ ვთქვათ ჩვენ ჩვენი თავგადასავალი. სხვებიც დასთანხმდნენ, ეხოლოდ შენ როგორც უფროსიო, პირველად შენ დაიწყეო. უფროსმა დამ დაიწყო: როცა ერთმანეთს დავშორდით, წავედი კახ-ქალაქში, მცხოვრებლები, კატა და ძაღლიც კი ყველა შევჭამე. დამრჩა ერთი ოქრომჭედელი, რომელიც კბილებს მილესავდა, ის-ის იყო ის უნდა შემეჭამა, რომ გამოჩნდა ერთი კარგი ლუკმა, ასე თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭი და ამ დამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო რაც გადახდა. მეორე დამ უამბო, ხელმწიფის შვილი მყავდა დამოხებული, წკეპლით რაშად ვაქცევდი და მთელ ცის ძირ მოვიელიდიო, სულყველაფერი უამბო, რაც გადახდა და 12—13 წლის ბიჭმა კომბლით როგორ სცემა და წკეპლა წაართვა.

მესამე დამაც ასე დაწვრილებით უამბო, როგორ აგეთმავე ბიჭმა კომბლით სცემა ზღვაში მას და ბეჭედიც წაართვა, საშიენე დამ რომ გაათავეს თავთავიანთი ამბავი, ჭიქით ღვინო აიღეს და სთქვეს:—ეს ის ბიჭი ვადღეგრძელოთო და ნეტავი კიდევ შეგვახვედრაო. თქმა აბისა და გადმოფრინდა ბიჭი და დაიძახა:—აი, მეც აქა ვარო. ქალებმა დაუწყეს ხვევნა და ყველა ეხვეწებოდა:—არა მე შემირთე, არა მეო... ბიჭმა უთხრა უფროსს დას:—მე ათი ისეთი თილისმა მინდა, შენ რომ წაგართვიო. ქალმა უთხრა:—თუნდ ასი ინებეო.—მერე ის, რომ ჩემი ვადა ჩქარა გათავდება, ცამეტი სულის ცოდო მადევს, თუ დროზე არ მიველ, ჩამოჭიდებენ იმათ ყველასაო. უფროსმა დამ უთხრა:— მე სამ კვირას მიგიყვანო, შუათანამ მე ორ კვირასაო, უმცროსმა—მე ერთ კვირასაო. ბიჭმა უმცროსს გადაჰხვია ხელი და უთხრა:—შენ იქნები ჩემი ცოლი და შენ უნდა წამიყვანოვო. გუდა გაუვსეს თილისმით, შეისო მხარზე უ ცროსმა დამ და გააფრინა, ოთხ დღეზე ბიჭის სახლში ბივიდენ, დედას უთხრა:—აი შენი რძალიო, სანამ მოვიდოდე კარგად მოუარეო. თითონ თილისმები წამოიღო და პირდაპირ ხელმწიფესთან მივიდა და თილისმები მიართვა. ხელმწიფეს ძალიან გაუკვირდა ამდენი თილისმები, დანიშნა წინანდელი თილისმა, სხვა თილისმებში აურია და ურიას

დაუძახა:—აბა შენი ძმის თილისმა რომელიაო. ურიამ ამდენი თილისმები რომ დაინახა, თვალები აუჭრელდა, სხვა თილისმას წაავლო ხელი. ხელმწიფემ ურია დასაჯა—მოაკვლევინა, ცამეტი ყაჩაღი გამოაშვებინა, დაასაჩუქრა და გაუშვა, ბიჭმაც აჩუქა იმათ თილისმები და უთხრა, ყაჩაღობისათვის თავი დაენებებინათ. ხელმწიფესაც უთავაზა რამდენიმე თილისმა და სთხოვა:—ჩქარა ქორწილი მექნება და მეწვიეო. ხელმწიფემ სიხარულით მიიღო დაპატიჟება, მეჯვარეც თითონ იყო ამ ბიჭისა. მენახირემ დაიწყო ბედნიერი ცხოვრება.

ჰირი იქა, ლხინი აქა.

270. გოგრა შვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხი ცოლ-ქმარი. გლეხურ კვალობაზე კარგად ცხოვრობდნენ, შრომობდნენ, ჯაფას ეწეოდნენ და თავიანთი ცხოვრებით კმაყოფილი იყვნენ. მხოლოდ ცოლ-ქმარს გული იმაზე სტკიოდათ, რომ შვილი არა ჰყავდათ, რომელიც მშობლებისათვის სიბერეში იმედი იქნებოდა. რაც დრო გადიოდა, იმდენი ამისათვის უფრო მწუხარებას ეძლეოდნენ, ყველას შესჩიოდნენ, ბედს უჩიოდნენ. ერთხელაც გლეხის ცოლმა ერთ დედაკაცს შესჩივლა: ასე უნუგეშოთ ვბერდები, უნაყოფოდ მიდის ჩემი ცხოვრება და მოხუცებულობაში იმედად ერთი ძე არ მოგვცა ღმერთმაო. დედაკაცმა უთხრა: ადამიანო, მაგისათვის ნეტა რამ დაგაღონა, შვილიანობაზე ადვილი რაღაა: თუკი ითავებთ, აღმოსავლეთში ერთი ისეთი ქვეყანაა, სადაც მურასა ლავაშის პურს ჰყიდიან, გაგზავნე შენი ქმარი, იშოვნოს ის პური, მოგიტანოს, შესჭამ თუ არა, მაშინვე დაორსულდები და შვილი გეყოლებაო. გლეხის ცოლმა მადლობა გადაუხადა, წამოვიდა შინ, აღარც ოჯახს მიჰხედა, იჯდა და სულ ტიროდა. გლეხი დაბრუნდა სახლში, დაინახა, ყველაფერი ეზო-ყურეში უწესოთ იყო მიყრილ-მოყრილი, ყველაფერი მოუვლელად და უპატრონოთ იყო, დაიწყო ყვირილი და ძახილი: დედაკაცო, რა ამბავია, რა დაგმართვია, რატომ ყველაფერი უყურადღებოდ არის მიყრილიო. მაგრამ ხმა არავინ გასცა. ცოლი არსადა

სჩანდა. გაკვირვებული ქმარი შევიდა სახლში და დაინახა მტირალი ცოლი.— დედაკაცო, რა დაგმართვია, რას დაღონებულხარ და სტირიო, ჰკითხა ქმარმა...— რად მინდა ოჯახი ან ქონება თუ ასე უძეო და უპატრონოდ დავბერდებითო, აღმოსავლეთში ერთ ქვეყანაში იშოვნება თურმე მურასა ლავაშის პურიო, ვინც იმას შესჭამს დაორსულდებაო, თუ არ წახვალ და არ მომიტან და შვილი არ მეყოლება, აღარც ოჯახი მინდა, აღარც შენა, ყველა ჭირს წაუღიხართო, არც თავს ვიცოცხლებო. ქმარმა უთხრა: ოღონდ შენ კარგადა მყვანდე, სადაც უნდა იყოს გიშოვნი და მოგიტანო. ადგა ეს გლეხი და წავიდა. იარა, იარა და მიაგნო იმ ქვეყანას, სადაც მურასა ლავაშის პური იშოვებოდა. იყიდა ხუთი პური და დაბრუნდა შინ. გზაში დიდი ხანი მოუნდა სიარულს, საჭელი ვერსად იშოვნა, შიმშილმა ისე დაატანა ძალა, რომ ის ხუთი პური გზაში შეჭამა და შინ ხელცარიელი მივიდა. ცოლი ძალიან გაანჩხლდა, ქმარი ეფიცებოდა, რომ ვერ ვიშოვნეო. ბოლოს დამშვიდნენ და ისევ დაიწყეს ჩვეულებრივ ცხოვრება... რამდენიც ხანი გადიოდა იმდენი გლეხი ატყობდა, რომ მუცელი ებერებოდა, გლეხი ფიქრობდა: ღმერთი ხომ არ გამიწყრა და იმ პურისაგან არ დაეორსულდიო?! ვერც არავის ეუბნებოდა, იყო ისე გაჩუმებული. მუცელი კი სულ ებერებოდა და ებერებოდა. დაატყო რომ საქმე ცუდათ იყო, ცოლს უთხრა რამდენიმე დღით სხვაგან უნდა წავიდეო. აიღო გუდა-ნაბადი და წავიდა ერთ ადგილას, გოგრა გააჩინა. მადლობა, რომ ამით გადავრჩი და მართლა ბავშვი არ გავაჩინეო. ადგა და წამოვიდა შინ, გოგრას თავი მიანება, კარგა რომ გამოიარა, უკანიდან ხმა მოესმა: დაბრუნდი, თან წამიყვანე, თორემ ინანებო. გლეხმა ყურიც არ ათხოვა და წავიდა თავისთვის. ვნახოთ გოგრა მოგორაავს და მოსძახის: წამიყვანე, თორემ ინანებო. მეტი რა ჯანი იყო, ამოიჩარა იღლიაში გოგრა, მოიტანა შინ და თაროზე დადო. გავიდა ხანი. ერთხელ გლეხი დაბრუნდა შინ დაღლილი, წამოწვა ტახტზე დასასვენებლად, უეცრად გოგრამ დაუძახა: მამაჩემო, რასა სწუხარ, ადე, წადი ხელმწიფესთან, უთხარი: შენი ქალი ჩემს შვილს უნდა მიათხოვო თქო, აბა რა პასუხს მოგცემს, მოდი და უსათუოდ მითხარიო. მამამ უარი უთხრა, შენ ხომ არ გინდა ხელმწიფეს ჩე-

მი თავი მოაკვლევინო. გოგრა არ მოეშვა და გაგზავნა მამა ხელმწიფესთან ქალის სათხოვნელად. მიეიდა გლეხი სასახლესთან, კარის კაცებთან. ხვეწნის შემდეგ აჩვენეს ხელმწიფე. ხელმწიფემ ჰკითხა: რა გინდაო?—ჩემს შვილს შენი ქალი უნდა მიათხოვოო, უპასუხა გლეხმა. ხელმწიფეს გაეცინა და უთხრა: განა შენი შვილი რა შნოს პატრონია, რომ ბედავს და ქალსა მთხოვსო. გლეხმა უთხრა: რასაც შეუკვეთავ ყველაფერს აგისრულებსო.—მაშ კარგი, უთხრა ხელმწიფემ, რაკი აგრეა, შენმა შვილმა უნდა გააკეთოს ჩემი სახლიდან თქვენ სახლამდე ისეთი ბაღი, რომ ქვეყნიერებაზე იმისი ბადალი არ იყოს. შიგ ხილი ზოგი უნდა ყვავოდეს, რიგი მწიფდებოდეს, შიგ გამართული უნდა იყოს შადრევნები და ყოველნაირი ფრინველები უნდა გალობდნენო, ამასთანავე თქვენი სახლის ალაგას, ჩემი სასახლისთანა სასახლე უნდა აშენდესო. ერთ წელიწადს ვადას ვაძლევ, თუ ამ ვადაში ვერ შეასრულა, შენც მოგკლავ, შენ შვილსაც, რომ მეორედ აღარ გაბედოთ ასეთი უწესო თხოვნით მოხვიდე ჩემთანაო. შეშინებული და დაღონებული გლეხი დაბრუნდა სახლში და ტახტზე მიეგდო, გოგრას ყურიც არ ათხოვა.

პატარა ხნის უკან გოგრამ ჰკითხა:

— მამი, რა ქენი? რა პასუხი მოგცა ხელმწიფემ? რატომ არ მეტყვიო.

— ისეთი დავალება დაგადო, რომ იმის შესრულება ყოვლად შეუძლებელიაო, და მამამ უამბო ყველაფერი.

— შენ მაგისათვის ნუ დაღონდები,—უთხრა შვილმა,—შენ ადექ, ემ საათში წადი იმ ადგილას, სადაც მე მშობე და დაიძახე: „ჰეირან, თეირან! სულეიმანმა შემოგითვალა: ამაღამ გამოგზავნეთ საუკეთესო ოსტატები, ააშენონ საცა ჩვენი სახლია მარმარილოს სასახლე ხელმწიფის ღირსების შესაფერი, გაგზავნეთ საუკეთესო მებაღეები, ჩემი სახლიდან ხელმწიფის სასახლემდე ააშენონ საუცხოო ბაღი, შეამკონ აუზებით, მგალობელი ფრინველებით“. ასე სთქვი და შენ გამობრუნდი და წამოდი. მამა ეგრე მოიქცა: წავიდა, როგორც გოგრამ დაარიგა ისე დაიძახა და გამობრუნდა. მეორე დღეს რომ გაიღვიძა, გლეხი ხედავს, რომ თავის სახლის მაგიერ თითონ სასახლეშია, სასახლის წინ ისეთი ბაღია, რომ სამოთხე ამას-

თან არაფერია. გლეხმა აღარ იცის რა სთქვას—ისე გაკვირდა. დაუძახა გოგრამ: წადი ხელმწიფეს უთხარი, რაც დამავალეთ, ყველაფერი მზად არის-თქო, რასაც გეტყვის მოდი და მითხარიო. გაგულისებული გლეხი წავიდა პირდაპირ ხელწიფის სასახლეში, კარისკაცმა დაუბრკოლებლივ წაიყვანა ხელმწიფესთან, თან ეუბნებოდა: კაცო, რა თვალთმაქცობა გასწია შენმა შვილმა, ხელმწიფე გაკვირვებული არისო. გლეხი წარსდგა და მოახსენა: დიდებულო ხელმწიფევ, რაც დაავალეთ ჩემს შვილს, ყველაფერი შეასრულა, ეხლა რას გვიბრძანებთო. ხელმწიფემ უთხრა:—ერთსაც დავავალებ შენს შვილს: ჩემი სასახლის უკან დიდი მთაა, ეს მთა მომაშოროს შენმა შვილმა, რომ მზე პირდაპირ ანათებდეს ჩემს სასახლეს. გამოვიდა გლეხი, შეხედა უზარმაზარი მთაა აყუდებული, იფიქრა—ამის აღება შეუძლებელიაო. მამამ ყველაფერი გადასცა შვილს, რაც ხელმწიფემ დაავალა. გოგრამ უთხრა: წადი ისევ იმ ადგილას, საცა მშობე, დაიძახე: „ჰეირან, თეირან! სულეიმანმა შემოგითვალა: საუკეთესო მუშები გამომიგზავნე, ხელმწიფის სასახლის უკან რომ დიდი მთაა, მიწასთან გაასწორონ-თქო“, შენ გამობრუნდი და წამოდი. მამა ასეც მოიქცა. მეორე დღეს გოგრამ გაგზავნა თავისი მამა ხელმწიფესთან: თქვენი დავალება შევასრულე, ეხლა რაღას ბრძანებ-თქო. გლეხი წავიდა, ხელმწიფე გამოსულიყო, იმის სასახლეს კაშკაშა მზე მისდგომოდა და ხელმწიფე გაშტერებული უყურებდა. ხელმწიფემ უთხრა გლეხს:—ეხლა კი ყაბული ვარ ჩემი ქალი შენს შვილს შივათხოვო, მოვიდეს ამა და ამ დროს, ორასი კაცი მაყარით და დამკვრელებით და ქორწილს გადაუხდიო. წამოვიდა გლეხი და ფიქრობს:—ამოდენა ცხენოსანი მაყარი საიდან უნდა შეყაროსო! გოგრამ უთხრა: მაგისათვის ნუ დაღონდები, წადი ისევ იმ ალაგას და ჩვეულებისამებრ დაუძახე, რომ ორასი ცხენოსანი, საუკეთესო ტანისამოსით გამოწყობილნი, დამკვრელები და ერთი კარგი ცხენი და სახელმწიფო ტანისამოსით ჩემთვის დილაზე ჩემთან გამოცხადდეს-თქო. გლეხი ასე მოიქცა. მეორე დღეს გლეხის კარზე ორასი კარგად გამოწყობილი ცხენოსანი ზურნით დაირაზმნენ. გოგრამ თაროდან ისკუპა და თავის ცხენზე დასკუპდა. ტანისამოსი კი შინ შეატანინა და შეანახვინა. წავიდნენ ქალის მოსაყვანად. ხელ-

მწიფე გაკვირდა, ამოდენა თავადურად გამოწყობილი ხალხი რომ დაინახა, ქალს უთხრა:—შვილო, ნახე როგორი კარგი საქმრო გიშოვნეო. მხოლოდ ნეტა რომელია იმათში შენი საქმროვო. იკითხა:—რომელია ჩემი სასიძოვო. გოგრაზე მიუთითეს და უთხრეს: აი თქვენი სასიძოვო. ხელმწიფემ და იმისმა ქალმაც გაოცებით სთქვეს:—ჩვენ გოგრა რათ გვინდაო, გოგრას მე ქალს არ მიეცემო,—სთქვა ხელმწიფემ. გოგრამ უთხრა:—მაშ შენ სიტყვას ტეხამ და უარს მეუბნებიო, მაშ კარგიო და შეუბერა ამოდენა ხალხს და სუყველანი ჭიანჭველებად აქცია, მოკრიბა ყველანი ხელით და ჩოხის მასრაში ჩაყარა. შენც ასე გიზავ თუ შენ სიტყვას არ აასრულებ და ქალს არ მომცემო. ხელმწიფემ ასეთი სურათი რომ ნახა, ძალიან შეწუხდა, ქალს უთხრა:—მეტი რა ჯანია, უნდა მისთხოვდე, თორემ ცუდ დღეს დაგვაყრისო. ქალიც დაყაბულდა. გოგრამ იმოდენა მაყრები ისევ დააცოცხლა. ხელმწიფემ გადაიხადა დიდი ქორწილი და წამოიყვანა გოგრამ ქალი. მაყრები თავთავის გზაზე წავიდნენ, დარჩნენ გოგრა თავის ცოლით და დედ-მამით. ცოლ-ქმარი შევიდნენ თავიანთ ოთახში, ქალმა რა იხილა ოთახის საოცარი მოწყობილობა, გაკვირვებული დარჩა. ჩაკეტა კარები და გოგრამ უთხრა თავის ცოლს:—ჩემს საიდუმლოს მხოლოდ შენ გეტყვი და არ უნდა მიღალატო, თორემ იცოდე, ისეთ საქმეს დაგმართებ, რომ რკინის ჯოხს დაგაჭერინებ, რკინის ქალამნებს ჩაგაცმევ და ისე გაძებნინებ ჩემს თავსაო. ეს რომ სთქვა, ამ დროს იჭექა, გოგრას ქურქი გასძვრა, ისეთი ვაჟკაცი გამოვიდა, რომ მზეს ეუბნებოდა—შენ ჩადი და მე გავანათებო. ცოლს ისიც უთხრა: იცოდე ეს გოგრის ქერქები კარგად უნდა შეინახო და არ დამიწვაო. ქალი ბედნიერი იყო, რომ ღმერთმა ასეთი ბედნიერება არგუნა. მეორე დღეს გოგრამ ისევ ქერქები შეისხა, ასკუპდა თაროზე და ასე ატარებდა თავის დროს. ქალს მობეზრდა ასეთი ყოფა და სთქვა, მე თუ ეს ქერქი არ მოვაშორე, როდემდის უნდა ვიყო ამ მდგომარეობაშიო. აიღო და გოგრის ქერქი თონეში ჩაყარა. ამ დროს ვაჟს ტკბილად ეძინა. ვაჟმა რომ გამოიღვიძა, მოიკითხა თავისი ქერქები. ქალმა გაიცინა და უთხრა—დავწვიო. ვაჟი ადგა, გავიდა გარეთ და აღარ დაბრუნდა. ქალი მაშინ მიხვდა გოგრას ნათ-

ქვამს: ჩაიცო რკინის ქალამნები, დაიჭირა რკინის ჯობი და წავიდა ქმრის საძებნელად.

იარა, იარა, მთელი ქვეყანა შემოიარა და თავისი ქმრისა ვერაფერი შეიტყო. მივიდა ერთ ქალაქში. ქალამნებიც გაუცვდა, თითონაც არაქათი გამოელია, დაიღალა და სიარულის თავი აღარა ჰქონდა. შეწუხდა ძალიან. უცბად ქუჩაში დაინახა ერთი დედაკაცი, ვერცხლის სურით ხელში, მირბოდა. ვერცხლის სურა იცნო. ხელმწიფის ქალმა იფიქრა—ნეტა ეს ჩვენი სურა აქ საიდან გაჩნდაო. აედევნა დედაკაცს. დედაკაცმა წყაროსთან მიირბინა, აავსო სურა წყლით და საჩქაროდ გამობრუნდა. წინ ხელმწიფის ქალი შეეფეთა. ხელმწიფის ქალმა სთხოვა: მგზავრი ვარ და თუ შეიძლება მაგ სურათი წყალი დამალევინეო. დედაკაცმა უარი უთხრა: მეჩქარება, ჩემმა ბატონმა გაიღვიძა, ჩქარა უნდა მივურბეინო, რომ ცივი წყლით პირი დაიბანოსო. დედაშვილობას შემიბრალე, ძალიან მწყურიან და წყალს ნუ დამიჭერო. დედაკაცს შეებრალა, მისცა სურა წყლის დასალევად. ქალმა ჩუმად თავისი ბეჭედი ჩაადგო სურაში, დედაკაცმა გამოართვა და საჩქაროდ გაიქცა ბატონისკენ. ხელმწიფის ქალიც უკან მიჰყვა. შორიახლო დადგა და ელოდა რა იქნებოდა. ცოტა ხნის უკან გამოვარდა ის დედაკაცი და გაფაციცებით დარბოდა და დაეძებდა ხელმწიფის ქალს. რომ დაინახა ხელმწიფის ქალი, დედაკაცი სიხარულით გადაეხვია და უთხრა:—შენ რომ არ მეპოვნე, დიდი უბედურობა მომელოდა და უამბო, როცა ჩემმა ბატონმა სურიდან წყალი დაისხა ხელებზე, ბეჭედი გადმოვარდაო, იმის დანახვაზე გული წაუვიდა და ძლივს გონებაზე მოვიყვანე, მკითხა შენ წყალი ამ სურიდან ვის დაალევინეო. მე ჯერ უარი უნდა მეთქვა, მაგრამ ვერ მოვახერხე და ყველაფერი ვუამბე. მიბრძანა, ის ქალი უნდა მიპოვნო და აქ მომიყვანო, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებო. წამოდი, შენ გენაცვალე, თორემ სიკვდილი მომელისო. ხელმწიფის ქალი გაჰყვა. დედაკაცმა მიიყვანა ქალი თავის ბატონთან. ბატონმა რომ დაინახა, იცნო თავისი ცოლი, გადაეხვია, ჩაიკრა გულში და უთხრა: ეს გაპირვება შენთვის დიდი ჯილდოა, შემდეგ აღარ გასტეხავ ჩემ სიტყვასაო. მეც დაჯილდოვებული და ბედნიერი ვარ, რომ შენც არ მიღალატე და ჩემთვის ამო-

დენა ტანჯვა გადაიტანეო, შეექმნათ დიდი სიხარული, გადაიხადეს მეორეთ ქორწილი და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

მსმენელო, შენც აგისრულეს რაც გინდა და მიეწიე შენს მურაზს.

271. ᲓᲘᲐᲙᲕᲐᲜᲘ

იყო ერთი დიაკვანი, დიდი ღვთისმოყვარული და მუდამ-ჟამ მლოცველი. თავის სამსახურს მუყაითად ასრულებდა, არ სჯერდებოდა ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს ლოცვა-ვედრებას, მოვიდოდა თუ არა თავის საწყალ ქოხში, იქაც, ლოცვა-ვედრებას განაგრძობდა. იმის გართობას და სიამოვნებას მხოლოდ სამღვთო წიგნების კითხვა შეადგენდა. ერთხელ დიაკვანმა სამღვთო წერილში ამოიკითხა: თუ ღვთისა და ლოცვის მოყვარული ადამიანი ღმერთს გულწრფელად რასმეს შესთხოვს, უსათუოდ უფალი შეუსრულებსო. ამის შემდეგ დიაკვანი საფიქრებელში ჩავარდა, რა ვესთხოვო უფალს შეუძლებელი რამ, რომ ამისრულოს და ამით ვირწმუნო უხილავი უფალიო. გადასწყვიტა—უნდა ვესთხოვო ღმერთს, რომ ჩვენმა ხელმწიფემ თავისი ქალი მომათხოვოს; ეს ხომ შეუძლებელია, რომ მე მეფის სიძე გავხდეო. იმ დღიდან დაიწყო მხურვალე ლოცვა: ღმერთო, მე შენი უღირსი და ცოდვილი შვილი გამხადე ღირსი, რომ მეფის სიძე გავხდეო. ასე ვედრებაში გაატარა ერთი წელიწადი. ერთ საღამოსაც ასე ილოცა, შესთხოვა ღმერთს, რომ ხელმწიფის ქალის ღირსი გამხადეო, დაწვა და დაიძინა. ძილში ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: დიაკვანო, შენი ვედრება უფალმა შეისმინა, შენი სურვილი აგისრულდებაო, დილაზე ადექ, წადი ხელმწიფესთან და სთხოვე ცოლად ქალიო. გამოეღვიძა, გადიწერა პირჯვარი და სთქვა: დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალიო, ადამიანი რაზედაც ფიქრობს, ის ელანდებაო. ის დღეც ლოცვა-ვედრებაში გაატარა და საღმრთო წერილის კითხვაში, დაწოლის წინ კიდევ შესთხოვა ღმერთს—გამხადე ხელმწიფის ქალის ღირსიო და დაიძინა. ძილში ისევ ის ანგელოზა გამო-

ეცხადა და უთხრა: ღმერთმა შენი ვედრება ისმინა, შენი სურვილი აგისრულდება. ხვალ წადი, ხელმწიფეს ქალი სთხოვე და მოგცემსო. ის დღეც ჩვეულებრივ ლოცვაში და საღმრთო წერილის კითხვაში გაატარა, საღამოზე დაწოლის წინ კიდევ შესთხოვა ღმერთს: გამხადე ხელმწიფის ქალის ღირსიო, დაწვა და დაიძინა. მესამეთაც გამოეცხადა ის ანგელოზი და უთხრა: რაღას აგვიანებ, წადი ხელმწიფესთან, სთხოვე ქალი და მოგცემსო. ადგა დიაკვანი, ილოცა და წავიდა ხელმწიფესთან ქალის სათხოვნელად. მივიდა სასახლესთან და კარისკაცს სთხოვა ხელმწიფესთან მიეყვანა. კარისკაცმა ვინაობა ჰკითხა და რა საქმე გაქვს ხელმწიფესთანაო. მე ამ ქვეყნის დიაკვანი ვარ და მოველი ხელმწიფეს ქალი უნდა ცოლად ვსთხოვო,—უპასუხა დიაკვანმა. კარისკაცმა გაიცინა, მერე დაფიქრდა: რა ვუყო ამ მასხარას, შევიყვანო ხელმწიფესთან, ვაი თუ გამიწყრეს, მასხარად მიგდებსო, არ შევიყვანო, ვაითუ მაშინაც გამირისხდეს, რატომ არ შემოიყვანეო. გადასწყვიტა მოეხსენებინა ხელმწიფისათვის—ასეთი და ასეთი გთხოვთ მიიღოთო. ხელმწიფემ უთხრა—მოვიდესო. შევიდა დიაკვანი, წარსდგა ხელმწიფის წინაშე და მოახსენა: მე თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს და იმედი მაქვს ღვთისაგან, რომ ამისრულებო. ხელმწიფემ უთხრა: განა რა უნდა იყოს ისეთი, რომ მე ვერ შევძლო შეგისრულოვო, მითხარი, რა გინდაო.—ჩემი თხოვნა ის არის, მოახსენა დიაკვანმა, რომ თქვენი ქალი ცოლად უნდა მომათხოვოთო. ხელმწიფეს ეწყინა და გაჯავრდა, უნდა ასეთი თავხედობისათვის დაესაჯა დიაკვანი, მაგრამ მერე იფიქრა და სთქვა, მოდი ისეთ რამეს შეუკვეთ, რომ თან გადაჰყვეს. ხელმწიფემ უთხრა: კარგი, სიამოვნებით მოგათხოვებ ჩემს ქალს, მხოლოდ ჯერ ერთი რამ უნდა შეგიკვეთო და ამისრულო. ამ ორმოცი წლის წინად ბამიჩემის დედა ზღვაში გემით მოდენილა, უეცრად თავის ნიშნის ბეჭედი თითიდან წასძრობია, ჩავარდნია ზღვაში და დაკარგვია. თუ იპოვნი იმ ბეჭედს და მომიტან, მოგათხოვებ ჩემს ქალს, თუ არა და შენთვის სახრჩობელა მზად იქნებაო. ერთი წელიწადის ვადას გაძლევო.

— ღვთისაგან იმედი მაქვს აგისრულოთო, მხოლოდ თქვენც პირობაზე მტკიცედ იყავითო. გამოვიდა და წავიდა.

გამოვიდა დიაკვანი და დაიწყო უგზო-უკვლოდ ხეტიალი. ხან ტყეს ეცა, ხან კლდეს, ხან მინდორს. იარა რამდენიმე თვე და ბეჭდისა ვერაფერი შეიტყო. მაინც იმედს არ ჰკარგავდა. ერთხელ ერთ მინდორში დაუღამდა. მინდორს არც სიგრძე უჩანდა, არც სიგანე. ძალიან დაიღალა. ილოცა ჩვეულებრივ და დაწვა დასასვენებლად. უცებ, თვალი მოჰკრა, შორს სადღაც დაინახა შუქი. ადგა და გასწია ამ სინათლისაკენ. მივიდა ერთ ალაგას, ნახა ერთი ლამაზი კარავი სდგას. კარავში კუბო იდგა, შიგ მიცვალებული ასვენია, თავით და ფეხით კანდელი ენთო. შევიდა კარავში, ილოცა და გამიბრუნდა, უნდა დაესვენა სადმე. კარავში თვალი მოჰკრა ერთ ჭიქას. ჭიქაში სანთლის ჯვარი იდო. მივიდა, ამოიღო ჯვარი და უმალვე ჭიქიდან ამოვარდა ეშმაკი, გადაეხვია ამ დიაკვანს და დაუწყო კოცნა,—საიდან გაჩნდი, კაცო, ჩემს ბედზე, რომ ამოდენა ხნის ტანჯვისაგან დამიხსენ. გამოვიდნენ გარეთ. დაინახა დიაკვანმა, რომ მთელი მინდორი ეშმაკებით სავსეა, საკრავებით და სიმღერით. ისე იყო იქაურობა განათებული, როგორც დღე. ისეთი მოძრაობა იყო, როგორც დიდ ქალაქშია. დიაკვანი გაშტერებული უყურებდა ყველა ამას, ის ეშმაკიც, რომელიც ჭიქიდან ამოძვრა, ხელგადადებული მოსდევდა და მადლობას უხდიდა. ეშმაკმა უთხრა: მე ამ ეშმაკების ხელმწიფე ვარ, არ ვიცი, რითი გადაგიხადო შენი სიკეთე. შეიყვანა დიაკვანი თავის ხაზინაში და უთხრა:—რამდენი გეყოფა, რომ გაგატანოვო. დიაკვანმა უთხრა:—მე ერთი კაპიკის დანაფასებიც არ მინდა, მხოლოდ იმასა გთხოვთ, რომ ჩემი აღთქმა არ გამიცრუვდეს: ორმოცი წლის წინად ამა და ამ ხელმწიფის დედას ზღვაზე გემით გამოუვლია, თითიდან ბეჭედი ზღვაში ჩავარდნია და დაჰკარგვია, ის ბეჭედი მიპოვე და მეტი არაფერი არ მინდაო,—უპასუხა დიაკვანმა. მაგაზე ადვილი რაღა არისო, უთხრა ეშმაკების ხელმწიფემ. ეშმაკების ხელმწიფემ მაშინვე გასცა განკარგულება, რომ სუყველა ეშმაკები აქ შეკრებილიყვნენ. გამოცხადდენ აუარებელი ეშმაკები. ხელმწიფემ გამოუცხადა: ამა და ამ წელში ხელმწიფის ცოლს ბეჭედი ჩაუვარდა ზღვაში, ვინც იპოვა ეხლავე აქ წარმოადგინოსო. მოიკითხეს ყველგან, მაინც არავის აღმოაჩნდა ბეჭედი. ხელმწიფემ ბრძანა: მაშ ყველა ეშმაკი

არ გამოცხადებულა აქაო, ეხლავე აქ გამოცხადდეს ყველა. ერთი მოხუცებული ეშმაკი მოიყვანეს. ხელმწიფემ ჰკითხა ბეჭდის შესახებ. ამოიღო ამ ეშმაკმა ჯიბიდან დიდი ძვირფასი ბეჭედი, მიართვა ხელმწიფეს და უთხრა:—აი ეს ბეჭედი, მე ჩავაგდებინე ზღვაში ხელმწიფის ცოლსაო. ხელმწიფემ ბეჭედი დიაკვანს გადასცა და ჰკითხა:—იქნება კიდევ სხვა რამე გსურდეს, მითხარიო. დიაკვანმა უთხრა:—მე აღარაფერი არ მინდა, მხოლოდ ეს მაკვირვებს, იმ პატარა ჭიქაში როგორ ჩაეტევეო. ეშმაკმა უთხრა, წავიდეთ იმ კარავში და გიჩვენებო. მივიდნენ კარავში, ეშმაკი გახდა კაკლის ოდენა, ისკუპა და ჩახტა ჭიქაში. დიაკვანმა სანთლის ჯვარი ისევ დაადო ჭიქას და იმ წამს გაჰქრენ ეშმაკები. იმ დღიდან ეშმაკების ჯიში ოისპო, მხოლოდ ადამიანი თითონ გადაიქცა ეშმაკად.

მოვიდა დიაკვანი სასახლეში, წარსდგა ხელმწიფესთან და მოახსენა: თქვენი თხოვნა აესრულეო და გადასცა ბეჭედი. ხელმწიფემ უთხრა:—შენ მართლა ღირსი ყოფილხარ ჩემი სიძეობისაო. მოამზადეს საქორწილოდ ეს დიაკვანი, ჩააცვეს სახელმწიფო ტანისამოსი, მოიყვანეს ეკლესიაში, წინ კათალიკოსი მიეგება, კათალიკოსმა სიტყვა უთხრა, რომ დღეის შემდეგ თქვენი გამყრელი მარტო ბარი და ნიჩაბი იქნებაო, თქვენ საუკუნოდ შეერთდითო. როცა ჯვარი დაიწერა, დიაკვანი წარსდგა საკურთხევლის ახლო და დაიწყო ლოცვა: გმადლობთ, ღმერთო, რომ თხოვნა შემისრულე და ღირსი გამხადე ხელმწიფის ქალისაო. მხოლოდ ეხლა იმას გთხოვ, უცოდველი მიიღო ჩემი სულიო, მაშინვე დიაკვანი უსულო დაეცა. დამარხეს დიაკვანი დიდის ამბით.

ჰირი იქა, ლხინი აქა.

272. ხელმწიფე, გლეხი და გველი

იყო ხელმწიფე მდიდარი და ძლიერი. ჰყავდა ძლიერი ჯარი. მრავალი სახელმწიფოები ემორჩილებოდნენ. თუ ვინმე წინააღმდეგობას გამოიჩენდა, ყველას თავის ძლიერებას აჩვენებდა, ამისათვის ყველას ეშინოდა ამისი. ერთხელ პატარ-პატარა სახელმწიფოებმა შეთქმულება მოახდინეს, გადასწყვი-

ტეს საერთო ძალით გაენადგურებინათ ძლიერი ხელმწიფე და სამუდამოთ განთავისუფლებულიყვნენ მისგან. ხელმწიფე არსაიდან არ მოელოდა საშიშროებას და დამშვიდებული იყო.

ერთ ღამეს საოცარი და საშინელი სიზმარი ნახა, თავზარდაცემულს გამოეღვიძა, დაღონდა და ჩაეარდა საგონებელში. შეკრიბა თავისი ვეზირები, აუხსნა თავისი დარდი და უბრძანა, შეეკრიბნათ ყველა მხრიდან მეცნიერნი, რომლებიც შესძლებდნენ ამის სიზმრის ახსნას. შეიკრიბნენ ყველა ბრძენი და მეცნიერნი. ხელმწიფემ უბრძანა, გამიგეთ, რა ვნახე და რა ხიფათი მომელისო. ზოგმა რა უთხრა, ზოგმა რა, მაგრამ ხელმწიფე უფრო ბრაზდებოდა და რისხდებოდა.

იმ დროს იმ ქალაქის ახლო სოფელში სცხოვრობდა ერთი საწყალი გლეხი თავის ცოლით. ყოველ დღე დადიოდა ტყეში, თითო გუდურას მოსჭრიდა, ჩაიტანდა ქალაქში და ჰყიდდა. ასე ნაშოვნი ფულით ცხოვრობდა თავისათვის კმაყოფილი. ერთ დღეს, ჩვეულებისამებრ, აიღო წალდი და გაემგზავრა ტყეში შეშის მოსაგროვებლად. დაინახა ერთი გამხმარი კუნელი, დაეპირა ამისი მოჭრა და მოიმარჯვა თავისი წალდი, ამ დროს კუნლის ძირიდან გამოძვრა ვეებერთელა გველი და სთხოვა: ნუ მოსჭრი ამ კუნელს და ბედსა გწევო. გლეხმა წალდი ჩამოუშვა და აღარ მოსჭრა კუნელი. გველმა უთხრა: ამ კუნლის ძირში ჩემი სოროა და შიგ ჩემი შვილები არიან, შენ რომ ეს კუნელი ამოაგდო, შვილები დამეღუპებიან. მე ერთ რამეს გასწავლი და რაც ჩემი დარიგებით აიღო, ნახევარი მე მომიტანეო. გლეხი დაყაბულდა. გველმა უთხრა: რაკი ასეთი სიკეთე მიყავ, მეც სიკეთით გადაგიხდი, შეშის შეკრებას თავი დაანებე და აქედან პირდაპირ წადი ქალაქში ხელმწიფესთან. იმან ერთი საოცარი სიზმარი ნახა და ვერავინ აუხსნაო. შენ მიდი ხელმწიფესთან და უთხარი: მაგ სიზმარს მე ამოგიხსნი-თქო. შენ გინახავს სიზმარში, რომ შენი თავის პირდაპირ ზევიდან გალესილი ხმალი ეკიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ შენი ბეზობელი ხელმწიფეები შეთქმულან და შენზე აპირობენ უეცრად გამოლაშქრებას და თავზე დაცემას. შენ, დიდებულო ხელმწიფეე, ნუ შეგეშინდება, შენც გაილაშქრე იმათზე და გამარჯვება შენ დაგრჩება-თქო. გლეხი წავიდა და მივიდა სასახლეში. ხალხი შეგროვილიყო. ათასი მეცნიერნი

სცდილობდნენ რითიმე ეშველათ თავიანთ ხელმწიფისათვის. გლეხმა უთხრა: ხალხო, რას დაღონებულხართ, თქვენ ხელმწიფეს სიზმარს მე ავუხსნიო. მოახსენეს ხელმწიფეს: —ერთი გლეხი მოვიდა და ამბობს, მე ავუხსნი ხელმწიფეს სიზმარსაო. უბრძანა—შემოიყვანეთო. შეიყვანეს ხელმწიფესთან ეს დაგლეჯილი ტანისამოსით გლეხი.—დიდებულო ხელმწიფეე, თქვენ ნახეთ სიზმარში, რომ თქვენს თავზე ჩამოკიდებული იყო გალესილი ხმალიო. ხელმწიფეს გაუკვირდა და უთხრა: მართალიაო.—იმასაც აგიხსნი რას ნიშნავს ეს თქვენი სიზმარიო: მეზობელი ხელმწიფეები შეთქმულან შენზე და თავზე დაცემას გიპირებენო, მაგრამ ნუ შეშინდები, გაილაშქრე, გამარჯვება შენ დაგრჩება და დაიმორჩილებ იმათო. ხელმწიფეს გაუხარდა, დაუძახა თავის მოსამსახურეებს და უბრძანა, ორი ხელი კარგი ტანისამოსი მიეცით ამასაო, ერთი თითონ და ერთი ამის ცოლისთვისაო. ერთი ხურჯინი ოქროთი აუვსეთ და გაისტუმრეთო. მისცეს ყველაფერი რაც უბრძანა ხელმწიფემ. გახარებულმა გლეხმა გამოსწია შინისკენ. გლეხის ცოლმა რომ ამდენი სიმდიდრე ნახა, სიხარულით ცას დაეწია და ჰკითხა: ვინ მოგცა ეს ამოდენა სიმდიდრეო. გლეხმა ყველაფერი უამბო და უთხრა, რომ ნახევარი ამ სიმდიდრისა გველს უნდა წავუღოვო. გლეხის ცოლმა სულ ცეცხლი მოუკიდა თავის ქმარს, ერთ ცალსაც არ გაგატან გველთანაო. ბევრი იძალა გლეხმა, მაინც ცოლმა აჯობა.

ხელმწიფეს მართლა დაეცნენ მეზობელი ხელმწიფეები და აუტეხეს ომი. ხელმწიფე მომზადებული დახვდა, გაიმარჯვა და ისევ დაიმორჩილა ისინი. ხელმწიფე ძალიან გახარებული იყო, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდა მისი სიხარული. ერთხელ კიდე საშინელი სიზმარი ნახა და ისევ დაღონდა. დაიბარა ისევ ის გლეხი. გლეხს თავზარი დაეცა, ეხლა რაღა მეშველება, რა პირით უნდა მივიდე გველთან და ვსთხოვო, რომ მასწავლოს რაზეო, არ წავიდე და ხელმწიფეს როგორ ავუხსნა სიზმარიო. რა გაეწყობოდა, ჩაიცვა ისევ თავისი ძველი დაგლეჯილი ტანისამოსი, დაიჭირა თავისი წალდი ხელში და გასწია იმ ხმელ კუნელთან, სადაც გველი ბუდობდა. დაიჩოქა და ასწია წალდი კუნლის მოსაჭრელად. უეცრად გამოძვრა ისევ ის გველი და დაუწყო ამ გლეხს ლანძღვა და ყვედრება,

რომ პირობა არ აასრულა და ნახევარი ხურჯინი ოქრო არ მოუტანა. გლეხმა დიდი ბოდიში მოიხადა, ჩემი ცოლის ბრალიაო და პატიება სთხოვა.—კარგიო, უთხრა გველმა, მიპატიებია, ეხლა ვიცი რისთვისაც მოხველი ჩემთან, წადი და უთხარი იმ ხელმწიფეს, რომ იმან სიზმარში ნახა დიდი გველეშაპი იმის თავზე დაკიდებული. ეს იმას ნიშნავს-თქო, რომ სახელმწიფო აუჯანყდება, დიდი უბედურება გადაჰხდება ხელმწიფეს, მაგრამ ბოლოს გამარჯვება მას დარჩება, დაიმორჩილებს და დაამშვიდებს თავის სახელმწიფოს. მხოლოდ, რასაც გაჩუქებს, იმის ნახევარი თუ არ მომიტანე, შენც დაგღუპავ და შენ ცოლსაცა.

მივიდა გლეხი თავის სახლში, უამბო ცოლს ყველაფერი, ისიც უთხრა, რომ თუ საჩუქრის ნახევარს ეხლაც არ მიუტანთ, გველი უსათუოდ დაგვღუპავსო. მეორე დღეს ადგა და მივიდა სასახლეში. ყველანი დიდის სიხარულით დახვდნენ, მაშინვე შეიყვანეს ხელმწიფესთან. მოახსენა ხელმწიფეს:—თქვენ გსიზმრებიათ უზარმაზარი გველეშაპი თქვენ თავზე დაკიდებული. გაოცდა ხელმწიფე ამის გაგონებაზე. გლეხმა განაგრძო:—ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო აგიჯანყდება, დიდი უბედურება გადაგხდება თავზე, მაგრამ ნუ შეშინდები, ბოლოს შენ გაიმარჯვებ, დაიმორჩილებ და დაამშვიდებ სახელმწიფოსო. გაუხარდა ხელმწიფეს. უბრძანა მოსამსახურეებს: ხურჯინი თვალ-მარგალიტით გაუვსეთ და გაისტუმრეთო. აუვსეს ერთი ხურჯინი თვალ-მარგალიტით, ისე რომ ძლივსღა სძრავდა და გაისტუმრეს. გლეხმა თავის სახლში მიიტანა ეს სიმდიდრე და თავის ცოლს უთხრა, ამ სიმდიდრის ნახევარი გველს უნდა მიუტანოო. გლეხის ცოლი უფრო გადირია ამოდენა თვალ-მარგალიტის დანახვით და დაუწყო თავის ქმარს ჩხუბი, გველს რად უნდა სიმდიდრე, მე აქედან ერთ მარცვალსაც არ გაგატანო. ძალს გლეხი და ძალს იმის ცოლი. ცოლმა სძლია და არაფერი არ მიაცემინა გველისათვის. დარჩათ ამათ უთვალავი დოვლათი.

მართლაც, როგორც გლეხმა უთხრა ხელმწიფეს, ისე მოხდა. ხალხი უკმაყოფილო იყო ხელმწიფესი. ფიქრობდნენ მის ჩამოგდებას. ზოგი ხელმწიფეს მიემხრო, დაიწყო ხალხის მღელვარება. ხალხი ერთმანეთს ჰგლეჯდა. დასუსტდა, დაი-

ღალა ხალხი და ისევ თავისთავადვე დაწყნარდნენ და დაემორჩილნენ ხელმწიფეს.

გავიდა ხანი და ხელმწიფეს მესამედ კიდევ ესიზმრა საოცარი სიზმარი. მაშინვე გლეხი დაიბარა. ბევრი იდარდა, ბევრი იწუხა, ბევრი თავში იცა გლეხმა, ბევრი ეჩხუბა თავის ცოლს: ეხლა რაღა მეშველება, ორჯელ მოვატყუილე გველი და რაღა პირით უნდა შევხედო, უსათუოდ შემჭამსო. მაინც რაღა იქნებოდა, ადგა, ჩაიცვა ძველი ტანისამოსი, აიღო წალდი და გასწია გველისაკენ. შეიდა ტყეში, იპოვნა გაშხმარი კუნელი და ასწია წალდი მოსაჭრელად. ამ დროს გამოცურდა გველი და დაუწყო გლეხს მუქარა და ლანძღვა. გლეხმა დიდი ბოდიში მოიხადა და დაჰპირდა, რომ თუ ეხლაც დაარიგებს და ასწავლის ხელმწიფეს რა უთხრას, რასაც საჩუქარს მიიღებს, პირდაპირ აქ მოიტანს და სულ იმას მისცემს. კარგიო, უთხრა გველმა, თუ ეხლაც მომატყუე, ცუდ დღეს დაგაყრიო. ხელმწიფეს უთხარი: შენს თავზე ლამაზი ბატკანი გინახავს ჩამოკიდებული, ეს იმას ნიშნავს—დამშვიდდა შენი სახელმწიფო, ხიფათი აღარსაიდან არ მოგელის და სანამ ცოცხალი იქნები, ბედნიერად და წყნარად იცხოვრებთქო. წავიდა გლეხი ხელმწიფესთან. სასახლეში სიხარულით დახვდნენ. შეიყვანეს ხელმწიფესთან და უთხრა ყველაფერი, რაც გველმა ასწავლა. გადაეხვია ხელმწიფე, გადაჰკოცხა და უთხრა: ამის შემდეგ შენ ჩემი პირველი მეგობარი იქნები. უბრძანა მხლებლებს: რაც ძვირფასი თვლები მაქვს ჩემს ხაზინაში, ხურჯინი აუვსეთო. გლეხმა ეს ამოდენა ძვირფასი თვალი პირდაპირ გველთან წაიღო. მაგრამ არც ცოლი იყო დამშვიდებული, ეშინოდა საჩუქარი გველს არ წაუღოსო და გზაში დახვდა. მოუვიდათ ჩხუბი და ძიძგილაობა ცოლსა და ქმარსა, ცოლი შინისკენ იზიდავდა ხურჯინს, გლეხი—გველისკენ. ბევრი ეხვეწა ქმარი და რომ ვერაფერს გახდა, მისდგა თავის იფნის სახრით და იმდენი სცემა ცოლს, სანამ თითონვე ხვეწნა არ დაუწყო: ოღონდ ნუ მომკლავ ცემით და ვისაც გინდა წაუღეო. მიუტანა გველს საჩუქარი. გველმა მადლობა გადაუხადა და უთხრა: მე ეგ საჩუქარი არ მინდა, წაიღე და ჩემს მაგივრად შენ გასახრულ ცოლს მიართვი და ბედნიერად იცხოვრეთო. წამოიღო ეს ძვირფასი საჩუქარი, მოიტანა შინ და დაიწყეს მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრება.

273. დავით მეფეზე

ერთ ქვეყანაში იყო ერთი ხელმწიფე. იმის სახელმწიფოში ვინც ცოლს შეირთავდა, პირველ ღამეს ამ ხელმწიფისათვის უნდა უსათუოდ მიეყვანათ. ერთი ახალგაზრდა, თამამი და თავმომწონე ყმაწვილი ცოლს ირთავდა. სთქვა, რაღად მინდა ჩემი სიცოცხლე თუ ჩემი საცოლე ხელმწიფეს დაუწვინეო. მივიდა სასახლეში, წარდგა მეფის წინაშე და მოახსენა: დიდებულო ხელმწიფეე! ერთს კაცს ერთი ბატკანი ჰყავდა, მეორეს კი ათასი ცხვარი. ათასის პატრონს მოუვიდა სტუმარი, საწყალს წაართვა ის ერთი ბატკანი, დაკლა და იმითი გაუმასპინძლდა სტუმარს. ეხლა გთხოვთ მიბრძანოთ: როგორ უნდა დაისაჯოს ასეთი კაცი?

— უნდა გასკდეს დედამიწა და შიგ ჩაიტანოს ასეთი კაცი,—ბრძანა მეფემ. ამისი თქმა იყო და მართლა გასკდა დედამიწა და მეფე შიგ ჩაიტანა. იქიდან ამოიძახა: საწერ-კალამი და ქაღალდი მომაწოდეთო. მიაწოდეს საწერ-კალამი და ქაღალდი. იქ დაიწყო სინანულის ფსალმუნების წერა. რამდენ კანონსაც დასწერდა, იმდენი ზევით-ზევით ამოდიოდა. როდესაც დაასრულა კანონების წერა, სულ დედამიწის პირზე ამოვიდა და მიწამაც პირი შეჰკრა.

შენიშვნები

ამ მასალის შემკრებს, გიორგი ნათაძეს, როგორც წინასიტყვაობაშია აღნიშნული, ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრება უწარმოებია იმ დროს, როცა იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მსახურობდა ამ ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინ. დიდი ნაწილი ამ მასალისა თვით მას მოუსმენია და ჩაუწერია, ნაწილისთვისაც კორესპონდენტები ყოლია. ჩაწერილ-შეკრებილი მასალა ხოგან ტერიტორიალური ნიშნით არის გაერთებული (ხევსურული, გუდამაყრული, ქსნის ხეობისა). შემკრებ-ჩამწერი, სამწუხაროდ, ყველგან არ ასახელებს არც მოსმენა-ჩაწერის ადგილს, არც მთქმელისა და არც მასალის ფიქსირების დროს.

შენიშვნებში თავი მოვუყარეთ ყოველგვარ ცნობას, რომელიც შეიძლებოდა ამოკრეფილიყო მასალათა რვეულებიდან. ეს ცნობები ეხება ტექსტების სადაურობასა და მთქმელ-გამომგონებელს.

ნიკო სიჯინაშვილის (წიკლაური) მიერ ჩაწერილია გუდამაყარში: 1, 3, 77, 79, 158 და 224.

მარო ლომნიას-ას. წიკლაური-ქენქაძის მიერ ფშავში, სოფ. მაღაროსკარში ჩაწერილია: 8, 9, 13, 46—52, 81, 86, 149, 150, 161, 167, 214, 215, 221, 222 და 249.

კავკავში (ახლა ძაუჯიკაუ) მცხოვრები ფშავ ჭრელო მოლოდინაშვილისგან ჩაწერილია: 25—27, 31, 85, 87, 128 და 148. ჭრელო მოლოდინაშვილი საკუთარ ლექსთა გამომთქმელიც ყოფილა. მაგ. № 148-ს უწერია: გამოთქმული ჭრელო მოლოდინაშვილის მიერო. იგი ვაჟა-ფშაველას ტოლი და ამხანაგი ყოფილა, დაბადებული სოფ. ჩარგალში. გიორგი ნათაძეს მისგან ჩაუწერია მოგონებები ვაჟას შესახებ, რაც ჭრელოსგან მოწოდებული ლექსებისთვის შენიშვნების სახით დაურთავს.

შემკრების მიერ ფშავში გაგონილი და ჩაწერილია: 11, 12, 30, 35, 69, 82, 88, 89, 102, 116, 117, 242 და 252. ამათგან № 82 ჩაწერილია დარო ნაკვეთაურისგან.

თუშეთში გაგონილი და ჩაწერილია: 6, 7, 34, 36, 38, 40, 45, 83, 106, 152 და 155—157.

ქსნის ხეობაზე გაგონილი და ჩაწერილია: 14, 55, 84, 118, 119, 169, 171, 180, 181, 184, 185, 195, 198, 200—209, 235, 241, 247, 248, 253 და 254. ამ მასალასთან ერთად გ. ნათაძეს ჩაუწერია სხვადასხვა ხასიათის ეთნოგრაფიული ცნობებიც, აღწერილი აქვს ლომისობა, სამებობა (ოქროსკარიანისა) და სხვა. აქვეა ჩაწერილი მრავალი ანდაზა-გამოცანა, შელოცვები, თქმულებანი და სხვ.

ხევსურეთში გაგონილი და ჩაწერილია: 17—19, 33, 71, 163—166, 196 და 236.

არაგვის ხეობაზე ჩაწერილია: 20, 32, 105 და 255.

გუდამაყარში ჩაწერილია: 29.

კახეთში ჩაწერილია: 68.

ქართლში, უმთავრესად მუხრანის მიდამოებში, ჩაწერილია: 90, 92—98, 127, 129, 132, 134—136 და 251. ქართლური მასალა ძლიერ ბევრია გ. ნათაძის რვეულებში, მაგრამ, რადგან დიდი ნაწილი სხვადასხვა დროს არის გამოქვეყნებული სხვადასხვა კრებულებში, ამიტომ ამ კრებულში აღარ შევიდა. ქართლურ მასალებშიც ბევრია ანდაზა-გამოცანები, შელოცვები, თამაშობანი, ძველ სადღესასწაულო ჩვეულებათა აღწერანი და სხვა.

მოხეევთაგან გაგონილია: 103, 104, 108 და 220.

ოლღა იოსების-ას. ინაშვილისაგან ჩაწერილია სოფ. ქაისხევში: 260—263 და 265.

ჩაწერილი დუშეთში ნიკო არაქელოვისაგან: 269—272.

დანარჩენი ნომრები ჩაწერილია შემკრების მიერ მთქმელისა და ადგილის აღუნიშნავად: 2, 4, 5, 10, 15, 16, 21—24, 28, 37, 39, 41—44, 53,54, 56—67, 70, 72—76, 78, 80, 91, 99—101, 107, 109—115, 120—126, 130, 131, 133, 137—147, 151, 153, 154, 159, 160, 162, 168, 170, 172—179, 182, 183, 186—194, 197, 199, 210—213, 216—219, 223, 225—234, 237—240, 243—246, 250, 256—259, 266—268 და 273.

ხ. ხ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შემკრებისაგან III
წინასიტყვაობა—(ს. ხუციშვილისა) . V

საგმირო-სავაჟკაცონი

1. ამირანი 1
2. მიამბე, ციხის ნაშალო 1
3. მეცხვარის ლექსი 5
4. ითიურიძე 6
5. შატილს მოვიდა ხოხობა . 7
6. მაღლიათ მოვლენ ღრუბელნი 9
7. გმირები 9
8. ფშავლებისა და ჭისტების ბრძოლა 10
9. ფშავლის და ვეფხვის ბრძოლა 12
10. ვაჟკაცი . . . 13
11. დევები და იახსარი 14
12. ხვედია გუდამაყრელი 14
13. მიხას სიკვდილი . . 15
14. გორგიშვილის გმირობა 17

ი ს ტ ო რ ი უ ლ ი

15. ერეკლე . 18
16. ალექსანდრე 18
17. ომალხანი 19
18. კაცი მოლალა ბატონმა 19
19. ხმალი ჭრის 20
20. შანშე ერისთავი 21
21. სოლომანის ლექსი . 21

ბატონყმობაზე და ხელისუფლების ნარმომადგენლებზე

22. მე პატარა დავიბადე . 23
23. მოხელე იმისთვის გვინდა 23
24. ცოდვის მქნელნი . 24
25. ველ-კეთილ ამოვიარე 25
26. ბლაკიაური ბაბოს ლექსი 26
27. მოხუცის დარდი 26
28. გუბეცკის ციხე . . 27
29. როსტია ჩობოლაური 28

სალდათობაზე და ომზე

30. ჯარში მიმავალი 29
31. სალდათის ლექსი . 30
32. სალდათის ნათქვამი 31
33. ხეესური ომში 31
34. ათას ცხრაას თოთხმეტ წელში . 34
35. რუსებისა და თურქების ომი 35

ს ა ტ რ ფ ი ა ლ ო ნ ი

36. აბესალომ და ეთერი 36
37. ძლიერი სიყვარული 40
38. ჩამოიხოშნეს ვარსკვლავნი 41
39. მიყვარხარ 41
40. შენ, ჩემო დიდო იმედო 41
41. ყოჩაღი გოგო 42
42. ანბანხე 42
43. ქალო, მითხარ 43
44. სიცილი ელვას მიგიგავს 43
45. თვალჭრელო 43
46. გავხედე 44
47. უკვდავებისა წყარო ხარ 45
48. ფშაური წაწლობა 45
49. ჩონქარა . 46
50. ძალიან კარგი ყოფილა 47
51. ნეტავი შენა, მთვარეო 47
52. ა ი მთასა . . . 48
53. შემოგხედავ ლერწამს ჰგევხარ 48
54. ავადულე მარგალიტი . 48
55. პირად მზე და პირად მთვარე 49
56. შენ რომ წიგნი მოგეწერნა 49
57. ცალგნით ცანი და ქვეყანა 49
58. ანა ხარ ბროლი . . 49
59. შემოგხედავ, მზეს გამგზავსებ 50
60. კიტრი დავთესე ოქროსი 50
61. ნატვრა 50
62. მაღლა მთის მონადირე ხარ 50
63. ქალო, ამ ქალაქ ღამესა 51
64. აქ მოდი და აქა მნახე 51
65. ობოლი 51
66. გოგო, შენი სიყვარული . . 51
67. თუ მკითხავ, ამბოვს გიამბობ 52
68. საყვარელო 52

69. შეგხვედე ჩამოხვიდოდი . 53
70. მოგწყინდა, თამარ ქალაო 53
71. ჭებოსას ჩამოვიარე . 53
72. მამუკას ქალი 54

გლეხობისა და ოჯახურ ყოფაზე

73. გლეხის ჩიკილი 55
74. მოკვდა კამეჩი . . . 55
75. გორის სანახავად წაველ 56
76. გადმოვიდა რუსის ჯარი 56
77. გაგას ლექსი . 56
78. რატომ არა სჭამ 57
79. სეტყვა . 57
80. ბეჩავი 58
81. საწყალ გლეხ-კაცის შვილი 58
82. მოშორდა შავი ღრუბელი 58
83. ოხერო წუთისოფელო 59
84. თვეებზე . . 60
85. ფშაველების კამათი 62
86. ხინკალაის ცოლი . . . 63
87. ბოლიოური ბუშტას ლექსი 64
88. ფშაველის ქალის ტირილი 64
89. ვაჰ, დედაშენს, ჩემო თაო . . 64
90. რძალ-დედამთილი . 65
91. დედის ამაგი 65
92. კარგი რძალი . . . 66
93. ძმა რომ ძმას არ გაეყრება 66
94. იქით მთასა და აქეთ მთას 66
95. ავი პატარძალი 66
96. აბეზარი კაცი . . . 67
97. საწყალო, შენმა სიდედრმა . 67
98. როგორი პატარძალი უნდა 67
99. ქალო, რისთვის გიხარიან . 68
100. ერთი ენია ვითხოვე 68
101. ცოლი თუ წაწალი 69

სიკვდილზე და ნუთისოფელზე

102. დობილის სიკვდილი 70
103. სიკვდილის პირას . 70
104. აცა, მოიცა, მიწაო 71
105. ფასანაურის შვილი 71
106. ტბათანას ჩამონგრევა 71

107. ყორნების ზნე 72
108. შინში მაჩვენეს თვალითა 72
109. წუთისოფელი . . . 73
110. წუთისოფელმა დღე ჩემი 73
111. დავეხსნათ ჭორის კრებასა 73
112. რად გინდა . . 74
113. ადამიანის ქონება 74
114. სიკვდილის ზნე . . . 74
115. სოფელს რა მხარეც უნახე 74

ხუერობა გალ ექსებანი

116. ფშაველის ჯორი 75
117. თაგვების ხელმწიფე 76
118. ქსნის ხევის სოფლები 77
119. ანდრია ზუმბალაშვილი 78
120. ქართლში შესანიშნავი სად რა იცის 79
121. მივიარე მოვიარე . 81
122. ნათლიდედამ დამპატიჟა 81
123. ბებერი . . 81
124. ღრუბლები მიდი-მოდიან 82
125. ქემხიაანთ ქორწილი 82
126. მატნელი ბიჭი 82

ხ ე ა დ ა ს ხ ვ ა ნ ი

127. ელია 83
128. სოლომონ ბრძენი და კუნძულელი 84
129. მე რომ დედაჩემს გაუჩნდი 87
130. ტერტერას დახვედრა 88
131. მღვდელი და დიაკვანი 88
132. მესტვირეული 89
133. დალოცვა ქორწილის დროს 89
134. სადღეგრძელო 90
135. დალოცვა 90
136. დალოცვა . 91
137. უფალმა ღმერთმა 91
138. სუფრავ გაშლილო 92
139. მასპინძელი 92
140. დალოცვა . . . 92
141. გაცოცხლოს და გადღეგრძელოს 92
142. ოჯახის დალოცვა 93
143. სანახავად ლამაზია 93
144. ხომიერი სმა . . . 93
145. სურვილისა კოშკი მედგა 93

146. მახარობელი 94
147. ძმის დალოცვა 94
148. ახალთაობას . 94
149. ბებერი მონადირე 94
150. თოვლი თოვს . . 95
151. ამ სოფელსა სამი ვთხოვე . 95
152. ღვინო კი მათრობელა სჯობს 95
153. ვაჟი ვიყავ . 95
154. ვერიკანა 96
155. აიმა მთასა 96
156. ხმალმა თქვა . . 96
157. ხევსურო, ხმალი გალაღებს 96
158. ლეგას ლექსი 96
159. (ვაქკაცო გულადო, მარდო) 97
160. (ხმალო, ფრანგისა ნაჭედო) . . 97
161. (ფშავი ხარ, ბიჭათ ვარგიხარ) 97
162. (კარგ ყმასა ჰშურობს სოფელი,) 97
163. (ნადირი, მენადირეო,) 98
164. (ვინც იცნობს ჩვენთა სოფლელთა) 98
165. (კა ყმა არ უნდა სოფელთა) 98
166, (შაუპატიჟეთ კას ყმასა) 98
167. (ხუმარამა დათვი მოკლა,) . 98
168. (ჭარში ლეკმა დაიკვეხა) 98
169. (ქსნელი ბიჭისა ჭირიმე,) 99
170. (აზნაურობა რა არის?) . . . 99
171. (საამწყერაოთ კვარხეთი სჯობს,) 99
172. (ორშაბათობით დავთესე) . 99
173. (ნეტავი ბევრი ძმისასა) 99
174. (ბეჩავო, მამასახლისო) 99
175. (აზნაურობა მიყვარდა) . . 100
176. (რად მიტევ, მამასახლისო), . 100
177. (შემოუარე, გამოვა,) . . . 100
178. (სახნის, საკვეთი, ჯამბარა) . 100
179. (მოჯამაგირის ულუფა) . . . 100
180. (შაშვი, ნაწრეტი რათ გინდა) 101
181. (სილარიბე, დაწყევლილი) . . 101
182. (მანამდის ღმერთმა გაცოცხლოს) . 101
183. (სახლო, ღმერთმა აგაშენოს) . 101
184. (ერწოს იყივლა მამალმა) . . 101
185. (გადაგიხტი, გადმოგიხტი) . . . 101
186. (ნეტავ. ქალო, შენმა ქმარმა) . 102
187. (მზე წავიდა ბუდისაკენ) . . 102
188. (გოგოვ, ისე ლამაზი ხარ) . 102
189. (ქალმა რომ კოკა აავსო) . 102

190. (გოგომ რომ ვაშლი მესროლა) . 102
191. (ქალები დაგროვებულან) . 102
192. (კაცსა ღვთისა გაჩენილსა) . 103
193. (ქალო, შენმა სიყვარულმა) . 103
194. (მინდორთა მაშვენებელო) . . 103
195. (ეს სოფელი მისთვის მინდა) . 103
196. (ქალ-ვაჟთა მდომიარეთა) . 103
197. (საიდან მოხვალ შენ, ქალო) . 103
198. (ქალო, შენსა სიყვარულსა) . 104
199. (ქალო ავშავო, თვალშავო) . . 104
200. (მინდორს კოშკი ავაშენე) . . 104
201. (გაზაფხულისა პირზედა) . 104
202. (იარე, ქალო, წავიდეთ) . 104
203. (ლამაზო ქალო, შენ იცი) . 104
204. (შენი ჭირიმე, დედაო) . . 105
205. (ვერა ხილი ვერ სჯობიან) . 105
206. (ბიჭო, შენსა ბიჭობასა) . . 105
207. (სურვილისა ვაშლი მედგა) . 105
208. (ქალმა ჩიჭილის ქნევითა) . 105
209. (აგრე არ უნდა შენ, ბიჭო) . 105
210. (დილით ადგები მზიანსა) 106
211. (გემდური, ჩემო დედილო) . . . 106
212. (რა ქნას რომ არა სტიროდეს) . . 106
213. (ყმა გავლილ-გამოვლილი სჯობს) 106
214. (მაღალ მაღალსა მთაზედა) . . . 106
215. (დაგლეკ მაღალ მთის წყაროვო) . 106
216. (მოდი, ვილხინოთ ყველამა) . . 107
217. (ერთი ვარ, ერთხელ მოვკდები) . 107
218. (შაიყრებიან ყორნები) . . 107
219. (ყველა ფრინველი ხეზე ზის) . 107
220. (მთვარეკ, გამცილდი, ტიალო) 107
221. (მშვიდობით, ჩენო სამშობლოვ) . 107
222. (ოხერო წუთისოფელო) . 108
223. გასათხოვარი ქალის სიკვდილი 108
224. (გუდამაყრელი ჩიოდა) . 108
225. (ჩემს მტერსაც დაუღამდება) . 108
326. (შენ გატიალდი, ზამთარო) . 108
227. (დატრიალდი მოგიხდება) . 109
228. (წყალში მოდის ორაგული) . 109
229. (პატარძალო პატარაო) 109
230. (შენ, ბიჭო, ისე გგონია) . . 109
231. (ხშირად ლეკსებს მოგახსენებ) 109
232. (ბიჭო, შენც ხომ კარგად იცი) . 109
233. (ტატუნაშვილი ხაქარა) . 110

234. (ეგ ოხერი ჩვენი მღვდელი) . 110
235. (დავლიოთ ღვინო, დავლიოთ) . 110
236. (ბერო, სიბერეს ნუ სჩივი) 110
237. (ტყეში დაუდე ურემი) . . 110
238. (მჭედელო, განა რკინისა) . 111
239. (მთიული ქალი რათ ვარგა) . 111
240. (მძაგს ქათამი ნაკრუხალი) 111
241. (—უსანეთობას წამოვალ) . . 111
242. (—ჩემ ცოლის დამ დაგიწუნა,) . 111
243. (ამისი ავი კაცი ვარ) . . . 112
244. (ადე, ირემო, რას გძინავს) . 112
245. (დოვლათიანი ირემი) . . 112
246. (ანანურს—ციხე მაღალო) . . 112
247. ატირდა ყვავი 113
248. ორშაბათ დილა გათენდა . 113
249. პირქუში მოყმე . 114
250. ტახთან შებმა . 114
251. კომში . . 115
252. ალაზანი . 115
253. ლეხურა . 116
254. ქსანი 116
255. არაგვი და მტკვარი . 117

ზ ღ ა პ რ ე ბ ი

256. ვინც საქეე გააკეთა, პურიც იმანა ჭამოს . 119
257. მთხოვარა 122
258. ფრინველთ ხელმწიფე 127
259. ტარიელი და ნესტან-დარეჯანი . 130
260. ნასყიდა 134
261 ქაჩალა . . . 137
262. სიზმარა 138
263. სოლომონ ბრძენი და სოვდაგარი 142
264. გრძნეული დები 145
265. ხელმწიფის შვილი და ოქრომჭედელი . 149
266. ბებერი დედაკაცი 153
267. ავთანდილი და ყარაბოღლი . 156
268. ორი ძმა 165
269. მენახირის შვილი . 170
270. გოგრა შვილი . 180
271. დიაკვანი 186
272. ხელმწიფე, გლეხი და გველი . 189
273. დავით მეფეზე 194
შენიშვნები . . 195

Народные песни и сказки

Собранные Г. Натадзе

(На грузинском языке)

Изд-во „Сабчота мцерали"
10 Тбилиси 50

* *

რედაქტორი ს. ხუციშვილი

* *

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.3 1950 წ.,
საგამომცემლო საღრიცხვო ფ. 11,25
წიგნის ზომა 5,5×9¼ ტირაჟი 7000.
შეკვეთის № 1021 უე 01774

* *

გამ-ბა „საბჭოთა მწერალი"-ს სტამბა,
თბილისი, ჰლენინოვის, 181.